644
2011 /2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სალვანი

სამხატვრო
სალიტერატურო
ჟურნალი

2011 1

გენერალური დირექტორი და გამომცემელი
სერგი კაკალაშვილი

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ელზა მეტრეველი

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების
ხელმძღვანელი
ელგუჯა მარღია

პოეზიის განყოფილების გამგე
ბაღათერ არაბული

მხატვარი
გიორგი წერეთელი

საკონსულტაციო საბჭო
რატი ამაღლობელი
ჭაბუა ამირეჯიბი
ნიკუშა ანთაძე
მაყვალა გონაშვილი
ნუგზარ ერგემლიძე
დავით თედორაძე
ოტია იოსელიანი
გენო კალანდია
ზვიად კვარაცხელია
მიხო მოსულიშვილი
დათო ტურაშვილი
თემურ ჩალაბაშვილი
ჯანსუღ ჩარკვიანი
რეზო ჭეიშვილი
მარიამ წიკლაური

დამკაბადონებელი
თამუნა ტყაბლაძე

კორექტორები
ირაკლი კალანდია
ნანი ჭულუხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს სალიტერატურო ქრონიკა

ალაგი

2011 / 1

საქართველოო, ღამაზო...

ჩალენჯიხის

მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა 2010-2013 წლები



წალენჯიხა

მოდის საღამო, ეს დღე ილევა
და ირგვლივ სოფლის თეთრი სივრცეა,
აღარ ეტყობა სოფელს ცვლილება
და წალენჯიხა ისევ ისეა.

მწვანეა ველი ახლო მდებარე
და გზაზე შუშა მიაქვთ ვიღაცეებს,
ქრიან ბავშვობის მოგონებანი,
და მიმაქვს ფიქრი წალენჯიხაზე.

ახლოს მტერია დაფენდობელი
და მოდის წვიმა, სუფევს ავდარი.
ჩანს წალენჯიხა – ჩემი სოფელი,
ჩანს წალენჯიხის ძველი საყდარი.

და ქარიშხალი სოფელს არ აცდა,
ამნაირ იღბალს არც მე ავცდები,
კვლავ ჭადრებია ეკლესიასთან
და იქვე ახლო დგანან ცაცხვები.

მოდის საღამო, ეს დღე ილევა
და ირგვლივ სოფლის თეთრი სივრცეა,
აღარ ეტყობა სოფელს ცვლილება
და წალენჯიხა ისევ ისეა.

ფეოდორა ვასაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძრის ინტერიერ

სარჩევი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

სამხატვრო
საინფორმაციო
ჟურნალი

2011/1

პოეზია

ნინო ნადირაძე 2
ტარიელ ჭანტურია 32
გენო კალანდია 40
ემზარ კვიტაიშვილი 57
ანზორ აბულაშვილი 66
ნანა კელეხიძე 79
სოსო მეშველიანი 94

პროზა

გურამ დოჩანაშვილი 7
რუსა ამირეჯიბი 50
ბესო ხვედელიძე 73
ლაშა გვასალია 86
ჯანო ჟვანია 100

თარგმანები

იოჰან ვოლფგანგ გოეთე 108
თარგმნა დავით წერედიანმა
ჰანს კრისტიან ბრანერი 114
თარგმნა მანანა მიქელაძემ

ინტერვიუ

კარლოს კასტანედა 121
თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ

ესე

მიხეილ ანთაძე 129

წერილები

დიანა ანფიმიადი 138
ეკა ყუფუნია-ცხადაძე 140
თეიმურაზ პეტრიაშვილი 143

დაარსებულია 1852 წელს
აღდგენილია 1957 წელს
განახლებულია 2010 წელს
გამოდის თვეში ერთხელ
იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები

© „ცისკარი“, თბილისი, 2010

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1
ტელ.: 98-36-43, 98-47-62
info@jurnaliciskari.ge
www.jurnaliciskari.ge

108
28161
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წართმეული...

ისე აქვს ხელი ჩაჭიდებული,
თითქოს ხვდება, რომ წავართმევთ.
ისე გვიყურებს,
თითქოს ხვდება, რომ წავართმევთ.

კოსტას მონტისი

ვერ გავატიე ეს მალები ციმციმა ცაში.
ამინდებივით ჩაწყობილან სკამზე მტრედები...
სიცხეს საზიზღრად გამოუჩნდა მსუქანი ფაშვი
დღის სამ საათზე. მეფიქრება უფრო დედებზე.
ნეტა, იმათ თუ დაეტიათ შვილებში რწმენა...
იქნებ იესო – მარიამის რწმენის ნატეხი –
ჩვენ გამოვტაცეთ ღვთისმშობელსვე და ამის მერე
დაუკითხავად მივაყიდეთ მიწის ქარტეხილს,
ხმელეთის ხორშაკს, უგრძნობობას, საგვემელს, ურწყულს,
ადამიანთა გეენიას სულში ჩატეულს.
მოვტაცეთ დედას და მერე კი ასევე ურცხვად
ვირწმუნეთ მისი და გვჯერა, რომ სული მჩატეა
როდესაც მარხვას ზედმიწევნით ვიცავთ და არ ვჭამთ,

ნინო ნადირაძე

როდესაც ლოცვას სხაპასხუპით ვამბობთ. ჰო, ვითომ...
როდესაც ხელფასს ხატებსა და თავშლებში ვხარჯავთ,
ერთი სული გვაქვს, ის თავშალი როდის მოვიძროთ.
ვზივარ. სკვერია ისეთივე ცხელი და მძიმე,
როგორც ეს ფიქრი და ჩემს თავთან უხმო კამათი.
მე ვამბობ, მაშინ მივაღწიეთ ჩვენსავე ლიმიტს,
როცა ღვთისმშობელს საკუთარი შვილი წავართვით.

ცის იქით მიყვარხარ

გვანცა ჯობავას

გძინავს და ღამე დირიჟორობს, ჭრიჭინებს ახშობს.
გათენდება და დაბუჟდება ქალაქი თანგვით.
თითქოს ყველგან ვარ, კაფეებში, მეტროში, ბაღში
და შენთან, შენში. მანდ ვპოულობ, ჰო, რასაც ვკარგავ.
თეთრი ხბოები ზანტ ზმორებით ცაზე მიდიან,
ალბათ ხელიდან დასცვივდება უფალს ბროლები –
იწვიმებს, გეტყვი, უსულესო, რა ამინდია,
ნახე, ხბოები გადადიან ცაზე ზმორებით.
ვაცდი ცხოვრებას, გამიქნიოს და მიმანარცხოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დამაბრკოლებს, მხრებით დამაქვს იესოს კვართი...
მე შენთან მოსვლით ყოველ ჯერზე სიკვდილს ვამარცხებ,
მერე მივდივარ და ღმერთს ვხვდები სამების კართან.
გძინავს. მსუბუქად გადაგივლის ივლისი შუბლზე,
მუხამ თუ პანტამ შენს მიწაზე გავიდგი ფესვი,
ვდგავარ, ვარჯულებ საკუთარ თავს, ზეცაა ზღურბლი
და ცაზე შენი სულისხელა გვირილებს ვთესავ.
ვოცნებობ: ცაზე და ხმელეთზე პატარა ფართი,
ღმერთის მწამდეს და შენი, ლოცვა ვიცოდე ცხელი.
და, თუკი სხვები ბოლოს მაინც კვდებიან მარტო,
მინდა, რომ თავქვეშ მედოს შენი გამხდარი ხელი.

სიჩუმის და სხვათა...

გმადლობთ, სიჩუმის მარცვალო!
რადგან დიდი ქარიშხლების შემდეგ,
დაუდეგარი ქარიშხლების შემდეგ,
ანარქისტი ქარიშხლების შემდეგ
ასე დიდგულობ, სუფევ
და მეფობ.
ასეთ დროს ყველაზე ძლიერად მინდა გმორჩილებდე.
გმადლობთ, სიბნელის მარცვალო!
რადგან კაშკაშა მზეების შემდეგ,
აბრდღვიალებული სინათლეების შემდეგ,
ჩახჩახა ქუჩების პანაშვიდების შემდეგ
ასე დგახარ, ასე ბევრი ხარ, ასე მივლი და მეფერები,
ასეთ დროს არავინ მეგულება შენზე ერთგული.
გმადლობთ, სევდის მარცვალო!
რადგან ამდენი სიცილის შემდეგ,
ვადიანი სიხარულის შემდეგ,
მუდამ საშიში მხიარულების შემდეგ
ჩემს გვერდით წვები და ამ თმაზე ხელს მითათუნებ,
ასეთ დროს მგონია, რომ შენსავით ვერავის ვერ შევეჩვევი.
გმადლობთ, უფლისკენ აწოწილო ხეებო!
ფეხსაცმელდაწუწული ნოემბრის შემდეგ,
შუბლშეტრუსული სხივების შემდეგ,
ფოთლების ასეთი შრიალის შემდეგ
ასე მყარად უძლებთ მიწას და გჯერათ, რომ გმირობა ასე დგომაა...
და მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ყველაზე დიდი მადლი ღმერთმა თქვენ მოგცათ,
როცა მიწაში ასე ღრმად ჩაგრგათ და გმირობის უფლება მოიპოვეთ.
გმადლობთ, დუმილის მარცვალო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან ხმაურის და ალიაქოთის შემდეგ,
რადგან ყურებზე ხელების აფარების შემდეგ,
ყოველდღიური ომებისა და ქვემეხების გრუხუნის შემდეგ
შემიძლია ჩემთან მოგიხმო და ხმელეთის თევზიც კი გავხდე.
ასეთ დროს მგონია, რომ ჩემი მოსაპოვებელი სამოთხე შენ ხარ.
და გმადლობთ, სიკვდილო!
რადგან ამდენი წოწიალის შემდეგ,
რადგან ამდენი ჩახოცილი ლექსის შემდეგ,
რადგან ხორხში ნაყლაპი ამდენი ტკივილის შემდეგ,
რადგან ამდენი სიმსივნიანი იმედის შემდეგ,
რადგან ამდენი სამყაროს დამხობის შემდეგ,
რადგან ხელისგულზე შემწვარი ამდენი კვერცხის შემდეგ,
რადგან ნემსის ყუნწში ამდენი გაძრომით გადაყვლეფილი კისრის შემდეგ,
რადგან ამდენი წაგებული ბრძოლის შემდეგ,
რადგან ასე დაშვებული ხელების სიმძიმის შემდეგ
ჩემთან მოდიხარ, არ მიცოდებ, არ დამცინი,
არ მღალატობ, არავისზე წინ და არავისზე უკან არასდროს არ მაყენებ
და მიჯდები ყოველთვის პირისპირ
და მიყურებ ყოველთვის თვალებში,
მერე ხელს მხარზე მადებ, შუბლზე მკოცნი,
უსიტყვოდ დგები, მიდიხარ და, რაც მთავარია,
მოსახედად უკან არასდროს არ ტრიალდები.
გასიპულ ხელზე უსახელო სიზმრები სხედან...
ასე მგონია, სადაც დავმთავრდი, იქვე სადმე საწყისიც იყო
და ვერ ვიპოვნე...
გარეთ შაბათივით უქმე დეკემბერია...

ჩრდილები

წესიერი კაცი თავის ჩრდილს არ კარგავს.

ადალბერტ ფონ შამისო

რას დადუმებულხართ, ხეებო...
თქვენთან მოვედი, ნუთუ სიტყვას არ ვიმსახურებ...
აი, იმ ქუჩის კუთხეში, ხისფანჯრებიან სახლში ერთი მესაათე უნდა ცხოვრობდეს, ჰოდა, გიყვებით:
იმ მესაათემ დრო აქცია „შესრულებადად", ეს ნიშნავს, რომ,
როცა დრო ჩერდება, მაგალითად, ჩემს საათზე, სხვის მაჯის საათზე ისრები ციფრ 3-ზე
უსიკვდილოდ ჩამოდგებიან.
ან რას გიყვებით, ისრებს არ გავხართ თქვენც? დგახართ და წვიმს, დგახართ და თოვს,
დგახართ და ქუჩაში აქციაა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგახართ და გუბის წყალი გესხმევათ,
დგახართ და მოდიან და გეყუდებიან,
დგახართ და ამინდები რთული ქვეწყობილი წინადადებებივით მძიმდებიან...
თქვენ კი დგახართ და დუმხართ...
ღმერთმა უწყის, ასე მძაფრად რატომ ვდარდობ თქვენზე.
მჭირხართ, ხეებო...
აი, ამ სახლში, რობაქიძის 7 ნომერში, მე ვცხოვრობ. მეექვსეზე.
ჩვენს წინ იმსიგრძე ნაძვი დგას, ჩემს აივნამდე წვდება კენწერო,
საღამოობით უთვალავი ყვავი ზის და ყურები მიაქვს მათ ხმას,
ასე მგონია, ეს რაღაცას უნდა ნიშნავდეს.
ჩრდილი დამეკარგა, საკუთარი სხეულის ჩრდილი.
და ნუ დუმხართ ასე, ხეებო...
თქვენთან მოვედი, ნუთუ ერთ სიტყვასაც არ ვიმსახურებ...
მომეცით ნება, კიდევ უფრო ახლოს მოვიდე...
გარეთ ოქტომბრის ქარივით ღამეა,
ძვლებიდან გამოაქვს და შეაქვს ნაღველი.
მივდივარ, მიმყვება ხეების ბღავილი
და ხორხში ხეების ტკივილი მახველებს.

ფლამინგო

შემოდგომის მზე თვითმკვლელივით დაასკდა ასფალტს,
მაგრამ მალევე თავისივემ აფხიკა სუსხმა,
ცხოვრებამ თავზე მერამდენედ დაისხა ლაფი
დამჭკნარ ქალაზე. წყალს ისევე ჩემს ლექსებს ვუსხამ.
ვუსხამ და მჯერა... გამუდმებით ვუსხამ და მერე...
სინამდვილიდან დამიხსნიდე ოდესმე ასეთს,
არ შემრჩა თავი საკუთარი, არ შემრჩა, ვკერავ
გულს გამორღვეულს. არც ის ვიცი, რას ადევს ფასი
და აქვს სიცოცხლეს არითმია მაინც საჩემო
და აქვს განთიადს ჩემებური მაინც კრეშენდო,
და მერე ალბათ წამართმევენ კუთვნილ არჩევანს,
და მერე ჭაკი დროის ფეთქვა გაილეშება
ჩემი ნასუნთქი ჰაერით და დაახრჩობს ბრაზი.
და ამ მაჯებზე შემოხვეულ სულყველა ნორმას
და რეალობის ორ ფეხზე მდგარ გუგუნს და ზანზარს,
ვესროლე ჩემი პოეზია და არსებობა.
და ვდგავარ მხოლოდ ერთ-ერთ ფეხზე, როგორც ფლამინგო,
და ვდგავარ მყარად, თუმც მზის რკალებს მაინც ვერ ვწვდები,
ვიცოცხლე ასე... მიწის ფეთქვა მსურდა გამეგო
და პოეზია ღრუბლის ცაზე გადამეწერა.

გურამ დოჩანაშვილი

კაცი, სახელად ნოე

(რომანი)

შესავალი

არასოდეს მინახავს ატლანტის ოკეანე, მაგრამ ეს ეგებ არაფერს ნიშნავს.

ასე 18-20 წლის რომ ვიყავი, ანუ თითქმის ორმოცდაათამდე წლის წინათ, არ ვიცი რომელი ყურმოკრულით, ანდა საიდან ამომიტივტივდა და თან როგორლაც ძაან ამოჩემებული სიჯიუტით აშკარად რაღაც-სხვისაგან – მაშინ ისიც არ ვიცოდი თუ ვინ ან რა იყო ეს ვიღაცა-სხვა, – და კი არ ჩავიფალ, როგორ გოროზად დამაწვა ეს უზარმაზარი, მოკვდავებისათვის მძლეთამძლე სივრცე და ამას კიდევ რა უჭირდა ჩემი ასაკით უფროდაც ბეჩავი გონებისათვის, უფრო ის იყო ვაება რომ ამ ოკეანის ფსკერზე დაფლული ვრცელი ქალაქი გაელვებით მელანდებოდა, არეულ ხალხით როგორ დარეული, და რაღა თქმა უნდა არც ის ვიცოდი ასე მწარედ და უუმძიმესად რომ დაისაჯნენ, და მიუხედავად იმისა რომ თვით ის უუდიადესობა, წიგნად მოცემული, ჯერ გადაშლილიც კი არ მქონდა და რომელ წიგნსაც მახინჯად წითლები როგორ ბოროტად, მათი ჭკუით დაუნდობლად და სისასტიკით და მაინც როგორ უსუსურად უსუსურობად ზრახავდნენ რადგან უთავბოლო ზღაპრებად და მონაჩმახად რაცხდნენ და მათთვის შედარებით უმტკივნეულო რამ – გინდაც „დოკუმენტალური"-ვით ლიტერატურული მონაცემები? – სუყველაფერი მითი ეგონათ და თანაც სულელური, თვით გილგამეშ-მეფე, ჰომეროსი, და რამდენი უცნობი თუ ნაცნობი ვინმე, და ეს – ტროასა და შუამდინარეთის არქეოლოგიური გათხრებისაც კი მიუხედავად, რომელ ტროასაც არქეოლოგთა მამამთავარმა სწორედ „მითი"-კო, გინდაც „მითი"-კა „ილიადა"-თი რომ მიაგნო და თვით ეს უუდიადესი, თუნდაც როგორი ალმასური და კლდეკაცური ნებისყოფითა და როგორ მტკიცედ მოქნილი – არაა შეუსაბამობა ეს... – ნიჭიერებით დაწერილი პოემა, რომელთანაც, გინდაც სხვა ყველა დიდი ნაწარმოებები, თუნდ ჯუფთად აღებული დიადი წიგნის ნებისმიერ ერთ გვერდთანაც კი ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივლენ რადგან ეს წიგნი თვით მამა-ღმერთის ნებით, მამა-ღვთისაგან გამომავალი თავად სულიწმიდათი და ერთადერთი შვილით, თავად ქრისტეთი ანუ სიტყვითაა შექმნილი და თუ მანამდეც და მას მერეც სხვებს ანუ ადამიანებს აქმნევინებდა წმიდა სამება დიდ ნაწარმოებს ესა წიგნი ხომ მუდმივი მზეა და რამდენადაც მეტი იმ მზეზეც გინდაც როცა ძალიან მაღლაა და გინდ როდესაც ჩასულია მაგრამ ეს უგნურებისათვის რადგან მზე – მზეა, ის მერე რა რომ დროებით სხვებზე მცხუნვარებით და გინდაც მკრთალად დაბჯენილი და გინდ შავი ღრუბლებით შეგებებული და უკუნშიც როგორ ძალიან, კი,ა, – არის, ვისაც რომ სულაც მთავარი მზეი-ესი სწორედ ამ წიგნით ბოძებია – ის მერე რა რომ გონებით გინდაც სუმთლადმცირედით, და მაინც შეუხებლად მთავარია რომ, – ეს რაღაც წმიდა სიდიადე როგორ მძლავრად და თან ნატიფად ლბილი სათნოებრივი უწმიდესობით არის, კი, არის, – არის, არის,

და ადამიანთადმი ამაქვეყნისათვის საკმაო დროით, ორმოცდაათამდე წლით ადრე მუდამ ვფიქრობდი ატლანტიდაზე; მსრესდა; მერე და მერე კი როგორი იმედითა და თან მაინც როგორღაც დათრგუნვილმა გავიგე რომ წარღვნა აუარება ხალხის ეგრეთ წოდებულ „ეპოსში",ა, და, ატლანტიდათი გაჟღენთვით შეპყრობილი, მაინც სხვა რომანებსა და მოთხრობებს ვწერდი ჩემი მცირედი შესაძლებლობებით აქამდე, რადგან მკაფიოდ ვგრძნობდი რომ ატლანტიდამდე გული, გონება და ხელი ვერ მიმიწვდებოდა და ნუ გეგონებათ და იფიქრებთ რომ ახლა კი, ვგრძნობ, მაგრამ მაინც უნდა ვეცადო.

კი.

მთელი ეს წლები, არ მინდა გრძელი ახსნებით თავი მოგაბეზროთ და მოკლედ გეტყვით რომ შედარებით ერთგული მწერალი კი არა, გადამწერი ვიყავი და ხოლო ნიჭი, ისევე როგორც სილამაზე სულაც არაა გასაპრანჭგრეხი რადგან არავითარი დამსახურება ამის (ნიჭისა და სილამაზის) ქონა-ში არაფერია, ჩვენგან, მაგრამ შედარებით სულსუ მცირედით ვამართლებდი იმას, რომ,

ჯერ თავი და თავი შეგრძნება და სამადლობელი – :

„ქველისმოქმედებათა შენთა და ნიჭთა უსასყიდლოდ ღირს-ქმნილნი უხმარნი მონანი შენნი, მეუფეო, გულმოდგინედ შენდა მიმართ მოვილტვით, და" –

„და მადლობასა ძალისაებრ შევსწირავთ..."

...მადლობის ძალისაებრ შემწირველნი ქართულ მწერლობაში რამდენიმე მართლაც სამაგალითო შემოქმედი მე-გულ-ება, თუმც ზოგიერთი მათგანი – ცოტა არ იყოს მისმიერი ძალის არასაშურველად რადგან ნიჭსაც, კი, ნიჭს გააჩნია, – მარტივი დაყოფით სუცოტა ორგვარი მაინცაა, ხოლო პირველი, ვინც ღირსეულად მაგრძნობინა ეს, თანამედროვეებში, გურამ რჩეულიშვილი იყო, 26 წლისა, როგორ შფოთიანცხოვრებიანი და როგორი მყარი, და, ასე განსაჯეთ კატორღელიც კი ნავარდობებშიაც, კი, შემოქმედი, და ეს „მადლობასა ძალისაებრ შევსწირავთ" ისევე როგორც გზისგამკვლევად დამაჯერებელი და აუცილებელი და არგასაკვირია ჩემთვის იმდენადვე როგორც დიდ-გასაკვირვი იყო ჩემთვის ბავშვობიდანვე, ასე 10-12 წლის რომ ვიყავი, ჯიბგირობა (ესაც ბევრგვარია; შეიცავს ეგრეთ წოდებულშერქმეული „დიდი" და „მაღალი" თანამდებობისა – ისემც... – წყალობით ქვეშევრდომ-პაიკ-მალემსრბოლით ხელქვეით-აგრეთვ-მსრბოლელებისაგან მორთმეულ ვითო-ხეირსაც, – აგრეთვე ისემც, რაცგინდა დოლარ-შიშხათიანს...) და ხელმრუდობა როგორც ეს ახლაა (1991-2005წ.) რაღა თქმა უნდა არა მაგრამ საკმაოდ დიდ-მოდებულად გავრცელებული იყო მშობლიურ (?!) ჩვენსში, და მართლაც დიდად მანცვიფრებდა გამონათქვამებ-ამგვარები, რომ, „რა პატიოსანი კაცია (ჭაბუკია; ახალგაზრდაა; ყმაწვილია), ტროლეიბუსში ჯიბეზე არ დადის", და თუმცა ახლა იმათთვის, დაწინაურებული ჯიბგირებისათვის ტროლეიბუსი რა სახსენებელ-მოსატანია, ავტობუსსა და რიქშას ვერ განასხვავებენ თვით „ტაჭკისაგან" რამე რო იყოს, „ჯიპებიანნი" გახლავანყე ჩემობატონო, და თან ალბათ კი არა რაღა თქმა უნდა და რასაკვირველია შუამავლებით იჯიბებენ რამდენ-რაოდენს ძალიანც ბევრებსა უმრავლესობას კი ვალუტათი დიაღაც, ეს მათიიმათი ბნელჯიბისათვის დღესავით ნათელია, და თუ ხანდახან ვერ იწვნევენ გაჯიუტებულებისაგან ვერას? – აქვე არაა ყურისძირში „ციხეს რად უნდა რკინის კარები", ძლიერ ადვილი არი შესაგზავნად, დამქაშურიყე ჯანოვან-ძალოვნებით, ხოლო უშუშაბანდო ციხიდან გამოშვება კი ძაან ძნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია „პრინციპულები“საგან უხელგონებისჭუჭყოდ, კი, თუკი „მაღალთ“ და იმათსა ფრჩხილთ-ჭუჭყთ ჯიბეს? – არა, ეე... ჯიბე და მუთაქა და ამისთანა ჩამორჩენილობებები არა ტოროლა, არამედ საზღვარგარეთული კაპიტალისტურად უკუნეთურა გისოს-სეიფებიანი დიდად კარღია ბანკები კარგა-საკმაოდ ეგულებათ, და მარტოკლ-განა ჩვენებურებიანებისა (ისემც,) დაუტევნიათ?

მე კი ჩემს საქმეს (ხელობას) „ძალისაებრ“ ჩემი შესაძლებლობებით კარგად თუ არც ისე, – როგორც იყო, კი, – ვაგრძელებდი, მაგრამ განვაგრძობდი მართლაცდა დიდის ჭაპანწყვეტით, ჩემთვის როგორად ძნელ დროსაც კი, კი, რადგან, როგორი მადლობელი ვარ მეგობრის,

მხატვარ (მერე როგორი) ვახტანგ რურუასი, რომელმაც, ჩემი ვაჟის ირაკლის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ გადაწყვიტა და მითხრა, რომ, ვიცი რომ როგორმე დაძლევ თავს და შესძლებ და რამენაირად გადასძლევ მაგ როგორ მძიმე შენს-ას, ვიცი და უკეთესებს (და არა „გადასარევებს“-ო) დაწერო, და ამ როგორ წყალობად ნათქვამს ჩემგან ისიც დაემატა რომ როგორც ყველა პირობით რომ ვთქვათ შემოქმედს ჰყავს თავიანთი-მოყვარული მსმენელები თუ მნახველები და მკითხველები და მათ შორის მეც და არ მინდოდა ირაკლის გამო, ირაკლითი, გულდაწყვეტილები ყოფილიყვნენ და ამით გულში თუნდ უნებურად და გინდაც ცოტათი და უნებლიეთ როგორღაც მაინც გაეკილათ ჩემი შვილი, და, როგორც იქნა მივადექი და დავწერე ჩემი ძველ-მოქმედპერსონაჟებიანი ვრცელი მოთხრობა „მერომელიღაცე მიხეილ და სხვანიც კიდევ ორ-ორნი“, მერე მოვახერხე და, გადამწერმა, ვახტანგის თქმითა და ირაკლით გადმოვიწერე ნაკარნახევი ორი რომანი და ოთხიც მოთხრობა, და, მე უღირს-გათამამებულმა, ცოტათი ვიგრძენი რომ რაღაცა თუნდაც მცირედი, მაღლის შეწევნით ვისწავლესავით ჩემს ხელობაში და, გადავწყვიტე, შევბღაუჭებოდი თვით წარღვნას, რომელსაც ჯალაბითა და ყოველი ჯურის წყვილ-ცხოველებით, უზარმაზარი კიდობანის წყალობით, ღვთის შემწეობით გადაურჩა კაცი, სახელად ნოე...

და თუმცა მუდამ მყარად მახსოვდა და მახსოვს რომ ნებისმიერი ხელოვნება ეს ხომ მარადი „დიადი ვერასოდეს“აა,

და მაგრამ,

მაინც,

როგორ ძალიან და საგულდათავდახელოდ,

ვემზადებოდი,

და ჯერ როგორ დიდად დამწყდა გული რომ ატლანტიდაზე არსებული ლიტერატურის მქონე ერთ-ერთ ჩემდამი კეთილგანწყობილ მკითხველს დასწვია მთელი წიგნები, და სამაგიეროდ რაღაცა ,,ინტერნეტი“-ს წყალობით, რომელი სიტყვაც სულაც არ ვიცი რასა ნიშნავს მიშოვნა ძალიან ახლობელმა, ატლანტიდაზე, ასე ვთქვათ „მეცნიერული გამოკვლევები“ს მოკლემოკლე ანოტაციები თუ რას ეძახიან და მათი, მეცნიერ-მაცთენელთა (– „სწორის შემშლელი“– საბა) რბილათე რომ ვთქვათ დიდად თამამი შეხედულებან-მოსაზრებები ატლანტიდაზე, რომელ-მეცნიერთა გვარ-სახელების ჩამოთვლას არავითარი აზრი არა აქვს პლატონის გარდა, რომელმაც თავის ორ ნაშრომში, ქრისტეს იესუდ შობამდე IV საუკუნეში, გამოთქვა თავისი დაბეჯითებითი შეხედულება ატლანტიდაზე, რომელი ქვეყანაც – რა ექნა იმასაც (პლატონს) და მამაღმერთის ძე-შვილის იესუდ მოვლენამდე იყო და ესი ქვეყანა ანუ კუნძული მიაჩნდა წარმართებისათვის და წარმართებისაგან კარგა-დაწინაურებული „წყალთა ღმერთის, პოსეიდონის უფროსი შვილის, ატლანტი-ს საკუთრებად“ და ვისი „დინასტია“ც ვითომდაც ფლობდა დიდსა სივრცეებს ისევე როგორც ევროპაში ასევე აფრიკა-აზიაშიც, ყველაზედ ფუფუნებიანი განცხრომით გამოირჩეოდა თვით მაღალამხანაგ პოსეიდონისა აუარება „ღირსშესანიშნაობებ კერპთა“ ოქროსქანდაკებებიანი (პლატონმა, მგონია და ალბათ არ იცოდა ძველი აღთქმა) იყო რადგანაც და მაგრამ თვლიდა რომ ატლანტიდა უძლიერესი „კატაკლიზმების შედეგად“ ვრცელ წყალთა სიღრმეში დაეშვა

რომელ ზემორე-აზრსაც არ იზიარებდა არისტოტელე რომელიც ატლანტიდას მითად თვლიდა, და ზოგიც ალეგორიად აღიქვამდა პლატონის იმ ორ ნაწარმოებს სადაც ატლანტიდად მიჩნეულ ტროა-ზეა საუბარი ხოლო პლატონის მოწაფეები და მათიც მიმდევრები კი დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ რომ ეგვიპტეში უნახავთ იეროგლიფებით ჩანაწერები ატლანტიდაზე, რომელიც „ჰერაკლეს სვეტების“ მიღმა იყო ატლანტის ოკეანეში, მერე მიწყნარდა ეს კამათები, კარგა დიდი ხნით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო დიადი გეოგრაფიული აღმოჩენების (?! – რატომ „აღმოჩენა?“ – ისედაც იყო) დროს დიდად განახლდა აზრთ-მსჯელობანი და ერთიც გამოჩენილი კატალონიელი თვლიდა რომ ქრისტეფორე კოლუმბის მთავარი და ნამდვილი და ფარული მიზანი ქალაქ ატლანტიდის როგორმე მიკვლევა და აღმოჩენა იყო, მერე კი, დღეისის ჩათვლით არ განელებულა ატლანტიდაზე „მეცნიერული“ მითქმა-მოთქმანი, თვით თავის დროზე ხომ ძალიან უფრო და ახლაც კი გამოჩენილი ფრენსის ბეკონი (მაინც ვახსენე პირობისა და მიუხედავად სახელ-გვარიც-კი ერთად, თან განმეორებით რადგან მეგონა რომ არისტოტელეს მიუხედავად პირობისა უსაყვედუროდ შემოგაპარებდით რადგანაც საკმაოდ-კარგა გაქნილებიც ვართ ეს გადამწერები – ეს,)... მოკლედ, ფრენსის ბეკონს თავისსა ტრაქტატში „ახალი ატლანტიდა“ აღუწერია მის მიერ ატლანტიდად სახელდებული კუნძული სადაც რომ ნუ იტყვითა და თურმე ისეთი „სრული ბედნიერება“ სუფევდა“ (– ?!, – ამისთვის დაისაჯნენ?), და მოჰყვა და მოჰყვა ამას ჯერ კიდევ პლატონის ორი დიალოგიდან მოყოლებული ატლანტიდაზე ნაშრომები ნეო-ნეო პლატონიზმისტური, მაგრამ, ადამიანი ბუნებით რადგან დაუდეგარია და მოჰყვა და მოჰყვა ამას თავისებურ მეცნიერთა მოსაზრებანი რომლებიც რატომღაც მათსაცდროინდელ ანუ მოღწეულ პუნქტ-ტერიტორიებს ასახელებდნენ და რომლებნაშრომებშიც სად და სად აღარა თვლიდნენ ამ გამქრალ სამეფოს, სულო და გულო – პერუში, მექსიკაში, ბერმუდის სამკუთხედთან, ოკეანობით ატლანტიდის სეხნია წყნარ ოკეანეში, ლა-მანშში, კუბასა და პანამაში, დიდ ბრიტანეთში, შპიცბერგენსა და საფრანგეთში, ნიდერლანდებში, დანიასა და სპარსეთში, და დღეს რომ ასევე არსებობენ მრავალ ისეთ კუნძულზე – ანტილის, აზორის, ბაგამის, კანარის და ასე შემდეგ, აგრეთვე ზღვებმა რა დააშავეს და აზოვის, კასპიისა და შავ ზღვაშიც მოიგულვებოდა, ხოლო დაღუპვის უმთავრეს მიზეზებად მოიხსენიებოდა ცუნამი რათა ევოლუციურად განვითარებული ქვეყანა პირისაგან მიწისა პირწმინდად უნდა აღგვილიყო (– ?!), აგრეთვე „კარგი ტაიფუნი“ (!!) რომლის ტალღების სიმაღლეც რამდენიმე ათეულ მეტრს აღწევდა „თავისუფლების“ ქანდაკებისა არ იყოს და ეს ტაიფუნი ,,წარმატებით ანადგურებდა“ (– !!! ?) ცივილიზებულ ქვეყნებს. აღნიშნებოდა მათი (ცუნამ-ტაიფუნის) დამანგრევლობით ერთგვარი კოლეგა მიწისძვრაც, რომ „სათნო ატლანტიდა“ შავმა მაგიამ დაბრიდა, გამომგონებლურობითი ქვეყანა „მუ“-ც არ დატოვეს გულდაწყვეტილი – ეს ძველი კონტინენტი 12 ათასი წლის წინ დაიღუპაო იგი როგორც ასეთი თავის არქიპელაგებიანაო თუმც ის მერე რა რომ ამ ჰიპოთეზების დადასტურებისათვის არც ერთი საბუთ-მტკიცება არ არსებობსო და არც წყაროო, აგრეთვე რა დააშავა ცხოველთა სამყარომ და გამოგონილ-იქმნენ სამთვალიანი – ერთნახევარ-ჯუხტიან-თვალებიანი) მაიმუნები – ლემურიაები რომლებიც კვერცხისა-დადებით მრავლდებოდნენ და ისინიც ალბათ როგორც ძალიან განვითარებულნი (სუცოტა, თვალებით,) რომლებსაც ევოლუციობის გულობიზა ბუნებისაგან მოხვდათო და არსად,

არსად,

არსად! , –

რომ ატლანტიდა ცოდვებისათვის დაისაჯა არამედ „სტიქიური კატაკლიზმებისაგან“ (კატა-კლიზმაო... კაცო, სად კატა და სად ოყნა... ვის აღარა და, მაგრამ არც ერთ ვეტერინარს რომ ვერ ვიცნობ... აფსუს...), ხოლო ყველაზე მეტად ისევ და ისევ ტროას და კრეტას უფრო უკავშირებდნენ „კარგსა ცუნამ-ტაიფუნებს“ ისე კი სხვაც ბევრი-ბევრი ტერიტორიები იქნა ჩამოთვლილი როგორც მოგახსენეთ, გააჩნდა იმას თუ „პატრიოტობა“-სი მიხედვით რომელ ქვეყან-ტერიტორიას უმფრო მოეძევებოდა პატრიოტები და სულ რომ არაფერი „ტერიტორია“-სა და „პატრიოტის“-ს რამდენი რამ აქვთ საერთო თუნდაც თანხმოვან-ხმოვანებით და გვყვაანს ჩვენცა მაგრამ ატლანტიდასთვის სად გვცხელოდა და რა გვემცხეთებოდა, ხოლო ერთ-ერთი პარნტრიოტული ადამიანი თუ არა, სუცოტა მოადამიანო მეცნ.-კუზმინი (ისევ გვარი, ეჰ... მაგრამ „პარნტრიოტები“ ხომ ყველაფრისაა, და მათსა შორის ავტო-გამჟღავნებისაც ღირსნი არიან, სისულელისა, – განსაკუთრებით...), რომელმაც „აღმოაჩინა“ რომ პლატონისა ატლანტიდური ტროა რუსეთში იყო-ვოო, გააიგივა,-რაღა, რა-საქციელზედაც ამაზე ამჩვექართველებსაც გვაქვს სავარაუდო ატლანტიდების უცოდინრობა-არქონებისაც მიუხედავად მსგავს თეორიებზედ საღი გამოთქმა-რამ რომ „სად ერეკლე და სად ჩემი კერასინკა“ო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ,

მე მგონი,

ყველანი და ყველაფერი გადაჩრდილა და ყველასა და ყველაფერს გადაასტნა ერთი ჭეშმარიტი კოსმოპოლიტი რამ, რომ ნულარ იტყვით და, თავისებურად დაასაბუთა, რომ ატლანტიდაიოუ კოსმოსში იყოვო,

შენ საღოლ,

და სანდა-საღოლ, ჰამაც!,

ხოლო, მერეეე,

შორსმჭვრეტელური (ამ სიტვის ბუკვალური გაგებით) ტექნიკა მძლავრად რომ განვითარდა, ჯერ იყო და ერთსაც მშვენიერ დღეს მშვენიერსავევ ტაროსამინდში ანუ ძლიერად მოწმენდილ დარში ძალუმი ხელსაწყოებით ერთი ვრცელმდებარეობიანი დაძირული ქალაქის მქრქალი კონტურები აღმოაჩინეს ოკეანის ფსკერზე, პლატონის ორთავ „დიალოგში" თქმისებრ შიგ შუაგულში დიდ-აკროპოლიანი, და თითქოს გადაწყდა ამით ყველაფერი მაგრამ ნურას უკაცრავად რადგან მერე რომ სრულიად სხვადასხვა ადგილებშიც, ოკეანეთა ფსკერზე რომ აღმოაჩინეს (– რა აღმოჩენა უნდოდა, აკი ყოფილა, თუნდაც ფსკერზე, ამერიკასავით,) თითქოსდა მსგავსი ქალაქები (შუაგულში კვლავ წარმართულ-ბევრმსხვერპლშეწირავებიან-აკროპოლები იესუმდელი რაღა თქმა უნდა,) მერეე – აიბნენ, რაცგინდა დიდათ ყოფილიყვნენყე ვრცელხარისხიანი მეცნიერები და მეამგანხრით მთლად უწიგნურსაც ამებნა თავგზა ამ „ინტერნეტი"სეულით, და ჩემდა როგორ აუურაცხელ ბედნიერებად როგორ დამატყდა რომ არსებობს თავი და თავი წიგნი და წყარო კი არა ოკეანე რომ წვეთად ვერ მივა ისეთი წყარო, თავად ბიბლია, როგორ გასახარ-საგანსამეორებლად რა-მოწიწებით აღსანიშნი რომ თვით მამა-ღმერთის როგორ მოწყალე განკარგულებით სიტყვა-ქრისტეთი და სულიწმიდით, წმიდა სამებით, როგორ ბოძებად, ჩვენთვის, და თანაც ჩვენგანვ გადმოწერილი, რომელსა წიგნსაც (– პიროვნითი თქმა... თუმც გარეგნულად მაინც წიგნია ხოლო წიგნზე კი რამდენად მეტად – აღურაცხელად სათნო სული, მთლად უმთავრესი მწყალობელი, ნებისმიერი ადგილის გადაკითხვისას უფრო და უფრო ახალი და ღრმა,) და რომელ ყოვლადსა წიგნად-ძლევამოსილებას აი და იი ათეისტები თავხედურ ზღაპრების შეკოწიწებას და გამოგონილ მონაჩმახებად თვლიდნენ, მაგრამ, არამცთუ გულითა და გონებით, თვალითაც როგორ დამტკიცდა როგორ, რომ არამცთუ ყოველი ამბავი და მონაყოლი არამედ თითოეული მისი ფართი მილიმეტრობით მილიმეტრში ჯდება თუ გნებავთ მატერიალისტური განზომილებებითაც კი მართლაცდა სწორად განსწავლულებით ღირსყოფითა და პატიოსანი შრომით და ამას მთა-არარატზე ნოეს კიდობანის მატერიალისტურიც კი მონახაზის მკაფიოდ გამოჩენაც მოწმობს ოღონდ დღეს ეს თვითმფრინავიდან, და თუ აქამდე ეჭვებქვეშ დაიყენებოდა რომ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან მისი მნახველები იმტკიცებოდნენ რომ შესულან კიდეც კიდობანში და მისგან ფისს იღებდნენ რათა ამულეტები დაემზადებინათ, და ასეთი „ლეგენდები" დიდხანს არსებობდა ხოლო ერთხელ ფისის შემგროვებლებს (და არა შემგროვებელს) მეხი დასცემიათ და ამის შემდეგ მსგავსი „ვოიაჟები" შეწყვეტილა, მაგრამ შუა-ვ საუკუნეებში ბიზანტიელი მართალი ბერი იაკობი ორჯერ რომ ცდილა მაინც ასულიყო სანუკვარ ადგილამდე, დაქანცული ენარცხებოდა თურმე მიწას და იძინებდა ხოლო გაღვიძებისას ისევ ძნელი გზის დასაწყისში ეღვიძებოდა, ხოლო მესამედაც რომ სცადა ეს, გზად წყარო დაუნახავს და წყურვილი რომ მოიკლა, გამოეცხადა ანგელოზი და უთხრა რომ უფალმა შეისმინა მისი ლოცვები და ჯილდოდ კიდობნიდან მოტეხილი ხის ნატეხი უწყალობა და ანგელოსმა დაამატა რომ აწი ვერც ერთი ადამიანი ვერ შეძლებს კიდობანის ნახვას იქამდე, სანამ ღმერთი თავად არ გაამხელს მისი ადგილმდებარეობის საიდუმლოს... არარატიდან მობრუნებულმა ბერმა აღწერა ყოველივე ეს ხოლო მისთვის ბოძებული კიდობნის ნაწილი დღესაც ეჩმიაძინში ინახება, ყოველთა სომეხთა კათალიკოსის რეზიდენციაში, რომელიც უცნაურად ანათებს ხოლო ბერის მოღვაწეობამ – რადგანაც რწმენა ყოველგვარ მეცნიერებაზედ შეუდარებლად დიდად მეტია,

მერე

და

მერე

კვლავ განაწყო კიდობნისკენანი, ძიებისაკენ, და მათგან მხოლოდ ერთ 150 კაციან რუსულ ექსპედი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციას მოუხერხებია ეს, კიდობანამდე მიღწევა მაგრამ მრავალი ფოტოსურათიდან, სადაც ნათლად სჩანს – კიდობანი ერთადერთიღა გადარჩენილა რადგანაც ყველაფერი შთაუნთქავს რევოლუციას ყოველი რევოლუციის დამანგრევლობითი წესით, მაგრამ ამ ერთი ფოტოსურათის არსებობა იმიტომ ინება ღმერთმა რომ ადამიანებს კვლავაც და კვლავაც გახსენებოდათ ნოეს კიდობანი, და მას შემდეგ რა და როგორი ექსპედიციები არ მოწყობილა კიდობანისაკენ მაგრამ აგუგუნდებოდა ხოლმე არარატში მიმქრალი ვულკანი, მშვენიერი ამინდი წარმოუდგენელი ყინვითა და ქარიშხლებით იცვლებოდა, ჩამოზვავებას იწყებდნენ ზვავები, და – დავარქვათ პირობითად ასე – ბუნებამ (მეტეოროლოგიური პირობები, სტიქია) ისე ინება, რომ, თვითჯომოლუნგმაზე რამდენგზის და გზით ასული ადამიანები არარატის მთის სწორედ იმ ადგილას არ მიუშვა სადაც რომ ადრე, დროდადრო, ნოეს კიდობანთან შუასაუკუნეებამდელ ასე ვთქვათ ალპინისტებს უშვებდა ხოლო შედარებით ახლახან ერთადერთი ფოტოსურათი, წამლად, დაგვიტოვა,

და,

როგორ შვებად,

არის –

ბიბლია,

და მე, მისი როგორ-ულირსი, როგორღაც მაინც ვბედავ და რაღა თქმა უნდა სწორედ მის, მისსა... რომელი სიტყვა... – წმიდა სამების კი არა, არა – ამდენად უგონო და თავხედი არ ვარ, არამედ – წმიდა სამების ნახელავისა და ნახელარის და სულში როგორ-მკაცრი და მაინც როგორი სათნო ნატერფალის აჩრდილისაც კი ისეთ პაწია ნამცეცს როგორიცაა ზღვაში წვეთი კი არა, რაც დედამიწაზე წყალია, იმისი წვეთის მენამცეცედი, –

ამოვეფარე –

შევეფარე.

და მეგობარი მხატვრით გულის გამაგრებასთან ერთად, როგორ მამხნევებს არქეოლოგიაში ჩემი ხელმძღვანელის, ქალბატონ ნინო ბერძენიშვილის, მიუხედავად გარდაცვალებისა, ჩემთვის თვალნათლივიც კი არსებობა, –

საქართველოს ისტორიის დიდი მკვლევარის, ბატონი ნიკო ბერძენიშვილის, რომელმაც დიად ქართველებთან, ივანე ჯავახიშვილთან, ექვთიმე თაყაიშვილთან და ჩვენი ისტორიის მკვლევარ გამოჩენილ მოღვაწე-ამაგდარებთან ერთად ჩვენს წარსულს რაოდენ დიდი და კეთილშობილი და ჩვენთ-გადამრჩენლური როგორი ღვაწლი, დასდო – ბატონი ნიკოს მეუღლე, ქალბატონი ნინო და მე ქვის ხანის შემსწავლელ არქეოლოგიაში ვმუშაობდით რომელ არქეოლოგიასაც მუსიკასთან ერთად გადმომწერლობის გამო ვუღალატე, მაგრამ მუსიკას, და არქეოლოგობას დღემდე ვეთაყვანები და ასეც გამყვება ბოლომდე რადგან სხვაგან არსად მინახავს ხელობისადმი ისეთი ერთგულება არქეოლოგებმა რომ იციან ყველამ, (ყოველ შემთხვევაში 60-70-ან წლებში ასე იყო, ახლა არ ვიცი, ამ საყოველთაო არეულობისას როგორაა, არა მგონია საქმისადმი რომ გაბზარულიყო მათი ერთგულება,) ქალბატონი ნინო და მე თხუთმეტამდე მაინც ხანგრძლივ არქეოლოგიურ ექსპედიციაში ვართ ნამყოფი, ძირითადად იმერეთსა და აფხაზეთში.

ზემო იმერეთში კი, ჩემთვის მშობლიურივით სოფელ ვაჭევში, სადაც მხოლოდ ცერცვაძეები – რაკაი ხალხი, ჩემობატონო, ცხოვრობს, იქაურები სისხლში გამჯდარი იმერული თავაზით რაღა თქმა უნდა არ გვკადრებდნენ ამას მაგრამ როგორც მერე, იქ მუშაობის მეოთხე თუ მეხუთე წელს გავიგე, – გვეპატიოსო და, თავიდან ან სულელები ანდა ისეთი ძაან გაჭირვებულები გვეგონეთო, რომ, აბა კაჟებს რა აბოჭიებთო, ვაჭევი კი, მთელი იქაურობა კაჟითაა მოფენილი და სანამ მღვიმე „ხერგულას კლდე“მდე ჩავაღწევდით სადაც ქვის ხანის უმდიდრესი (კაჟით, ობსიდიანით და პალეონტოლოგიური მასალით) ძეგლი ითხრებოდა, ქალბატონი ნინო იმ ჩამავალ და ამომავალ კარგა მოზრდილ დაღმართ-აღმართშიაც წამდაუწუმ იღებდა მიწიდან დაუმუშავებელი კაჟის ნატეხებსაც კი, ეგებ ადამიანისაგან შრომის კვალი რომელიმეს ჰქონოდა, და გადაგვერივნენ თურმე ვაჭეველები, თუმცა ხერგულას კლდეში არქეოლოგიური მასალით ასეთი უხვი სადგომი არასოდეს მინახავს, 28 ათასამდე ქვის ხანის ნიმუში აღმოჩნდა, ქალბატონი ნინო მთელი გრძელი დღის განმავლობაში მხოლოდ საველე დღიურის შესავსებად თუ ჩამოჯდებოდა ყოვლად უზურგო ალუმინ-ბრეზენტის გასაშლელ სკამზე, ხშირად დღენახევარსაც ვმუშაობდით, გათენებისას დავეშვებოდით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღმართში და შებინდებისას ამოვდიოდით, მე – ისე დაღლილ-დაქანცული, ხანდახან შუა აღმართში ვაპირებდი „წამოწექილობა"ს, ხოლო ქალბატონი ნინო კი, ვისაც ჩემზე ბევრად უფროსი შვილი ჰყავდა იმ აღმართშიაც „ბოჭავდა" კაჟებს, ექსპედიციაში მისი საკვები დილა-საღამოს ერთი პატარა ნატეხი შოკოლადი გახლდათ, მერე კი, იქაურმა გლეხკაც-მუშებმა რომ გაიგეს თბილისში საკუთარი „ვოლგა" (მაშინ ეს ავტომანქანა დიდ ფუფუნებად ითვლებოდა) ჰყავს ქალბატონ ნინოს თავისი შოფრითო? – გადაირიენ პირდაპირ ნამეტარი ჩემობატონო – „აბა რა დაკარგიათ ამჩვენ გადაკარგულშიო", მაგრამ მისი საქმისადმი სიყვარულით წარმოუდგენელი შრომისუნარიანობაც არ იყო ისეთი განსაცვიფრებელი და დასაფასებელი, როგორც, სხვა ძირითადი, უმთავრესი რამ –

ქალბატონი ნინო? – ქვის ხანის დროინდელი ადამიანის როგორი ნამდვილი, ნაღდი ჭირისუფალი, იყო...

ქვის ხანის ანაბანას რომ ვითვისებდი, ერთი ის მიკვირდა დაზვერვითი ექსპედიციების დროს ქალბატონი ნინო ზოგ მღვიმესა თუ გამოქვაბულს ისე აუვლიდა, ხეირიანად არც შეხედავდა, სხვაში კი – აუცილებლად გაათხრევინებდა მუშებს საცდელ თხრილს, ღრმულს. ამის მიზეზი მხოლოდღა ხერგულას კლდეში გავიგე, როდესაც, განთიადისას, ქალბატონი ნინო ამომავალი მზის წინ გახარებული დადგა და, უზომოდ ბედნიერმა, მითხრა:

– ამომავალი მზე უყვარდა... ჩვენში არაა ქვისხანელის ისეთი მღვიმე პირით აღმოსავლეთისაკენ რომ არ იყოს.

და, განაგრძობდა, გახარებული:

– მღვიმეებში კი, გურამ, პირდაპირ მისწრებაა დაბინავება, ზაფხულში – გრილა, ზამთარში – თბილა... – აგერ, როგორც აქ პატარა ღელე მუდამ ახლოს ჩაუდიოდა, და ძვლის ამ მომცრო ჰარპუნებით დღევანდელ კალმახზე ალბათ უკეთეს თევზს იჭერდა, რამდენად უფრო სუფთა გარემო იყო მაშინ...

და, უეცრად კი, მოიწყენდა:

– მაგრამ საშუალოდ ოც, ოცდახუთ წელიწადს ცხოვრობდა თურმე...

„რა დააშავეს ასეთი, მაინც... მაშინ ხომ მაინც არ იქნებოდა პარტისტორიის სწავლება და ამისთანები"... – ვფიქრობდი მენე, ზემოიმერელიც.

როგორი სევდა ედგა, თვალებში...

ხერგულას კლდეში კი მუდამ ზუზუნი იდგა რაც მე, გამოუცდელს, შრიალა ღელეს ექოდ გამოძახილი მეგონა, ხოლო ერთხელ კი, როდესაც მღვიმის მაღალი ქვის ჭერიდან თაგვი ჩამოვარდა, ქალბატონ ნინოს ჯერკი ცოტათი შეეცოდა თაგვი, მაგრამ მერე კი გახარებულმა მითხრა:

– თაფლიც რა უხვად ექნებოდათ!.., – და, მოიწყინა, კვლავ: – ათასი მტერი ჰყავდა, საბრალოს... ჯერ მტაცებელი ცხოველებიდან დაწყებული (ფაუნისტურ მასალაში ბლომად ერია დათვის ძვლებიც...), იტანჯებოდა, სანადიროდ ხომ მღვიმიდან გადიოდა...

ამაზე კი, არ დავფიქრებულვარ, ისევე როგორც, ბევრ არქეოლოგს მოპოვებული ნივთების (ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსი თუ თიხის ნაკეთობების) მოყვანილობა უფრო გვაინტერესებდა ვიდრე მისი დამამზადებლის ცხოვრების წესი – სამარხებს თუ არ გავითვალისწინებთ, ჰეე, რაღანაირი არ შეგვხვედრია, და ეგრეთწოდებული „პარალელები"... მაგრამ მაშინ ხომ არამცთუ პაწია თანამოზიარე თაგვი არამედ ვირთხაც ბევრი ჰყავდათ, როგორც ახლაცაც გვყვანან სოციალისტური პაწა-თაგვები და დიდრონ-დიდრონი ჰალსტუხებებიან (– ხშირად იცვლიან) სოც.-ვირთხები...

და მეგობარი მხატვრის გამხნევებით და ქალბატონი ნინოს ძირითადი საქმიანობის – სუპირველ რიგში იმდროინდელი ადამიანის წარმოდგენის როგორღაც გადამდები მეშვეობით როგორც იქნა და, გავბედე და, მივადექი კაცს, სახელად ნოე, ხოლო მისი კი, არსებობა, ნოეს კიდობანთან დაკავშირებულმა ერთმა ამბავმაც, მეტად დამაჯერა:

„2003 წელს 4-კაციანმა ჯგუფმა – ტელეჟურნალისტმა, რეჟისორმა და ორმა ოპერატორმა თურქეთის ძნელადდასაყოლიებელი შესაბამისი ორგანოების თანხმობის შემდეგ, 10 წლის შემდეგღა მიაღწია არარატის მთას. მთა მოღუშული დახვდათ. იქ არც ვენახი და საერთოდ არაფერი არ ხარობს, – ჰყვება ექსპედიციის ხელმძღვანელი, ანდრეი პოლიაკოვი, – იგი კაჟის ფუძიანი ვულკანია, დროდადრო გამოსდის ნახშირორჟანგი, რაც ხშირად „მთის დაავადების" მიზეზი ხდება".

დაა, განაგრძობს:

„პირველ ღამესვე გამოავლინა არარატმა თავისი

მკაცრი ხასიათი. ვულკანური გუგუნი არ გვაძინებდა. გამთენიისას საშინელი თავსხმა დაგვატყდა, ერთ-ერთმა ელვამ კარავი გახია. სწორედ ამის შემდეგ ვიგრძენით ჩემი განზრახვის საშიშროება. დილით ყველამ მძაფრად ვიგრძენით კიდევ ერთი სიურპრიზი – თოვლი და ნისლი“.

განაგრძობს ალექსეი ლეგეზო, ოპერატორი:

„თავიდან ამინდი ჯერ მშვენიერი იყო. ქვევით ყველაფერი გადავიღეთ, კარგი შთაბეჭდილებებით დავიხუნძლეთ და დავიწყეთ აღმა ასვლა. მეორე დღეს, ამინდი უცებ გაფუჭდა. ამბობენ, ასეთი რამ აქ ძალზედ იშვიათად ხდება. რეჟისორი ილია ტარასოვი ცუდად გახდა და გზის გაგრძელება ვეღარ შეეძლო. მოგვიწია ორად გაყოფა. ორმა განაგრძო გზა თურქებისაგან ნებადართული მარშრუტით, სამხრეთის ფერდზე. უცებ დაიწყო წარმოუდგენელი ქარბუქი და ძიება შეწყდა“.

მაგრამ არარატის ძირში ექსპედიციის მონაწილეებს დიდი ჯილდო ელოდათ. –

„ჯერ დაინახეს გიგანტური ქვის ღუზა. ასეთებს კიდებდნენ გემებზე (და არა კატერებსა და იახტებზე) შუა საუკუნეებში. მაგრამ ეს ღუზა დაახლოებით 2,5-ჯერ აღემატებოდა მათ. გვერდით ორი მეტად საინტერესო ქვა აღმოჩნდა. ერთზე გამოსახული იყო ბაბილონური გამოსახულება, მეორეზე – უძველესი წარწერა.

მერე ადგილობრივ ქურთებს უაღრესად საინტერესო ადგილი უჩვენებიათ, არარატისაგან 10 კილომეტრის დაშორებით, „აკილა“ს მთაზე..... – ეს ურთულესი საკითხია, მაგრამ რომელსაც დიდად უცნაურხილვებიანი ამერიკელი ასტრონავტი ჯონ ირვინი, სხვებთან ერთად, ადასტურებს.

და, კიდევ უმთავრესი ბიძგი:

1916 წელს რუსულმა ექსპედიციამ არარატის მრავალი სურათი რომ გადაიღო და მათგან კი ერთადერთი შემორჩა, მას შემდეგ კიდობანის გამოსახულებას ვეღარავინ ხედავდა თვითმფრინავიდან, რადგან ყოვლად აუხსნელი მიზეზებით მიწას გადაუფარია, რაც შუა საუკუნეებს შემდეგ არ მომხდარა. და, შედარებით ხანმოკლე დროში? – მუზეუმის მცველი გაოგნებული გვიამბობს:

„1948 წლამდე ეს „ნოეს კიდობანი“ მიწის ქვეშ იმყოფებოდა. მსგავსი ფორმა არსად ჩანდა. 1948 წელს ძლიერი მიწისძვრა მოხდა და ეს „კიდობანი“ (ნეტავ რად უნდა – „ბრჭყალები“) ზედაპირზე ამოვიდა. მისი გამოჩენის მომენტში შემოგარენი ძლიერმა ელექტრონულმა ნათებამ გაანათა, ელექტრონათურების შუქის მსგავსად“.

და თუმცა არქეოლოგიის ერთ-ერთ პრაფისორს (აქ მართლა არაა საჭირო მისი გვარის აღნიშვნა) მიაჩნია რომ ყველაფერი, რაც ნოეს კიდობნის ძიებას შეეხება, სრულიად არამეცნიერულია, არადამჯერებელია, რაზედაც ბატონი ანდრეი პოლიაკოვი ღირსეულად ბრძანებს, რომ:

„რა თქმა უნდა, რწმენა საფუძველთა საფუძველია, მაგრამ ამას გარდა, ახლა ჩვენ უამრავი მეცნიერული დასაბუთება გვაქვს, რომ წარღვნა ნამდვილად იყო და რომ კიდობანი არარატის მთაზე უნდა იყოს“.,

და, კიდობანის დროებითმა მიმალვამ და კვლავ გამოჩენამ, მრავალთაგან დანახული შუქის თანხლებით, ეგებ, მოგვანატრა და ყოვლად აუხსნელად ჯერ დაფარა და მონატრებულებს კვლავ აღმოღვიძვრინა იგი უფალმა, თუმც, „გარკვეულ დრომდე აღარავის უშვებს“ მაგრამ ეს მხოლოდ გარკვეული, ამოუცნობი დროით, მის მაღალ ნებამდე.

მაგრამ, ამანაც, გაქრობა-აღმოცენებამ, როგორი რწმენა დაბადა, ჩემში... ეგებ, საჭიროა... – ეს ურთულესი გადმომწერლობა, მკარნახებელი თუ ინებებს.

და, ჩემი ასაკითა და ჯანმრთელობით თუ ვერ მოვახერხებ „კაცი, სახელად ნოე“-ს დამთავრებას რადგან აქამდე აქ რომ ვარ ესეც საკვირველია, ასაკითაც და უმთავრესად ცხოვრების ჩემი წესით, და იქ ხომ, რაგინდ ადგილას გავმწესდე, მაინც ხომ გავიგებ, გინდაც ცოდვილი რარიგ, თუ რა როგორ იყო, და მხოლოდ ამისა გამო, ანუ გარდაცვალებულს, საქმის ვერ მომსწრეს ამმხრივ ნუ შემიცოდებთ, არა, შესაცოდი ის გვექნება, რომ აქ-ამ ცხოვრებაში, ვერ მოვასწარით კაცზე, სახელად ნოე, ფიქრი...

და თუმც როგორ ძალიან, ძალიან, ძალიან მენატრება ირაკლი, მაინც მინდა რომ მაცოცხლოს ღმერთმა, ნოეიანის დამთავრებამდე, და, ამისათვის მხოლოდ სიცოცხლე როდია, განა, საკმარისი, არამედ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აწცა განმინათლენ თვალნი გონებისა ჩემისანი,
აღაღე პირი ჩემი ზრახვად სიტყვათა შენთა,
და გულისხმის-ყოფად გზათა შენთა,
და ქმნად ნებისა შენისა, და გალობად შენდა აღსარებითა გულისათა,
დიდებად და გალობად ყოვლადპატიოსანსა სახელსა შენსა, –
მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.
ამინ“.

და, როგორ მინდა რომ ვიცოცხლო ნოეს ამბავის გამთავრებამდე, როგორ თუმც რადგან კი ეს ძალიან ძნელია, ძნელი, მაგრამ, იმედად, მახსენდება მეგობარი პოეტის, გივი გეგეჭკორის სტრიქონები: „და უარყოფის ეს უარყოფა მშობიარობის მგვრიდა ტკივილებს“, ხოლო, თვით და თავად ყოველდღიურად საკითხავ სახარებაში, რომელ მახარებელსა და მის რომელიმე მუხლს ჩემგან ყოვლად უნებურად ამორჩეული მაგრამ განგება, ამომარჩევინებს, როგორ იმედად, როგორი შრომის დამთავრების როგორ მომავალ შვებად, შემხვდა ჩემს უაღრესად საგულისხმო კი არა და, მეტი-რამ, მეტი, დიად ღვთისმეტყველ იოვანედან თავი 16, სადაც, 21 მუხლში, –

„დედაკაცი რაჟამს შობნ, მწუხარე არნ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი. ხოლო რაჟამს შვის ყრმაი, არღარა მოეხსენის ჭირი იგი სიხარულითა მით, რამეთუ იშვა კაცი სოფელსა შინა“. –.....

და როგორ განსაკუთრებული ვედრებით აღვავლენ ახლა ჩემს წინანდელსაც ხვეწნა-ვედრებას, ლოცვას, ყოველი საქმის – და განსაკუთრებით როგორი ძნელის – დაწყებისა, წინ:

„მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა; საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენ შორის, და წმინდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა, და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენნი“,

და, დამემატებინოს ლოცვა ყოველი საქმის მომთავრების შემდეგ:

„აღვსება ყოველთა კეთილთა შენ ხარ, ქრისტე, ღმერთო ჩემო, აღავსე სიხარულითა და მხიარულებითა გული ჩემი და მაცხოვნე მე, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ყოვლად მრავალმოწყალე“.

და, თუმც, თუ მოხდა როგორი ბოძება და ეს ნაწარმოები, გადმოწერილობა ნოესა და მის კიდობანზე რაღაც სასწაულით დავამთავრე, – ისე კი, როგორის დიდის შვებით მეთქვას და ვიტყოდე ლოცვას სწავლის დამთავრების შემდეგ:

„ყოვლადსახიერო უფალო, გარდამოგვივლინენ ჩვენ მადლი სულისა წმიდისა შენისა, მომნიჭებელო გულისხმის-ყოფისა და განმაძლიერებელი ძალთა სულთა ჩვენისა, რათა ჩვენ, ყურადმღებნი გარდმოცემულის ჩვენდა სწავლისა,
აღვიზარდნეთ შენ, შემოქმედისა ჩვენისა, სადიდებლად,
მშობელთა ჩვენთა სანუგეშოდ,
ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ“.

თავი I

თივაზე

კაცი თივაზე იწვა, გულაღმა, და ისე იყო გადაღლილი რომ თუმცა პირქვე ერჩია განრთხმა, ამის ილაჯიც კი ვერა ჰქონდა მაგრამ უსუსური-ვინმ კი არ იყო, არა, –

ფიქრობდა.

მზე მაღლა იყო, ჯერაც კიდევ კარგა შემდგარი, შემოდგომისი, და თუმც როგორ კარქა-ათბობდა და თვალს კი სჭრიდა და ის კაცი, ნოე, თუმც მოჭუტულებთვალებიანაც ცის ჭვრიტიმალსაც ვერ ახერხებდა რადგან მზე თან რომ ათბობდა თან თვალახელილს ცრემლებს ადენდა მაგრამ ნოე მზეს არ შესწყრომია, და, ფიქრში ის მზეცა და თავიც იმართლა:

„მაშ, როგორ გინდა“...

მზე რო ხანდახან ისე მცხუნვარე იყო რომრო რაგინდაც ძაანც როგო-როგორი-მისავათებით ვაიდედასაც ვერ დაიჩივლებდა ესა ნოე, კი, ახლა, სთვლობისას, კარგი რამ იყო, გაგულისება და ჩაჯინება გრძელზაფხულობით თუკი სჩვეოდა, ნოე მაშინაც ამართლებდა –

„მაშ როგორ გინდა ამდენი პურ-ხილი უმხურვალოდ რომ დაგიმწიფოსო“, – ნოეს ბალი და ალუბალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამისთანები ძრიალ უყვარდა მაგრამ ამათზე ძალიან მეტად? –

პური. რა მადლით გამტკიცული, და, კონჩოლიც კი, თუმცა პურის წვენს ისეთი სუმძაფრად ამო სურნელი არ ჰქონდა ხოლო ახლახან ამოყრილ პურს? მწველი თონიდან? ნოე და მისი პურისმტენნი როგორ ძალიან, ისუნთქულობოდნენ, კი, არც ერთ ვარდ-ყოილს, ვერც ერთ ფერისას, ასეთი მშვიდად ძალუმი კეთილსურნელება, როგორ უხილავ მაგრძნობიარე შარავანდედად ყუით ყუამდე რომკი ადგა, არაფერს ჰქონდა,

სხვას.

...

გლეხთ მშვენებაც და დიდკაცთ საფერიც?.. –

მზით მოდიოდა.

ასეთი იყო ასე ერთთავად მუდმივკარგი მზე მაგრამ ყინვა კი? – სუ-ფინთი იყო.

მაგრამ ამასაც არა უშავდა – ხმელი შეშა და იმისი ჯანი.

ნოეზე კეთილ კაცს ამბობდნენ, შურიანებიც კი; ნოე პაპა-დიდედით გაზრდილი იყო.

დიდედო დიდად მადლიერი იმით იყო რო, რომ ესა ნოე, შვილიშვილი, უყვარდა-როგო, თქმა იცოდა რომ: დედ-მამას შვილისა აბა რა გაეგება, თითონაც ჯერაც ბალღები არიან, აი, მე კიდე, შვილებმა თუ ვერა, ამან მაჩვენა ნამდვილი შვილის – შვილიშვილისა ფასი, მაშ ორჯერ შვილი რა, აბა ტყუილა კი არ ჰქვიაო,

და უყვებოდა და უყვებოდა მთლად ბალღსაც, ნოეს, იმ მთისასა და ამა ბარისას, ნოე მაშინ ხომ ჯერაც სულაც ვერ იწინასწარმეტყველებინებოდა, მერე და მერე დასჩემდა ეს, და რა იყო, კაცო, რა წყევლასავით რამ-ნიჭი იყო ესა, სუსხვა, კაცებო, მთელიდღეები, ხალხნოო, მიჰქონდა და როგორ დიდად ლამობდა რომ, ამ წინასწარი ამოცნობანებისათვის როგორმე თავი ენებებინა მაგრამ ეს ისე ძნელი იყო რომ, დანებდა, ამას, რა იყო მაინც ეს ნოეს თავსა ესი-ლამობა, და ბოლო-ბოლო იმდენი ილამა რომ, ათასში ერთხელ თუ მიჰხვდებოდა მოსახდენსა, და ესაც ყმაწვილობა-და-ჭაბუკობისას, მხოლოდ,

როგორც,

თუნდ,

აი ამ დღესა, ამოუჩემდა, ცისარტელა, და, რომ მოსწვიმა და მერე რომ, გამოიდარა, კი-არ გადასწვდა, მთლად კიდით-კიდესა?.. – მაშ. ნოე კი არა, ცისარტყელა.

ხოლო მეტად სხვა კიდით-კიდემდე გადაწვდენა ნოესაც აკი ძალიანძაან ელოდა მაგრამ ამისა არა იცოდა, რა... –

ყმაწვილი იყო.

ჯერ.

მაგრამ ჯერ ის იცოდა თუ ხვდებოდა რო, რომა დიდედო მართლა კარგი რომ იყო.

კი, კი.

გრძელ საღამოობით, ბავშვს, სამფეხა სკამზე გვერდით მოისვამდა, თვითონ კი საკარცხულზე ჯდებოდა მაგრამ თავის თავითვი გადიდგულებული კი არ იყო, არა, – ნოეთვი,ნ, ესა და, ჭრაქს არ ანთებდა და, იყურებოდნენ ღამეში, სიბნელეში, მაგრამ სიბნელე არ იყო ეს, რადგან დიდედოს სიტყვები ახლდათ, რაღად უნდოდათ, ჭრაქი.

გამგონსაც, მთქმელსაც კი.

დიდედო ნოეს, პატარას, დაბალის ხმითა უყვებოდა წინაპრებიდან თაობაში თაობებიდან გადმოსაცემად იმ უცხო ამბებს, რომ, თურმე ძალიან დიდი ხნის წინათ, ედემის ბაღში ცხოვრობდა თვით ღმერთისაგან ჯერ მტვრითა და თიხით მხოლოდ ქანდაკი და მერე იქავ სულშთაბერილი მხოლოდღა ერთი კაცი, სახელად ადამ, და, მიმოწყენილს, ღმერთმა ადამს მისსავ ნეკნზე ჩამოძერწილი უბოძა ქალი ვისაც სახელად შეერქვა ევა რომელი სახელიც „ძრწოლას გველთა“ და ამასთანავე „ცხოვრება“ს, ნიშნავს, და, დიდედოს მთლად საბოლოოდ ვერკი გაეგო თუ რატომ გამოაძევა ღმერთმა სამოთხიდან პირველი ცოლქმარი... – ერთი სიტყვაა ესა „ცოლქმარი“, ერთ სიტყვად აკი უნდა გახდნენო, – თავადვე ბრძანა წინასწარ, ეს, რადგან თუმც დაარღვიეს მამაღმერთის დარიგება და აკრძალული ნაყოფი იგემეს, მაგრამ ღმერთმა ხომ სუთავიდანვე თვითონ აუწყა, ორივეს, რომ – აღორძინდითა და გამრავლდითო, და აღავსეთ ქუეყანა და ეუფლენით, მას,ო და, დადუმდებოდა ხოლმე დიდედო აქ, დუმდა, ფიქრობდა ნოეც, დიდედოთავისის შვილიდაშვილი, მერე დიდედო შეკრთებოდა და განაგრძობდა, რომ, რაღა სამოთხე იყო ადამისათვის ის ედემი, რომელ ბაღშიაც – საჭმელ-სასმელზე ხომ არ იყო მარტოკაღ საქმე, – სუყოველ ცხოველს თუ ფრინველსა თუ თევზთ და მთლად უღიმღამო მწერებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც კი ყველას არქმევდა თავ-თავისსა და მათიანთ სახელთ, აგერ ნოესთვისაც კი ჯერ როგორ გაუჭირდათ სახელის შერქმევა თუმც მათ ქალაქში რამდენიბევრი სახელია და ბოლოს იმარჯვა ვითომ დიდედოს სიძემ, ნოესმა მამამ ლამექმა და იმან შეარქვა ვაჟიშვილს „ნოე“ რაც „განსუენება“სა და „შრომისაგან შვება“ს ნიშნავდა, „გინა ღირსებით სიკვდილსა“,ც, თურმე, მაგრამ ამისა მხოლოდღა მერე გაიგო, ნოემ, ხოლო საბრალო ადამს მხოლოდღა თვითონ და თავად – ანუ თვითონღას-მარტოკინას – ის მერე რა რომ გინდაცდა ორად – ცოლი ესვა და დაეარებოდა ედემის ბაღში – და იბნეოდა, კი, ნოე, ბალღი, – შესასაბრალოდ დასჯილსავით მარტოკინს-ადამს უნდა გამოეგონა აუარება სახელდადებებები და, როგორ სიმწრის ოფლშიც ცხოვრობდა, ალბათ; მარტო უფასო და გადამწიფებულ კარალიოკსა და ანანასზე ხომ არ იყო, საქმე; მერე, გამრავლდნენ, ადამიანები, ოღონდ სამოთხიდან, კი, გამოძევებულები, კი, მაგრამ ბოლომდე გაძევება არ უნდა ყოფილიყო ეს რადგან ნადირთა ტყავებით შეუმოსავს თავად მამაღმერთს ადამდაევა, კი, მაგრამ იმ სიბნელისადა მიუხედავად დიდედოსაგან როგორი სევდით, მწუხარებით სჭვიოდა რომრო, რატომ არიან ერთი დედმამის შთამომავლობა, ადამიანები, ასე ძალიან განსხვავებულები და დიდედოს ცრემლის როგორ მკაფიოდ ჩინარიც კი ნატამალებიც ერთვოდა, ხმაში, რომ ნეტარატომ არიან როგორად სათნო-ღმერთისაგან უკლებლივ ყველაადამიანი მოსაფერებელნი, როგორ უნდა ღმერთს რომ ყველანი სამუდამისოდ დარჩნენ ისევე კარგნი როგორც ბავშვები ბავშვობაში არიან ხოლმე, – აქ აუცილებლად დაადებდა ნოეს თავზე ხელს, – და ჯერ კიდევ როდის იყვნენ მაინც გვერდიგვერდ ამპარტავანი კაენ და მართალი აბელი, და რომ კაენის შთამომავლობის გვერდთდ ამხარდამხარ ღმერთმა ადამდაევა დააჯილდოვა და უბოძათ მესამე შვილი – სახელად შეთ, თუ სით, თუ სეთ, დიდედომ ზუსტად ვერ იცოდა მისი სახელი მაგრამ ისი კი ძალიან უწყოდა რომ ნოე უნდა დამდგარიყო კარგი მო-ადამ-იანე ანუ კეთილი და სათნო და მოწყალე და მშრომელი და არა ძუნწი რაგინდ ქონება დაეგროვებინა რადგან როგორ ძალიან ხშირად ადამიანი რაც მდიდარია უფრო ძუნწია და უცნაურობა კი არა და, რა წყევლაა, ეს,

და თავის ნოეს, თავზე, ჰკოცნიდა,

და ნოე თუმცა ჰასაკით-მცირე მაგრამ როგორი დიდ-მაღალი რადგანაც ბავშვი და უცოდველი

ეუბნებოდა ორმაგ დედას რომ მთელ ქვეყანაზე ყველაზე კარგი ბებიაა, – ასეც ეძახდა ხანდისხანობით, გულდაენითაც აჩუყებული

მაგრამ ორმაგი კი არა, როგორღაც მეტიც, დედა, მშობლისმშობელი, ეუბნებოდა რომ

გინდაც როგორი და როგორი და გინდაც რაგვარი და რანაირი ყველაზე დიდი დიდედო მაინც, კი, იყო ადამითევა და ადამისევა,

ადამისეული,

გინდაც ისა რომ, გველგამოვლილმა, შეაცდინა,

მაგრამაც ეგებ ადამი მერე-და-მერე ვერ და არა და სულ სუველარა იგონებდა სასურველ სიტყვებს, ჟღერადობით მთანმხვდომს და ხოლო ეს საქმე, სიტყვათქმნადობა გადმოგვეცა ჩვენ, მისიანურებ-ადამიანებს, რომლებმაც სამოთხეში განცხრომის ნაცვლად – განცხრომის, ვითომ? – დაფიქრდებოდა რომ უნდა ვხნათაა და ვბაროთ და უნდა ვთესოთ და ედემის ბაღის ცოტათი მაინც ჩვენით ასაღორძინებლად რამდენი ოფლით ვრწყათ უნდა-უნდა მიწამარჩენალი,

და როგორ უკვირდა ახლანდელ ნოეს, ჯერ კიდევ ჭაბუკს – პირქვე, კი, იწვა, ნეტავი რა დროს, ნეტავი რომელ გახსენებაზე მოახერხა ეს მოგონება-მოვეგონებობა

ხოლო დიდედო, ის მერე რა რომ აქ აღარ იყო როგორ მკაფიოდ განუგრძობდა რომ, მაინც როგორი მოწყალეა თავად ის, ღმერთი, რომელიც ახლა, მისობისასაც და ნოესობისას ადამიანებმა მრავლად დაშალეს, დააქუცმაცეს, კერპებად, თანაც,

მაგრამ როგორი ბოძებაა და მხოლოდ წყალობა კი არა და წყალობით როგორ გადავსებაა ქვეყანა, ესე: –

„ნოე, ხომ გიყვარს ძალიან, პური“,

„კი“ – მაგრამ ამას ცოტა გულგრილად პასუხობდა ბალღიც კი, ნოე, მაგრამ დიდედო მის გულში იჯდა, –

„ოღონდაც, ნოე, ხანდისხანობით უნდა გშიოდეს“,

და, ნოე, ბალღი? – :

„ძალიან მიყვარს!“ –

მართალს ამბობდა,

ხოლო დიდედო, ფერნაცვალი და რა უმწეოდ და დიდებულად გახევებული მიწად ჩაფლვის წინ, ახლა ვითომდაც მხოლოდ მიწაში, იდო, მაგრამ, დიდედო? – მაინც როგორ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, კი! იყო!!,

და ნოეს ისიც ანცვიფრებდა რომ, არამცთუ მისი ორმაგი, დედა, არამედ ესა, რაზედაც იწვა და თივა იყო ვითომ მხოლოდ მიწის საფენი, ესი რაზედაც იწვა რომ სხვა თუ არარა, როგორ ძალიან უცნაური იყო თუნდაც იმითაც, ერთ დროს მწვანე და ყვითლად მოსილი როგორ, ახლა და მაინც, რატომ, როგორღა, რითითა ჰქონდა ამა ვითომც მკვდარ ბალახს, ამ თივას ანუ, მწვანე ბალახზე მეტად მკაფიო და სამშვიდებლად მაამებელი – მოსილი როგორ, ცოცხალი სუნი,

ხოლო დიდედო, ამა მოცელილ თივაზე რამდენად უფრო მეტი და მეტი, სულდგმული როგორ, განუგრძობდა, რომ

რომ თავად ღმერთი კი ისეთისეთი მოწყალეა რომ მის დაყოფვასაც, ჩვენი ჭკუით ნაკუწ-ნაკუწად დაქუცმაცებასაც კი გვპატიობს როგორ თავხედებს, ადამიანებ-ადამისიანებს, ესჩვენ, –

აგერ სულ აგერ ჩვენი ქვეყანა ატლანტიდა წყალთ ვითო-ღმერთის პოსეიდონის მძლავრად შექმნილ-შაქმნილი ჯერ ნაყოფი და მემრე შვილი იყოვო ვითომდაც, ნამყოფილარა ვითომ ატლანტი და მათ დიდ-საპატივ-საცემოდ-ვითო – არარსებულთა! – შეერქვა ამ ჩვენს ქვეყანას, ატლანტიდა და ხოლო ჩვენ კი ყველასა-კი და მათ შორისაც ჩვენ, მედაშენ, ნოე, ატლანტიდები გვეწოდა ზედაც გინდ გამოგონილს საქმეში-მაინც, და კიდევ კარგი უცოდვილებს, კი, მაგრამაც მაინც – ვაისირცხვილო, ხოლო ღმერთი კი მაინც როგორი და რა კეთილად მოწყალეა, მიმოიხედე, ჩემონოე, მაგრამ ჯერ არა, მიმოიხედავ-ნუ, ჯერ გაიხედე...–

ახლა თივაზე, დიდედოს მჭახედ ნატიფი ლბილი სიტყვები მხოლოდღა კი არ ახსენდებოდა, არა –

ესმოდა; ესმოდა როგორ, ახლაც! –:

– ჯერ გაიხედე, მართლაშვილო, ჯერ ხომ თავო და თავო ღვთისავ და ჩემოც, ნოე, შენს ბავშვობაში თუ როგორ წვიმდა, რამდენნაირად, ნოე, თქორი და თქეში და ფრუტი და დელგმა და ისხარი და ღოლფო და ქარიშხალი და შხაპუნა-როგორ და გინდაც უბრალოდ, ვითომდაც, რო-ცრის, როგორ თვალღიად გაჰყურებდი წვიმას შენ, ნოე, და ღმერთმა ინებოს რომ სასწაული-ეს შენთვის ჩვეულებრივ-რამ-დ არ გქცეულიყოს მაღალ ღვთითა და ცოტათიც, ჩემით, –

მზე პირსც იბანდა აკი ხანდისხან, რასიხარულით,

– და შეგრჩენოდეს ის უდიდესი ბედნიერება რომ ყოველი და ყოველგვარი წვიმა-წვიმები შენთვის პირველი ყოფილიყოს ისევე როგორც ბავშვობაში... ხომ?

– ხომ... – ეუბნებოდა წვიმას თივაში ნოე, მთლად მშრალი, – კი... არა, კი კი არა და, არამედ – ნეტავ...

და რაღა ახლა დაუბრუნდა ის ძლივს, ძლივასღა, როგორ წამებით, ძლივძლივობითა დაძლეული და უკუძლეული წინასწარმეტყველება, – ეს როგორ ცხადად წარმოუდგა რომ, სწორედაც ასე აღიწერებოდა, მერმისობაში, წვიმა: „მზის შარავანდედი მიწათა და წყალთაგან აღიღებს ცვართა და შერთავს ღრუბელთა და ღრუბელი ვეღარ დაიტევს და ჩამოადენს წვიმათა“,

და ნოეს, ჭაბუკს, იმა მოთიბულ ბალახ-ბულახზე მწოლიარეს, თავისს დიდედოს მისსა შვილსდაშვილს, აბა რა გული გაუძლებდა, ნეტა რა გული გაუძლებდა, არ? – ისევ და ისევ იმა ვითომდაც ყოფილად-საღი მარცვლის, მარცვლისა რა უცნაურსა სახედ-ცვალებადსა, იმ ცვლად-მარცვალზე, გარდაცვალებით-კი, დიდედოსაგან, თქმული: თუკი ხუვილი-ს – ანუ ყანის თავთავის რომელიმ ერთი მარცუალი – „ესე არს ერთი ცერცუთა, ანუ ხვარბალთაგანი“ – არ მოკვდებოდა? იდო და იდო და ედებოდა თავისთვის, მხოლოდ, ხოლოკი თუკი მოკვდებოდა? რაცგინდა მცირე? – ამოისხამდა, კი, ოცდაათსა და სამოცსა და ასსაც კი, ნაყოფს, და თივის სუნით, ამ სუნნელებით გადახუნძლული ნოე, ყმაწვილი, დიდედოსაგან სუნთქავდა როგორ, სუნთქავდა, ამოდ, როგორ ძალიან ისუნთ-სუნთქ-სუნთქულებოდა მკაფიოდ, როგორ,

ხოლო დიდედო კვლავაც წარსულად იკარგებოდა კი არა არა არამედ ბრუნდებოდა ოღონდ როგორი დღევანდელისამიერი, კი, და, განმრავლებული, როგორ!, –

რადგანაც ნოეს ახსენდებოდა, რომ, შეფუთულს როგორ, რაღაც უცნაურ ბინდსა და ბუნდში როგორ, თეთრულად მკრთალში, დიდედომისის თან მოხიბლული და მოწიწებითი აღფრთოვანებით მჟღერი როგორ თან, ხმა იგი, ხმა ჩაესმოდა:

„ადექი, ზეზე“,

ზეზე დგებოდა პატარა, ნოე,

„აქ ფანჯარასთან მოდი, ბალღო“,

მიფლასტუნებდა, ძილსდაღვიძილში, ნოე,

და, მივიდოდა და,

თვალებ-აჰ-როგორ-გაფართოებულს, თვალებადქცეულს, დიდედოსისა როგორი წრფელად სევდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარევიც და სიხარულით, მოწიწებისაგან, როგორი მჟღერი, თუნდ ხმადაბალიც:

„ნოეე, თოვლს“...

ეს რა წყალობა იყო მაინც, როგორი თოვლი მოდიოდა, ბარდნიდა, როგორორ... – !?., და, ბავშვი-ნოე, ამ რაღაცროგორულ უზომოუუ მწყალობელური ბედნიერებით როგორი სავსე – თვალით შემყურეს, სულშიც უთოვლდა, და მისათვის ხომ რაღაც წყალ-ბათუტანჯვაც-რამ ხიბლით, – წინასწარმეტყველება ესაც, როგორი, ახსნა თოვლისა გინდაც მომშრალოდ-როგორ მაგრამ სიტყვით, თვით სიტყვით რარიგ გად-მოცემული: „თოვლი: რა წვიმას ზამთარს ცივი ჰაერი შეჰხუდების შეათოებს და დამოცვივა“,

და, როგორც მცირე რამ დანაწვიმარივით, – „ცუა-რი არს სინოტივისაგან ჰაერისა უღრუბლოდ მოსული ღამით და დილეულ ფურცელზედ მდგარი“, ასევე მცირე-რამ თოვლი „პირველ ზამთრისა რა ღამის სი-ცივემა ცვარი შეაშთოოს უხმობენ თრთვილს“,

ხოლო მერე კი ასევლამაზად აღიწერებოდა-იქ-ნებოდა ყაპი, და ფიფქი, და ჭყაპი, ბური, ჭირხალი, ხურხლი, ბუქი, ხიაწი და ნანქერი და ბზარი და ლეღმა და არხილი, ლილო და თვით მთით ვერ-ნატვირთი და როგორ მძიმედ რარიგ მძვინვარე ზათქიანობით გადამქელავი ბეჩავ შემხვედრთა სწრაფად გოროზი როგორ, ხვავი,

ბალღობისას კი, ნოეს ქალაქში, როგორ თან მჩატე და მოლივლივე თანაც დიდდიდა როგორ, თოვლი? – ბარდნიდა, როგორ,

სხვა უკეთესი რა ენახა თვალს, არა, ყინვაცაც კარგი ჰყოფილა, კი, უიმისოდ ხომ ვერ იქცეოდა წვიმა მჩატ-თოვლად, როგორ მჩატედ და მძიმედ,ც, ბარდნიდა, გაოცებული შეჩერებოდა მიჩერებუ-ლად გაოგნებული ამ უუთეთრეს წყალობას, ბავშვი, თოვლისა იყო სუყველაფერი, დიდედოს ხელსაც, ნიშნეულსაც, მხარზე დადებულს მხრით ვერა მაგრამ სულით კი გრძნობდა, კი, გრძნობდა, რა უცნაურად საკვირველობა-რამ ყოფილა აი-ეს, – ბარდნა, – ეს ზეცით მადლი, მაინც რაოდენ რამდენნია და, ერთად შეკრულნიც როგორ მკაფიოდ ცალცალკევებულები, თან, აი თოვლი ხომ თითქოს ერთია და მაინც როგორ ერთადერთია მისი ყოველი თვითონი ფიფქი, აუა-რება თანამფენობით როგორ-ეს მჭიდროდ შემოჯა-რულნი ურთი-ერთობით და მაინც როგორ სულაც არ უშლიან ერთმანეთს, ბარდნას, და ამ ამ-როგორულსა დარაზმვაში უერთმანეთოდ და მაინც ერთად, როგორ მთლად ერთად და სივიწროვეში-მითომ თითქოსა-დაობაში, როგორ-ძალიანს შემოჯარულობაში, ამ! – არავითარი ხაოვანება და არც ჩქამითი ფხაჭვნა და მცირედიც კი ხორკლიანობა ხომ – როგორ შორს, ჩვენგან, სათოვლეთათვის, მათით, არამედ მხოლოდ ფენა და ფენა და რისი-რაისი ცალ-ფანტელი და ეული ფიფქი არამედ როგორ ძალიან-ძაან მაღლიდან მაღლა ყინვა-ყინელით-მოწიფულთა თეთრადცვენა და, რა სისპეტაკეს, როგორ სპეტაკად სიხალასეს-ამ, თავდაწმენდილად გვფენსგვფენს, კი... ჰო.

ხოლო ფიფქები როცა იკლებდნენ, არხილობამდე – მცირესაც ფიფქსა, თან ბზარქმნილობამდე, რო უყურებდა – რომ კნინდებოდნენ დიდედო სევდით და დანანებით იტყოდა ხოლმე:

„თოვსღა, ეჰ, ნოეე“... – სულაც ახლახან, როგორა თოვლდა.

ხოლო როდესაც დიდედოსათვის არც თოვლი იყო, არცა წვიმა და არცაც ქარი და გინდ მზვა-რეობა დაუნდობელი პაპანებისა თუ ძლიერ-ყინელის გინდაცდა უხმო, მოჭიქულობით ლაწალუნი, დიდე-დოს როგორ ღრმა ჭროღა თვალთა გუგებში მთლად ერთიანი სისრულეთი აის-როგორად ღრმა ჭროღა თვალთა გუგებში მთლად შევსებულად ამო სისოვლე ეძალებოდა, და თითქოს მთელი ისა-თავისი მომომ-ცროო-ვით მთელი სხეული, ეჟღინთებოდა ისეთი ზორბა კუცხალით რომ, მთელ მის სახესღა კი არა და, ტან-ხელთს ჰყოფნიდა, დიდედო ძაან დაბალის ხმით, იყურებოდა შორეთში და ჰყვებოდა ასე, როგორ ხმა-დაბლად მჟღერხმიანი, იყურებოდა სადღაცს-შორეთ-ში და ჰყვებოდა ასეც, რომ, დიდი ხნის წინათ, თურმე, როდესაც ღმერთმა არაფრისაგან კი არა და, უარესიც კი, სიძნელისაგან, უფრო, ქაოსისაგან შეჰქმნა წყა-ლი და ხმელი და ზეცა და მიწა და აღმოაცენა გვი-მრისებური ბალახიცა და უზარმაზარი შროშანები და ნაყოფიანი და უნაყოფო ხეები და ზღვებადა და ოკეა-ნეებად-თვით დაბუდებულ წყალში იქითკენ როგორ სულსწრაფად მავალ-მავალსა მდინარეებს თუ ნაკა-დულებს თუ ღელეებსა და, რუთ, გზადაგზა როგორ სა-კმა-ყოფილოდ არწყვევინებდა თავის მცენარეთ და თვალსმიერი კიდევაცმეტი სილამაზისათვის ბა-ლახბულახებში გამოურია ფერადოვანი ყვავილები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დახედა და გადახედა თვით მამაღმერთმა თავის ნახელავს და მოაზრებულს, – უკვე შექმნილი იყო მის მიერ დღეცა და ღამეც და მათი მკვეთრი თუ ლბილი მანათობლები და იხილა-რა მამაღმერთმა თვისი თავისა თავად-ნაღვაწი, და, მოეწონა, რადგანაც იყო ყოველივე ეს „რამეთუ კეთილ", და თუმც დიდედომ ბიბლიისა განა აბა რა უწყოდა-რა, ვინ რა იცოდა მაშინდელთაგან მომავალი წერა-კითხვისა, მაშინ, და მაგრამ თუმცა არც ყოვლადვრცელი წმიდათაწმიდა სამებისა იცოდა ვერა, დიდედომ, ნოესამ, რაცგინდ მიმხვდარმა ამას გულის დაფარულ მადლით-შიგანნთა, ერთი იცოდა მამა-ღმერთი, და ზეპირ-ზეპირად სიტყვიერებით გადმოცემული ნამდვილ-იგავურ ამბებისა როგორ, კი, სწამდა, ხოლო ხანდახან გამოერეოდა უცნაურული და ღვიძლი როგორ წინასწარმეტყველეობა, რამ, და წინდაწინვე ბუნდოვანად მაგრამ მკაფიოდ გრძნობდა იმასაც რომ მომავალი ერთ-ერთი დიდად დიადი მოციქულთაგანი იტყოდა ასე რომ „წინასწარმეტყველება არასოდეს წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები სულიწმიდის მიერ ამოქმედებულნი წარმოთქვამდნენ მას ღმერთისაგან" (II პეტრე, 1, 21), და დიდედომ კი მძაფრად იცოდა ნოეს რომ რაღაც უნდა ეტვირთა ისეთი რამ რომ, ესა ულირსი მისი თანამედროვეობა არ იქნებოდა, ძალიან ვერა ამისი ღირსი, და დიდედო კი, მისაახლოებლად, ღმერთთან, თავის ორმაგ შვილს ზეპირადვევე გადაუცემდა და ხანდახანობით აჩვენებდა კიდევაც, რომ, ეს ყველაფერი, აი-ესი სუყველაფერი „შექმნა ღმერთმა... დიდი თევზები და ყოველი სულდგმული, მცურავი თავ-თავისი გვარისადა მიხედვით, რაც კი წყალში ფუთფუთებს, ფრთოსანი თავ-თავისი გვარისადა მიხედვით",

და, დაინახა ღმერთმა,

რომ,

კარგი იყო, ეს, –

„რამეთუ, კეთილ",

და ეს ბრჭყალებით ნათქვამები, ეს-მე ულირსმა, გადმომწერმა 2005 წელს გადმოვიწერე და ვაპირებ კვლავაც გადმოწერებებს ეს-მე ისედაც გადმომწერი, ცნობილი ღვთისმეტყველე ანუ ღმრთითა მეტყველე ალექსანდრე პავლეს-ძე ლოპუხინის რა-როგორი ღრმა „ბიბლიის განმარტებანი"დან, რომელი წიგნიც რა დიდსულოვნად მიწყალობა მეუფე დიმიტრიმ, მთავარეპისკოპოსმა იმ აჭარისა საიდანაც რომ შემოვიდა საქართველოში, განსანათლებლად, თვით წმინდა პეტრეს წმინდანი ძმა ვინც რომ იესუსაგან გახდა თვით წმინდა ანდრია პირველწოდებული, და სხვაგანაცა აგრეთვ-ბრჭყალებით გადმოვიწერე მე ულირსმა-ამ, თვით თავად თვიით ბიბლიიდან, სხვა ადგილებიც, უბრჭყალებო კი, ჩემიც სიტყვები და სიტყვებითქმნილი ზოგი მოკლე და ზოგიც არცთუ მოკუნტულა წინადადებები მარტოკ-ღარიბი ჩემი თავითჲდა ჩემი ხელითვე გადმოვიწერე დახმარებით იმ, რაც რომ გვაცოცხლებს და სიტყვას გვიდგამს და ნათელს გვცემს ამჩვე-ულირსებს, ჩვენ,

და აკურთხა ღმერთმა ისინი და თქვა: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ ზღვები. ფრინველებმა იმრავლონ მიწაზე",

და მერე ადამი რომ უყურებდა თუ, ლიფსიტებიდან როგორ ღონივრად იზრდებოდნენ დიდნი თუ მცირე მაგრამ მცირეთაგანნთაგანაც კი ემ ლიფსიტებთან შედარებით რამდენად დიდი, დიდროვანი, დიათევზები, და, ღვთისა ნებით, –

„ფრინველებმა იმრავლონ მიწაზე" როგორ არ იყო სასწაული, ეს სიფაქიზე – ადამის დროსაც მრავლდებოდა მხოლოდ მის გარდა ყოველი სულიერი და ჯერ ადამ და მერე კი ნოე ხედავდა, რიდით დასცქეროდა უსუსურსა და ჭყიპინჭყლოპინა-მაინც, ბარტყებს, რომლებიც ხეებზე ანუ მაინც-მიწაზედ მკენკავ ნისკარტით შეთხზულ ბუდეებში კი იზრდებოდნენ მაგრამ ის-რაც იმათი ზედაპირულად სამფლობელო ხდებოდა იყო – თავად ჰაერი, მიწაზე თუმცა მაღლამდგომი მაგრამ თავი და თავი მიწა და წყალი იყო მაინც, რაგინდ სულიერთ ბევრიც ეფრინათ ფრთების ფართქუნით თუ, ფართქუნისაგან შესასვენებლად რაცგინდაც გრძელ-გრძლად ელივლივათ ზემოთში, ცაში,

და, თქვა კიდევ ღმერთმა: „წარმოშვას მიწამ სულდგმული თავ-თავისი გვარისდამიხედვით – პირუტყვი, ქვემძრომი და მიწის მხეცები თავ-თავისი გვარისდა მიხედვით. და იქმნა ასე", და,

იხილა, ღმერთმა,

ყველა ისინი და,

ძლიერ იხილა ისინი ყველანი ღმერთმა, და, –

„რამეთუ კეთილ",

და, რაღაც-ვინმ მთავარი, ყველაზე ძნელად შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმნისი, აკლდა ალბათ ღმერთს, რადგან, სულ ბოლოს, წარმონაქმნნათგან, ჯერ თქვა ღმერთმა და, აღსრულდა, ღვთით,:

„ვქმნეთ კაცი ხატისაებრ ჩვენისა (– აჰ, ვიღაცასთან მოითათბირა ღმერთმა-თვით-ღმერთმა, სუცოტა ერთი ვიღაც-ვინმ ახლდა და ვინ თუ არა – უდიადესიც, – ღრმად ეფლობოდა ფიქრში დიდედო, იძირებოდა, ინთქმებოდა მაგრამ ვერაფერს ხვდებოდა და მაინც მაგრამ იცოდა რომ, უწყოდა თუ რარიგ როგორ რომ, – რომ მაინც ასე იყო, იყო... კი!,) და მსგავსებისაებრ“,

„და მთავრობდით თევზთა ზღვისასა და მფრინველთა ცისათა, და ყოველთა პირუტყუთა, და ყოველსა ქვეყანასა და ყოველთა ქვეწარმავალთა, მავალთა ქვეყანასა ზედა“

და, მიწის მტვრისაგან და თიხისაგან ქანდაკად შექმნა ღმერთმა კაცი ერთარსთან, თავად სიტყვით და, შთაბერა, სული, და ნოე, ცოცხალი, თივაში როგორ სახეჩარგული ადამისეულ ნესტოებით იჟღენთდა, ჰაერს, მთლად წამდაუწუმ სიცოცხლეს სძენდა გინდაც გადაღლილ როგორ ძალიან სხეულს, თავისას, და ნოესაგან განსხვავებით ადამს მხოლოდ შინაური ცხოველები კი არა,

არამედ მისცა ღმერთმა მსგავსს თავისი ხატისას მაშინ ჯერკიდევ ურისხველი ლომი და გრძელფეხება ჟირაფი და მოკლეფეხება მელი და თხუნელა და რალამაზ მბზინვარე ფრთეთა მქონე ფარშავანგი და მძლავრფეხება ბეჰემოთი და სპილო და მარტორქა და წვრილებფეხება ირემი და აქლემი და შველი და მაინც როგორი განსხვავებულები – ვეშაპი და კოღო,

ორ-ორნი იყვნენ თავიდან და, მერე თანდისთან მრავლდებოდნენ, როგორ ორ-ორნი და რაძალიან ერთიმეორისანი, იყვნენ, და შენაღონები ცალი-ადამ ბოლომდე ჯერაც ვერა ცნობდა რომ ბატონობდა, მათ, რადგან სახელებს, ანუ სიტყვას არქმევდა, ყოველს, ეს ძნელი იყო, და სიტყვიერულ აღმაფრენისგან მთლად დაღალული ადამ სევდ-განსართველად, მიმოწყენილი, რადგანაც არა ეპოვა „მსგავსი მისი“, დაიარებოდა ედემის ბაღის კიდით კიდემდე და, ღმერთს შეებრალა თავისი ადამ, და რადგანაც რომ ყოველივესი მთლადაც კეთილად დანახვა სურდა, მოეთათბირა ისევ, თავისას, თვისსა: „არა კეთილ არს ყოფად კაცისა ამის მარტო, ვუქმნეთ მაგას შემწე, მსგავსი მაგისი“, და, რადგანაც ადამს თავის სევდიან სიმარტოვეზე დაწყვილებულმა ცხოველებმა აუხილეს მგრძნობადი თვალი, და ღმერთმა ღრმად მძინარეს გამოუღო ცალი ნეკნი და იმა ნეკნს კი ცოტაოდენი ხორციც აჰყვა და აღმოუვსო ისი გვერდი და სამაგიეროდ ძალიან-თიხით და ცოტათიც როგორ-დიდებულ მიწის, მტვრითა, დააქანდაკა ადამის ნეკნზე და შთაბერა სული და „მიიყვანა იგი ადამისსა“, დედაკაცირამ მთლად პირველი ხოლო ადამმა სწორედაც მაშინ იწინასწარმეტყველა მისი, ადამის პირველი წინასწარმეტყველება, რადგან, თავისი ევას დანახვაზე, სუმაშინათვე:

„და თქვა ადამ: აწ ესე ძუალი ძუალთა ჩემთაგანი და ხორცი ხორცთა ჩემთაგანი. ამას ეწოდოს ცოლ (–„დედაკაცი, გინა ქმროსანი“) რამეთუ ქმრისა მისისაგან გამოღებულ იქმნა იგი“,

და, საოცრებად გასაოცრებავ, დაამატა, რომ! –

„ამისთვის დაუტეოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი“ –! :

კაი ბატონო, კიბატონო ადამის მამა და შემქმნელი თვით ღმერთი იყო ხოლო სად იყო მაშინ დედა, მაგრამ სად იყო, რომელი დედა, მერე და მერეღ იქმნნენ მხოლოდ, ღვიძლი დედანი,

და დიდედოს რომ ჯერ არცა ჰქონდა მოყოლილი ბალღი-ნოესთვის ესა ამბავი, ერთსაც მზიან დღეს მთლად ჩვილმა ნოემ, დაუჟამებელმა, სადღაც შორს მყურემ, გათიშულმა და განაკიდებმა ძალიან სხვაგან და რაღაცაძალით უცებ ნაკბენმა,სავით, რაღაც იდუმალ ხმადაბალობით, თქვა:

„ხვალ მოვა წვიმა“...

და თუმც მეორე დღეს იმ სუმთელიდღით კარგა მზიანი ამინდი იდგა მაინც მოვიდა როგორ ნამდვილი, პირწმინდა წვიმა, ნაღდი ისხარი – „წვიმა სწრაფი და ადრე მომდარებელი (საბა)“... – მზე პირს იბანდა!,

და დიდედომ კი, ადამის მცოდნემ, ჯერ ძლიერ სწრაფად გადაწყვიტა რომ ნოესათვის თავზე დაედო ნოეთ-ამაყი ხელი მაგრამ ნელინელ დაუშვა, დაბლა, კვირვის მარჯვენა – ადამის, რაღაც, მოსდგამდა ნოეს, იმაზე მეტი ვიდრე სხეულით თანახვედრება იყო, ეს-ესა,

და, ყველაზე მეტად სანცვიფრებელი მაინც ის იყო, რომ, რომ აუკრძალა მამაღმერთმა ადამს და ევას აკრძალული ხის – სიკეთისა და ბოროტების ნაყოფის ჭამა რადგან ხ-ის პირველი უწყვეტელი სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხლისა მთლად დაჰკარგავდა, ამითი, ძალას რადგან ადამდაევა აკრძალულ-ხილით, განმრავლდებოდნენ, დიდად,

მაგრამკი, რატომ-ნეტავი, სულმაშინათვე აკურთხა (დალოცა) იგინი ღმერთმან მეტყუელმან: „აღორძნდით და განმრავლდით. და აღავსეთ ქუეყანა და ეუფლენით მას“, –

რაღა კურთხევა გამოდიოდა თუკი ამისთვის, განმრავლებისა საძირკვლის ჩაყრით ორთავ ცოლქმარი სამოთხიდან განავლინა, ღმერთმა, ვერა ხვდებოდა ამას გონებით ნოეს დიდედო მაგრამ გულით კი რაღაცას-მაინც კარგად წრფელს გრძნობდა, თუნდ ნოესათვის, ვერ-კი იცოდა რა,ს,

და მხოლოდ ესი არ იყო, ვერა, საკმარისი: „და მთავრობდით თევზთა ზღვათა, და მფრინველთა ცისათა“..., და ასე შემდეგ,

ხოლო კი ნოე, თივაზე პირქვე მწოლი ახლა, როგორ გრძნობდა რომ, „აჰა, მოგცე თქვენ ყოველი თივა (ანუ ბალახი; მოუთიბავიც და მოთიბული) სათესავი მთესველი თესლისა, რომელ არს ზედა ყოვლისა ქვეყანასა. და ყოველი ხე..., თქუენდა იყოს საჭმელად“,

მაგრამ ისიც, კი, დაუმატა, რომ „ნუ მოჰკუეთ შენ ხესა ხილისა გამომღებელსა პატნეზად (–„მებრძოლთა ციხისა“, „საფარად მიწა“) და იმ როგორ-სათუო, განრისხებისა შემდეგ ადამდაევას ღმერთმა როგორ შეუნარჩუნა ნაყოფიანიც ხეები და დაუმატა უნაყოფოც, ცეცხლის ანთებად თუმცაკი იქა, ედემისას, მარად ტფილოდა, და დიდედოსაგან ნოემ იცოდა რომ ცოდვის ჩადენამდე არც ადამიანები და არცაც მთლადაც ლომებ-ვეფხვები არა სჭამდნენ ხორცს, და პირველი ცნობა ხორცით კვებაზე ჩვედღევანდელი ადამიანებისთვის მიეკუთვნება მხოლოდღა წარღვნის, შემდგომობას, მანამდისინ კი არ არსებობდნენ ხორციჭამია მტაცებელი ნადირები და როგორმსუნაგი ფრინველებიც კი მწერებისა და ჭიაღუების ნაცვლად ბალახბულახით კვებავდნენ, ბარტყებს, და სურნელოვან როგორ, ბალახში ჭაბუკმა ნოემ, ასწია თავი, და, შინაურსა თუ მთლად გარეულ ცხოველ-ფრინველთა და თევზთა და ქვეწარმავალთა და ასე შემდეგ, მბრძანებელმა და მფლობელმა, ნოემ, მთლად მიივიწყა ესი-კუთვნილი ყველაფერი, თავისი ხელის მტევანს დახედა,

შეაბრუნა და,

შემოაბრუნა,

და, როგორ იგრძნო რომ სუყოველივეზე დიდად დიადი საოცრება ხომ ეს თვითონ იყო, ადამიანი, ორფეხ-ორხელი, ერთთავა, ნოე, და თუ ცხოველი რომელიმე-რამ სირბილში თუკი გაასწრებდა, ეგ არაფერი, სამაგიეროდ ნოესავით ვერცერთ-არსებამ იცოდა, შრომა, მკლავებითა და მტევნებით, ხელის, მადლით, და ნოე გრძნობდა რომ მთლად მთავარი ამა სხეულში იყო ის სული, ღვთისგან რომ ედგა, და, ნესტოებ-როგორ-დაბერილი, სულს სამშვინებლით ძალზე ჰკვებავდა, სუნთქავდა როგორ ძალიან როგორ,

ხოლო ადამმა როცა იგემა ის აკრძალული ძალიან ხილი და თავისი მინამ უცოდველი სიშიშვლისა პირველად შერცხვა, მამა-ღმრთის პირველ შეკითხვისთანავე აღიარა, კი, დანაშაული, ეს მთლად პირველი აღსარება ანუ ცოდვისა ხმით მონანიებაც იყო ამ ჩვენს სრულიად დედამიწაზე რომლის კიდურა აღმოსავლეთშიაც ძევდა, ედემი, სამოთხის ბაღი, და ღმერთმა დიდად უცნაურად, კი, გააძევა:

„და უქმნა უფალმან ღმერთმან ადამს და ცოლსა მისსა სამოსელნი ტყავისანი და შეჰმოსა მათ“,

ხოლო მინამდე, დიდად მძვინვარედ ძაან ძალიან ძლიერულითი მრისხანებით რომ დასწყევლა „მიწისა ლომი“, – „ცხოველთა შორის უგონიერესი“ მაგრამ ვაი-რომ იმ-ისეთ ისეთასა გონიერებას, – ავტორი ასეთ-გონიერებისა, გველი:

„წყეული იყავ შენ ყოველთაგან პირუტყუთა და ყოველთაგან მხეცთა ქუეყანასა ზედათა, მკერდსა და მუცელსა ხვიდოდი და მიწასა სჭამდე ყოველთა დღეთა ცხოვრებასა შენისათა“, –

ნეტა ორფეხი იყო იქამდე, ევასთვისა და მის თვალთაგან, თვალებისათვის, გველი? თუ მაინც მთლადმყარ ორფეხობისა იმ თავიდანი ადამისას გველად შეიქნა, გადაიქცა? ეს ახლაა რომ არაა უცხო და ძნიად სანახი ესმისი-ამბავი რადგანაც, შემდგომ, ჩვენობისაკენ, როგორ-ვაი და მართლაცდა რარიგ ვუიი რომ ამ ჩვენსა დროში გველი რახშირად სუძაანცოტა-არანაკლებ, ორფეხად ჩნდება ანთუ პირიქით, მსხვილთა თუ წვრილთა გველებისაგან, გველაძუობით, გვლისწინილობით, თუმცაკი ვითო-ორფეხია და თანაც რამდენს, მიწაზე-ხოხვით, გადაყვლეფამდე კი არა და ჰალსტუხ-კიტლებზე (კიტელებზე) არ ამჩნევია ვერაფერი ნაცუდსამიწარ, ტანზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოღონდ თვალისათვის, ეს,

ხოლო იმისი სუმთლად როგორ-საკბილო და ნაკბილარი, ევა, მაცდური თავისი მეუღლისა... თუმცაღა რაღაღ მეუღლეობა იყო, ეს, ერთ ქრისტეს როგორი მიერისადმი, რადგან ადამის ტვინის და ენის როგორი უწყვეტი ოფლით გამოიგონებინებოდა ყოველ ცხოველთა, სულიერთა ყოველთა მათთვისსახელი ანუ თვიით სიტყვა, ეიგი, ხოლო მოცლილ-ევაკი ედემის ბაღში ძირითადად ხომ ისე-რა-ტყვილა გასეირნდასეირნობობანასა სჩადიოდა და ხოლო კიდე ხანდისხანობით იყურებოდა კიდენც წყალში, წარბებაპრეხილი, ანარეკლშიაც რაღა თქმა უნდა ევავ-შიშველი და დანანებით ფიქრობდა ეგებ, რომ, რატყვილა ჰქონდა დატენილად აღვსილი, მკერდი,

და,

გადაჰკიდა კიდევაც გველს,

უქმობამ,

მისმან,

მაგრამ იმათი ერთადშეყრა ღვთისაგან მაინც არ იქნებოდა, ასე ადვილად არ გასწირავდა თავისი ხატის მსგავსისა,ს, ცოლს, ამით რაღაცა მოხდა და ხდება ჩვენთვის მარადის აუხსნელი ამქვეყანაზე, მაგრამ ის-კი იცოდა უკვე ღმერთმა რომ ურყევსა და მარადიულს, მძულვარებას, შულლს-მარადიულს ჩამოაგდებდა ერთობ განსგამდგარს და მაინც თავისსა მსგავსის დედაკაცსა და სულსხვას, შორის, და, უკვე მღოღავს, ეგრე და ისე მღოღავს ღმრთისაგან დაწყევლით ისისი გველი რომ თვალებითაც კი რადგან ვერავის უყურებდა, ცეცებ-ცეცებით აღოღებდა, მიაძვრენდა თვალს, განს, და დააწყევლა მას, ქვემძრომს, ღმერთმა:

„და მტერობა დავდვა შორის შენსა და შორის დედაკაცისა. და შორის თესლსა შენისა და შორის თესლისა მისისა“, –

„მტრობა ისეთი, რომ, ის თავს გიჭეჭყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე!“

და, როცა ოდნავ მოითქვა სული, უდიდებულესიც, სადაც, რომელშიაც – ბრწყინვალესობა როგორი, – ღმერთმა, დედაკაცს, უთხრა: „სატანჯველს გაგიმრავლებ“;

და, დაფიქრდა რა, ბრძანა:

„განმრავლებით განვამრავლნე მწუხარებანი შენნი და სულთქუმანი შენნი, მწუხარებით ჰშვნე შვილნი“.

და, დაამატაც:

„ქმრისკენ გექნება ლტოლვა, ის კი იბატონებს შენზე“.

ჰეე, ჯერ რა შორი იყო, ეე, რაღაც სიტყვა... ჰო, – ევასემანსიპაციამდე. ძაანაც ყოფილ ეგრეთწოდებული სუსტსქესოვნების.

ხოლო კი ადამს, აღმსაარებელს პატიოსნად, – უყურა, ერთხანს – უყვარდა, როგორ... სხვა თუ არარა, მსგავსი თვით მისი, იყო; ეს, გარეგნულად... ისე კი, ჩუმად, ძალიან ჩუმად და მთლად ჩვენში დარჩეს – რა ძალა ადგა... რა... თუმც... – სიყვარული, რა! და, სანამ სხვა რამს, უწყალობებდა, აიღო ღმერთმა და „ხოლო ადამს ჰრქუა“: „რაკი შენს დედაკაცს (დედა-კაცი ერქვა უკვე, ისედაც, კი...) დაუჯერე და შეჭამე იმ ხის ნაყოფი რომლის ჭამა აკრძალული მქონდა შენთვის, მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე. ძეძვი და ეკალი აღმოგიცენოს და მინდვრის ბალახი იყოს შენი საზრდო“, – რაც, ხორცს, თუმც სჯობდა სინამდვილეში ადამისა და მის ჩამომავალთათვის, მაგრამ ამისთვის, ბალახისა-ამ? : „პიროფლიანი ჭამდე პურსა, ვიდრე მიწად მიიქცეოდე რადგან მისგანა ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი“,

მაგრამ უწოდა ადამმა ალბათ როგორიღაცა მადლიერებით ახლა როგორღაც უფრო თავის გინდაც მტვრადსაქცევ დედაკაცს – „ევა ანუ თავად ცხოვრება“, რადგანაც, – „რადგან იგი გახდა ყოველი ცოცხალის დედა“, – ადამიანები იგულისხმებიან მხოლოდ, რადგან „ნერგნიცა სულიერად ითქმიან რამეთუ აქუს მათ მოძრაობისა და აღორძინებითისა და თესლოვანებისა ძალი“,

და, ა, ა,

შეუდგა ადამ მის კუთვნილ მიწას, და თუმც ნარეკალი და ძეძვი და ხიწვი ბლომად ერია მაგრამ ეს მიწა სინამდვილეში სულაც არ იყო, არა, – ღვთით დაწყევლილი, პირიქით-იყო, და რა სიუხვით გგმადლობდა როგორ, თუღ ენდობოდი და მიიღებდი და მოუვლიდი, ეს ღმრთისმიერი „მიწა დაიწყევლოს“ დიდი ხნის შემდეგ, წინასწარმეტყველ ესაიასთან, წმიდა წერილში არის ახსნილი: „...დაჭკნა დაღონდა სოფელი, დაჭკნენ ქვეყნიერთა დიდებულნი. წაიბილწა მიწა მის მკვიდრთა ფეხქვეშ, რადგან გადაუდგნენ რჯულს, დაარღვიეს კანონი, გატეხეს საუკუნო აღთქმა“ –

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე რომ, ისევ ადამიანთა გამო დაიწყევლა მიწა ღმერთისაგან და ისიც – სათნოდ, რადგანაც შრომისათვის, მაინც რჩებოდა, მუდამ, და ამ როგორი-წმიდა წინასწარმეტყველ ესაიასი ესი სიტყვა თუმც წარღვნიდან ვრცლადშემდგომ დროს, იყო, ნათქვამი, თუმცა წარღვნამდეც როგორ ძალიან დაიწყევლა და კი არა და, მთლად უარესი, ადამიანთა ავზნიანობით ჰა-და-ჰა თითქმის მთლად გადაიფარა და ასეამგვარად აღიგავა თვალთაგან კეთილი როგორ, მიწა, რადგანაც ჩვენგან, ადამისთაგან წაიბილწა და არა ყოვლადმოყვარულ ღმერთისაგან, და ბევრადბევრა აუარება წყალთმლეკაობით მისით სარჩენთა ადამიანებისაგან მაინც ისე ვრცლად როგორ გადაიფარა უსაშველოო წყალთაგან ეს უბიწოება ყოვლად, მიწა, მის ცოდვილობას ვინ იტყოდა, ის იყო მადლი იქამომდეც, თანაც როგორი... და მერეც, მერეც, ახლაცაა, რაც წყალს გადურჩა – როგორ კეთილად მომცემელი ალალიშრომით სიუხვ-ნაყოფთა,

და ნოეს, ბალღს-ჯერ, სულვერ ესმოდა დიდედომისის ესა სიტყვები გადმოცემული მიწის მწირობით სიხრიოკეზე, და თვით დიდედოსაც ვერ გაეგო წინაპრებისაგან ყურამდე ენით გადმოცემული, ეს...,

ხოლოკი ევამ, ანუ „ცხორება“მ, ორი ვაჟი შვა ჯერ, მას შემდეგ როცა ადამმა „იცნა ცოლი თვისი. და მიდგომილმან შვა კაინ და თქვა: „მოვიგეთ კაცი ღმრთისა მიერ“, – და როგორ ძაან გახარებულმა თქვა ეს მიუხედავად იმისა რომ ძლიერ იტანჯა, ევა პირველ ძეს, თავის კაენს ჯერ აღიქვამდა როგორც საჩუქარს თვით მამა-ღმრთისაგან, მაგრამ როდესაც ბნელმა კაენმა, ამპარტავნებით გულღვარძლიანმა ველად და მიწად გაიწვია ერთადერთი ძმა, უმცროსი თანაც, და თან მართალი როგორ, აბელ, ისიც როგორი ტანჯვით ნაშობი და მაინც მოკლა, იგი, მიწას შეურთო უბიწო სისხლი, ევა ასევე-ვ ვეღარ იტყოდა რომ „მოიგეს კაცი“, და თან ვის მიერ, ხოლო კაენმა მთლად წყევლა-კრულვა შეინერგა ჯერ თავისთავში და მერეკიღა მთელსა იმ თავის გრძელსა მოდგმაშიც რადგანაც თვით ღმერთს, ადამისაგან, აღმსარებელი მამათავისისაგან განსხვავებით, აბელის მოკვლა დაუმალა, თავისი ცალტვინ-უბადრუკა ჭკვით, თვით ღმერთს, თავისის დიდის იმა-გონებამახვილობით-ვითო წაიფარა-რა ლერწამი და ბალახბულახი ჯერაც თბილ აბელს, – რაღა ძმას, თვისას,

ასე შესცოდა მთლადაც ბოლომდე

ადამიანთა სხვადასხვაგვარრჯულით გასამრავლებელ მოდგმაში მთლადაც პირველმა პიონერ-ათეისტმა,

მაგრამ, უფალმა, – გასაოცრებავ! – მთლადაც სუპირველ როგორ-ცოდვილს და თან ბოროტად აქამდელ-ჩვენთვისაც როგორ მუდმივად სავალალოდ, კი, მთლადაც ბოლომდელ დღევანდელთათვის, ჩვენთვის, იმ საქციელით სულით მთლად ბოლომოღებულმა, როგორ, ურწმუნოების პირისფარეშს, კაენს, მთლადაც საჯაროდ ნიშანი დასდო იმისა რომ, რომ არასოდეს არ მოეკლა მერეცდამერეც იგი შემხვედრს, დაინდო როგორ, ნეტავირატომ იმ ცოდვის შემდგომ როგორ ძალიან მიმოწანწალე, ის, და ისიცაც კი ბრძანა, უფალმა, რომ მთელ შვიდ წილად, კი, მიეზღვეოდა კაენის მკვლელს კაენის მოკვლა, და, ღვთისგან მისჯილად იხეტიალა, იტორღიალა-რა ძალიანურა ალთაბალთურად კაენმა, დიდხანს, – მერე და მერე აგერ, ჩვენამდეც კი მოაღწია, ხოლო იმ თავის დროში კი ბოლო-ბოლო დაესახლა მაინც, მინამ ძალიან მოწუწუნე, შურისძიების მაინც-შიშით იმ თავის შვილებ – ხოლო ადამის შვილიშვილებიანა კაენი ნოდის ქვეყანაში, გადაღლილ-იყო იმდენი წოწიალით, მაშინ იყო რომ ადამიანმა მრავლად იგემა მიწისაგან ხიჭვი და ძეძვი, თან იღლიაში დაი-თავისი, ჰქონდა, და მრავლდებოდნენ, გზად, გზადაგზა, გზაშიდაგზაში, შობდნენ, და საბოლოოდ იმა ვრცელ ქვეყნად დააბიჯა ცოდვილი ფეხიც სადაც რომ უკვე მომთაბარეობდნენ მასავით მიმოწრიალე კაენიტები, ეს გაძევებულთა და თავისი-თავის უბედურთა ქვეყანა იყო მაგრამ სადაც, ღვთით, კაენსა მისსა ნაშიერებიანა არა, არ ჰკლავდნენ იმისივე ნაშიერები – მათთვის უცნობიც კაენიტები, და, იქამდე მთლადაც ეკლებში მოხეტიალე კაენი შედგა, შეჩერდა ბოლოს, და გააშენა ქალაქი და, თავის დაიანა, რომელზედაც რომ ნებადართულად ყოფიერებდა მართალ-აბელის ველად მოკვლამდეც, დაესახლა, იქ, თუმც, რაღ ქალაქი იყო, ესა – თხრილებიღ, მხოლოდ, და მესერითღა შემორაგული თავ-ცოდვის შემდგომ გაველურებულ ცხოველებთაგან თავდასაცავად, და,

ასე იყო, კი,
ასე იყო ეს, –
წმიდა წერილი ბრძანებს, ასე,
და უწოდა, კი, თუნდაც წყევითა მაძებარმა უწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდურ-კაენმა, გადახვეწილმა უფლის პირისაგან, უწოდა იმ ქალაქს თავისი შვილის სახელი ენოს, თუ ენოშ, თუ ენუქ, და, საოცრებავ, მერე და მერე მესამეცშვილიან ადამისა – სახელად სით, თუ სეთ, თუ შეთ, და მისსა ერთ-ერთზედა, კი, შთამომავალზედ? – მოწყალება ეს რადაროგორი: „ხოლო სათნო ეყო ენუქ (ენოშ) ღმერთსა“, და, კიდევ მეტად გასაოცრება, „სათნო ეყო“-სის ახსნა, როგორი!: „და არა იპოვა, რამეთუ გარდაცვალა იგი ღმერთმან“

ხოლო კაენმა ამასობაში უფროცკიდევ შვა ძენი, ასულნი,

და იშვნენ მერე ენოქი,

იმისი შვილი ყირადი,

იმისი შვილი მეხუაელი,

აქეთ – შეთისანი მრავლდებოდნენ,

იქით კი მეხუაელმა შვა მეთუშალახი რომელმაც იცოცხლა 969 წელი, ყველაზე დიდხანს, პირველშვილების შობაზედ-ღა ბრძანებს ხოლმე ხშირად, წმიდა წერილი, და ისე დიდხანს კი იცოცხლა მაგრამ რათ გინდა, იმისგან იშვა შთამომავალიც ცოდვილი ადამისა, აღმსარებლობის მიუხედავად რადგან კაენისსისხლიანიც იშვა ავზნე-ლამექი რომელმაც ორი ცოლი მოიყვანა,

ხოლო ლამექზე ბიბლია უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს, რადგან ლამექი კაენიტების განსაკუთრებით მახასიათებელია. მისი სახელიც, – „ლამექ“, ზოგიერთი განმარტებით თუ ძლიერსა და მაგარს ნიშნავს, სხვათა მიხედვით? – სულაც „დამანგრეველს“, „მტერს“...

და სწორედ ამ ლამექმა, კი, ჩაიდინა პირველი სამარცხვინო საქციელი – ორცოლიანობა, ამით „უკვდავჰყო“ თავისი სახელი, ხოლო მისი პირველი შვილი, „იაბალი“ თუ „კარავში პირუტყვთან ერთად მცხოვრებთა მამა“სა ნიშნავს, მეჯოგეების მამობილობას, და მისი ეს მომთაბარეობა არც იყო გასაკვირი რადგანაც რარიგ მოხეტიალე კაენისა ჩამომავლურად შთამომავალი, გახლდათ, მეორე შვილი კი, აჰსაოცრებავ, მოწყალება ეს რადაროგორი: მეორე შვილმა, „იუბალ“-მა, ერთიც ვნახოთ და რაღაცნაირად გამოიგონა სიმებიანი და ჩასაბერი საკრავები, და თუმც ისიც ყოფილა მიწისმოქმედი, მესაქონლე და მონადირე, მაგრამ რატომღაც კი არა და თავად ღვთის ნებით საკრავებიც, – კი, გამოუგონავს რადგან ყველასაგან განსხვავებით, ისა-მისაგან ამომავალი დარგი, მუსიკა, ნდომნია, –

ღვთით,

მერეკი ისევ ლამექისაგან იშვა „თუბალ-კაენი, რვალისა და რკინის საჭურველთა მჭედელი“ რომელსაც მამილო-ლამექ ალბათ ყველაზე მეტად სცნობდა,

და, აქ, პირველად ქალის სახელი, ევასი შემდეგ:

„თუბალ-კაენის დას ერქვა ნაყამა“ რომელი სახელი ნაყამა-ც „სასიამოვნო“ს ნიშნავს რაც ასე მიესადაგება იმის (ანუ ნაყამასი) დროსაც და სამომავალოც კაენიტების უფრო და უფრო გახრწნილსა ზნეს და, ვარაუდობენ, რომ ორცოლიანი მამა-ლამექით ტანს ავსულჩადგმულმა – პირველი იყო იმა ქალებში რომლებმაც ძაანაც ხილულ სას.-ცოდვებში („სასიამოვნო ცოდვებში“) ჩაითრიეს მამაკაცობა, ხოლო ლამექიც სხვაც-ცოდვებისაგან დროს არ ჰკარგავდა რადგან ან მართლა მოკლა კაცი და ყმაწვილი და, თუ იქადის კიდეც და თუ იმუქრება ამას „ბიბლიის განმარტებანი“ს მიხედვით, გაურკვეველია მაგრამ ის კია ლამექი რომ მთლად ქედმაღლურად ტრაბახობს იმისი (თავისი) ხელით მოკვდინებებზე ანუ მისიღავ ჭკუით მბრძანებლური შეუპოვრობით? – ეს კია, კია,

ხოლო ადამი რომ შესცქეროდა მესამე შვილის, ნუგეშად-შეთისაც და ყველა ნაშიერთ, კაენიტებსაც, – შორითმხილველი, იყო, და, დაფიქრებული იყო, მწარედ, ადამ – ეს მაინც როგორი და რა ხალხი შემოიხვია, შემოეხვია... ადამი როგორღაც წყნარის და გატრუნულის თავზარდაცემულობით, ფიქრობდა, და, ძლებდა მაინც, – იმ დროს ძალიან დიდხანს ცოცხლობდნენ და ზოგი როგორ და ზოგიც როგორ ცხოვრობდნენყე ადამიანები, 800-900 წელი არაფერი იყო იმათთვის, ეგებ იმიტომ იყვნენ ისე-ძაან დღეხანგრძლივები რომ სუფთა საჭმლით, შეურყვნელით და უხორცოდ იკვებებოდნენ, ჰაერიც საღი იყო, წყლებიც; თუ ძალიანა არ ციოდა როგორ მრავლისამომცველ მიწად ეძინათ და კაუდებოდნენ მაგრამ იმდენად რომ დაგეშილები მიმოდიოდნენ, ვარჯიშდებოდნენ, ამით, განსაკუთრებით კი იმ ვარჯიშითა ფიზკულტურულობოდნენ რომ – რო-მრავლდებოდნენ, აგრეთვე პაწას გარბ-გამორბოდნენ ჯოგებისა და არვეთ დევნაში რომლებსაც სქელი რძის გარდა ტყავებისათვის ცქვიტად მწყემსავდნენ და მდინარეების გადალახვაც ხშირად უწევდათ ბერილ-ტიკით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე აი-ამითი თუ ხანგრძლივობდნენ ისე დიდხანს და ხელ-ჩაქუჩიანი ნევროპათოლოგები თუკიღ არ იყვნენ მაშინ ჯერკიდე? – დიდი ამბავი, რაცგინდაც ცოდვა ჩაედინათ სრულებით არა-ჰნევრიანობდენ და რაწნევა რისწნევა, და თანაც სად იყო მაშინ გულისგამხეთქი ტელეარხებ-თუ-ტელეთხრილები და აგრეთვეცა არ იყო მაშვინ ვერ-თეთრ-ყირმიზა მასმედიური შაშვალებები და ანდაც შტერულთვალება ან ამღვრეულთვალე ან გაფაციცებულთვალ მინისტერები სულაც არყვანდნენ აბა ჰეიდა ჩვენსავით კი არა ყვანდნენ... ვაჰ, სიტყვა წამამცდა კიღამ ლამისუხამსი შენ გადაშენდი როგორ ძალიან სასიამოვნოვ მადამ ნაყამა,

ღმერთი კი,

დუმდა,

ადამის ძენიც უყრუებდნენ ყურს, თვალებს უხუჭავდნენ, მიმოდიოდნენ უგზოუკვლოდ ალთაბალთასა,

მაგრამ, ყოველივე ამისადა მიუხედავად, „და იქმნეს დღენი ადამისნი, რომელთა ცხოვნდა (რაც იცოცხლა) ცხრაასოცდაათ წელ და მოკუდა“, და, მიიცვალა, გარდაიცვალა, ადამ. და, ვინ იცის, ეგებ ედემის ბაღსა და სამოთხეში ისევაც მოხვდა ტანჯული ადამ, რადგანაც, ალბათ, ის შეცოდება ეპატია, ღვთით, რადგანაც სწორედ მის საფლავზე, „თხემის ადგილზე“ დაეპკურა თავად მაცხოვრის წყალიდასისხლი. შეუნდო, ეგებ, აღსარებისათვის, იმ.

...მაგრამაც მისი, ვრცელდებოდა, ადამის მოდგმა, და, როგორც უკვე ადრევ აღვნიშნეთ ერთგან გასაოცარი რამ ისა რომ – „ხოლო სათნო ეყო ღმერთს ენოქ (თუ ენოშ, თუ ენუქ, თუ... ვიცოდეთ უნდა რომელიმეთგან მისი მთლად სწორი მართალსახელი) და დადიოდა ღმერთთან ენოქ“, – თვით თავად ღმერთთან დადიოდა ადამისა და აბელის შემდგომ!, თუმც ადამთანა თვით დადიოდა, მამაზეციერი, კაენიკიდე? – ერთხელღა იყო მხოლოდ, ღმერთთან დაბარებული, მეორედ კი, მკვლელს თავად გამოეცხადა ღმერთი, იმას, მაგრამ რათ გინდა, – და, როგორც გითხარით, კიდევ მეტად გადასაოცრებავ, – სხვები თუ ძაან არხეინს იყვნენ, ენოშისადმი თვით ღმრთის მიერ „სათნო ეყო“-სის, ახსნა, კიდევდაკიდევ!: „და არა იპოვა, რამეთუ გარდაცვალა იგი (ენუქ) ღმერთმან“, – იქნებ, ვინც ᲛᲐᲡ-თან მავალია, ინებებს, ასეც... სად მაქვს ამდენი გონება, განსჯა, გულით კი, მგონი რაღაცას ვხვდები... – ,

აქ კი, დავიდებ მხარზე ხელს და ისე ვიტყვი რომ ამერია ბოლოს და ბოლოს ვინ ვისი ძე იყო, თუ ვინ ვინა შვა, ან... ეჰ, მე კი არა ადამსაც კი არეულ-ჰყავდა შთამომავლები, იმათი მოდგმა, სულ ვერღ იცოდა ვისი ლავიწი ვის ლავიწს აწვა, და,

ხოლო ენუქმა აკი შვა ხომ მეთუშალახი... – რა გავაჭირეთ პატარათიც მეთუშალახით, საქმე, ეგებ იმიტომ რომ ესი სახელი მთლიანობაში „ისრის კაცსა“ და „იარაღის ადამიანს ნიშნავს“, და რომელიცა ალბათ დღე-ხანგრძლივობისათვის ყველაზე ნაკლებ მიაჩერდებოდა ტელევიზორს დღეს და არამცდაარამც ჩაიჭვრიტინებოდა მასმედიაში ამჩვე დროში რომ დაბადებულიყო, რომ, რადგან ყველაზე მეტად იცოცხლა – 969 წელი ოღონდაც ესა ძალიან ძველი წელთაღრიცხვით და რეკორდი და მერე როგორი დაამყარა მაგრამ სად იყო, აბა მაშვინ, გინესის წიგნი,

მაგრამაც დიდი ამბავი... ეგ არაფერი, იმიტომაც ვერ იცოცხლა იმდენს,

ხოლო მეთუშალახმა სიყმაწვილისას – სულ რაღაც 200-ოდე წლისამ, შვა ზემორემრავლად ნახსენები ავანგარდისტ-და-რაციონალიზატორული ყმაწვილი ლამექ ლუწ-ცოლიანი, რადგანაც, I ც., და კიდევ II ც., და იმანა კი, კიდევ ძალიან უფრო მეტადა და თითქმის სრულიად შეჭაბუკებულმა (ოთხშვილის შემდგომ), ასე იყო ეს და კიდე რაცხა ოთხმოცდა ორი წლისამ, შვა პატარა ძე.

და უწოდა მას, სახელად... ნოე...

და აი, რატომ, თუ-რითვინ უთქვამს ასე, ლამექს:

„ეს გვანუგეშებს ჩვენს შრომასა და ჯაფაში მიწაზე, რომელიც დასწყევლა უფალმა“, –

აიი, თუ ვინა ჰყოფილა პირველჩამყრელი და მესაძირკვლე იმ სა-უცხოო ქმედებებისა მერე და მერე „ინდულგენცია“ რომ შეერქვა – „ჩაიდინე, არა, ხომ, ხომკი ცოდვა? მაშინ გენაცვაა, დაყაჭე ფული და, თავისუფალი ხაარ“, – ეს მოიგონა ასე ლამექმა რომელიც ნამდვილად არ გამოირჩეოდა ღვთისმოსაობით მაგრამ თავისი ტყავის დასაზღვევად ის შვილი, ნოე, საგასაქარწყლებად, გადაიწყვიტა, – გიამბობთ ამას, შემდგომ,

ხოლო რაც შეეხება მისი, ნოესი მამითძმებსა და დაიას – აბა რა გვიჭირს თუ დავბრუნდებით ცოტათი უკან ამა ისედაც არეულ-დარეულობაში და არა სჯობიან „სასიამოვნო“თი რომ წამოვიწყოთ დაბრუნება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს, რადგან ძმებისა მზგავსად კი არა, არამედ უმფრო ნაყამა-ც თურმე თავისებურად გამომგონებელ-ნოვატორი და რაციონალიზატორისტკა იყო რათა „ჩვენთვის რომ ეჩვენებინა (და ეჩვენებინა... და ეჩვენებინა... და ეჩვენებინა ახლებ-ახალნი ძველებურნიც და კვლავ ასე შემდეგ) რაღაც იდუმალი“ და სწორედაც მან, ავანგარდისტმა, დაუდო თურმე სათავე იმ... ეე... – ჰო, დღევანდელურად რომ გამოვთქვათ იმა ერთგვარი (ერთგვარიც ბევრგვარია, კი,) „ინსტიტუტი“ს ჩამოყალიბებას რომელიცა რომ განსაკუთრებულად მიესადაგებოდა კაენიტების მიდრეკილებებს,

„ვარაუდობენ, – ბრძანებს დიდი, მართლაცდა დიადი ოქროპირი, მისი როგორად უდიადესი უმაღლესობა იკვლევდა-რა ამ უზნეო ხალხს, – რომ სწორედ იგი პირველი იყო იმ ქალთაგან რომლებმაც ცოდვაში ჩაითრიეს ღვთის შვილები რითაც დედამიწაზე დაამკვიდრეს ამგვარი უზნეობა“ და სად იყო მაშინ ბეჩავ-გინესი, ხომ გაიგებდა რომ ყოველივე ახალი, განსაკუთრებით კიე მოდა ეს მივიწყებული ძველია რადგან რომელსაზემორემრავლადნახსენებარსა ნაყამა-საც აეკვიატა და აიღო და ევა-ბებო-ვით შემოირტყა ლეღვის ფოთოლი ხოლოკი მაშინ მაშინდელი ლეღვის ნაყოფი ლამექის მთელსაც გოგრას ანუ თავს უდრიდა და ახლა ფოთლებს აღარ იკითხავთ? და ხოლო ევამ ძალიან თუ შემოიტმასნა ლეღვის ფოთოლი და ხელისგულებსაც იფარებდა ზედ, ნაყამა-მან კი, თუმცა შემორტყმით ძალიან მჭიდროდ შემოირტყა იგივ ფოთოლი ხოლო იმ შემორტყმულზე ძაან-დეკოლტე ნაქონებარა თანაც ორმხრივი აისეთი, ისეთი როომ, ატლანტიდურა მამაკაცთათვის? – თვალო და თვალო და ქვედატანო, რისი-რაისი დღევანდელური ვინმ-ეველინა პ., და კიდე, ეე... ეე... – ზოგიერთულა მოკლედ, ქალები, ხოლო, იმათგან მთლად პიონერმა,ნ? მთლად უყელსახვევოდ და მთლად უმანდილოდ-რასაკვირველია მიმოწრიალედ მიმოარული ორგანიზმისა ზოგიერთულა ნაწილების განს.-რხევით (–განსაკუთრებული რხევით) და დაგადუგით („დაგადუგი – ძლიერი და რიტმული ცემის ხმა მაგარი სხეულისა მაგარსავე სხეულზე“ – ქართ. ენის განმარტ. ლექსიკონი), კაცებზედ დჟიგიტ (– ვააჰხვუხ), ნაყამამა, რაღაცა 90 წელს არც მიღწეულმა ერთიც ჭაბუკი რომ შეაცდინა, სახელად – იყა.

ხოლოკი ლამექს ძე-იუბალისთვის, მემუსიკესათვის სადღა სცხელოდა, ხოლო იმათავისიც ძის თუბალ-კაენისა, რვალისა და რკინის საჭურველთა გამომჭედელისა კი, სწორედაც რომ ძალიან სცხელოდ-ეპაპანაქებოდა და მერე როგორ, რადგან მჭრელ იარაღებს ვერ გამოიყენებდა თუ რა, და რიხიანად უთხრა ერთხელაც თავის გვერდიგვერდულად დაწექილ ცოლებს: „ისმინეთ ჩემი, ლამექის ცოლებო, ყადა და ცილა, ყურად იღეთ ჩემი ნათქვამი: ჰო, მოვკალი კაცი ჩემდა სატკივრად (ნანობდა, ვითომ? – არა-აჰ...) და ყმაწვილი – ჩემდა ჭირად“ –

ტრაბახობდა? ჰა?

თუ, მართლა მოკლა და მონანიებას ჰთამაშობდა? – „ეგება მართლა იყო ღმერთი – (!!), – რაღა არ ხდება“ – ეს დასკვნა მისით, ლამექისით და, პატარახნობით შეეჭვდებოდა, ასეც, ლამექი,

და, ხმამაღლადაც სწორედ ამიტომ უთხრა ეს დაგადუგისა მოლოდინში მთლად გაფითრებულ ყადას და ცილას,

ეგებ, მრისხანეს თამაშობდა ან? – ისიცოლები მთლად მორჩილებას და არარაობას რომ შედგომოდნენ, – სუარ ეკივლნათ, ანუ.

ხოლო დიდედოთი როგორ ხშირად რაძალიან ღრმად, დაფიქრებული, უცებ ძალიან გაიქნევდა თავს და, მერე ისევ, რა დაღვრემილად დაფიქრებული, ეგება სწორად სულ ვერ იცოდა და, მაინც ახსოვდასავით თუ ზუსტად ვერც ახსოვდა ისეთსა იყო გარიყულობასა და ისე ხმადაბლა რომ ძაან ძნიად გაიგებდი თუ რას ამბობდა, ჩაილაპარაკებდა, ასე: „ჰოიი, ადამ, ბეჩავო შენა, ეს რაღა ხალხი შემოიხვივნე, ჩვენი ცოდვებით შე უცაბედად დამძიმებულო, რად აჰყევ, ევას“...

ხოლო ამას კი არცთუ ძალიან იშვიათად იტყოდა ხოლმე; რადგანაც რაცგინდ შორასა, ევას? – ჰსაყვედურობდა; თანაც, მწარედ, და ზედაც გინდაც იმისსა იმძველძნელ მდგომიარობაში შედიოდა: „ვერ მოგიარა... მაგრამ ადამს შენთვის აბა სად ეცალა, საქმეგამოლეული კი არ იყო, სიტყვებსა სწნამდა... შენ კი ხომ საქმე სუ არარა არა გქონიყა, ევავ, თამამებ სიტყვებს სხარტულად შენა ვერ გამოიგონებინებოდი და, სასმელ-საჭმლისა მოზელ-ცხობისა და ქსოვისაც ხომ არა-იცოდი, რა, ერთი ეგ იყო ედემში რო წაღმაუკულმა დასეირნობდიი, ხეტიალ-ობდიიი, და მაგრამ რაცგინდ გინდაც ედემი ყოფილიყო და იქ ჰყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიყავ? – უსაქმურობით გაუსაძლისია ერთდაიგივობა და ერთფეროვნება რაგინდაც ბლომა-ფერები ერიონ შიგა და, რა გექნა შენცა, მინამდე თუმცკი კიუცოდველი მაგრამხო მაინც ქალი იყავ მაინცა შენა და, წაგძლია ემაგ მოკლე სულმა, და, იმა დასაწყევლ – ისე აგიხდა... – ბოროტ-უბრძნესით, დაიწოს ისა, და გინა ედემი და გინდ მედემ-ბედემი ეძახე შენა და ზედაც სამოთხე, დალოცვილი, სულ დაივიწყე... წყეულის გამო"...

! –

სამოთხე მაინც, სიდამ იცოდა!.. მაგრამ ჩვილი ნოესი, ასე 50-60 წლისასი, ჯერ პაწა თავზე ედო როგორ ლამაზად დაკოჟრილი ნაშრომნაჯაფი ხელისგული,

– და შენც რა გექნა-მეთქი, რაღ დაგრჩენოდა იმა მითომდაც უგონიერესით... ჰეე, ჰეეი, აბადა განა უგონიერესი მიიყვანდა გველად ქცევადა, თავს? დაიწოს ისა, რადგანაც სწორედ იმითითა მითო საქმითვი მოსწყვიტევი და იგემე კიდეც ის აკრძალული როგორ, ხილი და შენი უცაბედობით კიარა და, უსაქმურობით გაცდინა იმა საგველემ, ადრევეც გველმა, შენა კიდეე, უმაქნისობით? – თავში გიქროდა და, შაცდებოდი, ჰო, მა რა ჯანდაბა იქნებოდა, კი...

და უცებ ლამის შახტებოდა:

– ვაიჰ! და, შენ რო ვერა შაცდენილიყავ ებალღი როგორღ მეყოლებოდა..., ვეჰ!

ნოეს დიდედო? – მპატიებელი იყო, – ბალღიცნოეთი...

პატიება კი, ვის აღარ გვინდა ადამიანებს, ჩვენ, იმთავითვე და აამ ბოლომდე, და აბა რომელი წითელკოჭები ვიყავით მაშინ,ც, ხოლო ძალიან განსაკუთრებით? მთლად ავზნიანებს გვჭიროდა, ესა, და, ლამექმა რომ თავისისა პაპის პაპათა – გულღვარძლძალიანგესლიანად ღრძო კაენისა ის გაიხსენა მკვლელის მოკვდენად მოკვდინება რომ ასაკრძალად ბრძანა ღმერთმა და, იმხნევა კიდეც, თაღლითი გული:

– თუკი კაენის მომკვლელებს თვით ღვთით შვიდგზისად მიეზღვეოდათ ლამექის გამო სამოცდაჩვიდმეტგზის მიეზღვებათ", –

მაგრამ, უნდოდა კიდევ რაღაც, კანტყავით გრძნობდა რომ ჩაბუდულს მასში მისსა კუპრს სურდა კიდევ-რამ, ჯერ მამშვიდი და, მერე კიდევაც-გამაარხეინებელი,

და,

რომ „იცოცხლა ლამექმა 182 წელი – (ჯერ; – „თითი არ მოგვკვნიტო"...) და შვა ძე". ეს ადრე იყო კიდევ სხვა ძეებზე, მეოთხე შვილიც ძლიერ ყმაწვილსა შეეძინა. ხოლო, იმასა? – „და უწოდა მას სახელად ნოე",

და ასე თქვა მაშინ ლამექმა, აკი როგორაც მოგახსენეთ სავინიცობა-საინდულგენციოდ ოღონდ შვილისა, ხარჯზე: „ეს გვანუგეშებს ჩვენს შრომასა და ჯაფაში (დიდი მშრომელი და მეჯაფე ჯეილი იყო ლამექი, კი,) ამ მიწაზე, რომელიც დასწყევლა უფალმა",

ხოლო ეს იმიტომა თქვა და ინება ასე რკინულლამექმა, რადგან, თუმც სულ არ იყო სუცოტათიც კი ღვთისმოსავი და სახელიც მისი „ლამექ" აკი ნიშნავდა „მძვინვარე ადამიანს, ომისა და ნგრევის კაცს", მაგრამ როდესაც კაენისებრ ეგებ მართლაცდა მოჰკლა კაცი და მიაყოლა ჭაბუკიც-ვინმე, გაიფიქრა რომ, ვაითუ მართლა დანრისხებოდა მისთვის თუმც ყოვლად გამოუცხადებელი მაგრამ ეგების სადღაცას მაღლა ცა-ცებში მყოფი ღმერთი, და, კაენიტმა, ისეყოველი-შემთხვევისათვის მიტომ უწოდა შვილს ნოე რომ გამოსულიყო იგი ბევრშრომით მამაიმისისათვის „დამშვიდების, ნუგეშის სახით", და ამით ეგებ გამოსცლოდა თუნდ სათუო-ღმერთისაგან მიწის დაწყევლას, – ჯერ კიდევ როდის, კაენისდროინდელს, ძალა, – და სურდა ამა თავისი ვითომცი წინსვლით – შვილისადმი „ნოე"-ს დარქმევით – ნიშნავს აგრეთვე: „დაცხრომა, გინა განსუენება",ს, – და ამიტომაც გამწესებად სწორედაც მისსა, ხორცით შვილისა, მიწად შრომისა, გამოსყიდვისა ფასად, თავი რომ ყოველშემთხვევისათვის უჩინარ ქუდში ჰქონიყო და მან, ეგრეთწოდებულმა ატლანტიდისა-პადრე-დ-ლამექმა საჯაროდ დასდო აღთქმა იმისა რომ მისი ეს ვაჟი, ანკეტურა სახელად – ნოე, სრულწლოვანი რომ გახდებოდა? –

სრულწლოვანება კი მაშინ ასე 120 წლიდან ეწყებოდათ ადამიანებს – ის მერე რა რომ სხვადასხვა არხებს თუ ღარებს-ტელევიზიურს ვერ უყურებდნენ არამედ კაენისმიერ თხრილებს შესცქეროდნენ, მხოლოდ და ეგებ ამიტომაც ძლიერ ნელინელ იზრდებოდნენ, მაშინ, სამაგიეროდ კი, ხომ მოგახსენეთ რომ საშუალოდ ასე რვაასსა წელიწადს ცოცხლობდნენ მაშინ რადგან ჰაერი იყო შეურყვნელი (ესაც მოგახსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთ) და თუ ადამიანთა გამონასუნთქით იბილწებოდა მაგრამ არცაც ღვთითნაბოძები ბუნება არა თვლემდა და ვებერთელა შროშანები ჰაერს მეტადაც სწმენდდ-ნენ (ეს კი ჯერ სულაც არ მომიხსენებია მაგრამ აკი „სჯობს გვიან ვიდრე არასოდეს“) და საღი თევზები დაცურავდნენ რაღა თქმა უნდა წყალში თანაც აუმღ-ვრეველში და როგორც ახლა-მეთქი, მეთქი, ქრისტეს იესად შობიდან 1990-2000-ან წლებშივით ტელევი-ზიით არ გადმოიცემებინებ-მოქმედებდნენ მეთქი-მეთქი როგორღაც მჟავედ-სამომაკვდინოდ აღჭურ-ვილები არხებ-მაუწყებლობანი და კიდევ კარგი რომ სამიოდ მსრულებელი-ვინმ,მ,მ, – მღერაობითა ქარ-თულ-რუსულად და ინგლისურადცა, მჯღავნი, საზღ-ვარგარეთულ ჰოპ-პოპ-როკ-ენსტრნადებზე მიიწვიეს (იქც არანაკლებ უქიქინებთ და სულაც არა გამოდიო-და აისეთური შხამ-მყვარიანი გაზეთები და, კი-დავა-შავეთ რამდენი რამ მაგრამ მაინც რა დავაშავეთ ძაან ისეთი რომ ეს კაენისზინტლნი ასე ძალიან მოდებულ-გვყვანან –

და, სახალხოდაც, ფერად-ჭრელადი ტელევიზიით თავიანთურა ტყავთ-სიყვარულით იკრიჭებიან, ზოგიც ნამეტურ „კონფიდენციალური“სა ჰთამაშობს, ზოგიც – ღრმულ-ღრმულად აკადემიანურს მთელის თავისი იმათავისი სერიოზნულობით განითამაშებს, ზოგი, და თან სიტყვას სახალხოდ აწყვეტინებენ ისეთ... დამ-სახურებას თავი რომც ვანებოთ მამა-პაპებად რომ ეკუთვნიან, იმათ, და ერთსაც როგორ თავხედურ თუმცა ნაკითხ მაგრამ რად გინდა და მაინც როგორ უვიც კვარტეტში კიდევ კარგი რომ, არ შედიოდნენ – თორემ, სხვაგვარად, გაგვიგჯებოდა, მართლა, გული – ახალი თაობის ისეთი მართლაც ბრწყინვალე და ურიოშონი გულით, ქცევითაც, მართლა მწერლები როგორ იმედად გვყავს, არიან სულაც არ-მსგავსნი სხვებ-იმათსავით, –

რომელთაც, ერთი რამ კი ჰქმნეს – შეგვაყვარესა-ვით, აქნამდის როგორ გარიყული ერთი-ვინმ, კაცი:

კაცო, ისი ნარცისი, შეყვარებული თავის თავში, თავს სულ არავის ახვევდა თავს, იჯდა თავისთვის, სუფთა წყალში იყურებოდა და, არც თანამდებობა უნდოდა და არც არაფერი, იყო, კი, ასე, ესენი კიდენ? – „აჰხ რა კარგი ვარ რა მშვენნიერი!!!“ – ხოლო ნარ-ცისი თურმე მართლა მომხიბვლელ-იყო, თუგინდაც წყალზე, და ჩუმათ იყო, ენის ტარტალი არა სჩვეოდა ამისთანავებიო,

და მაინც რა მოკლე ხანში შეიპკურეს, იპკურეს ვითომ, თავისი ჭკუით, ძალი, და ასე ძალიან არა მაგრამ ყოველთვის იყო, გვჭირდა ჩვენ ეგა, თანამდებობითვი,ც, და ვნახავთ აგერც თუარ დაჰ-ნიშნამენ, წყალობსთ ეგეთებს, დირეხტურები, ხოლო ლამექმა, ის მერე რა რომ იმდროინდელმა პადრედ-მპყრობელმა ამითაც როგორ გამოიჩინა კაცთმკვლე-ლობისაკენ მიდრეკილური ხელი და თავი და, რომ მოიხსნა თავისი ჭკუით ეგებარსებულ ღვთისა წინაშე საფრთხე იმითი რომ

მიწათ მოქმედს,

ანუ ნოეს,

თავისი ვინცგინდ და რაცგინდ ყოფილიყო და მაინც მამის, ლამექისა შეცოდებათა გამოსასყიდად

როგორ ეკუთვნა მიწა-მიწად შრომა ულევი,

მაგრამაც ნოე ერთსაც საქმეს ძლიერ უზადოდ, წარჩინებულად ძალიან ფლობდა – დურგლობა იყო, ეს.

ხუროობა.

ნოე რომ მისით გაშალაშინებულ ხეში ლურსმანს რა ზუსტი მოძრაობით ჩაასობდა, არ ტკიოდა, ხეს. და როგორ ღირდა ყურებად ის, რომ, ის რომ რანდავდა – ეს იუბალი უკრავდა, თითქოს, პრიალდებოდა მის ხელისგულებქვეშ წიფელი იქნებოდა, მუხა თუ ფიჭვი, მხოლოდ ურხელს არ ეკარებოდა, ვერ იმეტებდა მო-საჭრელად რადგან „ურხელი – მაღალი წიწვოვანი ხე. აქვს ძვირფასი მოწითალო ფერის გამძლე მერქანი“,

ხოლო მერე და მერე, დიდი ხნის შემდგომ, არც ხის დიად ჯადოქართ – სტრადივარისა და გუარნერის ხეებს სტკიოდათ ჯერ რანდა და მერე შალაშინი, ანდა, ეგებ ტკიოდათ მაგრამ მსგავსად „დედაკაცი (ხეც) რა-ჟამს შობნ, მწუხარე არნ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი. ხოლო რაჟამს შვის ყრმაი, არღარა მოეღხსენის ჭირი იგი სიხარულითა მით, რამეთუ იშვა კაცი (ვიოლინო) სოფელსა შინა“, რომ მოივლინა როგორ-ხელებით საკრავთა მეფედ რა დიდებულად შენაკოწიწიც სიმე-ბიანთა საკრავთა მეფე, ქვეყნად, ეს-ვიოლინო იყო მა-თჲგრძნეულ ხელებში ურთხმელიცა და ნაძვიც, ფიჭვი,

და, ასე რომ-რო,

რომკი მიუსაჯა ლამექმა ნოეს თავისთავისთვის თავისი ჭკუით მხოლოც მიწითმშრომლობა და, უან-დერძაც? –

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ მთლად ბოლომდე არ იყო, ასე, თოხ-ბარის გარდაც ნოე ხერხსა და ჩაქუჩს და ხელეჩოს ძვირუხსენებლად, უნაკლოდ ფლობდა, ეფერებოდა ნოე ხეებს, ფაქიზ-თითებით ნივთად აქცევდა, ერთი ურთხელს ვერ ეკარებოდა, თავს ვერა თვლიდა იმისსა ღირსად.

ხოლო ემაშინ ქალაქისთავმაც და პოსეიდონის ტაძრისა მძღოლმა, პადრედ-ლამექმა არა იცოდა-რა ნოეს მაღალი ხუროობისა, – თორეე, იფრენდაა, მტრისას, – სულსუპირველად რომ გადასწყვიტა სუთავიდან ეს – მიწის დაწყევლის შვილით-შრომისა გამოსყიდვა, ემაშინ მშვიდმა, შემშვიდებულმა, „მაგარ"-ლამექმა თავისი ეგრეთწოდებული ქალიშვილის, სახელად „ნაყამა"-თი – რაც რომ „სასიამოვნო"-ს გარდა „მორთულობას და მოკაზმულობას" და რაც მთავარია „მიზიდვას"-აც ნიშნავდა, დაადო თავი და მშვიდად შევიდა იმა-დიდათე აღსაგზნებელში რომელიცა რომ მის-აღგზნებული ნამდვილად მისის (კაციანი ქალი) და მეტიც უფრო ბევრსახოვანსა მისსისებ-სებთ ქალიშვილისა (აკი სიტყვაა პირობითი) მიერ დაარსებულ ჭრელურ ბარდაკში, რაც გინდა ძაან აღგზნებული, მშვიდად შევიდა, კი. ნაჩვევი იყო. ხოლო იქაკი ნაყამასისტკები დაუღალავად, მართლაცდა როგორ მუხლჩაუხრელად, შრომობდნენა, იქ.

და ხოლო ნოე კი მამაიმისსას ხომ სულ აღარა ენაღვლებოდა, მთავარი ისი იყო მისთვის რომ მიწის კაცად გაამწესა, დაბადებიდანვე აკანონა, ეს, ასე 80-ოდ წლამდე ასვენა – მინამდე სანამ მთლად ბალღი იყო მოუწიფავი, და – თუმც დიდედოს თავისი სიძედ ლამექი არ უყვარდა და კი არა და... ძალიანც მეტი, მაგრამ უყვარდა როგორძალიან შვილიშვილი, ორმაგი ნოე, მართლურად ზრდიდა, და აი ახლაც კი, რომ აღარ იყო ამა ძნელ-ქვეყნად უყვარდა მაინც როგორ და როგორ, და თუმცა ნოეს ძაან ერჩივნა თივაზე წოლა, და ესეცა ხომ აღზრდა იყო ერთგვარი, ჰო, კი, მაგრამ მოისმა დიდედოსი:

– გეყო. ქალაქისაკენ წადი, ნოე.

მაგრამაც ნოეს, სამუდამოდ ბალღს – არის ასეთი ბედნიერება ოღონდ ძალიან იშვიათურად, კი, – თივაზედ წოლა იმ თავის ქალაქს დიდად ერჩივნა, – გაემეორა:

– წამოდექ, ზეზე.

წამოდგა, ნოე.

და, :

– ქალაქისაკეენ, ნოეე, იარ. – გამოგვივიდა, ეფრეიტორი... – არა, დიდედო კარგი, კარგ-იყო, ხმაც – რბილი ჰქონდა: – დამიჯერევი...

რაღ დარჩენოდა. მძიმედ, დაიძრა.

–

მაგრამ ის მაინც კარგი იყო რომ ამ დღესაც, კი, თივის წყალობით თვითჰსიცოცხლისა მაუწყებელ-და-მაცოცხლებელი რომკი შეიგრძნო სუნად, თვით სული, და, აკვირდებოდა როცა სხეულს და ძალიან-ა ითვალიერებდა, – როგორ გონივრად ჰქონდა აწყობილი და თავად სულთან კი შედარებით ამა უბადრუკ სხეულისა სჯეროდა ნაკლებ, თან სული-ისი რა ზევითაც იყო და თან რა შიგნით,ც და ნესტოებით სუნთქვაცშთაბერილ შიგანს უფრო, კი, ამცნო ჩალისფერვ თივით, ეს, და, ატლანტიდისაკენ მავალი, გზაზე, მაინც გრძნობდა და იცოდა რომ, იმა ვითომაცა-და მყარად დაწყევლილ დედამიწაზე მისით შრომა რომ იმ შრომასა ბედნიერებად გარდუქცევს, ღმერთი – რას და რას აღარ ამოუყვანს, უბოძებს ნოეს, და, ხოლოკი ატლანტიდასაკენ მიმავალს, გზაში, იმ გზად აქეთ ხვდებოდნენ ნოესათვის როგორი უცხო და მაგრამ მაინც მისიანები შემოხვდებოდნენ მამა-კაცებად წოდებულები, და, ერთმანეთი თუმც სრულებით არ ეხატათ გულზე, ეპიტნავებოდათ არ, ესალმებოდნენ მაინც ერთურთს რადგან ასეთი იყო, წესი,

რომელიმესაგან, პირველ-თქმულიყო უნდა

– ბარრა.

ეგებ აქედან წარმოიშვა თანამედროვე სიტყვა „ბრავო", რადგანაც „ბარრა" ნოეს იმ შემხვედრისათვის უნდა ეთქვა ვისაც რომ იღლიაში სასიამოვნოდ სასიამუვნე ქალი ჰქონდა, კი, ამოჩრილი, ატლანტიდადან წამოღებული, კი, სადაც ნაყამას ხორცთშემწეობით დაინახესა მამაკაცებმა რომ „მშვენიერები იყვნენ ადამიანთა ასულები მათთვის და მოჰყავდათ ცოლად ვისაც ვინ მოეწონებოდა" ხოლო ზოგიერთს ლამექის უკვე-წამხედურობით რწყვილადაც ესვათ ორ-ორნი სასიამუვნო, ცოლნი მაგრამ თვით ატლანტიდაში არ სარგებლობდნენ, ქალით, მხოლოდ ხორცთშეწირვის დროს (კერპთ, ეჭმეოდათ) იმა დიდ ტაძარ-პოსეიდონისას,ში, – იმასხო აკი ძაანაც მობეზრებული ჰქონდა თევზი, და შესწირავდნენ შემწვარ-მოხარშულ-მოხრაკულებ ხორცს და ოკეანედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგდებდნენ სადაც რომ პოსეიდონი იმათი ჭკუით არა თვლემდა და მერე კიდენ? – ამით უფლებამოსილები დაერეოდნენ ერთიმეორეს; უკერპთსამსახურო დღეებში კი იმიტომ გამოჰქონდათ დედაკაცები რომ, რა იცი, ეგებ ალესილი რკინითა ეგება მაშვრალი და ერთრამ ნატკენი საერთო ჯამში დაუდგრომელი ლამექ კი მაინც ისვენებდა ნელინელური ხანდისხანობითა, – ისე კი არ იყო მართლა საქმე რომ მთლადგანუწყვეტლივ განუშორებელი სიამოვნეობებებობა ეჰთამაშებინა, და, საერთოდაც,

„ბუმბერაზები იყვნენ იმხანებში ქვეყნად და მას მერეც, როცა ღვთისშვილები (– მაინც...) შედიოდნენ ადამიანის ასულებთან (– როგორიც გინდა ჰყოფილიყვნენ, მაინც...), რომლებიც უშობდნენ მათ". და რადგან მორიგ-მორიგ ადამიანთა შობა-გაჩენა უშრომელად ვერ შეიძლებოდა, ამიტომ მათი (ბუმბერაზების) ცოლები მაშინ... რომელი სიტყვა... ჰო – იმისობისას, იმიანობისას სუულ ყველანი უკლებლივ კიოდნენ – ეს თუ რატომ და, ზოგი სიამუვნებისაგან გაჰკიოდა, ზოგიც კი – ბარრად ტანჯული ტკივილებისაგან ამოჰკიოდა – ვინ რა იცოდა თუ ვის და რომელს რადარარიგი დამთხვევითობა შემოხვდებოდა, და ამიტომაც ღვიძლ-ჯიგარ ცოლებს ხშირად უცვლიდნენ ერთიმეორეს, ერთიმეორეში, ან – სესხად ავახშებდნენ,ც, საზღაურით, კიი დათუ ნოესთან შემხვედრს ორთავ იღლია დასაქმებული, ჰქონდა? – ერთ-ერთ ცოლს – მკვიდრი იქნებოდა ის თუ გაცვლითურა-ანნათხოვრულად შესესხებული, მიწაზე დებდა და იმ ბარრასალამზე? – გამოექალამანებოდა:

– რიქშა, იშშაკა.

ხოლო ეს „რიქშა" რასა ჰნიშნამდა, ანდაც „იშშაკა", ახლაც არ ვიცი... ჩამორჩენილ-ვარ... უპოლიტიკანო... მაგრამაც, მაინც, უნდა ვიმხნევოთ უნდა, უბევრ-ენებო, თავი – გაუში სხვებმა იცოდნენყე ბევრნი ენები და მათიტარტალი ხოლო ამ მე-ს კი, მეზადაპირულს (– ძალიან, ვითომ?!) – ერთი კინკილა ქართულიც მკმარა, მე ამა ყარიბ ქართულზედაც ყაბულსა ვაარვარ მაგრამ ეს საიდან სად გადმოვუხვიე... მოკლედ, სა-ასაკივლოდ ბუჩქებისაკენ მიჰქონდათაყე ერთ-ორ ქალები, ხოლო ატლანტიდაში? – მიაგნეს იმას, რომ, რადგანაც ქალი აკი ხომკი ძალიანაცკი კარგია, არა? და მაშინ ქალი თუ რაცმეტი იქნება ის არ სჯობიან?, და, სქელადსქელი ქალები იყვნენ მთელს იმ ქალაქში ძაანმოდაში, მაგრამ, მართლა კი არ იყვნენ ბუმბერაზები (– ატლანტ-კაცები), მეტრა-სემდესიატიც ვერ იყო, ზოგი, და იმოდონა და იმსიდიდო ქალისა თრევა გინდ უცაბედად გამობანილ იღლიითა არ გინდოდა? ჰა?

მაგრამ ადამიანი რადგან გონიერია, ის ფსხვილი ქალი კი-ქონდათ იღლიაში მაგრამ ეკლიან ვარდებისა თუ გვიმრაების ბუჩქებისაკენ ვირისა ჯიპ-ვირ-ტაჭკითა მიედინებოდნენ, ცალ-იღლიითრო ქალი გაჰქონდათ ასაკივლელად მეორე ხელი ტაჭკის (ჯიპვირრის) ვოჟუები (ვოჟუი – სადავე – სლავ.) ეჭირნათ ხოლმე, და აი ასე მოქონდაც ხოლმე კარგა-ქალები, ფსხვილ-ფსხვილნი-რაღა, კი, მოკლეთ, და რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, სასიამო-ვნებოდ იღვაწეობინებოდნენ და�ა, ისევ მოკლეთ, ისი ქალები კი, კიოდენ, მოკლედ, თუმც რაღა მოკლედ!, მოკლედ კი არა არამედ თვით ცამდე გრძლად, ნეტარებისაგან თუ ანდაც ძაან პირიქით, მოკლეეთ, ჰკიოდნენ, აბა!?, კი,

ხოლო რადგანაც ბუმბერაზთათვის არ არსებობდა ისეთი ქალი ყოველ კაცთერთთას ტანთსასიამოვნო რომ არ ჰყოფილიყო და ვიღას აღარა სჯერდებოდნენ ხოლო ძალიან მსხვილებსა კი – ტანტანსასიამუვნოებს ეძახდენა, დიდად სწყუროდათ ბუჩქებისაკეენ ტანტანსასიამუვნოებით, ტანტალი – მეტად ცუდფინთი ვიყო თუკი ვიტყუილებოდე,

ნოე კი თვით იმ ქალაქშიც კი იმედით შედიოდა, კი, თვით დიდსამთითჩანგალას (– კარგა მომჩანგველს ამბობდნენ პოსეიდონზე, კი,) შვილ-ატლანტისა რომკი გახლდათ, კი, და სახელიც-რო მისი ერქვა კი-სწორეთა, კი, და თავსაც იმით იმხნევებდა, ნოე, რომ, ამა ქალაქად ის ერთადერთი კაცი, მთლადაც სუგიჟად შერაცხილი, რადგან გლახაკად მიიჩნეოდა ხანდახან გინდაც მხიარული, კი, და როგორ-უცნაურ სახელად მხოლოდ მხოლოდღა – „თ", – როგორ ნეტარად თავისად ჰყავდა, ისა თ... –

კი.

გაგრძელება იქნება

ცისკარი



ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნიდან: ყვავი ოიკუმენი ბორვენია

შიში

რატომ უნდა მეშინოდეს შვილს რჩეული ჯიშის! –
მეშინია... უცნაურად მეშინია შიშის! –
წუწუნის და
გოდების და
ქვითინის და
ცრემლის.
გოდების და ქვითინის და ვაისა და ვიშის...

მეშინია – როგორც ყმაწვილს გამოუცდელს – წაწლის! –
ამ ქვეყნიდან იმ უკეთეს ქვეყანაში წასვლის...
განსვენებულს – არ ჩამაცვან მეც ხალათი გიჟის...
რა უნდა ვქნა, არც კი ვიცი –
მეშინია შიშის...
მორცხვი ცრემლი ბაბუს გამო ატირებულ ბიჭის...
სინანული დროზე ადრე დაკარგული ნიჭის...
ელდა გამოცხადებული ფატალური ქიშის... –
მეშინია, გამუდმებით მეშინია შიშის –
განგება რომ კარტს – ბოლო კარტს – გაუგებრად აჭრის –

ცარიელ კანტუტია

მეშინია – მეც სახელი არ ვიშოვო ლაჩრის...
იქნებ ბოლო დულილია ეს დულილი მაჭრის –
შენ ვინ გეტყვის – ბედისწერა იმ კარტს როდის აჭრის...
... და იწყება დათვლა წლების – ცრუ სიმაღლე ნიშის!

ერთადერთი შიში მზარავს – მეშინია შიშის...

ბზარი

ბედნიერებაც ბინიდან კატის
ფრთხილი და ჩუმი ნაბიჯით გადის...
შენ ვერ გაიგებ... შენ რას გაიგებ...
თვალს რას შეასწრებ სიფრთხილეს კატის...
მზე ძველებურად ამოდის, ჩადის!
მთვარეც ასევე ამოდის, ჩადის!
მაგრამ ის, რასაც ბედნიერება
ერქვა – ბინიდან უჩუმრად გადის...
რჩება იმედი – საძინებელში
კედელზე გაკრულ პაწია ხატის...
და შვილიშვილი –
ულამაზესი
პატარა ქალი –
ჯერ მხოლოდ ათის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

/კვირადღე/

– საქართველოს არსებობა
    მართლაც დაუსაბამოა:
ბრძენი ბრძენით შეიცვლება –
    შოთა წავა? – საბა მოვა!
უფრო მძაფრი, უფრო რთული –
    არც მსმენია მე დიაცი:
სიყვარულზეც ბევრად მეტი –
    სიყვარული მედიასი...
სანამ წაისაუბრებდეთ
    და მაგ ყავას მოხალავდეთ –
გაიხსენეთ ქართველები –
    სხვებზე დიდი მოღალატე!
წადით რაღაც დათმობაზე –
    თავი თვითონ მოიქონეთ! –
ყველა ნაძირალა მეფის
    საქმეები მოიგონეთ!
საქართველოს გზა და კვალი
    მართლაც დაუსაბამოა! –
ეს ბერია წავა, მაგრამ
    რად გინდა, რა! – ჯაბა მოვა!
– ისე, მშვენიერი დღეა!
    – კი-კი, კაი საღამოა!
– დავაკვირდეთ ამ საღამოს –
    ვნახოთ ერთი, რა გამოვა!

●

გადაკვეთა ქუჩამ ქუჩა.
გადაკვეთა კაცმა ქალი.
რომეო და ჯულიეტა.
ხეოპსი და ტაჯმაჰალი.
გადაკვეთა ქალმა კაცი.
მოერია ცრემლს ღიმილი.
ჩააწვეთეს ნექტარს შხამი –
გაიმეტეს სხვისი შვილი.
მზე პირს იბანს, ქალი ნაწნავს.
ძუკნა სხვის ლეკვს ძუძუს აჭმევს.
არაფერი გაგვეგება
ამ ცხოვრების არც შენ, არც მე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ – ჯვარს თლის და ვინ – ჯვარს აცმევს,
ვინ – იმ ჯვარცმულს ტანზე აცმევს...
არაფერი გაგვეგება
ამ ცხოვრების არც შენ, არც მე...

●

გონივრული ცხოვრების დრო
დროს გადაყვა... ინსტინქტი კი
ისევ დარჩა – ის ღიმილი.
ის კისკისი. ის ტიკტიკი...
კვლავ შემორჩა ის უნარი,
დიდი იყო საბა რაშიც –
ის ზღაპრები, ის ანდაზა
მასთანაა – სიბერეშიც...

ინფანტილური დიალოგი

– ყველა კვდება, ძმაო, ბოლოს! –
ამოგვთხრიან, როგორც ღოლოს!
შეაჩვია ხალხმა ყური
„ვაი, შვილოს," „ვაი, ცოლოს!"
ყრუც კი უსმენს ყურადღებით
მომაკვდავის მიმქრალ სოლოს!
– ვინ ჩემი ყე სიკვდილია,
სიცოცხლეს რომ დაეტოლოს!
– აგერ შენ და აგერ მე და
აგერ – რაც იქნება ბოლოს!
– მიდი-მიდი! თითო ჭიქაც!
დაურეკო იქნებ სოლოს!

/მიგდებულები/

– მწუხარება – დედისგან ღვიძლი შვილის მიგდება...
მიგდებული შვილების გამო გული მიკვდება!
– მიგდებულების გამო გული ტყვილა გიკვდება! –
იქნებ სწორედ ეგ იყოს უ ფ ლ ი ს კ ა რ ზ ე მიგდება!
– სისხლისაზე მძიმეა ცრემლების შედედება...
რა ვიცით ჩვენ, მამებმა, ის, რაც იცით დედებმა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რა იცით თქვენ, დედებმა, რაც მამებმა არ ვიცით...
აგე, ბიჭი: ჭკვიანი, ლამაზი და... არვისი...
– ძილი ყველას უკრთება! მეც, ცხადია, მიკრთება...
მაგრამ იქნებ ეგ იყოს უფლის კარზე მიგდება...

●

ცოცხალი რომ ვარ –
ჯვარს რომ არ მაცვეს –
ვინც მომავლინა,
ვუმადლი მასვე!
ჯვარცმის მაგიერ
შხამები მასვეს...
მაინც რომ ვცოცხლობ –
ვუმადლი მასვე...
მეც წავალ მალე...
გამაცილებენ
მოცარტი, გრიგი,
შოპენი, მასნე...
მივეახლები
მეც უფალს ჩემსას
და ტკივილს ჩემსას
შევჩივლებ მასვე...

ვარლამია შეთე (2)

– რა იქნება, ღმერთო, ერთხელ მე რო გმართო:
არ დაგტოვებ წამით – ცოდო არ ხარ? მარტო!
შევატრიალებდი მე ღვთაებრივ ტაბელს:
„არა!“ – ყველა კაენს! „დიახ!“ – ყველა აბელს!
გზას გადავუკეტავ ბოროტებებს მთავარს!
გზას მივცემდი ყველა დავითსა და თამარს!
არვის ვაკითხვინებ, რა მიზნით და რატომ –
ერთ დღეს მოვსპობ ბომბებს – წყალბადსა და ატომს...
შევარიგებ ყველას – წაკიდებულ ერებს!
სიძულვილსაც მოვსპობ – უპირველეს ერესს...
რა მოხდება, ღმერთო, თუნდ ერთი დღე გმართო...
ამიყვანე მრჩევლად – არ დაგტოვებ მარტო!
ეს შენც შეგიძლია? – მაშინ რად არ შვრები!
ამოასუნთქვინე ამ ხალხს ერთხელ შვებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

...

დიდი გეგმები აქვს ვარლამია შეთეს!
საწყენია ოლონდ – ჯერ ვერ ვხედავთ შედეგს...

/პაუზა/

პატრონი ავი ქალაქის, პატრონი ცუდი სოფლის,
დაეჭვებული მეხოტბე ცბიერი წუთისოფლის –
წავალ, დავტოვებ დაღლილ გულს, გაცრეცილ თავის ქალას,
და იქ, ედემში ვეწვევი ჩემს აკაკის და გალას...
დაეჭვებული მეხოტბე აუტანელი ყოფის –
იქ, სამოთხეში ვეწვევი პოს და პაუნდის ოფისს,
გავიცნობ დანტეს, გავიცნობ უფრო ახლოდან ვაჟას...
დიდ ბერიტაშვილს – ივანეს – გავასინჯინებ მაჯას...
უფრო ახლოდან გავიცნობ ავტორს უკვდავი „ყორნის“ –
სადმე წყლისპირას მერანზე წავისაუბრებთ ორნი...

პატრონს ამ ავი ქალაქის, ამ ცუდი წუთისოფლის –
ის, რაც იყო და არც იყო – ჭირად და ლხინად მყოფნის...

●

იმის სათქმელად – რა და
როდის და როგორ ითქვას –
სიტყვა ეძლევა სიტყვას –
მართალ, ღირსეულ სიტყვას!

ერთი სიცოცხლე ყოფნის
იმ ერთი ჯვარის ზიდვას!
ხომ უნდა ითქვას ჯვარზეც! –
სიტყვა ეძლევა სიტყვას!

რომ ამდენ მითქმა-მოთქმას,
რომ ამდენ მოთქმა-მითქმას
ბოლო მოეღოს ბოლოს –
სიტყვა ეძლევა სიტყვას!

როგორც სიცოცხლის წერტილს –
ხომ დებენ ბოლოს დიდ ქვას! –
რა როგორ იყო... როდის –
სიტყვა ეძლევა სიტყვას...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოსებ დავითაშვილი

ცხოვრებამ დარდით ამავსო,
აღარაფერი არ მახსოვს!
არც შენი სითბო, სამშობლოვ –
ზურმუხტო ანუ ალმასო...

მიღალატა და გამწირა
ყველამ – კაცმაც და ქალმაცო!
არც შენ გინდივარ, სამშობლოვ –
ზურმუხტო ანუ ალმასო...

დამტოვე ასე, როგორც ვარ,
ჯვარს ნუ... ჯვარს მაინც არ მაცო...
რა დავაშავე, სამშობლოვ –
ზურმუხტო ანუ ალმასო...

შენ რას ერთობი ჩემს ბედზე
ძმობილო – შენ რას კალმასობ...
სინანული მკლავს, სამშობლოვ –
ზურმუხტო ანუ ალმასო...

ძმა რო მეგონე, ბერიკავ,
შენ მიდებ ბოლო სარმასო...
დამიტირებ კი? – სამშობლოვ –
ზურმუხტო ანუ ალმასო...

●

ე ბიჭო, ხალხი არა ხართ? –
უთხარით ამ ხალხს რამე:
განსხვავებული სასმისით
გვასმევენ მწერლებს შხამებს
და მერე მოკლულ მწერლებზე
წერენ გულმოკლულ დრამებს!
ხალხნოოო! ხალხი არა ხართ? –
უთხარით ამ ხალხს რამე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

აქეთ – უმცირესობა! – გრიალებენ ვილებში!
იქით – უმრავლესობა! – იხრჩობიან ვალებში!
ხომ არიან კაცები – ერთობიან კაცებში!
ხომ არიან ქალები – ჟინს იკლავენ ქალებში!
... მეცხრე დღეა, ხედავენ ამ საცოდავს გალეშილს...
... ბედნიერი – ვინც დათვრა და გათავდა ქალებში...

კმაყოფილი ლექსპრომტი

ცოტა დროს და ბევრ ფულს ხომ ჯობს
ბევრი დრო და ცოტა ფული!
ცოტა ღვინო, ცოტა პური,
ცოტაც – კვერცხი მოტაფული!

გულუბრყვილო პრობლემები –
ცოტა ფული, დიდი ფული!
რას წუწუნებთ! – ღმერთმა მოგვცა
დედამიწა დიდებული!

●

არც არაფრის თავი მაქვს,
    არც არაფრის გული!
პოკერს ვითამაშებდი,
    მაგრამ არ მაქვს ფული!
სიკვდილი ხომ არ მინდა –
    ღმერთი, ხატი, რჯული!
არც სიცოცხლე არ მინდა,
    ეს დედამოკლული!
სტრიქონები – ფიქრებში
    გავლებული ხნული!
პოეზია – ნაგავი!
    შედევრები – ნული!
ჩასული ჯობს ნეტა თუ
    ამოსული სული...
...
ოო, რა ღამე დაღამდა! –
    ბნელი... დიდებული...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ნოქალაქევში ვიყავი შაბათს,
ბიჭები ღვინოს და არაყს სვამდნენ,
ასეთი წყალი არ მახსოვს არსად, –
ვარსკვლავებით და კალმახით სავსე.

ვიდექი კოშკის მარცხენა მხარეს
და ვიგონებდი სამეფოს ქუჯის,
ბრმა უნდა იყო ან კიდევ მუნჯი,
ვერ ნახო ეს ცა, ეს მშვიდი მთვარე.

მე მეცოდება ყველა ის ხალხი,
ვინც ვერ გრძნობს მწუხრის მზესა და კოცონს...
ღრუბელს რომ ფერი დაჰყვება თართის,
ის ფერი დაჰკრავს თიბათვის ფოცხოს.*

გული ვიჯერე არყით და თევზით,
მკერდზე ტეხურის ვისხურე წყალი...
სად არის, ნეტავ, ახლა ის ქალი,
მე რომ მხიბლავდა აკაკის ლექსით?!

---

* სოფელი სამეგრელოში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გენო კალანდია

ის რომ ვარდივით გახსნიდა ტუჩებს,
ვგრძნობდი პოეტის უხილავ ძალას,
მე მეშინია, ავტირდე უცებ
და სახეს ჩემსას და ხელებს ვმალავ.

არ დამკლებია მასპინძლის ქება,
როგორც შინაურს და როგორც მგოსანს,
რომ იყოს უფლის და სოფლის ნება
აქ ვინატრებდი მეორედ მოსვლას.
.....
გზაჯვარედინზე შევჩერდი წუთით,
გავხედე ორი ქართველის* ქალაქს
და მოვუხადე ორივეს ქუდი
მათი ერთგული მსახურის დარად.

●

აჰა, გათენდა აღდგომის დილა,
აჰა, რეკავენ ტაძრებში ზარებს...
ლაგამწაყრილი ცხენებით მივალთ
ნახუნაოდან ლებარდეს გზაზე.

---

* იგულისხმება ქუჯი და გუბაზი (ავტ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლო სოფელში გველიან უკვე
ცეცხლზე შედგმული სპილენძის ქვაბით, –
შიგ იხარშება თიკანი თურმე,
შობას რომ გაჩნდა ქურციკის კაბით.

დედის რძითა და ნეკერით გაზრდილს
ავად აუხდა სიზმარი ღამის, –
წაბლივით ჰქონდა დამსკდარი წარბი
და ნეკერჩხლებში ეკიდა თავით.
...
აჰა, გათენდა აღდგომის დილა,
აჰა, რეკავენ ტაძრებში ზარებს.

კომპოზიცია
გოდერძი ჩოხელის პორტრეტისთვის

სიკვდილი უფრო ადრე მოვიდა,
ვიდრე მოველოდი...

გაზაფხულივით დამრჩა ლექსები
მტკვრის და არაგვის მწვანე ჭალებში,
გაფრინდნენ ჩემი ჩიტბატონები
მზისა და მთვარის მიმართულებით.
სალამურივით ვთრთი და ვკანკალებ
არმაზის კართან – მცხეთის უბეში.
ვერ ამოვედი იმ ენკენისთვეს
ლექსის და თემის დღესასწაულზე,
ველარ შევავლე თვალი მშობლიურ
მთებს და მწვერვალებს,
ცას და ხეობას,
უფლის პირველი ნატერფალივით
ვერ ვნახე მკვდართა მზე და ხატობა,
ისე დაგშორდი,
ისე წავედი,
არ გაუგია თითქოს არავის.

ცისკარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

.....
თიბათვის ალი ადგას აკლდამას
და სვეტიცხოვლის წმინდა ზარივით
რეკავს და რეკავს მრავალმოწამე,
მრავალმოწყალე მიწა ქართული.

სიკვდილი უფრო ადრე მოვიდა,
ვიდრე მოველოდი.

სტუმრად ომალოში

თოვდა,
ყინავდა,
ციოდა,
როცა ავედით ომალოს,
ხელთ ვაზის ჯვარი გეჭირა
ვაზის სულივით მთრთოლარე.
გზას დაკიდებულს წრიაპით
თოვლის ვარდები ცვიოდა,
მიწას,
ტყეს,
მინდორს,
მდინარეს
საკმევლის სუნი სდიოდა.
პირაქეთ,
მთაზე ეკიდა
ირმის თორმეტი ნახტომი,
კლდე იყო,
კიბე არ იყო,
არც ირმის ჩანდა პატრონი.
ხატებით,
ჯვრებით,
სანთლებით
მრევლი გულშიგნი ზეობდა
და ჰანგი გასაკვირალი
თაფლივით ჩქეფდა ზემოდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიჯექი,
ვსვამდი,
ვთვრებოდი,
ალავერდს გადავდიოდი,
ის აქეთ არ მოდიოდა,
მე იქით არ მივდიოდი.
უცხო სასმელით არეულს
სულ ოფლი ჩამომდიოდა,
ის აქეთ არ მოდიოდა,
მე იქით არ მივდიოდი.
ისე ლამაზად გათენდა,
ისე განათდა მთა-ბარი,
ვერც გათენება გავიგე,
ვერც იმ დიაცის ამბავი.

მწვანე ფიჭვის ბალადა

მშვენიერი ხარ, ვით მწვანე ფიჭვი, –
ალაზნის ველზე შეკრული მუშტით...
იქ, სხვის ჭალაში რა გინდა, ბიჭო,
ოდეს სამშობლოს აქ ასე უჭირს?!

ნუ ივლი ბაბრის, კამეჩის შუბლით,
ტყვია ორივეს ერევა ერთად,
ხედავ? – რა შურით ეხვევა მუმლი
აჩაბეთს, ავნევს, სოღანლუღს, ბეთანს...

გუშინ მოკლული სხვის ომში უცებ
ველარ აღსდგები სიზმარშიც მკვდრეთით,
ჭია და მატლი შეგიჭამს მუცელს
და ძვლებს გამოხრავს ტრამალის მგელი.

ველარ აიღებ ჩანგსა და ებანს,
ველარ ჩამოკრავ ქართული ეშხით,
ის შენი ტურფა და დედისერთა
სხვას მიუწვება ორიოდ თვეში.

დედა ყოველდღე ტაძარში ივლის,
მამა კარებთან დადგება უხმოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ღამღამობით ღრუბელი ივრის
ამოცურდება, ვით შავი კუბო.
მკვდრებსა და ცოცხლებს განსჯიან გვიან
გაზეთით, წიგნით, ჟურნალი, ფილმით,
მაგრამ შენ მარტო იქნები იეაც
და ვერც იმ ომზე ვერაფერს იტყვი.

მღვდელი ბზობაზე აგინთებს სანთელს
მრევლის სახელით და გულისცემით,
მზე გადაუვლის მაცხოვრის საყდარს
და გვირგვინივით დადგება ზევით.

დრო გადაკარგავს მღვდლებსა და მთავრებს,
დრო – გრიგალივით სწრაფი და ჩქარი,
ივრის ხევიდან ამოვა მთვარე,
ივრის ჭალებში იქროლებს ქარი.

ჩვენც ბოშებივით აგვყრიან მალე
და შეგვიცვლიან ფუძეს და საფლავს,
მაშინ არც შენ და აღარც ამ ნაწერს
არ გაიხსენებს არავინ არსად!

ცაწაშლილი

აი მედეა, – მოლალატე ასული მამის,
დედოფლის შავი მოსასხამით და გველის შხამით.
.....
მალე მხევალი შემოიტანს ყვავილებს დილის
გედივით კისრებგადაწეულთ და ღამის თრთვილით

აქა-იქ პერანგამოქარგულთ, აქა-იქ კიდევ
ნისლივით შიშველთ და მძინარეთ კორინთოს ცისებრ...

ნელსურნელება და ციმციმი ფარული ალის
იქნება მათი იდუმალი ჯადო და თვალი...

და თითო-თითოდ კალათებში აწვენენ ერთად,
რომ აღასრულონ ცაწაშლილი დედოფლის ნება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ის გრძელი კაბა, – ძოწის კაბა ჩამაცვით ტანზე,
წითელი ფერი უფრო მოსწონთ გველებს და კატებს.

და გლეხს, კალათით რომ მოვიდა, ახლავე უხმეთ,
ლეღვი და გველი, შავი ნიში მესიზმრა წუხელ.

ლეღვის ყბასავით მუქი ყბები ჰქონია ასპიტს
და ჭრელი ენა, ერთობ მსგავსი სამეფო ლახტის.

ო, ჩემო ირას, ქარმიანა, მოიღეთ მადლი
და ახლა წადით, სამუდამოდ გამშორდით, წადით!

გველისა და კლეოპატრას გრაგნილი

მაოცებს შენი თვალთა ოვალი
და უცხო სხივი – მსუსხავი ძალით,
ეგვიპტის ყველა დედოფალივით
გიზიდავს ყველა ლამაზი ქალი.

დაგაქვს ზარივით წკრიალა ენით
მთელი სამყაროს შხამი და თაფლი,
ქალი ვერ ვნახე, რომელსაც შენი
არ ჰქონდეს ცოტა ხიბლი და მადლი.

კლეოპატრასთან გეძინა ღამე
და შეჰხაროდი მის მაღალ სვე-ბედს,
ის იწვა, როგორც შიშველი მთვარე,
კოცნიდი, თვლემდი ვარდივით მკერდზე.

ყველა განჯინა, ზანდუკი, სკივრი, –
ოქრო და ვერცხლით პირთამდე სავსე,
ელოდა ახალ სახელს და გვირგვინს,
როგორც მისრეთის მზესა და ნათელს.

სასახლის მონა, მსახური, მცველი
თვალს გარიდებდა გესლით და შურით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეყვარებულთა გულივით ცხელი
ცხვებოდა მზეზე დედოფლის პური.
რძე და რძის წყალი არ გაკლდა წლეულს,
მტკიცედ იცავდი საკუთარ ზღუდეს,
ლახტივით სწრაფად იქნევდი სხეულს
და შუაკართან დგებოდი კუდზე.

მხოლოდ დედოფალს შეეძლო შენი
ალერსი, კოცნა, ნექტარით თრობა,
ვარდებით სავსე კალათით ხელში
დაგატარებდა თორმეტი მონა.

როგორც უდაბნოს ქარი და ქვიშა,
სხვა სიყვარული მოვარდა უცებ
და რომაელთა თაყვანის ნიშნად
ოქროს ორკაპი დაგადგეს გულზე.

ანტონიუსის რიდით და შიშით
იმალებოდი პერანგის ჩრდილში,
ასეთი ნაზი, ასეთი მშვიდი
და ბედნიერი არ გახსოვს იგი.

მაგრამ ცხოვრება ფლიდია ისე,
როგორც ნილოსის ნაპირი ფართო,
გადაუბრუნდა უეცრად ფეხი
და ტახტის უკან ჩამოჯდა მარტო.

ომმა, ღალატმა და მწარე ბედმა
გადააფარა სიკვდილის ფარდა...
.....
ო, გველო, გველო, მკვლელი ხარ დღემდე,
ყველა მშვენიერ და ლამაზ ქალთა.

ლედი მაკბეტი

წყეულიც იყოს ადამის მოდგმა, –
მისი სათავე და მისი ველი...
ვერ განვიბანე ხელები დღემდე, –
ამდენი ჩვილის, ყმაწვილის მკვლელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარც მახსოვდა წამება სხვისი,
არც მეფის კარი და ხალხი მისი...
და ძუძუებში მუშკივით ვისხი
მეფის და მთელი ოჯახის სისხლი.

სისხლის სუნი მდის, ვით ქალს და ყასაბს,
მძინავს და ვეღარ მერევა რული,
არ ძალუძს მთელი ეგვიპტის ბალახს,
განკურნოს ჩემი ცოდვილი სული.

ღმერთი განაგებს სოფელს და ცარგვალს,
და მისით ხელობს ბრძენი და ხელი,
ისე ვარ, თითქოს სანთლების ნაცვლად
საფლავის ქვები მიჭირავს ხელით.

ხანმოკლე იყო სიცოცხლე ჩემი,
ვით გაელვება ხმლისა ან ცელის,
კარებთან ვდგავარ, ვით მეფის ცხენი,
რომ აქვე უცებ გამომჭრან ყელი.

აი, დასრულდა ყოველი ამით
და მოსაჭრელიც მოიჭრა ცულით...
რომ თქვენს ხსოვნაში ყვინთავდეს მარად
ერთი ბოროტი, ცოდვილი სული.

●

სვანეთის მთავარმა, თათარყან დადეშქელიანმა
უცხოელ ქალბატონს უშბა აჩუქა

თათარყან, ჩემო თათარყან,
კაცი ყოფილხარ ნამდვილი,
საჩუქრად მიგირთმევია
უშბა შორეულ ქალისთვის.

რას ჭმუნავ? რას ნაღვლიანობ?
ლომი ხარ, – მახვში ცნობილი,
მე ვარდიც ვერ მიჩუქნია
ჩემი საბრალო ცოლისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

•

შენ ჩემს საფლავზე წვიმასავით ნულარ იტირებ,
ლეონიძეთა გვარის სძალო, – დაო ტირიფო!

მხოლოდ ცრემლისთვის და დარდისთვის არ გამიმეტო,
ბედო, ო, ბედო, – საქართველოს მწუხარე გედო!

კვიპაროსებთან, – უფლის ნაფიც მსაჯულთა გვერდით,
დგახარ, ვით შვება, სინანული და მწარე ხვედრი.

თითებით, თმებით უსინათლო მელომანს ჰგავხარ,
უმწეოდ დამჯდარს დედაჩემის საფლავის ქვასთან.

ხან უთავსაფრო ძიძასავით დამხობილს გხედავ,
როცა ქარები და წვიმები გიტევენ ერთად.

ო, ჩემი სკნელის მწვანე ვერცხლო, მწვანე ლაჟვარდო,
აღმომაჩინე, როგორც ცა და ოქროს საბადო.

აღმომაჩინე, როგორც ნიკო სამადაშვილი, –
ოდესღაც შენთვის ბედდამწვარი და ძვლებდაშლილი.

ბედო, ო, ბედო, საქართველოს მწუხარე ბედო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისფერი ქალი

„ბებიას საშინლად უყვარდი. შენზე ამბობდა, ჩემი პირველი სიყვარულია, გული პირველად გამითბაო.

ხომ გახსოვს შენი ბებია? თეთრთმიანი, სანდომიანი, თხელი ტუჩებით...

გაჩნდი და ლურჯი ფერი ამოიჩემე. ლაპარაკი რომ ისწავლე, ლულჯიო გაიძახოდი და ლულჯ ოთახს ნატრობდი. მე როგორ გიყვარდი, გახსოვს? სულ მიყურებდი, ჩემი სილურჯე არ გბეზრდებოდა. მერე დედამ პატარა, გამავალ ოთახში ლურჯი შპალერი ააკრა, ესეც (შენი ლულჯი ოთახიო. ძალიან გიხაროდა.

წერა არ გიყვარდა, ამიტომ უშნოდ წერდი. შვიდი წლისა იქნებოდი, რომ ერთ დღეს ბებიამ შენზე უფროს მეზობლის ბიჭს სთხოვა მათემატიკა შეუსწორეო. ეს რა უშნოდ დაგიწერიაო, წამოსცდა. ბებიამ წარბები შეიკრა, შენიშვნა იუკადრისა, თმით ლურჯ ოთახში გაგათრია, ლურჯ შპალერზე აგაკრა, ხელში სამზარეულოს დიდი დანა მოგცა და გითხრა, ამოირჩიე, ან თვითონ შეირჭობ დანას იქ, ან მე შეგირჭობო („იქ" – ზრდილობიანად ვამბობ, თორემ პირდაპირ იმ სიტყვას ამბობდა ხოლმე, გინებისას რომ იძახიან გაბრაზებული კაცები). შენ ტირილით აირჩიე, თვითონ შეგერჭო დანა.

ოთახში ბნელოდა, რადგან ბებიამ გასვლისას შუქი გამორთო... ტიროდი და წარმოდგენაში ვარჯიშობდი, ეს როგორ უნდა გექნა. იმასაც არ ფიქრობდი, იმსახურებდი თუ არა; ბებიაზეც არ ბრაზობდი. უბრალოდ, სიკვდილი არ გინდოდა...

იჯექი ბნელ, ლურჯ ოთახში იატაკზე და სიკვდილი ასეთი გეგონა: ფანჯრიდან თმაგაშლილი, „ჩოლკიანი" გოგო იყურებოდა და პირზე ხელს იფარებდა, თეთრი ლოგინისკენ თითს იშვერდა და ხმამაღლა დასცინოდა შენს ფიტულს, გაფშეკილ თვალებს და თმას...

მერე კი შენს წარმოსახვაში სიკვდილს სიცოცხლე ენაცვლებოდა... რა ადვილი იყო უშენოდ... შენი კლასელები, ქეთინო და ნანა, უდარდელად დადიოდნენ სკოლაში და შესვენებებზე ფერად კევებს ღეჭავდნენ; ყვითლად ანათებდა მზე, ჩიტების ჭიკჭიკს ბავშვების ჟრიამული ახშობდა...

ტიროდი, თან გულს იმაგრებდი, დანას უყურებდი და რაღაცებს ბურტყუნებდი. სლუკუნით ემზადებოდი, მაგრამ ვერ ბედავდი... ცრემლიანი, გულდაწყვეტილი თვალებით ამომხედავდი. გული მიკვდებოდა... დაგყურებდი და ბებიას სიკვდილს ვნატრობდი, ცისფერი ცრემლებით ვტიროდი... წუთი წუთს მიჰყვებოდა, საათი საათს და შენ ჩაგეძინა ღრმა, დაღლილი ძილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუსა ამირეჯიბი

დანით ხელში გაგელვიძა, ფეხაკრეფით გახვედი სამზარეულოში. იქ წარბშეკრული ბებია დაგხვდა გაყინული თვლებით. კვერცხიან პურებს წვავდა. ხელები დაიბანე და მაგიდასთან მოდიო, რაც შეეძლო მკაცრად გითხრა. გაგიხარდა, დავიწყნოდა, დანა რომ უნდა შეგერჭო. არ გაახსენდესო და სასწრაფოდ აბაზანისკენ გაქანდი. გარეთ მზე ძალიან ყვითლად ანათებდა, ბავშვების ხმაც ისმოდა. კვერცხიანი პურების მერე ეზოში გავარდი. კიბეზე ასკინკილით ჩაირბინე და, ბავშვებში რომ გაერიე, უკვე აღარ გახსოვდა...

მაინც უშნოდ წერდი, რადგან ლამაზად არ შეგეძლო... და ეს ყველაფერი მეორდებოდა...

ყოველღამე ერთი და იგივე გესიზმრებოდა. თითქოს ერთი ცალი, პატარა სიჩუმე ყვირილს იწყებდა და მას ნელ-ნელა სხვა სიჩუმეებიც უერთდებოდნენ. ბოლოს ყველა ერთად ყვიროდა საზარლად და შენ შიშისგან კვერცხის დასრესილი, თეთრი ნაჭუჭები გადმოგდიოდა ფრჩხილებიდან. მერე ბებია გამოგეცხადებოდა ხოლმე და გეუბნებოდა: „მოდი ჩემთან“ და ტუჩებში გკოცნიდა, თან გეხვეოდა. ყოველი შენი დილა სველი იყო. როგორ მეცოდებოდი... ცისფრად ვიღვრებოდი.

დრო გადიოდა. შენ იზრდებოდი და ბებია ვეღარ გცემდა. მერე ახალ სახლში გადახვედით და მე მომისროლეთ... არ გრცხვენია?! როგორ მიღალატე? ყოველღამე ვცდილობ სიზმრად მოსვლას და იშვიათად ვახერხებ – აღარ გახსოვარ. ჯერ შენს მოგონებებში ვიყავი, მერე მეხსიერების ურნაში. ახლა კი აღარსად ვარ და არსებობას ვწყვეტ, ვიცრიცები, ვხუნდები, მცვივა ჩემი გრძელი, ტალღოვანი ცისფერი თმა. ყველაფერი გაქრა, – ახალგაზრდობა, სილამაზე... ალბათ, ამიტომაც ვერ მცნობ, ხომ? შენს ბავშვობასაც იმიტომ გიყვები, რომ გამიხსენო... აი, ახლაც სხვას ამოფარებული შემოვძვერი შენი სიზმრების ჭიშკარში, ჩემი ხმა კი შენამდე არ აღწევს, რას გიყვები, არ გესმის. მშვიდად გძინავს და დილით არც გაგახსენდება, რომ დაგესიზმრე. ასე როგორ გამიმეტე? თითქოს არც ვყოფილვარ, არც გყვარებივარ...

გთხოვ, გამიხსენე, დამიბრუნე ჩემი სილამაზე. ხომ ყოველთვის გამხნევებდი? სულ შენთან ვიყავი, შენს გამო ვდარდობდი, ვტიროდი... გესმის ჩემი?! ეს მე ვარ, შენი ცისფერი ქალი, შენს ლურჯ ოთახში რომ ვეკიდე, ლურჯ კედელზე. შენს გარდა არავის ვყვარებივარ და არც მე მყვარებია სხვა. იქნებ გამიხსენო, სიზმარში მაინც ვიყოთ ერთად, მე ხომ შენ მიყვარხარ“.

მე და მაი გაოცებული შევცქეროდით ერთმანეთს. მონო-სპექტაკლი იყო. ასეთი რამ რადიოში ჯერ არ მოგვესმინა. მსახიობი ქალის ტემბრი სულში ჩაგვძრომოდა და ჩვენ-ჩვენი უსიამო მოგონებები ჩიტებივით წამოეშალ-წამოეფრთხიალებინა... ერთმანეთს ვეღარ ვუყურებდით... ფიქრების გამოქვაბულში დავეხეტებოდით...

საღამოვდებოდა. დარდს გვმატებდა ღიღილოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერი ცაც... რუხ ღრუბლებზე ბურთივით მოგორავდა წითელი მზე, თითქოს მატარებელს მოსდევდა... უფრო მეტად მოიჟამა სამყარო, თუმცა ფანჯარა მზემ ძოწისფრად ააელვარა.

და მე ვხედავდი, რომ_ის, სადღაც შორს, ცხრა მთას იქით, სამეფო სავარძელში იჯდა, თავზე მონატრების გვირგვინი ედგა და ერთგული კარისკაცის, წარსულის მიერ ლანგრით მირთმეულ ჩემს გულს წითელი ვაშლივით შეექცეოდა. დარბაზში რუხ სვეტებად აღმართულიყვნენ სიტყვები: "მიირთვით სიყვარული...

ხეები უკან გარბოდნენ, ფანჯარა კი წინ მიიჩქაროდა. წითელი მზე მოგვდევდა, სანამ დრო ჰქონდა. მაკაც გაქცეულ ხეებს გაჰყურებდა. ჩამთავლიმა. მტირალა, ლურჯ ზღვაში მდგარი ცისფერი ქალი დამესიზმრა, მერე ჩემი ბებია, მკაცრი თვალებით და თეთრი გადაწეული თმით... სასწრაფოდ გავიღვიძე და მაის გავხედე. შეშინებული, ახლად გაღვიძებული თვალები ჰქონდა. ამასობაში კი ჩვენი ფანჯარა გარუხებულიყო, მზე აღარსად ჩანდა და მატარებელი ცხვირჩამოშვებული იდგა სადგურში, ალბათ, მზეზე ნაწყენი.

ეს კოშმარული, შიშის მატარებელი იყო. თითქოს საშინელებათა ფილმის გმირები ვიყავით.

ნესტიანი ჰაერი ერთდროულად და ხარბად ჩავისუნთქეთ. ზღვის სუნი ნესტოებს მხიარულად მიელამუნა. მას მერე მატარებლით აღარ ვმგზავრობ.

უკუღმა

ცოტა ხნის წინ ახლობელი მესტუმრა, გაღიზიანებული იყო. კითხვაც არ დასჭირდა, ისე დაიწყო მოყოლა:

მარშრუტკის მძღოლმა ნერვები ისე მომიშალა... თავი მეზიზღება და ის ხომ ჭირივით მძულს. უკვე ჩავდიოდი, რომ:

– გააჩერეთ. ერთის აიღეთ.

მძღოლი: – ჩაბრძანდით, დაგპატიჟებთ.

– ბატონო? რატომ?

მძღოლი: – ჩაბრძანდით, არ მინდა.

მორცხვი ღიმილით მითხრა მარშრუტკის მძღოლმა, ასე ოცდათხუთმეტის იქნებოდა, – კეთილი სახე, ღიპი, დასაბანი თავი...

გაოცებული ჩამოვედი მარშრუტკიდან. ფიქრებში წავედი. უკან ვიჯექი, რომ ვიხსენებ, ერთხელაც არ მოუტრიალებია თავი. შეიძლება სარკიდან შემათვალიერა, რა ვიცი... და სურვილი გაუჩნდა, უბრალოდ, სიმპათია გამოეხატა, თორემ სხვა რისი იმედი უნდა ჰქონოდა?

შენს სადარბაზოში შემოვედი და კიბეზე ამოსვლა დავიწყე, ექვსი სართულის დრო მქონდა.

პირველი სართული:

„ნეტავ, ასეთი ადამიანები ყველგან იყვნენ. მაგალითად, პოლიტიკაში, ქვეყანა აშენდებოდა".

და უცებ წარმოვიდგინე ძვირფას კოსტუმ-ჰალსტუხში გამოწყობილი, კაბინეტში, ტყავისმაღალზურგიან სავარძელში, პრიალა მაგიდასთან და ტელეფონებით გარშემორტყმული ეს მძღოლი. გამიელვა:

„თუ უცხოს მიმართ სიმპათია გაუჩნდა და ზედ გადაჰყვა, გამოდის, თავისიანებს ააშენებს. იმ ადამიანებს კი, ვინც მისთვის სულერთია, რამეს გაუკეთებს? არა მგონია. არაა, პოლიტიკაში გულგრილობა არ შეიძლება, დიქტატურად გადაიქცევა".

მეორე სართული:

„თეთრხალათიანი ექიმი-მძღოლი ერთი პაციენტის საწოლთან დგას მორცხვი და მზრუნველი სახით. ზურგს უკან კი სხვა მკვნესარე პაციენტის საწოლი ჩანს. ზურგითაა! არაა! ექიმად მითუმეტეს – არა. კარგად არ უმკურნალებს მას, ვისზეც გული არ მისდის. ვინ იცის, უნებლიეთ რამდენს დაღუპავს. ასეთი ექიმი დასაჭერია! ისეთივე გულგრილი იქნება, როგორიც პოლიტიკოსობისას".

მესამე სართული:

„იურისტი-მძღოლი დიპლომატით ხელში. თუნდაც ადვოკატი. ვინც არ მოსწონს, არ დაიცავს მთელი თავისი შესაძლებლობით. რა გამოდის? ისევ სუბიექტურობა? არავითარ შემთხვევაში!"

მეოთხე სართული:

„სხვა რაღა დარჩა? დამლაგებლობა? მეეზოეობა? ჰო, კაი, მაგრამ, ვინც ესიმპათიურება, იმის წინ კარგად დაგვის და სხვები შედარებით ნაგავში იქნებიან, ხომ?"

მეხუთე სართული:

„გამოდის, თავის დანიშნულებას ასრულებს. სწორედაც რომ მარშრუტკის მძღოლი უნდა იყოს. მხოლოდ მძღოლი..."

მეექვსე სართული:

ამოვსულვარ, მაგრამ ზარს არ ვრეკავდი. ვიდექი და ვფიქრობდი. ცოტათი გაკვირვებული:

„რა გამოდის? ამ კაცს სიკეთის უფლება მხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლოდ მარშრუტკის მძღოლობისას აქვს? არა, ეხლა ნამეტნავად რადიკალური ვარ, მაგრამ სიკეთე ხომ პირველ რიგში ნეიტრალურობაა? ამ წუთასაც რადიკალურად ვფიქრობ იმიტომ, რომ, თუ სიკეთე ნეიტრალურობაა, გამოდის, ჩემი დაპატიჟება მისი მხრიდან სიკეთე არ იყო. მაშ, რაღა იყო? რა, სხვა მგზავრები დაჩაგრა? საკუთარი მოვალეობის შესრულება ჩაგვრა კი არა – კანონზომიერება და აუცილებლობაა.

მაშ, ჩემ მიმართ ანგარებამ სძლია? რა ანგარებაზეა ლაპარაკი, გოცების ანდაც, მაქსიმუმ, ზომიერი მადლიერების მეტს რომ არაფერს მიიღებდა, ხომ იცოდა? ე.ი. პირველ რიგში თავის თავს ასიამოვნა იმით, რომ პატარა კონტაქტი მაინც დაამყარა ჩემთან. მაგრამ რატომ? თითქოს ჯინზე...

მოიცა, მოიცა, სწორედაც რომ ჯინზე! რომც ყოფილიყო გაცნობის შესაძლებლობა, მაინც არ გავიცნობდი, ზედაც არ შევხედავდი. ეს მანაც გადასარევად იცის. ამიტომაც დამპატიჟა 50 თეთრზე და მაინც დამეკონტაქტა, ჯინზე! თავის თავს სურვილი აუსრულა! და რატომ გაუჩნდა ეს სურვილი? რა უნდა გასჩენოდა მარშრუტკის მძღოლს ქალის მიმართ?.. როგორც „ადამიანი" მოვეწონე? უცბად არ მიმხვდარიყო მძღოლი ჩემი აურის ანდაც გამომეტყველების მიხედვით, ცუდი ადამიანი ვარ თუ კარგი. თანაც უკან ვიჯექი. რა სისულელეა! გამოდის... ღმერთო ჩემო! ამ საღამოს ვიღაცა თავდაუბანელი მძღოლის ბინძური ფანტაზიის ობიექტი ვარ! ფუ, გული მერევა! შეიძლება გავგიჟდე! მე რა, ხორცი ვარ? რა ჯანდაბად მინდოდა მაგის ნაჩუქარი 50 თეთრი?! ვინ ეხვეწებოდა?! მანქანის ნომრისთვის მაინც შემეხედა, ვიპოვიდი და ერთი კარგად გამოვლანძღავდი. ფუ, როგორ მძულს ამ წუთას! თავხედი, გარყვნილი, ბინძური. როგორ მაკადრა!"

ისევ შარში ვარ...

Gmail rusamay@gmail.com settings/help/sign out

by Google | ჰოლანდიური ჰაშიში search Mail Search the Web

MailBack to Inbox spam delete labels move to actions

compose mail

Inbox
starred
Sent Mail
Drafts (2)
All Mail
Spam (4)
deleted (1)
fotos
Junk E-mail
4 more ▼

Chat:
rusa amirejibi

from: megobari@gmail.com to me show details 22 Oct. (2 days ago) ▼Reply

გონება მეწელებოდა. აზრები, კითხვები და პასუხები საშინელი სისწრაფით აწყდებოდნენ ენას, ერე კი ისე იძაგრებოდნენ, რომ ფორმას, ფერებს, შინაარსს კარგავდნენ და, ვიდრე ამოთქმას დავიწყებდი, თქმის დაწყებამდე უკვალოდ ქრებოდნენ. რჩებოდა მხოლოდ სიცარიელე – ნაცრისფერი, უჟანგბადო ვაკუუმის წრე, რომლის შუაგულში კოსმონავტივით დაკიდებული ტივტივებდა: „რისი თქმა მინდოდა?"

ბურუსის ფარად ეკიდა, რომლის უკან ის იჯდა. შევხედე და გაუცხოებამ ჰობივით გამიტაცა, ანდაც მუსიკასავით. ჩული იდგა, გონება გაუცხოებას ამუშავებდა:

„აუ, ეს ბიჭი მაღიზიანებს, რაღაცნაირია... საერთოდ ვინაა? იცნობ როო? ატომ ვარ ამასთან? ა მინდა? ა ვქნა? ავდგე და წავიდე? თუ დავიცადო? იქნებ ამ მდგომარეობის ბრალია? არ უნდა შემამჩნიოს!!!"

ჰაერიდან თითქოს ვიღაც ჟანგბადს ტუმბავდა. აზრები მეომრებივით მაწყდებოდნენ, მაგრამ შებრძოლების მაგივრად რატომღაც უკან გარბოდნენ:

„აღარ მინდა ასე, დავიღალე. ამ წუთას აზრი რომ ჰქონდეს, შველას მოვითხოვდი".

ჩემს თავში დავრბოდი, რაიმე ინტერესს ვეძებდი ყველა კუთხე-კუნჭულში და ორმოში ვიყურებოდი. ნაცრისფერი იდგა ირგვლივ და ჩემში. არანაირი არაფერი, მხოლოდ სრული უშინაარსობა და ბინდი. ნეტავი, სიბნელე ყოფილიყო, აზრები მეტეორებივით გაანათებდნენ, რადგან მეტეორულად დაჰქროდნენ ტვინში; გაანათებდნენ და რაიმეს მაინც დავინახავდი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იქნებ ახლად თვალახელილი ბრმასავით ვარ და, უბრალოდ, ვერ ვცნობ??? არავინ ვარ, მხოლოდ სხეული, არა, – ლეში!“

ლეშივით ვიდე სავარძელზე და ყორანივით მძიძგნიდა ყველაფრის მობეზრება. ის კი ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა... მე არ მესმოდა...

„ყრუც ვარ“.

ვითომ ვუსმენდი დარჩეს და უცებ სახე კალგოტკასავით ჩამოეჩაჩა.

„ღმერთო, მიშველე, რა�ა“.

შემეშინდა და ისევ ჩემს თავზე გადავერთე. ფიზიკურად ვგრძნობდი, როგორ იხოცებოდნენ ერთიმეორის მიყოლებით ტვინის უჯრედები. ყოველ წამს იზრდებოდა ჩემს გონებაში გაბუჟებული სიცარიელე.

უცებ ჭიქაზე კოღო დაჯდა. რატომღაც გამიხარდა და მერე გამიკვირდა, წესით, მე უნდა დამჯდომოდა, ანდაც მას. ფეხების დათვლა დავუწყე:

„მგონი ხუთი აქვს. რა საზიზღარი სიფათი ჰქონია“.

აფრინდა. თვალი გავაყოლე. თან ბზუოდა. პირველად მესიამოვნა ბზუილი:

„არ დავყრუებულვარ“.

ჯერ კარადასთან მიფრინდა. ერთხანს იქ იტრიალა წრიულად. ახლა უკვე თავსაც ვაყოლებდი. ალბათ, საინტერესო ვერაფერი ნახა და ჭაღისკენ გაფრინდა, მაგრამ, ეტყობა, ნათურის სიმხურვალე არ ესიამოვნა და ფანჯრისკენ დაგაზა. ცოტა ხანს მინაზე იჯდა.

„მინა ხომ ცივია? რა, კოღოებს სიცივე მოსწონთ?“

ღია ფანჯრიდან გაფრინდა და ისევ დამეწყო საკუთარი თავის შიში.

ის აღარ ლაპარაკობდა, შეიძლება მანაც კოღოს სდია. ირგვლივ ისევ ისე: ბურუსი, უაზრობა.

„არ ვიცი, რაზე ვიფიქრო, რომ გავერთო...

კი, მაგრამ მაინც რატომ ვარ ამასთან?..“

ვუყურებდი და უცებ გულმა თბობა დაიწყო, რაღაცით მევსებოდა.

„რატომ? რა ხდება? რა უცნაურია...“

თითქოს ვიღაცამ ღილაკს თითი მიაჭირა და ასოციაციური მეხსიერება ჩამირთო:

„ააა... მგონი, ვიღაცას ვამსგავსებ... თანაც თითქოს ბედნიერი ვარ...

კი მაგრამ, რა ხდება?

რა ნაცნობი გრძნობაა, დეჟავუა? თითქოს ბავშვობიდანაა...“

მოულოდნელად შემაყანყალა, რაღაცამ ამიტაცა და სადღაც გამტყორცნა. ჩემი ყოფილი მეზობლის, ლამზირა დეიდას სააბაზანოში აღმოვჩნდი:

თეთრი კაფელი წითელი ყვავილებით.

ლამზირა დეიდა – ყავისფერი უკანგადაწეული თმით და წითელი პომადით.

სააბაზანოდან გამოვედი და ვიღაცების ხმებისკენ წავედი.

ვხედავ:

(ფრაგმენტი I)

4 წლისა ვარ, „ჯონ დო“ მინანავებს, მკლავებით აქეთ-იქით მაქანავებს. მაძინებს: „ნანა, ნანა, ნა-ნე-ბიიი“. მეც ტკბილ ბურუსში ვეხვევი და ვერც ვგრძნობ, ისე მეპარება... ლამზირა დეიდა და ბებიაჩემი ხმამაღლა იცინიან და მეღვიძება. მრცხვენია და ოთახიდან ჩასველებული გავრბივარ. არადა, რა კარგი იყო, ცხვირში ნაცნობი სუნი მიღიტინებდა, ყურებში მისი ხმა მესმოდა. მე კიდევ ჩავიფსი!“

სადარბაზოში გავედი, კიბეზე ჩავირბინე და ახლა ეზოში აღმოვჩნდი. ჩემს თავს ვუყურებ:

(ფრაგმენტი II)

ეზოში ვთამაშობ ბავშვებთან. „ჯონ დო“ მოდის და ველოსიპედით სასეირნოდ მივყავარ. დიდი ბიჭია, სკოლა უკვე დაამთავრა, მე კიდევ ჯერ პირველ კლასში ვარ! როდის გავიზრდები, რაა, რომ ტოლები ვიყოთ. „აუუუ, ვაიიი, ვაიიი, თითიიი, გააჩერე, თითიიი“.

შადრევანზე მბანს სისხლიან ფეხს. ამაყად ვიყურები აქეთ-იქით. სისხლი მდის – გმირი ვარ! თანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მბანს. აი, ბავშვები მხედავენ და შურთ. მისი ყველას ეშინია უბანში. ხელში აყვანილი მივყავარ ჩვენი სადარბაზოსკენ. ლოყაზე მკოცნის. ბედნიერი ვარ, კმაყოფილი, გაბღენძილი და ამაყი. სახლში ვთქვი, რომ წავიქეცი.

გაზანზარდა და მე ჩვენი კორპუსის უკან ამოვყავი თავი:

(ფრაგმენტი III)

უბნელი ბიჭი მაბრაზებს. „ჯონ დო" ორმოს თხრის და უბრძანებს, თავი ჩაყოს. მერე მიწას აყრის. ბიჭი უთავოდ წევს. სულაც არ მეცოდება და არც მეშინია. პირველად ვხედავ უთავო ადამიანს. ათავისუფლებს და მერელა მეცოდება, ისეთი სახე აქვს. ოღონდ არ ვთქვი: „სხვა დროს რომ აღარ დამიცვას?"

უცებ განგაში ვიგრძენი. გული აბრახუნდა, თითქოს წნევა ამივარდა. კიბე ავირბინე და ლამზირას ბინაში შევვარდი.

(ფრაგმენტი IV)

„ტახტზე ვგდივარ გულაღმა და ხოჭოსავით ვფართხალებ, ვყვირი, ხელ-ფეხს ვიქნევ, რადგან „ჯონ დო" ცდილობს, ტრუსი გამხადოს. ცუდი გამომეტყველება აქვს, ამიტომ მეშინია და ფეხებს ვუშენ. ვგრძნობ, რაღაც ცუდს მიპირებს. ჩემი წიხლი სახეში ხვდება და გულაღმა ეცემა".

სისხლი თითქოს მიდედდება, თვალები გადმოკარკლული მაქვს, პირს ვაღებ, რომ დავიღრიალო, მაგრამ ისევ რაღაც მეცა, ამიტაცა და გამიქნია. სავარძელში ჩავებერტე. მიმოვიხედე. აზრზე მოვდივარ. შოკში ვვარდები:

„ნუთუ?.. ღმეთო ჩემო, ეს ხომ საერთოდ არ მახსოვდა. მე მეგონა, რომ... ნეტავი, თუ მიქნა რამე? ღმერთო, ნუთუ რამე მიქნა?"

უცებ გამახსენდა, რომ ოთახში ის იყო. გამიელვა, რომ თითქოს რაღაცას მივხვდი. ის იჯდა და ისევ ლაპარაკობდა. თვალებმოჭუტული ვუყურებდი და ჩემში თითქოს კარი გაიღო:

„ღმერთო, ეს რა არის?.. როგორ ჰგავს ეს „ჯონ დო," ექვსი წლისას რომ მიყვარდა და მოკლეს. ღმერთო, მოკლეს! ვაიმე, მოკლეს! ახლა მახსენდება ლამზირა დეიდა გაწეწილი თმით და გადღაბნილი წითელი პომადით. ჩემი თავიც. მაგიდის ქვეშ ვზივარ, წვინტლი და ცრემლი არეული ჩამომდის სახეზე და არ ვიცი, რატომ ვბღავი, ალბათ სიხარულისგან... ახლა ამას ვუყურებ და მგონია, რომ წინ „ჯონ დო" მიზის. როგორ ჰგავს, თურმე რა ძალიან ჰგავს... მეშინია..."

შიშისგან თავში ყველაფერი დალაგდა:

„მივხვდი! მივხვდი! ეს დამპალი მეორედ მოვიდა. ახლა ხომ ვართ ტოლები! აი, თურმე რატომ ვარ ამასთან... აი თურმე რამ მიმიზიდა ქვეშეუცნობლად. შურისძიებამ! ახლა შანსი მაქვს, ჯავრი ვიყარო! "

წამოვდექი, არაყის ბოთლი ავიღე და თავში ჩარტყმას ვუპირებდი, რომ მოულოდნელად საშინელი ეჭვი შემერჭო. გონება მტკივნეული სისწრაფით აწარმოებდა აზრებს:

„ასე რომ არ იყოს? იქნებ ეს ყველაფერი მეჩვენება? იქნებ ვერ ვარკვევ, რომელია რეალობა და რომელი ილუზია? უკვე ფხიზელი ვარ თუ ისევ ისე?.. ეს თუ ილუზიაა, ვაითუ ამ ბიჭს ტყუილად ვერჩი? და, საერთოდ, იქნებ ის ყველაფერი, რაც გამახსენდა, ჩემი ფანტაზიის ნაყოფია ანდაც ჰალუცინაცია?

ფხიზელმა ეს ყველაფერი რომ ავიკვიატო და სინამდვილე დავკარგო? როგორ გავიგო, ის მოხდა თუ არა?

ნეტავ, მშობლებს მოვუყევი? რომ ვკითხო და ტყუილი აღმოჩნდეს, ხომ გულები დაუსკდებათ? და რა ვთქვა მერე, ჰოლანდიური ჰაშიში მოვწიე და ჰალუცინაცია იყო, არ ინერვიულოთ-მეთქი?

ღმერთო, ეს რა სისულელე ჩავიდინე. რად მინდოდა, რას მოვწიე! დამთავრდა ჩემი უდარდელი ცხოვრება.

იქნებ ექიმთან წავიდე და შევიტყო, ვარ თუ არა ქალიშვილი? და, რომ არ აღმოვჩნდე, როგორ გავაგრძელო ცხოვრება? ძალიან მინდა, რომ ეს ყველაფერი ჰალუცინაცია იყოს. არა, ვერ წავალ ექიმთან. არ შემიძლია! მირჩევნია, არ ვიცოდე! და რა გამოდის, რაც ძალიან მინდა ვიცოდე, იმისი მეშინია? ჰაშიში რომ მოვწიე? ცოტათი მეშინოდა, მაგრამ მაინც ხომ მოვწიე?! ფუუ! ასეც მომიხდება! არ უნდა მომეწია! ღირსი ვარ! რა საჭირო იყო, ჩამედინა შეცდომა, როცა თავიდანვე ვიცოდი, რომ შეცდომა იყო, თუნდაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიველი და უკანასკნელი?! ახია ჩემზე!"

ბოთლიანად კარისკენ წავედი, უფრო სწორად, გავფორთხდი. ერთხელაც მივიხედე უკან და ადგილზე გავცივდი! ის იატაკზე ეგდო და თავიდან სისხლი სდიოდა.

ისევ გამეყინა ძარღვებში სისხლი. ახლოს მისვლის შემეშინდა. სისხლის დანახვაზე თავბრუ დამეხვა და სასტუმროდან თვალდაბნელებული ყანყალით გავვარდი. ტაქსი გავაჩერე და უყოყმანოდ მივედი პოლიციაში. ყველაფერი მოვყევი და, მათთან ერთად სასტუმროში რომ დავბრუნდი, ნომერში არავინ იყო, არც სისხლის კვალი და ბოთლიც უვნებელი იდგა მაგიდაზე. იყო მხოლოდ სიგარეტის ნამწვები და მოსაწევის სუნი.

მე ჩემსას ვამტკიცებდი, მაგრამ ბოდვად ჩამითვალეს და ნარკოტიკის მოხმარების გამო დამაჯარიმეს!

დღემდე არ ვიცი, ბოთლი მართლა ჩავარტი და გონზე მოსულმა იქაურობა დატოვა თუ მომელანდა და ის უბრალოდ ადგა და სახლში წავიდა. მართლა მოხდა ის ამბავი ბავშვობაში თუ ყველაფერი ჰოლანდიური ჰაშიშის ბრალი იყო. არ ვიცი, არაფერი ვიცი... იმის გარდა, რომ მას მერე შიშები დამჩემდა და თავს აღარ ვენდობი – თითქოს დავმახინჯდი...

ამ ყველაფრის გამო დეპრესია მაქვს. არ ვიცი, თავი როგორ დავაღწიო. შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ და ამიტომ გენდობი. ნეტავ, აქ იყო. ველი შენს წერილს და, საერთოდ, მალე ჩამოდი, რა.

--- Original Message ---
From: megobari@gmail.com
Received: 9/26/10 4:06:32
To:rusamay@gmail.com
Subject:**ჰოლანდიური ჰაშიში.**

←Reply →Forward

MailBack to Inbox | spam | delete | labels | move to

ვზივარ და ვფიქრობ, რა მივწერო? ვიცი, უნდა დავამშვიდო, მაგრამ ამ ადამიანს არ ვიცნობ, უბრალოდ, ემაილი შეეშალა, ალბათ, ასო მიამატა ანდა გამორჩა... საოცარი ამბავი კი მოვისმინე. ბოლოში რომ ჩავედი, სიბრალული ვიგრძენი. მერე რა, რომ არ ვიცნობ, მაინც მივწერ, რომ ფხიზელი რეალობა უფრო საინტერესოა, ვიდრე წინასწარგანზრახული შეცდომებით კაიფი.



ემზარ კვიტაიშვილი

ბებერი მეოცნებე

წლებია, აღარ მინახავს
თამარაშენი, რუისი...
გული მთხოვს, გავიმეორო
რობინზონ კრუზოს კრუიზი.

ტალღის შიშინი. მახარებს
ველურთა როკვა ლანდებად...
მკვნესარე შუაღამეში
კოცონის მიყვარს დანთება.

კარავში კევი ვღეჭო და
გავერთო პარასკევათი;
თუკი აცივდა, საზამთროდ
მღვიმეც მოვიწყო, ტევადი.

არ ვითაკილებ, ჩავიცვა
ტანისამოსი მე ძველი,
ვიწვალებ, ექვთიმესავით,
თხაც მეყოლება, მეწველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანას მივხედავ, ცოდვებით
არ დავამძიმებ იმ ედემს;
თოფს არ ავიღებ, სატყვიედ
სულიერს არ გავიმეტებ.

თვით შემომიტევს, დამტორავს,
აფთრის დამეძებს თათები...
უცნაურ მოგზაურობის
ჟამიც დგას, გავემზადები!

ყელის გამგუდავი საგოდებელი

მაპობს ტკივილი მახვილზე მკვეთრი
მათი, სამზეოს ვინაც მოცილდა,
მიწაში მყოფთა მატირებს ხვედრი,
აღარ მასვენებს სვე დახოცილთა.

ულვთოდ ჩააქრე რამდენი მზერა,
მომწყდი, ნაღველო, წარუხოცელო,
უბედურება მზარავს და მსერავს
მათიც, ვინც აწი უნდა მოცელო.

ჩამწარებული ზაფხული

ფრიდონ ხალვაშის დაღუპვაზე

მიყუდებულს კედელზე
ვხედავ ჯოხს და აქანდაზს...
ყველაფერი თავდება,
თავი თუ გადაქანდა.

სიხარულთა, ჩავლილთა,
სად ვეძებო მე წილი,
რაღამ შეკრას ის თაღი,
ჩამოშლილ-ჩალეწილი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწუხარებას, ზედიზედს,
ჰქონებია რა ძალა!..
ძმა, უფროსი, სიკვდილმა
გვერდიდან ამაცალა.

მადლი სიკეთისა

„დიდო ალაზნის ქალაო,“
ცაში აჭრილო მთანო,
სოლომონ სამხარაულის
სიკვდილს აქამდე ვნანობ.

მე და ჩემს გივის, გეგეჭკორს,
მაღლა, სიღნაღის კართან,
რა ზღაპარივით სამხარი,
რა ლხინი გაგვიმართა!

რამ გააშავა ის ბაგე,
ღიმილით გაპობილი,
მხოლოდ ხსოვნაში კიაფობს –
გვერდულად – ოქროს კბილი.

გამდნარი სიმღერა

ნეტარებდა გიტარა,
ვჭვრეტდი თვალთა ბრიალს...
მაბრუებდა, მღეროდა
შოთა ჭუბაბრია.

მომიტანეს ამბავი,
გული შეკრთა მაშინ...
ყვავმა ბუდე ჩაფინა
შავ, ხუჭუჭა თმაში.

აქერონის ქარების
გაჰყოლოდა სისინს...
სანახევროდ გალაგდნენ
ძმაკაცები მისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერ დაითვლი – ვის, რამდენს
ნთქავს ქვესკნელის ძაბრი...
ვწუხვარ, აღარ ბრიალებს
ცხელი მზერა ბაბრის.

ტარი ვინ მოგამტვრია,
რამ ჩაგიქრო კვესი?
აღარ ტირი, გიტარავ,
ჩუმადაც არ კვნესი...

მხატვართა ცხოვრებიდან

კარელ ვან მანდერი

უცხო მშვენიერებას
მათ დაუდეს სათავე –
დიურერი, კრანახი,
ვხედავ, ერთურთს ხატავენ.

მოედანი შეხვედრის
ძველი ანტვერპენია;
მარჯვენაზე ორივეს
უფლის მადლი ჰფენია.

ცის გაუყვნენ ბილიკებს,
ჟამი ვის არ მიდენის...
ასე გადაეჯაჭვა
ნიურნბერგს ლეიდენი.

სავალდებულო რიტუალი

ლენტმიკრული გვირგვინები,
მერსედესი, ფიაკრი...
კაცს რომ დაფლავთ შავ მიწაში,
ყვავილებს რო მიაყრით –
ჭირის სუფრას მიუსხდებით
მერე დასანაყრებლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ არ მოგიხსენიოთ
საიქიოს მაყრებად?!

გვმასპინძლობენ რესტორნები:
„იმერეთი," „გურია..."
ყოფა ჩვენი, ბატონებო,
ტრაგიკომიკურია.

სექტემბერიც ჩამოცლაზეა

ვატყობ, უტყუარია
შემოდგომის გეში,
წითელ-ყვითელ ფოთლების
დაიწყება თქეში.

წელში გავიმართები,
მისი მომცა ძალა;
ხელს აშველებს, დაჰყვება
ქარი, მაწანწალა.

რის აღარ ხარ მნახველი,
მახვილს რისთვის ლესავ?!
დაგითმია ბევრი რამ,
დათმობ სიცოცხლესაც.

ლელვი, თაფლად ქცეული,
იცრემლება, ტირის;
წაბლმაც უკვე გადახსნა
ეკლიანი პირი.

ცეცხლი გელის, ვენახის
წალამო თუ წკირო...
ჯობს, მწიფეს და ნაირფერს,
ისევ ხილს უცქირო.

ზაფრას შეგყრის ყურება –
სისხლის ღვრათა, ომთა;
მოგვადგება ზამთარიც,
ზღმარტლი თუ დაცომდა.

ცისკარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის მიწურული

არ მბეზრდება ქარვისფერი
ფოთოლცვენის სონატა,
აჭრელებულ შემოდგომის
დავდგებოდი მონადა.

კვირა დღეა, ნურვის უკვირს –
რატომ უმზერს ხარბადო;
ვერაფერი შეგედრება,
ნეკერჩხალის ფარფატო!

მისრიალებს, თვალწინ დნება
სასწაული, ხილული,
სხვანაირად მიყვარს მუხის
ფოთოლიც, დაკბილული.

საშოგაო სამზადისი

ზამთრის მჭირდება შესამოსელი
განაპირებულს, დასჯილს...
მომიხდებოდა ჭადრის ფოთლების
სპილენძისფერი პლაშჩი.

კვახს, ყუნწმოკვეთილს, ამოვქუთნიდი,
ხელთ მექნებოდა თასი;
დამიფარავდა ცხვირსა და ნიკაპს
ნიღაბი ბუერასი.

ქარვად ანთებულ ვაზის ფოთოლთა
მოვიზომებდი ჟილეტს...
დამინახავდნენ და კარნავალის
ჩამთვლიდნენ მონაწილედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივეჩვიე

ძველის გახსენება

იოლია ყველაფრიდან
ჩემი გამოტოვება;
ვიცი, არ დამიმახსოვრებს
ეს ხეც, მაღალრტოება.

უკვდავებას ინაღდებენ...
რა კუნტრუში ჩაღდება!
მე თვითონაც არაფრად ვთვლი
მათგან არად ჩაგდებას.

მცელავს ჟამი,
სად მცალია
ბნელში დასაბუდარად...
დავიწყების, უთვალავი,
იკერება სუდარა.

საფლავს ამაშორებდე და
თუნდ დამფლითონ ძაღლებმა;
თქმით ვერ ვამბობ – უფრო მეტად
სხვა რამე მენაღვლება.

დახშული ხეობიდან გაღწევა

ძილის ლაბირინთები

ნატრულობ აისს, ანთებულს ძოწად,
არ გინდა, გაჰყვე ბილიკს, გატკეპნილს...
ბედნიერი ხარ ათასჯერ, როცა
თვითონ არ იცი, რას მიადგები.

აწანწკარებულს გაივლი წკვარამს,
ფარულ პწკარების გახსოვს თვისება –
სამყარო, ზღაპრულ ზარდახშის დარად,
ბროწეულივით გადაიხსნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაოგნებულის ვაება

ტანს იქნევენ და ბუქნავენ
ტავერნები, დუქნები...
გულს მაკლია, რამდენი რა
დამრჩება მიუგნები.

ვინ იპოვის, მე რომ სიტყვა
სიტყვასთან ვერ დავწინდე?
ძველს არ ვჩივი, ვეღარაფერს
მოვუხერხებ აწინდელს,
ცოდვა კი ვარ, მიწაში მწოლს
გადუღებლად მაწვიმდეს...

ვერ გივიწყებ

ქ. ვ-ძე

იყავი. არსად არ ხარ.
რა მოხდებოდა მეტი?!
სულს, ამოხდენილს, თვალი
თუ გააყოლე, ქეთი?!

დაგატარებდა ნეტარს,
როგორ ვთქვა მისი ძვირი?
წუხელ მესიზმრა – ზამთრის
ქარზე საბრალოდ ტირის...

ყელს რომ გაშორდა გედის,
თუ შეიშმუშნა ცოტა?
ცას მიაშურა შიშველს,
სხვაგან სად წავიდოდა?!

შროშანს – რიჟრაჟის ნამი,
ღელეს უხდება კბოდე...
ვეღარ ვისვენებ, თითქოს
მარტო მე დამკარგვოდე.

„აზიზი მაწანწალა,"
სად ეხეტება, ქეთი?
რომ გაგეცალა, შეცდა,
ვის ნახავს შენზე კეთილს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

განწირული მშვენიერება

შენ სულს რომ გავდევნებოდი,
ფსკერს ჩავაღწევდი ძაბრის;
ტრიალ მინდორზე გასული
ხეს მოვძებნიდი ზღაპრის.

ბედი თუ მექნა, მოუქნელს,
ცა თუ არ ჩამომიმხეს;
ქერუბიმს შეშურდებოდა,
ისე მოვირთავდი იმ ხეს.

თავს არ დავზოგავ, ხმა ესმათ
ფშანში ყვავილთა ფშვენის...
ვარსკვლავს, თვითეულს, თვალები
უნდა ჩავუსვა შენი.

მწამს, აგაყვავებ, ოსტატთა
მივყვები წესს და ადათს;
მიწაზე მოსიარულეს,
იხილონ, გჭვრეტდი რადაც.

წამიერად მომელანდე

დასრულდა უცხო თამაში,
სრიალი დალალ-კავთა;
ის შენი გავლა ღამეში,
ვარსკვლავის ფრენას გავდა.

შეტოკდა სიზმრის ხარიხა,
ვწუხდი – არ გაელვიძოს,
დამბრუნებელი არ იყავ,
ისე აშორდი მიწას.

მოკვდავთა თვალში ილევი,
ოქროს ხომლს მიემატე;
ვიზოგავთ დარჩენილები
შენს დატოვებულ ნათელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუხრანის წასვლა

ყველაზე მძიმე ტვირთით,
ყველაზე
ხიფათიანი გზებით წინ მავალს,
დღეს ძლივსღა აგაქვს გული სცენაზე,
ეგ ხმა, მქუხარეც,
რომ ვერ გვიმალავს.
და უცაბედად ქრება სინათლე
და მერე სულ სხვა შუქით ნათდები,
რადგან შენს ნანატრ შამქორისაკენ
მთაწმინდის გავლით მიემართები.

ნარეკლიანი ცხოვრების ბალადა

ნარეკლიანშიც მე ფეხშიშველი დავტანტალებდი მთელ ცისმარე დღეს,
მერე – საღამოს ცეცხლივით მწვავდა დაეკლილ ფეხებ-წვივებს იოდი,
ივლის-აგვისტოს დავატარებდი მოუშორებელ სიშავგვრემანედ
და თვიდან თვისკენ, და წლიდან წლისკენ დროს მოვყვებოდი და მოვდიოდი.
მზე ვარვარებდა საშუადღეო და ხვატ-ალმური მინდვრებზე თრთოდა,
ამ ხანძრის ფერფლს და ალისფერს ეპყრა ყველა სიმაღლე ანთუ ზეკარი.

ცისკარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანზორ ამუღაშვილი

ყოველ სხივს თითქოს გაავებული, წვერწალესილი სიბასრე ჰქონდა
და სისხლის წყურვილს, ასეთ დროს უფრო, ვერად იკლავდა ის ნარ-ეკალი...
სამწუხაროდ კი, მათ ჯიშს და ჯილაგს უჭირავს ჩვენი ქვეყანა მთელი
და მათგან ულვთოდ დაღვრილი სისხლის ვერც პროტესტი სჭრის, ვერც საჩივარი.
თუმც ფეხშიშველი აღარ დავდივარ, მაგრამ მე მაინც ვერაფერს მშველის,
რადგან რუსთაველზეც ვერ იჭერს ეკალს ეს ფეხსაცმელიც სქელლანჩიანი.

თუ მივაღწიე...

ვინ მომახარებს ახალ გაზაფხულს
ან გულის თრთოლას მალულ მანიშნებს;
დაღესტნის მთებით ნახაზ ჰორიზონტს
ალისფრად სხვა ვინ მომიზარნიშებს...
ეს შემცივნება ვინ განმაშოროს,
როცა დეკემბრის ყინვა დამწვეთავს,
ვინ ანუგეშებს ამ უსასოო,
ამ ჩემს გულისმფლეთ სასონარკვეთას...
სად ჩაილია იგი შუადღე,
ოქროს წვიმად რომ ჩამოთქარუნდა...
გაზაფხულს ვიგლოვ... გაზაფხულამდე
თუ მივაღწიე, რაღა თქმა უნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბერის შიშით...

განგებავ, სხვა რამ
არ მინდა,
სიცოცხლით არ გამაბრუო,
სიკვდილის მერე, თავიდან,
აქ ისევ არ დამაბრუნო.
მიწად მყავ – ქართლის ფერებად,
თიხას სული არ ჩამბერო,
მე ერთხელ დამაბერე და
მეორედ არ დამაბერო.

„ურმული“

ვის „ურმული“ დაეკარგა –
სიმღერაზე მეტი,
აღზევნისკენ მიმავალთა მათევარი ღამის,
ცრემლი მისდევს, ლოცვა მისდევს
დანაღვლებულ დედის
და მარილის მომლოდინე ხარ-ირემიც ბღავის.
უურმულოდ დარჩენილი მარტო შერჩა ღამეს,
მიდგა-მოდგა, მაგრამ ჩქამიც
არსაიდან ესმა,
ცას ახედა, რას ეტყოდა მილეული მთვარე,
ვის „ურმული“ დაეკარგა – შუაღამის კვნესა...
გულისმომკვლელ სიმღერაზე
სხვას ვერაფერს გეტყვით,
უსასრულო გზას და სივრცეს
ქვაგულიც რომ უკლა,
თუ „ურმული“ არ წაგიძღვა მეგზურზედაც მეტი,
აღზევნიდან ვეღარავინ ვერ ბრუნდება უკან.

ღვთისგან განდგომა

ამ ხესთან ადამს რა უნდა,
იმ ხესთან ევა თუ არი...
ღვთის სიტყვას ცოლი განუდგა,
ქმარმაც ვეღარ თქვა უარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით მე, იმ ადამს ყველა ჰგავს,
ცოდვისთვის ყველა მზად არი,
მოტყუებული ევასგან
მილიონობით ადამი.

„მე შენ მიყვარხარ...“

გამოუკეტავს ბნელ საკანში
სულ სამი სიტყვა
პურიტანიზმის რაღაც მორალს –
მზის ნათლის მნაყავს...
დღეს ინკვიზიტორს დასასჯელად
ის სამი მიჰყავს
და ღვთის სახელით მობრიალე კოცონზე
აჰყავს.
მაგრამ არ იწვის, ამის მოწმე
მე თავად ვიყავ,
სამი რამ თრთოლა, სულ ადვილად
თვალში საცემი,
სამი ტუსაღი, სამი ნაზი სხივმფენი
სამოთხის ბაღში თავად სიტყვა, უფლის
აღმონაცენი.

●

იმ სოფლით მოველ ამ სოფელს,
იმ დაბას წავალ ამ დაბით.
ნეტავი, სად არ დამცოფეს,
გზას მისურვებდნენ ჯანდაბის.
თუმც გულმოკლული, ნაისრი,
ცაშიც ზედმეტი ვიყავი
და მაინც ყველგან მაისის
მე ჩემი ვარდი მიყვავის.

მაინც სიცოცხლე...

უარმიყვია სიცოცხლეც ზოგჯერ
და მაინც გულის გული მამხელდა:
ჩემს სულს მიწისკენ გაუწევს
გული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციდან რომ ქვემოთ გადმოახედა...
ხოლო მიწისქვეშ ხორცი ცოდვილი
თუნდაც რამ მბანგველ ურჟოლას
იგრძნობდეს,
მაინც შემოგთხოვს – მიეცეს ძალა
მიწის შავ საბანს გადაიძრობდეს
და ამოხედოს მზეს მოყვავილეს,
მზეთუნახავი იხილოს ქალი
და ცის და მიწის ფერად სივრცეებს
კვლავ მღელვარებით შეავლოს
თვალი.

დროის თვალთმაქცობა

მაცდურად მჭვრეტდი ოქროს ზოდივით,
მეც, ხარბი, მზერას ვერ გაცილებდი,
შენი წყალობის მავსე ლოდინით
და ჩაუქრობი მენთო იმედი.
ყოველდღე თითქოს ჩემს თავს
მაცნობდი,
თითქოს ცივ ნიავს არ მაკარებდი,
მაგრამ, თურმეღა, შენი
ღვარცოფით
არყოფნისაკენ მიმაქანებდი.

უკვდავებასთან სტუმრობა

შევხვდი მაისს – ისეთნაირ
ბანოვანს,
ტარიელის ცრემლით უნდა ნამო.
ის მაისი თუკი ისევ არ მოვა,
იმ მაისთან ჩვენ წავიდეთ, წამო...
აღარც მახსოვს, გულო,
როდის ხარობდი
ამქვეყნიურ სიამეთა გამო,
სიხარული თუკი ჩვენთან
არ მოდის,
სიხარულთან ჩვენ წავიდეთ, წამო.
ოქროს ჩიტის მესმის
სხვისთვის გალობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსასმენად, მართლაცადა, ამო,
სიყვარული თუკი ისევ არ მოვა,
სიყვარულთან ჩვენ წავიდეთ,
წამო.
ნეტავ, ჩვენი გაიხსნება ცა როდის,
აღმაფრენის დიდებულო წამო,
რუსთაველი თუკი ჩვენთან არ მოდის,
რუსთაველთან ჩვენ წავიდეთ,
წამო!

ჩვენი დასატირი

ძველებურად გული უკვე
არ უძგერს,
ვის მოგვენდო ანთუ
ვის გვეთაყვანა,
ამ ჯოჯოხეთს, ნეტავ, როგორ
გაუძლებს
ჩვენი თავგზააბნეული ქვეყანა.
მუდამ მასაზრდოებელი ნაყოფის
გამომტანი – ვერსად ვნახე
მე ყანა,
ან სადამდე გამძლებია ამ ყოფის
ჩვენი უღვთოდ დაფლეთილი ქვეყანა.

ენგურო...

სისხლით შეღებილ ღამეთა ნათევი ხარ,
ხვალ შენ ჯიშის ცვლას სხვა ხერხით
დაგიწყებენ,
მაგრამ თავად იცი –
ნაღდი ქართველი ხარ
და ქართულს, აბა, ვით გადაგავიწყებენ.
ისევ შენ, ამა ცის ფერსავსე ცისკარო,
სიტყვავ შენ – ქართულო, უტკბესო
მეგრულო,
ვის ძალუძს, ტყვედმყოფი ჩრდილოეთს
მიგგვარონ
და დამდორებული გადაგა –
ენგურონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ფერმრავლობა ამა ქვეყნის რომ არა,
ვარსკვლავები გულზე თუ არ გეყარა,
ტრფობამ თვალი ცრემლით
თუ არ მონამა,
როგორ უნდა შეგიყვარდეს ქვეყანა.
უქრობელი მზის და მთვარის
მე – შვილმა,
მონუსხულმა კვლავაც ია-ენძელით,
მზე – ნესტანის სიყვარულით
შეშლილმა,
სიძულვილი ვერავისი შევძელი.

●

ციალა არდაშელიას

აი, ეს ტყვია, ის ტყვია,
ღმერთო, რას აღარ იტყვიან;
ხან ისეთ რამეს გავიგებ,
თავში რომ ხელი მირტყია...
ეს ტრაგიკული თეატრი
ტაკიმასხრული ფლირტია.
ვაიმე, მე რომ მენატვრის,
ნეტავ, სად არის ის ტყვია.

დაბრუნება

უკვე ქვეყანას სახე შავი ჯანღით
ებურვის,
ქაოსში სუსტი გულისცემა
დამირჩა მარტო.
უკან ვბრუნდები ყველა ომში
დამარცხებული
და დაწყევლილი
სანატრელსაც აღარას ვნატრობ...
მოგრეხილი აქვს ჩემს იმედებს
უკვე კისერი,
დღე არ მხვდა ერთიც მოსალბუნე
და მადლცხებული
და გაღვივებულ ნაკვერჩხლიან გზით –
ფეხშიშველი
უკან ვბრუნდები ყველა ომში
დამარცხებული.

ცისკარი

მესი ხვედელიძე

კალიფსოს გამოქვაბული

ტელემოთხრობა

გზა

ჩართვა პირველი

– მიუვალი და იდუმალი ადგილები, მათი მონახულება და ტელეკამერით აღნუსხვა ჩვენი ტელეპროექტის პრიორიტეტული მიმართულებაა. სწორედ ამ მიზნით ყოველი თვის ბოლო პარასკევს ჩვენ, გადაცემა „მისია," გავდივართ ტელეექსპედიციაში, რომელშიც მთელი ტელეჯგუფი მონაწილეობს. ნებისმიერი მიუვალი და იდუმალი ადგილისკენ სვლა ჩვენი ლურჯი „რაფით" ხდება. მის საჭეს მუდამ ძია რომანი ამშვენებს. ძია რომანი ჩვენი კეთილი, ულვაშა ძია და მარადი თამადაა. ექსპედიციის წარმატებით დასრულებისას, და იგი, როგორც წესი, წარმატებით სრულდება ყოველ ჯერზე, სწორედ ბატონი რომანი უძღვება ჩვენს შინაურულ, საზეიმო სუფრას, ოღონდ, როგორც ტელეექსპედიციის ტრადიცია ითხოვს — მისი სასმისი სავსეა ხოლმე მხოლოდ და მხოლოდ წყლით. ძია რომან, რას იტყოდით ამ ტელეპროექტის შესახებ?

– მე, შვილებო, ბევრი მინახავს: მიუვალიც და გატკეპნილიც. ორივეს თავისი მუღამები აქ... მალე აიმ ფლატემდე მივალთ, მერე სოფელი კალიფსოა, დანარჩენი კი, ვნახოთ...

– საინტერესოა, ამ გამოქვაბულის შესახებ რა სმენია ჩვენი ტელეექსპედიციის კიდევ ერთ ლეგენდარულ წევრს, ჯგუფის ძარღვსა და ლურსმანს, ოპერატორ გოგი ბაქრაძეს. გოგი, შენ ახლა გზას იღებდი. მართლაც რომ მშვენიერი ხედებია...

– ხედები კაი გვაქ, პროსტო ხალხი არ ვარგა... ისე, ჯერ მშვიდობით ჩავიდეთ და მერე გამოჩნდება... მე როგორც ვიცი — მანდ კაციშვილს არ შეუდგამს ფეხი ასი წელიაო... ქალიშვილებზე სულ აღარაა ბაზარი...

– დეგენერატო!.. ვიწერ, ვერ ხედავ?.. ჯონი მელია კი მართლა მელია არ გეგონოთ. ისაა ჩვენი ტელეექსპედიციის რეჟისორი და ჯგუფის ხელმძღვანელიც. საზოგადოება კარგად იცნობს მის კინონამუშევრებს: „ერთი დღე ზემოთ," „თეთრი ბლის სამშობლო," „მოქალაქე დ.," „ყინულის ისტერია" და სხვა... ჩვენთვის ერთგვარი მოულოდნელობაც იყო მისი მონაწილეობა ტელეპროექტში. და მაინც, რა-

ტომ გადაწყვიტეთ ამ გადაცემასთან თანამშრომლობა, ბატონო ჯონი, როდესაც თქვენი სახელის პატრონს გქონდათ გაცილებით მაღალანაზღაურებადი შემოთავაზებები ქვეყნის გარედანაც კი?

– რთული კითხვების დასმა გიყვარს, ჩემო თიკო. გეტყობა, კაი ოჯახიშვილი რომ ხარ... გამიჭირდება მოკლედ ახსნა... ბავშვობიდან რომ მხიბლავს იდუმალებით მოცული ადგილები, მაგას რად უნდა ლაპარაკი... სულ წიგნების ბრალია... ისე კი, მე ამ გადაცემის ერთ-ერთი თავგადაკლული ქომაგი ვარ. მხოლოდ ამის შემდეგ – მისი ხელმძღვანელი... მაშ... ჰოდა, როცა ჩავთვლი, რომ ამოვწურე ამ გადაცემაში ჩემი თავი, მერე ვილაპარაკოთ სხვა შემოთავაზებებსა და უცხოეთზე... რამხელა ინტრიგაა მაინც – ჩვენ სადღაც ერთ საათში ვიქნებით ისეთი უიშვიათესი ადგილის მისადგომებთან, სადაც ცოცხალ ადამიანს, საუკუნეა, არ დაუდგამს ფეხი...

– და ბოლოს, წარმოგიდგენთ ჩვენი ტელეექსპედიციის კიდევ ერთ წევრს – გადაცემის წამყვანსა და ამავდროულად რეჟისორის ასისტენტს, თიკო მეგრელიტიშვილს, რომელიც თავად მე გახლავართ. რა შემიძლია ვთქვა გადაცემა „მისიის" შესახებ... მიუხედავად იმისა, რომ გადაღებული მასალის მრავალჯერ ნახვა და გახმოვანება მიწევს, მაინც სულმოუთქმელად ველოდები ხოლმე მის ეთერში გასვლას. გადაცემის იდეა საერთოდაც გენიალურია – მასში ხომ ჩვენი მზიური ქვეყნის სწორედ იმ ადგილებზეა საუბარი, რომელთაც მოახერხეს და შეინარჩუნეს პირველყოფილი ხიბლი. დარწმუნებული ვარ, ამ მხრივ არც კალიფსოს გამოქვაბული გვიმტყუნებს... განა ბევრია საქართველოში ეგეთი ადგილი?.. გარწმუნებთ, ვიდრე ჩვენი ტელეპროექტი არსებობს – ეგეთი ადგილებიც არ დაილევა ქვეყანაზე... მოვრჩი! როგორი ვიყავი, ბატონო ჯონი?

სოფელი

ჩართვა მეორე

– ჩვენ ახლა ვიმყოფებით სოფელ კალიფსოს ცენტრში. თქვენ ხედავთ სოფლის წყაროს, რომლის გარშემოც საღამოობით ლამის მთელი სოფელი იყრის ხოლმე თავს. ეს სოფლის გაუხუნარი ტრადიციაა. მართალია, ახლა შუადღეა, მაგრამ ჩვენს ექსპედიციას მაინც მთელი სოფელი მასპინძლობს. როგორც ხედავთ, აქაა სოფლის თითქმის ყველა მოსახლე... ჩვენს გვერდითაა ასევე სოფლის უხუცესი მურმან აწყმოშვილი, რომელიც მოგვითხრობს კალიფსოს გამოქვაბულის შესახებ.

– აბა, რა გითხრათ, შვილებო... წინაპრებს უთქვამთ, რომა შუა საუკუნეებში, მტრის მრავალწლიანი შემოსევებისას, ჩვენებს, ნამდვილ ვაჟკაცებს, ომში წასვლის წინ ქალები, ბავშვები და მოხუცები ემაგ გამოქვაბულში შეუხიზნავთ. ამ მთის გადაღმა იდგა მტერი... ჩვენებმა კიდევ, ეგ ომი ისე წააგეს, რომა ცოცხალი ვერავინ დაბრუნდა... ჰოდა, დაიდეს აქ ბინა ურჯულოებმა, მაგრამ ემაგ გამოქვაბულში შესვლა არც უფიქრიათ... შორიც იყო... გავიდა მერე წლები და ათწლეულები... ის ურჯულოები გაირეკნენ აქედანა, მაგრამ მაგ გამოქვაბულიდან უკან გამოსული არავინ უნახავთ... ჩემზე მეტი, აი, ჩვენმა გიჟუა მერაბომ იცის... ეგრეა მას მერე, რაც მაგ გამოქვაბულში შევიდა და უკან გამობრუნდა... თქვენ რომ ამბობთ, საუკუნეა, იქ არავინ შესულაო, ცდებით!.. მერაბოა მაგალითი! მაგრამ რა ნახა იქა, კრინტი ვერ დავაძრეინეთ. რომც თქვას, დაეჯერება? თქვენ არ იცით და, სახურავახდილი ქოხივით არის... მესამე წელია, არც სახლი იცის და აღარც კარი... არადა, ყველაფერი ჰქონდა... ცოლი – გამრჯე, შვილები – ქალ-ვაჟი, სუფთა ოჯახი, ექვსი ძროხა... მერაბო, მოდი, ბიჭო, აქ!

– რა გინა, რა?..

– მერაბო, რა ჭამე ამ დილითა! რა ჭამე-მეთქი?!

– სი-მინ-დი, რა!

– მერაბო, ესენი ჩვენი სტუმრები არიან... ახლა შენცა ხარ ამათი მასპინძელი!

– კოვ-ზებია-კოვ-ზებია-კოვ-ზებია, რა...

– კოვზები რად გვინდა, მერაბო... ესენი ხელით ჭამას არიან დაჩვეული. ღვინოზე როგორა ხარ, მერაბო, შენს დაწურულ სანაქებო ღვინოზე?

– დაილია-დაილია-დაილია, რა...

– ესენი, ჩემო მერაბო, სუ სხვა საქმეზე არიან ჩამოსული... ესენი არიან ტელევიზიიდან...

– ტელევიზორიდან-ტელევიზორიდან-ტელევიზორიდან, რა...

– ჰო... ჩვენი გამოქვაბულის ნახვა უნდათ... ა, უყურეთ! ჰო, რა იყო, მერაბო, რა დაგემართა? შენი სიტყვა იქნებ რაში გამოადგეთ, მერაბო... მოდი, მოვუყვეთ, მერაბო, რა იყო და როგორ... შიგნით უნდა შევიდნენ და დავეხმაროთ იქნებ... მერაბო, სად მიდიხარ, მერაბო? ეჰ... ა, კი გითხარით და, გაგვეცალა... გამოქვაბულს უხსენებ და გარბის... არადა, რა ბიჭი იყო? ეგეთი მშრომელი მეორე არ დადიოდა სოფელში... რაც გამოქვაბულიდან თავმტრედიანი გამოვიდა, სულ სხვა კაცად იქცა – გეგონება, შეცვალესო... აჰა, შეხეთ ახლაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

– გამოქვაბული გაიგონა თუ არა, გაიქცა... აღარც ეკარება იმის მერე შორიახლოს. არადა, მაგის წამოწყებული იყო, ყველას ახსოვს: აიკლო მაშინ სოფელი — არიქა, ხალხნო, შევიდეთ გამოქვაბულში, ვნახოთო... ლამის მიტინგეები მოაწყო... სულ იმაში ლაპარაკობდა — რა ჰქვია?.. რუპოორში, ჰო, რუპოორში... ვეუბნებოდით უფროსები – არ გინდა, მერაბო, ჩვენა ბრძენი ხალხი ვართ, ჩვენც გაგვეგება რამე, მიწის ქვეშ სიმართლეს რა უნდა, სიმართლე ცაში ეძებე-მეთქი... ვინ გიგდო ყური. ადგა ერთხელაც, გამოიბა თოკები, სატეხი, ფარანი, პატარა ჩაქუჩი, დანა... მთელი სოფელი გამოქვაბულის პირას ვიდექით. ველოდებოდით.

ფეხით სოფლიდან გამოქვაბულისკენ

ჩართვა მესამე

– როგორც ხედავთ, ამის იქით ავტომობილით გადაადგილება უბრალოდ შეუძლებელია, ამიტომ მანქანას ძია რომანიანად აქ ვტოვებთ. მასთან რჩება ჩვენი პროვიზიის დიდი ნაწილიც. ჩვენ, სამნი – რეჟისორი, ოპერატორი და თქვენი მონა-მორჩილი ფეხით განვაგრძობთ გზას. ჩვენი ვარაუდით, სადღაც საათ-ნახევარში კალიფსოს გამოქვაბულის პირას უნდა ვიყოთ. ძია რომან, ეს არაა პირველი შემთხვევა, როცა თქვენ მარტო რჩებით და გველოდებით. საინტერესოა, რას აკეთებთ ხოლმე ექსპედიციის უკან მობრუნებამდე, ანუ იმ ხნის განმავლობაში, როდესაც ერთი-ერთზე ხართ ჩვენს განუყრელ, ლურჯ „რაფთან“.

– ვრჩები, თიკო-ჯან, თორემ ესეცა მყავს რა კაი ქალი. ეს „რაფი“ ჩემი სქესის და ჭკუისაა... ველაპარაკები ხოლმე, შვილოსან. მანქანა კია, მაგრამ იმხელა გზა და სევდა აწევს... უამრავ ადგილასაა ნათრევი. თქვენ არ იდარდოთ... ჩვენ ერთმანეთს მოვუვლით... რა მოგვაწყენს... მთავარია, თქვენ იაროთ კარგად და მშვიდობით დამიბრუნდეთ. იქამდე სუფრას გაგიშლით. ეს კეთილი ხალხიც მომეხმარება და დაბნელებამდე გელით კიდეც...

– ოპერატორი გოგი ბაქრაძე როგორ განწყობაზეა? კამერა მის ხელშია, რომლითაც მან ლამის მთელი დღევანდელი გზა აღნუსხა. საინტერესოა, ხელი თუ აჰკანკალებია როდისმე გოგი ბაქრაძეს გადაღებისას?

– გადი, გოგო, იქით, თორე აგაკანკალებ, თუ ჩაგაფარე ეს კამერა კეფაში...

– უზრდელო კრეტინო!.. და ბოლოს ჩვენი რეჟისორიც. მიუხედავად გაბარიტულობისა, ჯონი მელია ჯერ არავის უნახავს დაღლილი. როგორ იქნება ამჯერად, ბატონო ჯონი?

– წინ რთული გზა კი გვიდევს, თუმც არც ჩვენ ვართ ადვილად მოსადრეკნი და ჯაბანნი, ვითარცა... როგორ ამბობენ ხოლმე ძველები?.. ჰო... ნუ, როგორც არი!.. არაფერი დაგრჩეთ, თორემ დაგხოცავთ სულყველას!

– ფარნები, შაქრიანი წყალი, კომპასი, თოკები, ტელეფონები, ელემენტები, ჟანგბადის ბალონები, სამედიცინო ყუთი, მაშხალები...

– გადაამოწმეთ ყველაფერი თავიდან!

– ყველაფერი ადგილზეა, პან რეჟისორო. ადგილზევეა თქვენი მონა-მორჩილი თიკო მეგრელიტიშვილი. მოგეხსენებათ, ის ამ ტელეექსპედიციის ყველაზე სწრაფმავალი წევრია. ხშირად მომხდარა, რომ რომელიმე მიუვალი ადგილი მე სხვებზე ადრე დამილაშქრავს, შემისწავლია და ამით ჯგუფისთვის საქმე ერთი-სამად გამიადვილებია.

– აღარ უნდა მორჩე ბლატაობას, გოგო?

– სიმართლის თქმა როდიდან გახდა ბლატაობა, გოგი? მოკლედ, სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არა ის, რომ ძია რომანს დროებით გამოვეთხოვოთ და თამამად დავიძრათ კალიფსოს გამოქვაბულისკენ!

მისადგომები

ჩართვა მეოთხე

– მაშ ასე, როგორც ხედავთ, ჩვენ უკვე გამოქვაბულის პირას ვართ. გზამ აქამდე, მოიცათ, საათზე დავიხედო, ესე იგი ზუსტად საათი და ორმოცდახუთი წუთი წაიღო. სოფლიდან არავინ ამოგვაცილა. ისინი, თავიანთი ცრუ-რწმენის თანახმად, გამოქვაბულთან ახლოსაც კი არ მოდიან. სოფელს მეტად უცნაური, ასე ვთქვათ, ჯადოსნური წარმოდგენა აქვს ამ გამოქვაბულზე. როგორც ამბობენ: გამოქვაბულში შესული მხოლოდ მერაბო უნახავთ, სწორედ ის მერაბო, ამ გამოქვაბულისგან გონებაარეული ადამიანი. გაგვაფრთხილეს კიდეც, რომ ვიყოთ ფრთხილად... ჩვენ, მართალია, არ განვეკუთვნებით ცრუმორწმუნეთა კატეგორიას, მაგრამ სიფრთხილეს თავი მაინც არ სტკივა. კალიფსოს გამოქვაბულში კი შემდეგი თანმიმდევრობით შევდივართ: პირველი გახლავართ მე – თქვენი მონა-მორჩილი თიკო მეგრელიტიშვილი, მეორე ჯონი მელიაა – ჩვენი გადაცემის რეჟისორი, მესამე კი ჩვენი გადაცემის ოპერატორი გოგი ბაქრაძეა, რომელიც ჩართული კამერით ხელში ფეხდაფეხ მოგვყვება და ვიდეოფირზე აღნუსხავს ყველაფერს, რაც კი ჩვენი თვალთახედვის არეშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოქვაბული

ჩართვა მეხუთე

– უკვე გამოქვაბულის სიღრმეში ვართ. შემოსასვლელს ას ორმოცდაათი ნაბიჯით გამოვცდით, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა. ტალანის სიმაღლე მიახლოებით ორ მეტრამდეა. ტემპერატურა – თხუთმეტი გრადუსი. წნევა – ნორმალური. ჰაერს რაც შეეხება, მეჩვენება, რომ აქ უფრო სუფთა ჰაერია, ვიდრე გარეთ. ვსუნთქავთ თავისუფლად. ერთი შეხედვით, ტალანი ისეთივეა, როგორებიც მრავლად არის აღწერილი ჩვენს ბავშვობისდროინდელ ჟიულ ვერნის თუ მარკ ტვენის ნაწარმოებებში. პირველი მე მივაბიჯებ. ჩემს უკან მოდის ჩვენი რეჟისორი, იგივე ჯგუფის უფროსი, ლეგენდარული ჯონი მელია. მიუხედავად მძიმე წონისა, მას არაფერი ეტყობა დაღლილობის და ისეთივე ენერგიულია, როგორც აქ შემოსვლამდე იყო. ხომ ასეა, ბატონო ჯონი?

– მასეა, ჩემო თიკო. მასე... სიარულმა როგორ შეიძლება ჯანმრთელი ადამიანი დაღალოს? იღლებიან წყლის ნაყვით, თორემ საქმე როდის ღლის ნორმალურ ადამიანს? რომელ დაღლაზეა საუბარი. ერთი სული მაქვს, გავიგო, მერე რა იქნება. – ეს უფრო რაღაც დაუსრულებელ ტალანლაბირინთს ჰგავს, რომელსაც, ღმერთმა იცის, სად ექნება ბოლო... თან ეს სიბნელე... ფრთხილად უნდა ვიყოთ... დაკვირვებით და ფრთხილად... გველი არ იყოს სადმე... ძირს დავანათოთ... გველის დაკბენილს ჰგავდა ის სოფლის გიჟი...

– მეც ეგ ვიფიქრე, ბატონო ჯონი... ამჯერად კი სიტყვას გადავცემთ ჯგუფის კიდევ ერთ მოუღლელ წევრს, ოპერატორ გოგი ბაქრაძეს.

– ცოტა უკან დადექი, კადრში არ ჩანხარ... ვა, რა კაი ვიდზე ხარ... რა უნდა გითხრა – აცივდა ცოტა... და კიდევ, ეს მართლა არა ჰგავს გამოქვაბულს. გვირაბივითაა. თან მშრალია. ემანდ, ინდიელი ჯო არ გაგვეჩითოს და გადაგვკუზოს სამივე...

– ოო, ნუ, რა არის ეს?! სულ უაზროდ რატომ უნდა ხუმრობდე, ბაქრაძე? ხომ იცი, მერე მონტაჟის დროს როგორ ვწვალდებით... შენი უაზრო უზრდელობების ამოჭრას მიაქვს მთელი დრო...

– დავაი-დავაი, დვიგაისა... სადაა ამდენი ბაზარის დრო?

– ბატონო ჯონი, უთხარით რამე გოგის, ხელს მიშლის! რაღაც სისულელეებს იძახის ჩაწერისას...

– ახლა ორივე დამიწყნარდით!! ვერა ხედავთ, სად ჯანდაბაში ვართ?!.

– ბატონო ჯონი...

– ჰე, წავედით, წავედით... გამოადგით ფეხი... თიკო, ამ სისულელეების ამოჭრა არ დაგავიწყდეს. განვაგრძეთ გზა. რამდენი ხანია, რაც მოვდივართ?

– საათი და ოცი წუთია, ბატონო ჯონი.

მღვიმე

ჩართვა მეექვსე

– მაშ ასე, როგორც ხედავთ, ჩვენ უკვე ვიმყოფებით უზარმაზარ მღვიმეში. შუაგულშიც ფოსფორისფერი ტბა ლივლივებს. გამოქვაბულის ტალანმა სწორედ აქამდე მოგვიყვანა. ასეთ სიღრმეში ჟანგბადის ბალონები საერთოდ არ დაგვჭირვებია – ჰაერის უკმარისობა წამითაც არ გვიგრძვნია. ახლახანს შემოვდგით ფეხი ამ მღვიმეში და ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას - ყველაფერი უაღრესად საინტერესო და იდუმალია. გასანათებელი ხელსაწყოები მწყობრშია. შეგვიძლია, ყურადღებით მოვიაროთ მთელი მღვიმე. ტემპერატურა – ისევ პლუს თხუთმეტი. უკვე ზუსტად ორი საათი და ხუთი წუთია გასული. საინტერესოა, რას გვეტყვის ტელეჯგუფის უფროსი ჯონი მელია?

– სიმართლე გითხრათ, მთელი მსოფლიო მაქვს მოვლილი, მაგრამ ასეთი დონე არ მინახავს. ამხელა მღვიმე... ეს ფოსფორის ტბა... არა, ეს საოცრებაა. თან სუფთა ჰაერი. რომ ვსუნთქავ, ასე მგონია, წლები მაკლდება...

– თავის ქალები და ძვლები რომ არ ჩანს, ბოს, რისი ბრალი უნდა იყოს?

– არ ვიცი... არ ვიცი... რა დროს თავის ქალაა... თავიდან ვფიქრობდი, ხიფათს არ გადავეყაროთ-მეთქი... გველკუები იცის აქეთ. გული მიგრძნობს, გავა დრო და ეს ადგილი უამრავ ტურისტს მოიზიდავს.

– გეთანხმებით, ბატონო ჯონი. კალიფსოს გამოქვაბულს მართლაც ყველა მონაცემი აქვს საიმისოდ, რომ ექსტრემალური თუ ჩვეულებრივი ტურიზმის კერად იქცეს. ოპერატორი გოგი ბაქრაძე, ვიდრე მღვიმეში კამერას ჩართავდა და ჩაწერას დავიწყებდით, პირდაღებული აცეცებდა თვალს...

– თიკო, ახლა იმხელაზე დაგაღებინებ პირს, ეს კამერა ჩაგეტევა... შენ ხომ არ უბერავ?!

– ვერ ხედავ, ვხუმრობ, ბაქრაძე?!.. და რა ქაჯი ხარ, ა?.. შენ რა, გგონია, ეს ყველაფერი გადაცემაში გავა?? მოიცა, მე ვერ გავიგე, შენთვის შეიძლება უზრდელობები და ჩემთვის არა?.. ბატონო ჯონი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მიდი-მიდი, საქმეს მიხედე...

– ბატონო ჯონი, უთხარით რამე! მაინცდამაინც უნდა, რომ ვიტირო.

– ახლა გადავირევი!! სულ ერთმანეთის კბენაში როგორ უნდა იყოთ! მოგხსნით ორივეს გადაცემიდან! თავი ამტკივდა უკვე...

– ვეკაიფები, ბოს, ეს კიდევ ვარდება ფინთი გოიმივით...

– კრეტინი ხარ, ბაქრაძე, და კრეტინად დარჩები! და გოიმი თავი გაბია, რომ დადიხარ ზამთარზაფხულ კეტებში...

– ვა, სკოლაში ვართ? კეტებზე გაყრის?

– თავი დამანებე, იდიოტო!

– წესიერად მოიქეცით, მე თქვენ გეუბნებით ორივეს! სალაზღანდროდ არ წამოსულხართ აქ!

– არის, ბოს.

– ჩემი რა ბრალია, ბატონო ჯონი. ოპერატორი ბავშვობის ასაკიდან ვერ გამოსულა...

– აეე! არ ამიტირდე ახლა...

– არ მაინტერესებს არაფერი! და მორჩით ახლა ორივე!

ტბის პირას

ჩართვა მეშვიდე

– ეს ყველაფერი შეიძლება მსოფლიო სენსაციად ჩაითვალოს... ჩვენ ახლა ვიმყოფებით ტბის პირას და... თქვენ ხედავთ... ღმერთო ჩემო...

– ესენი ადამიანები არიან, ბოს...

– შეხედეთ, აგერ... ტბის პირას... ბატონო ჯონი...

– კაპლი, თორემ გავაფრინე ამხელა კაცმა... რაა ეს?!

გოგი ბაქრაძე სულაც პირდაღებულია...

– ეე... ჩემი დედა...

– საოცარი სანახაობაა გადაშლილი... როგორც ხედავთ... ღმერთო დიდებულო... ოცამდე ადამიანი... სრულიად შიშველი... მათი კანი ფოსფორისფრად ანათებს... ყველა ძირსაა განრთხმული. უცნაურ ხმებს უშვებენ... ეს ზმუილია... თუ ყმუილი... დაბნეულობისგან აღარც ვიცი, რა ვთქვა... მეც თავბრუ მესხმის... ბატონო ჯონი...

– სიზმარში ვართ, ბოს?

– ჯერჯერობით კონტაქტზე არ გავდივართ... შორიდან ვადევნებთ თვალყურს. კამერა არც ერთი წამით არ გამორთო... ნაეზდი მიე...

– უკვე ჯდება ეს ძაღლიშვილი, ბოს...

– ბატონო ჯონი... ცუდად ვარ...

– მგონი, დროა, გაზის პისტოლეტები გავამზადოთ... საშიშები არ იყონ...

– მართალი ხარ, ბოსს! სიფრთხილეს თავი არ ტკივაო...

– მაშ, ასე – ვიარაღდებით... სამოქმედო გეგმა ჯერ უცნობია... აქაურები თავს არ სწევენ, ტბის ტალახში არიან ჩამხობილები... რამე მახე არ იყოს... ისინი ზუსტად ექვსი-თორმეტი-თხუთმეტი-ოცდაერთნი არიან... სხვადასხვა ზომების... პატარებიც და დიდებიც. ისინი ფოსფორისფრად ანათებენ...

– სასწაულია, როგორ გადაირჩინეს მათ ამ პირობებში თავი...

– ამ სიბნელეში, ტო? ბოს!!

– მაგათ ლაპარაკიც არ იციან, ალბათ...

– არა, ბოს, რაზეა ბაზარი... ამხელა სროკია გასული... არ დაგვჭამონ, ბოს... თუ წამოვიდნენ, მაშხალას ვესვრი... აჰათ, თქვენც... გამომართვით! კამერას არ ვრთავ... ასე ვიდგეთ?

– მოკლედ, გეგმა მოსახაზია... და ჩხუბი არ გავიგონო... მომაშვირე ეგ კამერა და ფონიც აიღე!.. ეგრე... ჩვენ იმხელა საოცრებას მივაგენით, აწი თავი სულ კეპკაში უნდა გვქონდეს...

– ეს არის მეცხრე საოცრება. თუ მეათე, ბოს?..

– ამიტომ საჭიროა, სწორად მივუდგეთ აბორიგენებს და არ გავაღიზიანოთ ისინი ზედმეტი კონტაქტით და ფამილარობით...

– ოთხ საუკუნეზეა, ბატონო ჯონი, საუბარი... ოთხ საუკუნეზე მეტზე.

– შეიძლება, არც ისე გადაჯიშებულები იყვნენ... ადამიანები არიან ბოლობოლო... ქართველები...

– და, რომ დავბრუნდეთ, ბოს, უკან? უკვე ამხელა მასალაა... სულ ლაივი... იქიდან დიდ ბრიგადას გამოვუშვებთ... სამხედროებს, ექიმებს, მეხანძრეებს, მნძრეველებს, რამე...

– ეგ შენი აზრია, გოგი...

– ჩემი აზრია... აბა, რა ვქნათ?

– მეც მაგ აზრისკენ ვიხრები, თუმცა...

– რაღა თუმცა, ბოს... აბა, მივიდეთ და ხელი ჩამოვართვათ?.. აპასნია...

– ბატონო ჯონი, იქნებ გვეცადა მაინც კონტაქტზე გასვლა?.. მე ვიცი ცოტა ძველი ქართული – „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების... მუნ... მუნ...“

– მორჩი ახლა მაიმუნობას...

– ჩემო თიკო, რაც ხელთა გვაქვს, ესეც სრულიად საკმარისია... შემდეგში აქაურობას და აქაურებს სულ სხვანაირი მიდგომა დასჭირდებათ...

– რა ხმებს უშვებენ, ბოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ჩვენ მხოლოდ სამნი ვართ და არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ჩვენი საქციელით შესაძლოა რაღაც გავაფუჭოთ კიდეც...

– არ ვმაიმუნობ, ბატონო ჯონი... ძალიან მეშინია...

– არ ჩაისველო, თორემ გაგიბაზრებ მთელ არხზე...

– მაშ ასე, ექსპედიცია კალიფსოს გამოქვაბულში აქ სრულდება... მისმა წევრებმა ერთსულოვნად მიიღეს უკან დაბრუნების გადაწყვეტილება...

– მე დავამატებ, ჩემო თინათინ, რომ უნიკალური მასალა, რომელიც ამჟამად ჩვენს ხელთაა, სულ მალე ნახავს დღის სინათლეს და მთელი მსოფლიო იხილავს მას...

– გამოქვაბულის საიდუმლო თითქმის გახსნილია!.. ჩვენ ვბრუნდებით უკან... თქვენ კადრში ხედავთ ისევ მღვიმის ტბის ნაპირს, რომელზეც მორჩილად არიან განრთხმულები ადამიანის მსგავსი არსებები... ისინი უცნაურ ხმებს უშვებენ და ანათებენ...

– ამათ ცვეტში ღმერთები ვგონივართ, ბოს!

– გადავიდოდა ჭკუიდან, მა რა დაემართებოდა იმ უბედურს...

– ბოს, ჩვენკენ მოხოხავენ... რაღაცას იძახიან, ბოს! რაო?

– ვაიმე... ამინო, ბატონო ჯონი, „ამინს“ ამბობენ... ღმერთო...

– ვესროლო მაშხალა, ბოს?

– რა მეამინება, თუ ხალხი ხართ... კამერა არ დაგვილეწონ... გაზის პისტალეტები ესროლეთ თქვენ... ჯერ ზემოთ... გამაფრთხილებელი... მერე ფეხებში...

– აბა, დროზე ახლა, პლეტი აქედან... და პანიკის გარეშე...

– ბატონო ჯონი!!. ფეხზე დგებიან, ბატონო ჯონიიიი!! მოდიან!!

– ტალანში დინამიტს დავდებ, ბოს... კამერა გამომართვით!! და წადით თქვენ!.. სირბილით!! დროზე... გამომართვით-მეთქი!!!

P.S.

„სამხრეთ კავკასიონის შიდა მონაკვეთზე, სოფელ კალიფსოსთან მომხდარმა შიდა აფეთქებამ ისტორიის კუთვნილებად აქცია იდუმალებით მოსილი კალიფსოს გამოქვაბული... აფეთქების შედეგად წარმოქმნილმა ვიბრაციამ მღვიმემდე მისასვლელი ტალანი საბოლოოდ და მთლიანად ჩაკეტა... უიშვიათესი ვიდეოჩანაწერები, რომლებზეც „საერთო არხის“ ტელეგადაცემა „მისიამ“ იმუშავა, ბევრ რამეზე მეტყველებს, თუმცა დღევანდელი არქეოლოგიური ტექნოლოგიები ჯერჯერობით არ იძლევა საშუალებას, რომ ეს ტერიტორია გაითხაროს და გულდასმით იქნას შესწავლილი. საკითხის დეტალური ანალიზი ჯერჯერობით შეუძლებელია, ვინაიდან ბეწვზე გადარჩენილი თვითმხილველებიდან ორნი: გადაცემის რეჟისორი ჯონი მელია და წამყვანი თინათინ მეგრელიტიშვილი დღემდე ფსიქიატრიულ კლინიკაში არიან განთავსებულნი და მკურნალობის სპეცკურსს გადიან. რაც შეეხება ოპერატორ გოგი ბაქრაძეს, ის აფეთქების შედეგად მღვიმეში ჩარჩა და მისი ბედი დღემდე უცნობია. როგორც სოფელ კალიფსოს მკვიდრნი ნაბახუსევზე ამბობენ, მთა, რომლის ძირშიც იწყებოდა კალიფსოს გამოქვაბული, დროგამოშვებით მეტად უცნაურად გუგუნებს ხოლმე და მათივე თქმით ამ გუგუნში აშკარად გამოირჩევა შემდეგხმოვნებიანი სიტყვები: „ა-ა-ე-ი,“ „ა-უ-ე-უ,“ „ი უ-ა,“ „ი-უ-ა“ და ა.შ., რაც, ექსპერტთა აზრით, “გა-და-დე-ქის,“ “ჩა-უ-შეს-კუს,“ “ძირს ხუნტას“ და “იუდას“ უნდა ნიშნავდეს, თუმცა სოფელ კალიფსოს მკვიდრთ უკვე მართლაც აღარაფერი დაეჯერებათ... მით უმეტეს — ნაბახუსევზე...

გადაცემაზე მუშაობდნენ:

ავტორი და რეჟისორი:
ჯონი მელია

წამყვანი და რედაქტორი:
თინათინ მეგრელიტიშვილი

ოპერატორი:
გოგი ბაქრაძე
(ეს ჩარჩოში უნდა იყოს)

მძღოლი: *რომან ქლიბა.*

ნანა კოლოსიძე

საშუალამო

(ავტოპორტრეტი)

დაიწვას შენი ქალობა, ქალო,
შენი სადილი დაიწვას –
ლოდინის ქვაბში რომ ამტვრევ ნედლ ღამეებს ლობიოსავით
და ცეცხლს კი არასოდეს უნთებ...
შენი იმედი დაიწვას, შე ღმერთგამწყრალო,
რომ ამოეგლიჯე ფესვებით და გაფრინდი ცხრა გაზაფხულს გაღმა,
სახლი დაინგრიე,
ტოტები დაიმტვრიე და დაბრუნდი...
ახლა ლიმონისფერ მიკროდოზებით
შენივ სხეულში ახალ სიცოცხლეებს რომ კლავ ყოველდღე და
თავადაც რომ მათთან ერთად კვდები...
იმ ორიოდ ყლორტს მაინც გაუფრთხილდი, შე დღეჩასაქრობო,
რომ ამოგყრია ტანზე, –
სულ რომ არ დამთავრდე...
შენი თვალები დაიწვა,
შენი ხილვები, ქალო,
რომ აგრიეს დღესა და ღამის,
ცხადსა და სიზმრებს შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ახლა
ჰაერის ზოლზე ტორტმანით დგახარ
და სიოც კი არ იძვრის,
რომ ან იქით წაგიღოს,
ან აქეთ...
ეგ სიყვარული დაგეწვას, ქალო,
შე ალერსგასაშრობო,
შე ბედგამწყრალო...
შე...
შე...
ჩაგეწვას და ჩაგინახშირდეს,
რომ მერე ამოჩიჩქნო ფრჩხილებით ცოტა,
კედლებზე ზამთრის მკვდარი პეპლები ხატო და
ტკბილი სული უბერო იმ არსაცოცხლებლებს,
ცალი ფრთა რომ ყოველთვის მაინც შავი ექნებათ.
ვერ ხვდები?!.
ორმა უნდა უბეროს, ქალო,
ორმა...
წადი,
სარკეში ჩაიხედე, შე მზერადამწვარო, და დაითვალე,
მაინც რომ მხოლოდ ერთი ხარ და
ყოველთვის მხოლოდ ერთი რომ იყავ.
მერე გადი და
ეგ თითები წვიმას შეუშვირე,
იქნებ დაგიამოს,
მოგიშუშოს იქნებ,
მერე რა, რომ შენი წვიმა არასოდეს მოდის...
მეტად ნულარ გაიშიშვლებ სულს,
განა არ იცი, რომ ცხოვრება მრგვალია და
სითბოს მაინც სიცივე შეცვლის...
ადექ,
ისევ სიჩუმე ჩაიცვი,
ისევ დუმილი წაიკარ შუბლზე და
სადილს შეუდექ –
ნედლი ღამეების მტვრევას უძირო ქვაბში,
სანამ ქარი დაბერავდეს და წაგიღებდეს,
სანამ შენი გული სულ დამწვარა, ქალო...
დაიწვა შენი ქალობა, ქალო,
შენი გაჩენა დაიწვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროის კატორღა

დადგება ის დღეც,
მოეღება ბოლო მირაჟებს...
და შენი სუსხი
ბალახივით მუხლში მომცელავს...
ჯერ ბორკილები ამბოხისთვის
ბედის ჯინაზე
გართობს.
მე მოგდევ –
დეკაბრისტის ურჩი ცოლივით
თამამ ნაბიჯით...
ცხოვრების ბნელ კულისებში კი –
შაყის კვრა, ყულფი,
მოლოდინის ცივი მარხილი –
ვცდილობ, ვათრიო აფიშებით ანონსირება,
ცრუ სპექტაკლების ანშლაგები,
უშნო ძახილით:
„ბრავო!..“
როდესაც უსაშველოდ ვარ მონუსხული,
როდესაც გმირის მონოლოგი
უფრო სატირას
მოჰგავს და მხრებზე შერჩენილი
წლების სუსხივით
შიშის ფაქტორსაც ველარ შველის
თბილი მოტივი,
როცა დაღლილი
ანტრაქტებში ხშირად ვიგონებ,
როგორ დასცინის გამართლებას
მერფის კანონი,
როცა ვკითხულობ შენს ალერსში
სხვებზე სტრიქონებს
და გულისცემა
ფილაქანზე ეჭვის კაკუნის
ხმას ბრმად მიჰყვება
და ნესტივით ღრღნიან სადენებს –
ზორბა ვირთხები, –
მიჯიჯგნიან ნერვებს მალულად,
შენ საყვედურით სავსე მზერას,
ვიცი, მარიდებ
სადღაც სივრციდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხვდები, რომ მე ვერ გავუძლებ
ზავს,
ვერასოდეს მოვერგები სიყალბის მეტრებს,
და შენც მპატიობ
ამ ბანალურ წყობას ფიქრების,
რადგან, რაც ბრწყინავს,
ყველაფერი ოქრო როდია,
ხმამაღლა ყველა
გრძნობაც ზოგჯერ არ ირითმება...
ჯერ კი მარტია.
მოლოდინით დასჯა – კატორღა
და მე დეკემბრის ყინვებივით ურჩი ცოლივით,
ცხელ ხელისგულზე
შიშველ მზერას მაინც გატოვებ
და შენი თმენა სისხლისაგან სულში იცლება...

მზე-ავგაროზი...

გამოთლილი ვარ ქანდაკება წლების ზოდისგან
და გულში დარდი შავი მიწით მივსებს ნაბზარებს,
მზე რა ხანია გადასულა თურმე მოდიდან,
მე კი ჯიუტად ცითმოფენილ ფანჯრის რაფაზე
ვზრდი ყვავილივით,
ვუსხამ სითბოს ხელისგულებით
და მერე ყელზე დაკიდული ქუჩებში დამაქვს...
სადღაც კი ქარი აფრიალებს წუთებს და თითქოს
თეთრი თიკნები, შეფენილი მწვანე ფერდობზე,
სძოვენ სიმშვიდეს
და ჩემს ყელზე მზე-ავგაროზი
ყოველი დილით ყურის ძირთან ტკივილებს გითბობს...
მე კი გადავალ იმ მთის იქით – თითები დამზრა,
ღამე მეღვრება თვალებში და ისევ დილამდე,
ჩამოსხმული ვარ სიცოცხლისგან,
ვენერა ვარ და
ჩამოტეხილ გულს ორივ ხელით მკერდთან ვიმაგრებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწორი

დაჭრილ მხეცივით მაწყდება მხართან
და დროდადრო დაგვალულ ენით
მონატრების გლუვ ქვამარილებს მილოკავს ქარი...
წყალი...
სულ ერთი ყლუპი წყალი ჩამოიწვიმოს,
თორემ ყელი კი არა,
უკვე გამიშრა სისხლიც,
ერთი წვეთიც კი აღარ შერჩა გაფიტულ ხელებს.
ექსპონატივით მუზეუმის ამ ყრუ კუთხეში
ვდგავარ.
მომსვლელს და წამსვლელს ვითვლი ცარიელ მზერით...
მტვერმა შემჭამოს,
დამლახვროს ღმერთმა,
გამიხმეს გზები...
კეთროვანივით მაინც შავი მკიდია აბრა:
ნ უ შ ე მ ე ხ ე ბ ი თ!
ნუ შემეხები. ცივ პინაზე ვგდივარ ქვასავით.
ამიწონე და ულუფებად გამანაწილე,
ოღონდ ისე, რომ არ შემეხო, არ მომეკარო...
არ მომეფანჯრო... არ მეკედლო... მეჰაერო არ...
შემომილეწე, ამირიე ბინდზე ჟამ-კარი,
სანამ ამინდი შუბლს შეიკრავს ისევ საწვიმრად,
გადამაშენე... ამომძირკვე... გადამიკარგე...
სადაც წვრილია, იქ გამწყვიტე, იქ ჩამიშალე,
სიცხიან შუბლზე დამაფინე სველი ნაჭერი
და, სანამ ვწევარ უმწეო და ასე შიშველი,
მზრუნველ თითებით ამზომე და თარგად აჭერი
ჩემი სხეული, სული ჩემი, ჩემი ბოდვები,
ხილვები ჩემი, ამოსული ყელში სიცოცხლე,
დამანაკუწე, ჩალასავით ცეცხლად მომედე,
მე რა ხანია უკვე მივხვდი... შენც ხომ იცოდი,
რომ გადარჩენა გახდა უკვე მაგ ჩალის ფასი
და რომ სიკვდილი ჩემთვის იყო ხერხი ნაცადი,
გარშემო ყველა პროფილი და ანფასი ყველა,
რომ ყველა უცხო ნიღაბი და სახელ-ნაცვალი,
ჩაეტეოდა სიტყვა „ჩვენ“ და სიტყვაში – „მარტო“,
ასეც ვაგდივარ –
გლუვ სიპივით ქვა საპირწონე
დახრილ პინაზე.

ნანა კელენჯიძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთის ბროლით და ყვითელ ამარტით,
შენ მუჭა მიწად დამეყარე,
გადამიწონე
მხეცივით გულთან აბორგილი ეს მონატრება,
მლაშე ენით რომ მოთმინებას დროდადრო ლოკავს
და ირგვლივ ისევ დუმილია სამუზეუმო.
გაყინულ აბრას – არ შემეხოთ – დანესტილ თოკზე
თმის სარჭით ფრთხილად ვამაგრებ და
ჯიუტად ვალხობ...
გამიღე კარი.
მოზომილად მზეს ვეღარ ვსუნთქავ
და ხელუკუღმა მომაყარე სიტყვები ბოლო,
ღიმილით გარეთ გამიშვი და გზაც დამილოცე –
სიკვდილამდეც მქონია გზები,
მარტივი...
რთული...
ახალიც...
ძველიც...
და, მარილიან ქარს თუღა მოვყვე,
თუ კვლავ დავბრუნდე –
ღმერთმა დამლახვროს...

შესაწირი

შენ არ მიდარდო,
აღარასდროს თუ მოვალ შენთან.
არ მომინატრო,
არც მეძებო.
„იყო და არა იყო რა“ იყოს
ჩვენი ზღაპრის კეთილი ბოლო.
თავიც და შუაც,
გვერდებიც და ქვის საძირკველიც,
მუხლს რომ არ ასცდა,
ერთხელაც ვერ ამოვიშენეთ,
გულისპირამდე ვერ ავწიეთ კედლის სათავე
და დავრჩი ასე –
მარტო-ხე, ქალი-მარტო, მარტო-მიწა, ცა-მარტო,
ხან მწვავდა გვალვა, ხან მახრჩობდა წვიმის სეზონი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე – გამახმო შეძახილმა,
მერე – დუმილის შემჭამა ჟანგმა,
შენ რომ დიდხანს ოქრო გეგონა.
ტყვიისფერია ისევ დილა – მზე ჩამოვხსენი.
შუშის სხივები დავუმტვრიე – აღარ მათბობდა
და, თუ ჩემს ცაზე სიყვარული ერქვა სიცოცხლეს,
შენსაზე შიშით სიყვარული სურდა მაცხოვარს
(ნეტარ არიან მორწმუნენი და მორჩილებით
და მოთმინებით მოიპოვონ სასუფეველი!).
მე კი კვლავ ვდგავარ მარტოდ –
მარტო-ხე, ქალი-მარტო,
მარტო-ცა, მიწა-მარტო,
სადაც მშრალი ხელებით
ვთესავ ხორბალს და თავთუხებით სავსე ყანაში
ჯიუტი სახით უხვად ვიმკი გლოვას და ურვას.
ვკრავ ძნებად.
მერე მე და ჩემი თეთრი თიკნები
ერთმანეთს შენი სამსხვერპლოსკენ მოვდენით მძიმედ, –
ძნელია შენი აღმართების გზა ღორღიანი...
და, თუ მოვაღწევთ, გამოგვისვი სიცივე ხორხთან,
ვერცხლის თვალებში ბარძიმივით ჩამოგვიწრიტე.
დაგვლიე, ჩემო,
შეგვიწიე,
შეგვისისხლხორცე,
წაგვიქციე და გადაიკარ ხსოვნაზე რული...
და მოგვეტევოს
კერპებსაც და
შეწირულებსაც...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაბაჩია

მეწაღე იყო წებელდელი ყარა ურდია. წებელდა გულრიფშის რაიონს ეკუთვნის, მერხეულის ზემო სოფელია, თვალწარმტაცი ბუნებითა და უსაშველოდ ლურჯი ცით. ზღვაზე უფრო ლურჯით, ტყაშმაფას ჯღარი, ტალღამუქი თვალებივით.

სოფლის შუაგულში, საკუთარი ხელით აგებულ პატარა ჯიხურში გაემართა სახელოსნო ყარა ურდიას, იგივე ბაბაჩიას. თბილი, უბეში ჩასასმელი ადამიანი გახლდათ. ჩუმკაცად კი იცნობდნენ, მაგრამ მისი გახელების მომსწრენი იტყოდნენ: იმ მდუმარებაში ვეფხვია მიყუჩებულიო. სამი წელი ციხე იმისთვის მოიხადა, რომ საბჭოს თავმჯდომარეს, მერხეულელ ტორის ფონიას ცხვირით მიწა ათხრევინა, მანდილოსნების წინ აგდებულად რომ უთხრა: ეი, საპოჟნიკ, აბა მოხედე ამას და საღამოთი წავიღებო. წინ გაურეცხავი, აქოთებული „ბატინკები“ დაუყარა და წასვლა დააპირა, მაგრამ გააფთრებული ყარა წამუსწრაფესად წამოიჭრა, მივარდა წითელმანდატიან ტორის ფონიას და სოფლის თავკაცი ფახულიას ქირქე თავდაღმართში ტიკივით დააგორა. აბა, ამას ვინ აპატიებდა და გამოაცხრაკლიტულეს.

იმ სამმა წელმა ჩემი აზროვნება და საფიქრალი შეცვალაო, – იტყოდა ბაბაჩია, – თუ რამ ვისწავლე, მაშინ ვისწავლე, დასვენებითაც მაშინ დავისვენე და წიგნისთვისაც მოვიცალეო. ბრძენკაცი, უგანათლებულესი თაბა ჩელია იჯდა ჩემთან, ნამდვილი ფილოსოფოსი. ილორელი შურღუამი დიაკვანი გამოუშიგნავს სამყნობი ნამგალა ჯაყვით, ჭყინტი, ჩვილკოკორა ცირასთვის უკანალზე რომ წაუვლია ხელი, მიტომ.

ყარა რომ ჩაუსვამთ, ცამეტიდან ხუთი წელი მოხდილი ჰქონია თაბა ჩელიას. მდიდარი ბიბლიოთეკა შეუქმნია ციხეში. სულ წერდა ან კითხულობდა თურმე. წიგნი შეუყვარებია ყარასთვის, ცხოვრების ავანჩავანსა და სულის თვალსამზეოში ჩაუხედინებია, სიტყვის მშვენიერება დაუნახვებია. ისეთ რამეებში ჩაუთვალმზერებია ყარა, უწინ ოცნებაშიც რომ ვერ გაიელვებდა. მეცადინეობის დღეები დაუნიშნავს და წიგნთან დამეგობრებით ურჯუკელი კაცისგან მაფიქრალი, მიწიერებაზე ზემოდან მაცქერალი ადამიანი გამოუძერწავს. წარსულზე ჩაღრმავებას, ისტორიულ ფოლიანტებში ჩაკარგული ამბების გაცოცხლებას ყარა მეტად გაუტაცნია.

ციხიდან განთავისუფლებულს ცხვარი დაუკლავს, მოკეთეები დაუპატიჟებია, უფლისთვის მადლობა შეუწირავს უვნებლად გადარჩენისთვის. მარილწყალში ჩამბალი ცხვრის ტყავი რიგიანად დაუმუშავებია, გაუხმია და თავისი ჯიხურის კარს ზემოთ გაუკრავს.

ტყუპისცალი და-ძმა – ფრიქსე და ჰელე, გრძნეულ, ოქროსმატყლიან ცხვარზე ამხედრებულნი, კოლხეთისკენ გამოეშურებიან. ჰელე ზღაპრული ვერძიდან ჩამოვარდება და ზღვაში ჩაიხრჩობა. ამიტომაც ეწოდება ჰელესპონტი დარდანელის ზღვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშა გვასალია

ფრიქსეს პატივით მიიღებენ კოლხები, გრძნეულ ვერძს – ჰელიოსს – ღმერთს შესწირავენ მსხვერპლად. ოქროსტყავს ქვეყნის მარადიული სიძლიერის სიმბოლოზე – ჭყონზე ჩამოჰკიდებენ, რომელსაც დარაჯად ცეცხლპირა დრაკონი დაუდგება.

რატომ გაქვსო მიკრული ცხვრის ტყავი, ყარა ბიძია, ჰკითხა მჭედელი ბიკის შვილიშვილმა თორამ. გაუხარდა ყარას, ამან რომ დაგაინტერესა, კარგი ბიჭი ხარო. ეგ ჩვენი წარსული დიდების სიმბოლოა, ნამდვილი ტყავი კი მოგვპარეს და წარგვტაცეს ქურდმა ბერძნებმა, მაგრამ გჯეროდეს, ბაბაჩია, წყალი ბოლოს მაინც თავის კალაპოტს დაუბრუნდებაო.

– რად უნდოდათ ბერძნებს ის ტყავი? - ჩაეძია თორა.

– რად უნდოდათ და, სიბრძნე იყო იმ ტყავზე ჩამოწიკწიკებული, ბაბაჩია, იმ დროისთვის უდიდესი მიღწევების ნუსხა და წესი.

– ის კაი მარა, შენ ეს უბრალო ტყავი რაში გჭირიაო? – არ მოეშვა ყმაწვილი.

– ბაბაჩია, ხომ უკიდია ბაბუაშენ ბიკის მამამისის – ხუტუნიას სურათი, ხომ უკიდია კედელზე, მითხარი!

– კი, უკიდია.

– რატომ უკიდია თუ იცი?

– რატომ და, – გაოცება დაეტყო თორას, – რომ უყვარს, მისი მამა რომ იყო, მიტომ.

– აგაშენა ღმერთმა, – რაღაცნაირი შვებანაგრძნობი სახით უთხრა ყარამ, – მასე უნდა იყოს, უნდა უყვარდეს და მის სახეს ხატივით უფრთხილდებოდეს. ეს, – თითს გაიშვერს კარს ზემოთ გაკრული ტყავისკენ, – ყველას წინაპარია, ჩემი, შენი, ამ მიწა-წყლისა და მითაჟამის.

რა ვიცი, აბა, ეგეთების არაფერი გამეგებაო, ჩაიქნევს ხელს თორა და წასვლას დააპირებს. შეაჩერებს ყარა, წინსაფრის შეკვრაში გართული შეიყვანს ჯიხურში, დაისვამს წინ და ეტყვის: ადამიანი წურბელასავით თხელ გარსშია გახვეული, დახშულია ის გარსი, თავის თავს იქით არ ახედებს ადამიანს. არადა, გახიოს უნდა უცილოდ და ნახოს სივრცე და უშველებლობა მზერის იქითა სამყაროსი. ამისთვის კი გონების გავარჯიშებაა აუცილებელი, სწავლითა და ჯაფით გაიწაფება და გაიწვრთნება გონება, რომელიც ხელით ვერმისაწვდომი გარსის გასახევად სხვა რამეს მოამარჯვებინებს ადამიანს და გაიყვანს, რომ გითხარი, იმ უსასრულობაში. სწორედ მასშია, ბაბაჩია, სილამაზე, ატმისა და ტყემლის ყვავილებით ამზევებული სრულყოფილების.

ეძნელებოდა ასეთ რამეებში წვდომა თორას, მაგრამ ბაბაჩიას ხავერდოვანი ხმის სილბოს გულისყურით უსმენდა.

მე არც ურჩხული, არც ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპი ვარ, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე დავიცავ ამ ტყავსო. კი, მარა ვის უნდა ეს ტყავი, ყარა ბიძიაო, – ახლა თორა გაიშვერს კარს ზემოთ ხელს.

– ვის და, გადამთიელებს უნდათ, ბაბაჩია, ათა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი ჯურის ეშმაკებსა და ჯოჯოებს, უღმერთოებსა და სხვისი სიკეთისკენ შურის თვალით მაცქერალთ. ჩვენი საწმისი კვლავაც გააქვთ, გააქვთ თუ რამ სიკეთე და ტრადიციულად საღვთო დაგვრჩენია მამაპაპათაგან. სიწმინდე გააქვთ, ბაბაჩია, სტუმართმოყვარეობა, ურთიერთგატანა და ნამუსი, არ იცი შენ და სხვანი ვიყავით სულ, თვალსა და ხელს შუა წაგვღლიტეს საღმერთსწორო და საცათასწორო, გამოფუტუროებულ, გამოშიგნულ რაობებს დაგვამსგავსეს. ჩვენი თაფლისფერი თვალები ტალახისფრად შეიფერა, ცისფერი კიდევ ჭაობისფრად... გადავგვარდით, ერი სულისგან დაიცალა და თვალიც ხომ ანარეკლია სულის. მზე და მთვარეც წაიღეს, უმზეოდ თენდება და უმთვაროდ ღამდება!

კი, მარა მზეს და მთვარეს ვინ ან როგორ წაიღებს, – გაუკვირდება კვლავ თორას.

ვინ და ისინი, რომელთაც არა აქვთ ეგეთი მობარჩხალე მზემთვარიანი, ხოლო როგორ წაიღებენ და სიტყვას მოგიფამფალებენ, გაგიუცხოებენ.

მაინც ვერაფერს გაიგებს ბიჭი.

წადი ახლა, ხვალ მოდი, სახარებას გათხოვებ, ღმერთის წიგნს, სული გაგინათელიანდება, მოჩვენებითი სილამაზეები ეშმაკებივით ხელ-ფეხის უთავბოლო ფართხალით გაქრებიანო, თანაც ჭეშმარიტი სილამაზის მშვენიერებას შეიგრძნობო...

ვერ გაიგებს თორა ისევ ვერაფერს.

ყარა გასაგებად ახსნას ეცდება. მამაშენმა რატომ არ მისდია მჭედლობას, ამაზე თუ გიფიქრიაო?

არა, არ მიფიქრიაო! – უპასუხებს უცებ თორა.

რაშია საქმე, ბაბაჩია, და დრომ გაქათქათებული პერანგი, ყორნისფერი პიჯაკი და ქუსლიანი გრძელწვინტა ფეხსაცმელი შემოიტანა მოდაში, მზერა და გონი აურია კერასთვალაცდენილ ყეყეჩებსო. ყველაფერს გაექცა მამაშენი, თქვენ, მის შვილებს კი, ბაბუაშენი გარჩენთ და გავაჟკაცებთო. გრდემლზე უროს ცემა კი არ არის სასირცხვილო, ბაბაჩია, საკუთარი თავის დაკარგვა, უსამანო, უძირო ფიქრ-ოცნების გამოკიდებაა სირცხვილი. ნალბანდი რომ ყოფილიყო მამაშენი და საჭირო საქმე ეკეთებინა, ის ერჩივნა, ვიდრე ქალაქის ღრიანცელეთში ჩაძირულს მოჩვენებითი მედიდურობითა და უთავგზაო ამპარტავნებით თავბრუ დაეხვია საკუთარი მომავლისთვის, ასე უმუხრუჭოდ რომ დააქანა წკვარამეთის თავდალმართში.

ბაბაჩია, რაც მოგდგამს და რისი ცოდნა-შესაძლებლობაც დაგეღმერთება, იმას უნდა მისდიო კაცმა, თუ არა, ბირცხიანით თვალდამრუმებული ხარივით გადაიჩეხები მზერაჩაუწვდომში ყვავ-ყორნების მუცლის გასაძღობადო. გაიგე რაიმე თუ ტყუილად გელაპარაკებიო?

არა, ყარა ბიძია, რატომ ტყუილად, რაღაცებს ვგებულობ, აბა, რაო!

კარგია, ცოტა რამ თუ გაიგე და შეგივიდა გულგონში. ამჯერზე საკმარისია, თანაც საქმე მაქვს მეც, ა, ეს ფეხსაცმელები თებრო შონხემ დამიტოვა, შაბათს ხორგაში მიდის ქორწილში და უნდა გავუნამდვილოო.

●

გაივლის ორი ათეული წელიწადი და ბერძნები ფრიქსესგან ნაჩუქარ, საკრალურ მუხაზე ჩამოკიდებული ოქროს ვერძის დაბრუნებას მოსთხოვენ კოლხებს. კაცუნებს სჩვევიათ მსგავსი საქციელი – ნაჩუქარის უკანვე წაბოძება. ტროას ცხენის თვალთმაქცური ხრიკი შეასრულებინეს ცბიერმა ბერძნებმა იმ ტყავს, რომელიც უკვე უბრალოდ ტყავი კი არ იყო – სიბრძნისა და საკრალური ცოდნის გადატანით ოქროს საწმისად ექციათ კოლხებს. ან რას დაუთმობდნენ ელინებს, ციხე შიგნიდან რომ არ გამტყდარიყო და მედეას დახმარებით არ გაეტაცათ არგონავტებს. იმ ჟამიდან დაიწყება ნება-ნება მდულარეშემდგარი წკურიანტელის ჩამოსუდარება კოლხიდაში.

ბაბაჩიამ გასანთლა კაპრონის ძაფი. უცებ სოხუმი, სიყმაწვილე მოაგონდა. ბიძამის ქაქუთასთან სტუმრობა, ცალფეხამპუტირებული ბიძის მეუღლის, ბიცოლა ოშოშიას წვრილშვილების გაზრდაში ხელს რომ უმართავდა ის. თავადაც 9-10 წლისა თუ იქნებოდა, თუმცა შეშის დაჩეხვა, წყლის მოზიდვა და კიდევ სხვა სადიდ-საკაცო საქმეების კეთება უწევდა.

ერთხელ ფეხსაცმელი გაერღვა, ბიცოლამ თავკაუჭა სადგისი და ბამბის ძაფის გორგალი მისცა, გაკერეო. უჩვენა, როგორც უნდა შეეძგიდა სადგისი ძირქვეშიდან, მაგრამ ასე უცებ ვერ მოახერხა და ძაფი აებურდა. მაშინ სახლთან ახლოს მჯდარ „საპოჟნიკთან“ მივიდა, არმენი ერქვა იმ ხელოსანს. ბიძია, ძაფი მებლანდება და რა გავუკეთო თავკაუჭით, იოლად რომ გამოვაძვრინოო? პარაფინის სანთელი გამოუსვი, გაიზინთება და გაგიიოლდება საქმეო. ასეც მოიქცა, მაგრამ აბა, თაფლის სანთლის საკეთებელს პარაფინი როგორ შეიძლებდა. მეზობელმა, ხელვარგისმა აფხაზმა ბაკა ზანთარიამ ასწავლა, როგორც უნდა ექნა. გული აიცრუა მაშინ სომეხზე პატარა ყარამ და შეიყვარა აფხაზი და ის გრძნობა და შეხედულება სიცოცხლის ბოლომდე უცვლელად გაჰყვა.

●

– ყარა ბიძია, ბაბაჩია, უიიიიი, ყარა ჯიჯი, ვაااااი, ბაბაჩიაო, სული თვალებიდან ეკარკლებოდათ, ისე გულამოვარდნით მივარდნენ ბიჭები ყარას ჯიხურთან. საქმეში თავჩარგული მეწაღე ფიქრის ბურანში გახვეულიყო, ათასსადაობით ატარებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზრისს. გნიასზე გამოერკვა, მოუხრეშავ მტვერ-ფენილ გზაზე პატარებს ბუღი და კორიანტელი დაეყენებინათ. რაო, ბაბაჩიებო, რამე უბედურება ხომ არაა ჩემს თავსო! ავის შეტყობის შიშმა მუხლე-ბი მოსწყვიტა, წამოდგომა ვერ შეძლო და მთელი ძალით დაეშვა ტყავ-ქამრებით დაბეჭილ სკამზე.

– კიკი ჩაჩბამ შენი თხები ვინტოვკით დახოცა სუყველა, – ყველას დაასწრო თორამ და კიონტია მზისგან დამწვარი სახე ჯიხურის კრამიტის ჩრდილს მიამალა.

– ათივე დახოცა, ყარა ბიძია, მანდარინი დამიტ-კვერეს და მიტომო, – გულჯავრი ამოსიტყვა ბეთქი ჯინჯოლიამ, ულაყების მყვერავი ჩათიას უმცროს-მა ვაჟმა, რომლის ოცნებაც მამამისის ხელობის გაგრძელება გახლდათ. არადა, ცხენის დამკოდავზე უგულო და უჯავრო კაცი არ იგულება მთელს დუ-ნიაზე.

– მაშინვე მივუსწარით, გადმოდენა გვინდოდა, მაგრამ გაგიჟდა, რო იცის ისე, ღრიალი და ყვირი-ლი მორთო, ლულა ჩვენც მოგვიშვირა, დამეკარგე-ნით აქედანო. თავისი ცოლი კეია ეხვეწა, ემუდარა, ნუ იზამ, ნუ დახოცავ, ახალი გადმოსულები არიან, თანაც უღელიც ადგათ, ჩვენი ღობის ბრალია, ხალხი რას იტყვისო, მაგრამ ეჰ... – თვალებზე ცრემლი აუმარგალიტდა თავრიხვალ ზურია ცაავას.

– ყველას უღელი ედგა, ყარა ბიძია, ეგეთი რინტუები ღობეუვარგისზე ხტებიან, თორემ სხ-ვაგან რატომ არ შევიდნენო, – არ ცხრებოდა და მოჭუტულ თვალებს არიდებდა ბარჩხალიას კვლავ.

დუმდა ყარა.

– დახოცილი თხები სად არის, ბაბაჩიებო? – იკითხა ბოლოს იატკიდან მზერამოუწყვეტლად.

– სად და იქ, მაგის ომანდარნეში ყრია ყველა; მეწველებს რძე გადმოსდით ძუძუებიდან. ურჯუ-ლოს აატირებს, ისეთი სანახავია, – ასაკით ყველაზე უფროსმა გივი თორიამ თქვა ეს.

– ჩემებისთვის რამე ხომ არ გითქვამთ, ბაბა-ჩიებო?

– არა, პირდაპირ შენკენ გამოვიქეცით...

– არა, არა, უცებ აქეთ წამოვედით...

– ნამეტანი კარგად მოქცეულხართ, მე ვეტყვი მაგათ, დავურბილებ, დავუმსუბუქებ, ცხელ გულ-ზე მშობელს ვერ სცნობს კაცი რიგიანად და რა ვიცი, ცუდი წამზე სწრაფია, – ეს უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა ყარამ, – წადით ახლა, ჩემს ძმისშ-ვილს, ამირანას მიხმეთ, ცხენშებმული ტაჭკით მო-ვიდეს, იჩქაროს ძალიან.

მალევე მოვიდა ამირანი. ეს ბიჭები მოგეხმარე-ბიან, ის თხები გადმოიტანეთ სუყველა და წალა-ში დამარხეთო. არავისთან კრინტი არ დაგცდეთ, თხოვნაა ეს ჩემი, მით უფრო კიკისაც არ უთხრათ სიტყვა. რაც უნდა გითხრათ, ენა არ შეუბრუნოთო.

გაჭირვებისა და ცუდამბის ჟამს მოსდგამთ ადამიანებს თანაგრძნობა უფრო, ვიდრე სიკეთისას და გახარებისას.

გადაირივნენ სოფლის ენაკვესიები, ერთმანეთს არ აცდიდნენ ყარას შეგულიანებას:

„ეს როგორ უნდა შეარჩინო მაგ ნუპაკსა და ძაღლის გაგდებულს!..“

„ამისთანა სასწაულს მეზობელს კი არა, გად-ამთიელს არ აკადრებენ, ჩემო ბატონო, მოამტვრიე ხელ-ფეხი და იაროს შერცხვენილმა...“

„დახოცე შენც, ჩემო ყარა, მაგისი ოთხფეხი, თუ რამ დაუდის და უბია და იძიე შური...“

„შენი წინაპრების სულიც შეურაცხყო მაგ ღო-რის შვილმა და ჰქენი საქმნელი, არ შეგეშლება მაგი შენ!..“

უფრო სასტიკ შურისძიებასაც ურჩევდნენ ყარას, გვერდში ამოდგომას ჰპირდებოდნენ, ყარა გონდაუნჯებით პასუხობდა, დიდი მადლობა, ბა-ტონებო, მივხედავ მაგას, არავისთვის შემირჩენია უმსგავსო საქციელი, იცით თქვენ და მიიღებს ეგეც საკადრისს, დროა საჭირო, დროო. ოჯახის წევრე-ბიც გულგახურებული ცეცხლაობდნენ, განსა-კუთრებით უფროსი ვაჟი კონია ვერ ეტეოდა კანში, მაგრამ მამისა ერიდებოდა, მის ნათქვამს ვერ გა-დადიოდა, თორემ აფხაზს ამისთანა უმსგავსობას არაფრით შეარჩენდა.

ერთ დილით ას წელს მიღწეული, მეჩონგურე-ოსტატი ქოქო ზანია ესტუმრა ყარას ჯიხურში. გაიხარა მეწაღემ, მთელ იმ კუთხეში დაფასებული და ღირსებით სახელგანთქმული კოლხი იყო ქოქო პატენი, მაფიქრალი და სიტყვაძვირი, ადვილად ენას რომ არ გაილესავდა, ისეთი. ამ დიდებულ ადამიანს ბრძენკაცად უხმობდნენ და კიდევაც იმსახურებდა ასეთ პატივს.

– მობრძანდით, ქოქო პატენი, რატომ შეწუხ-დით, თუ რამ გნებავდათ, იქით გეახლებოდით. ნამეტანი თქვენი სტუმრობით გამახარეთ. აგერ ამ სკამზე დაბრძანდით.

– დიდი მადლობა, ჩემო ბატონო, პატარა საქმე მქონდა შენთან და გამოვედი. ამისთანა უსაშველო სიცხე დიდი ხანია არ გვქონია. კია ყურძნისთვის და მოსავლისთვის მზე კარგი, მარა დაგვაბრუალა ნამ-ეტანი, – ქუდს ქვემოთ ჩაფენილი ცხვირსახოცით ოფლით დაწინწკლული სახე მოიწმინდა მოხუცმა.

– მართალი ბრძანდებით, ქოქო ჯიჯი, მარა უმზეო ზაფხულს მაინც ეგეთი ღურღულა ჯობია. ჩონგურს თუ ამზადებთ, ქოქო პატენი, ამ ბოლოს, არ გამიგია რაღაც? – უცებ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი ყარამ.

– არა, ბატონო, რა დროს ჩემი მეჩონგურეობაა, დავბერდი, გამოვხიხინდი აწი და არ მემორჩილე-ბა ხე და მერქანი. გრძნობს ხე უძალობას, ხმელი და გამომშრალი ხეც გრძნობს ყველაფერს და არ მომყვება. არადა, თუ არ მოგენდო და მოგეგულა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯადოქარიც რომ იყო, ვერაფერს გააწყობ. დავბერდი ანი, ნახევარ სხეულით ოშურეთის მკვიდრი ვარ, ბაბა, და რაღა ვქნა! თუმცა ეგ კი არ მაწუხებს მე, უნდა დაბერდეს და დაოკდეს კაცი თავის დროზე, ის მადარდებს, ჩემი საქმის გაგრძელება რომ არ ისურვეს არც ჩემმა შვილებმა და არც სხვა ვინმემ. ინანებენ, ჩემო ბატონო, ამას, ინანებენ, მარა რა დროს იქნება მერე.

ჩვენმა წინაპარმა ღმერთის ხმას აუწყო ჩონგური, საუკუნეები წვალობდა, შრომობდა, ზენა არსის საკადრისი ყოფილიყო საკრავი ესე, მარა უღმერთო დრო-ჟამი მოდგა და ეშმაკისკენ მაცქირალებს რად უნდათ საღვთო რამეები.

– ქოქო პატენი, თუ საიდუმლო არაა, თუთის გარდა რომელი ხისგან ამზადებენ კიდევ ჩონგურს? – ინტერესით დაეკითხა ყარა.

– რატომ საიდუმლო, ჩემო ბატონო, საიდუმლო კი არა, იცოდეს უნდა ყველამ და გაუფრთხილდებიან მერე იმ ხეებს. თუთის ხისგან დიდებული ჟღერადობის საკრავი გამოდის, ძარღვიანი მერქანი აქვს თუთას, დასამუშავებლადაა ძნელი მეტად. საოცარი ჩონგური კიდევ ცაცხვისგან იკვართება. დიდებული ხეა ცაცხვი, რბილი და დამყოლი. ჭანური მსხლისგან გამომითლია, ტკეცია მერქანი აქვს იმ დალოცვილს, მარა გაბოროტება იცის და დასკდება ხოლმე.

– გაბოროტება რას ქვია, ქოქო პატენი?

– რას და სხვის ხელს გრძნობს, სხვის დაკვრას, უცხოს იგუმანებს რაღაცნაირად და დასკდება ღარღარად მთელი მერქანი.

– საოცრებაა პირდაპირ!

– კი, ხომ გითხარი, ხე ყველაფერს გრძნობსმეთქი. ის ჭანური მსხალი ფიცხია ნამეტანი და არ პატიობს პატრონს განათხოვრებას. იციან ეს მეჩონგურეებმა და ჭანური მსხლისგან გამოთლილ ჩონგურს არ ინათხოვრებენ არასდროს. ჯუმის ხისგანაც გამოდის კარგი საკრავი, მარა ცაცხვივით უნდა დამარხო ეგეც მიწაში და ისე გამოაშრო, თორემ ვაზივით დაიგრიხება. სხვადასხვა ხეებიც შემირწყმია ერთმანეთისთვის და ისეთებიც გამიკეთებია ბევრჯერ. საოცარი გამოდის. განსაკუთრებით ცაცხვისა და თუთის ტან-მუცელი, ბზის ჯორი და უთხოვარი, ურთხელის მოსაჭერ-მოსართავები გამოდის კარგი. ჰარმონიულად ერწყმიან ერთურთს და მშვენიერ ჰანგსაც იბუდებენ არსში. დამკვრელზეცაა, ჩემო ბატონო, ბევრი დამოკიდებული, ისე უნდა აათამაშოს თითები და ისეთი სიყვარულით დაატანოს გულისა და გონის სიმახვილე, იქ მიყუჩებული ჰანგები ოსტატურად გამოიტყუოს.

– აგაშენათ ღმერთმა!

– ეს ყველაფერი ნამეტანი კაი, მარა შენთან ერთ საქმეზე ვარ მოსული, ყარა პატენი, და იმედია, მომისმენ და გაითვალისწინებ ჩემს რჩევას! – ისევ მოიწმინდა ოფლი მოხუცმა, კოკიდან დასხმული ცივი წყალიც მოსვა და, ჯღარი თვალები თითქოს გულში გაუტარაო, ბასრისსებური მზერა მიაფეთა. მიუხვდა ყარაც, რაზეც უნდა ესაუბრა მოხუცს, ამ საკითხზე იმდენი მოვიდა, ისეთი რამეები მოისმინა, დაიღალა უკვე, მაგრამ უფროს კაცს, თანაც ასეთ პატივცემულს, აბა, როგორ აგრძნობინებდა უინტერესობას და ღიმილით უთხრა, გისმენთ, ჩემო ბატონოო!

– გეტყობა სახეზეც და ღიმილზეც, რომ მიმიხვდი სათქმელს. გულისა და გონების ერთობილად მიმდევარი კაცი რომ იყავი, მიტომაც მოვედი ამ ხნის კაცი, თვარა გულის ცეცხლსა და ენაკვესიებს აყოლილთან არც მივიდოდი და თავსაც არ შევიწუხებდი, მაინც არაფერი გამოვიდოდა და მიტომ, თორემ კარგი და საღმრთო ყველას უნდა ურჩიო და სასიკეთო რამ ნებისმიერს შეაწიო, მარა, როცა იცი, შენი ნათქვამი იმისთვის ლობიოს მარცვლის ღირებულებისაა, რა აზრი აქვს მაშინ შეგონებას.

მითხრეს, მრავალი აზრი და რჩევა დაუხვევიათ შენთვის. არ ხარ იმისთანა კაცი, უადგილოს ადგილი მიუჩინო გულში, მარა ათას ეშმაკეულად ცუდნარჩევს ძალუძს ნათელი გონების ამღვრევა და გეახელი, იმ ავყიათა საღრიანცელოს ჩემი კეთილი აზრი და რჩევა შევუნაკადულო.

ცუდი და უღმერთო საქმე ქნა იმ თხისტვინა კიკიმ, მარა უნდა იფიქრო, რატომ, რა ვითარებაში და როგორ აზრთა ტრიალში ჩაიდინა ეს სიბრიყვე იმ საცოდავმა.

– ვფიქრობ მაგაზე მე, ქოქო პატენი! – სცადა სტუმრის გაჩერება ყარამ.

– კი ფიქრობ, აბა არ ფიქრობ, ჩემო ბატონო, მარა ჩემი უნდა გითხრა, ვალი მოვიხადო შენისთანა კაი კაცის წინაშე და წავიდე მერე ჩემს გზაზე.

– უკაცრავად, ბრძანეთ!

– არ გაუმართლდა კიკი უბედურს. გოგო ორჯერ გაუთხოვდა, თითო ბავშვი მოჰყვა ფაშატებივით ორივე ქორწინებიდან, ზის ახლა შინ და აცეცებს ოჩხომურის ღელეში ხრეშისთვის მიმავალი შოფრებისკენ კუდღლისფერ თვალებს. ბიჭებია და, ერთი ციხეში ზის ქურდობისა და მამაძალლობის გამო, მეორემ ვიღაც რუსის ჯუა შეირთო ცოლად და გადაიკარგა. რუსისგან გახარებული და გაბედნიერებული ვინ ყოფილა, ის საცოდავი რომ იყოს. ყველაფერ ამას ხედავს კიკი და გაებერა გული ჯავრისგან.

კაცი მეზობლის მოსაწონად ცხოვრობს, ჩემო ბატონო, და რომ არაფერი დარჩა სასიკეთოდ თვალშესადგამი, აიმღვრა კაცი. შენ და მის გარშემო მცხოვრებთ გეჯიბრებოდათ ეგ საცოდავი და, რომ დაინახა, პირწმინდად დამარცხდა და სამომავლოდ საშურსაც ვერც ერთი მხრიდან ვერ შეადგა თვალი, დაკარგა კაცობა! არ ვამართლებ, ღმერთმა დამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაროს, არ უნდა მოგივიდეს კაცს ეს, სძლიო უნდა ღირსეულად ყველა ჭირსა და ვარამს, მარა ყველას ერთნაირად ვერ მოსთხოვ. მგონი, მიმიხვდი, რისი თქმაც მინდა და ერთს დავსძენ კიდევ: ერთმანეთს უნდა გავუგოთ ჩვენ, მეზობლებმა, ასეთი ცუდი ამბის ჟამს, ეშმაკს კი ნუ ვუხმობთ, ღმერთს ვუხმოთ და ბოროტება სიყვარულითა და სიკეთით დავამარცხოთ. უფრო დიდი რამეები გადახდომიათ და გადაუტანიათ ჩვენს წინაპრებს, აფხაზებსა და მეგრელებს, მაგრამ საარაკოდ ნაქნარი ცუდი, უფლის შეწევნით არა გვქონია და მომავალშიც ნუ გვაქნევინოს ღმერთმა. ეს იყო ჩემი სათქმელი და აწი, როგორც მოიქცევი, შენ იცი და შენმა კაცობამ!

– დიდი მადლობა, ქოქო პატენი!

●

აფხაზები აბაყას უგებდნენ მეგრელებს. აბაყა ფაცხაა აფხაზურად. აბაყას ვაჟკაცი, ღირსეული მიცვალებულის სახელობაზე წნავდნენ. აპაპყვაჭას, ამილახუს, ადესის ან აგურზისხირას ღვინოთი სავსე დოქს ტოვებდნენ თხის ბეჭერია ყველთან, ღომთან და მჭადთან ერთად შიგ. აბაყაში მეგრელი მგზავრი უნდა შესულიყო, ეჭამა, ესვა, მიცვალებული, ვის მოსაგონრადაც ეს ფაცხა იყო აგებული, მოეგონებინა, მისი სულისთვის სიმშვიდე ესურვებინა, დაესვენა და წასულიყო თავის გზაზე. ხშირად სამტროდ გადაკიდებულ მეგრელს და აფხაზს აბაყაში შეარიგებდნენ ხოლმე. იქ ზედმეტი საქციელი მიცვალებულის სულის შეწუხებას მოასწავებდა, ამიტომაც აბაყაში შესული მოსისხლე მტრებიც კი იქიდან გამოსულნი მეგობრებად რჩებოდნენ ხშირად.

მეგრელებიც აგებდნენ ოხვამე, იგივე სალოცავ ფაცხას, სადაც აფხაზის შესვლა და დასვენება, მით უფრო დანაყრება და მიცვალებულის მოხსენიება უდიდეს პატივად ითვლებოდა. ასე უფრთხილდებოდა და აღმერთკაცებდა ეს ორი სისხლნათესავი ხალხი ერთურთს.

– დილა მშვიდობისა, ყარა ბიძია, ფიქრებში წასულ ყარას მოულოდნელად თორა წამოადგა თავზე.

– მშვიდობა მოგცეს, ბაბაჩია. რამ შეგაწუხა ასე დილაადრიან, მოდი, დაჯექი აქ.

– არა, მუშაობ და ხელს ხომ არ შეგიშლი!

– ე, ბიჭო, უმუშევარი და უსაქმური თუ გინდოდა ვინმე, სასაფლაოზე წასულიყავი და მაგის მეტს რას ნახავდი იქ! – გაეხუმრა უმცროს მეგობარს ყარა.

– ის სახარება, თქვენგან რომ წავიღე, ჩემს უფროს დას, ცირას წაუღია ჩემს დაუკითხავად სოხუმში, ხომ იცით, იქ სწავლობს საფერშლოზე და...

– რას ჩამოგიშვია მერე ცხვირი, ყაძახო, თუ წაიღო, წაიკითხავს ალბათ და კაი საქმეს გააკეთებს. შენ, რომ ჩამოიტანს, მერეც მოასწრებ. ეგ ღვთის წიგნია და უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტ ადამიანს წავაკითხოთ.

– კაი, აბა, მაშინ მომეშვა ცოტა გულზე!

შემოვიდნენ რუსები, შებრაგუნდნენ დრაგუნსკებით აბაყაშიც და ფაცხაშიც, მკვდარ-ცოცხალისთვის პატივმიუგებლად ჩანთქეს და ჩაცეცხლეს ყველაფერი, სომხები და ვიღაც წვრილ-წვრილი გადამთიელებიც შეყვნენ. წაუცმაცუნეს მათაც ვირთხებივით საკბილოს, მერე ყველამ ერთად ცეცხლი წაუკიდა იმ ჩვენს სალოცავებივით წმინდა ალაგებს, გადაწვეს და გადაბუგეს სახსოვარი და საყვარელი...

– შენ ის მითხარი, ბაბაჩია, კოჩია ცირამუასა და ჯაგა ხვიჩიას ქალიშვილის თუთიას სიყვარულის ამბავი როგორ მიდის, რაო, ჯაგამ, არ მივცემო თუთიას კოჩიას?

– არაო, ცა და მიწა რომ გაუსწორდეს ერთმანეთს, იმ მაჩვის ფეხს ჩემს ანგელოზივით ქალიშვილს მაინც არ გავატანო.

– რატომ ვითომ, მარტო სიმაღლით აფასებენ კაცის კაცობას? ეჰ, ეგერ სიმაღლე თეთრ ხესაც კი აქვს, ბაბაჩია, მარა შეშად, მასალად და არაფრად ეგ არ ვარგა. გული და შინაგანი სიმდიდრეა მთავარი. – ჩამოუშვა ქარსაცავისკენ გაშვერილი ხელი ყარამ.

– ნამეტანი პატარაა, დაგვაჯული და, ისეთი რა გამჭირვებია, მაგას შვილი არ მივათხოვოო, – ამას წინათ ეკალას საკრეფად ყოფილან ერთად ჯაგას ცოლი შურია და ბებიაჩემი და მაშინ უთქვამს.

– კი, ჩემო თორა, მარა სიყვარული არ უყურებს მასეთ რამეებს და არ აქცევს ყურადღებასაც. კაი ბიჭია კოჩია ცირამუა, ცოცხალი, საქმიანი, ნემსის ყუნწში გაძვრება და საქმნელს რომ იზამს მაინც, ისეთი. ჰოდა, იაქტიუროს და დაასრულოს ეგ საქმე ბედნიერად. მთავარია, ქალ-ვაჟს უნდოდეს ერთმანეთი და სხვას რა ხელი აქვს იმაში, რაც უფლისგან დაწინდულა.

„ყარა პატენი, ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა, არ ვიყავი ეს დღეები აქ და მაპატიე, რომ ვერ ამოგიდექი მხარში," – შორიდან მოძახილივით გაჰყვიროდა როხრიხა ჯახუ ქავთარია და ქვითქვითით უახლოვდებოდა მეწაღის ჯიხურს.

„გაგონილა ასეთი თავხედობა და უსინდისობა, ვინაა მაგ ღორისშვილის ასაგდები, დავსაჯოთ უნდა, მანამ უნდა მოვუღოთ ბოლო, სანამ უარესის ჩადენისკენ გაუწევდეს გული. არავის უკადრებია ჩვენი გვარისთვის და ნათესაობისთვის ეგეთი უღმერთობა, გაგვიძეხი წინ და მოგყვებით ყველა," – ხმის ჩახლეჩამდე ხმიანობდა ჯახუ ქავთარია, რომელიც დედის მხრიდან გარე ბიძაშვილად ეკუთვნოდა ბაბაჩიას.

„დიდი მადლობა, ჯახუ ჩემო, დიდად ვაფასებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენს ერთგულებას, მარა თავად მივხედავ მაგას, შევხვდები და გავსწორდებით, არაა მაგი ძნელი საქმე“.

„კაი დაგემართოს, ყარა პატენი, მარა, ერთად რომ მოგვეკითხა, სჯობდა, ღმერთმანი, ხალხიც დაგვინახავდა. ჩვენს ნათესაობას მეტი ძალა და პატივი მიეკუთვნებოდა. ავად და ბოროტად მომზირალი სხვა უჯიშოებიც ისწავლიდნენ ჭკუას!“

„სხვა დროისთვის იყოს მაგი, ჩემო ბატონო, ამჯერზე კი მარტო უნდა მივხედო მაგ საქმეს და არ მინდა, სხვები ჩავრიო, ჩემი ოჯახის წევრებიც კი, ასე აჯობებს, ღმერთმანი“.

„ნება თქვენია, ბატონი ბრძანდებით, თქვენი საქმისა თქვენ უკეთ იცით, თუ რამეში დაგჭირდეთ, არ დაგვზოგოთ. ისე, იმ კარგი მამის სული ნუ წაგიწყდება, ხეირიანად დაამუჯლუგუნე და დაუნაყე ის კოდალასავით გრძელწვინტა ცხვირი“.

●

ოქროცურვილი შემოდგომა ქარების მოძალებული ქრშიალით შემოვიდა სოფელში. ხურმისა და თხმელის ხეებიდან ჩამოკრიფეს: ჩქიჩქუს, ადესის, ხარისთვალას, ქორქოშიას, თოლუჩას, ღუბურიასა და ჩუჩელიას ჯიშის ყურძნები. განსაკუთრებით ქორქოშიასა და თოლუჩას ესხა მადლიანად. ქორქოშიამ ოქროსფერი ღვინო იცის, უფრო ზუსტად – მოჭერილი, მუქი ქარვისფერი. თხელ-მსუბუქი, საგრძნობლად ცუცხუნა და გემოსაამო. წვრილ-კუმპალა ძაღუნია გადაშენების პირას იყო მისული, ჩიტიშთოლიც ამოაგდეს თითქმის, საბედიანოში თუ მოიძიებდა საიშვიათოდ კაცი, არადა, კურდღლისსისხლა, იშვიათი გემოს ნაჟური იცის დალოცვილმა. თოლუჩასაც მას მიმგვანებული გემო აქვს, ღვინოც შავია, მაგრამ მსხვილი კუმპალებით, წვენმაძღარი. კაკუშია და მაფაშაც, იგივე დედოფალა, გადაშენდა, დიხაზურგელი გამსახურდიებისა და ხამსკურელი კუკავების მამულებს შემორჩათ თვალისგასახარად.

მაფაშას ვარდისფერი ღვინო ლევან მეორე დადიანს ჰყვარებია გამორჩეულად და განსაკუთრებით. ჯაჯუ კუკავასთვის დაუვალებია ყოველ შემოდგომაზე ოცდაათი კოკა ღვინოს ბოძება. ის ჯაჯუ კუკავა ხამსკურელი ყოფილა, ჯეგეთას მთის ფერდობზე განფენილი მამულები გადაუცია მთავარს მაფაშას ჯიშის ვენახის მოსაშენებლად. დიდ მთავარს, დარეჯან დედოფლის ვაჟს, კახეთიდანაც მოსდიოდა ძღვნად მზეჩამდგარი ნაჟური რჩეული ვაზისა, მაგრამ იმ ზომაზე აფასებდა მაფაშას ღვინოს, რომ ჯეგეთის მთის ძირას, ვენახებს ქვემოთ, ცვარულის ნაკადულის გასწვრივ უშველებელი მარანი აუგია სამი ორმოცდაათფუთიანი ცაცხვის საწნახლით, ასფუთიანი ჭურებით, ყველა საჭირო ინვენტარ-რამეებით.

უჯიშო და უგვანო სისხლისფერა ბოლშევიკებს თავლად უქცევიათ ეს საოცარი მარანი. იქაური ძველები გონების დაუძაბავად იხსენებენ, საქონლის დგომის მიუხედავად, დიდი ხნის განმავლობაში მაფაშას ღვინის საოცარი სურნელი იფრქვეოდა იქიდანო. იმ ჯაჯუ კუკავას ქალიშვილი გათხოვილა საბედიანოში, დიხაზურგელ გამსახურდიას გაჰყოლია. ეტყობა, სიმამრმა სიძესაც მოაშენებინა ეს საოცარი ვენახი და ასე გახარებულა დიხაზურგაში.

ღვინისა და ვაზის სიყვარულმა გაგვიქცია კალამიც. იმას ვამბობდით, ყურძენი ხვავრიელად მოვიდა იმ წელს, სიმინდიც არანაკლები მოიწიეს და ქერიც. ხორბალს აქა-იქ თუ თესავდნენ აფხაზეთელი გლეხები, იმასაც სამურზაყანოს სოფლებში. არადა, ცერის სიმსხო მახა და ჯვიჯვი, ხვიბი და ჩელაია უიშვიათესი ჯიშებია მთელს მსოფლიოში.

ისევ გაგვიქცია კალამი გულისტკივილმა.

ყარა ურდიას ოჯახიც აივსო ორსული ქალივით. სანამ ოხვამე-ოჭკადურესთან მუხლებს მოიყრიდნენ და მაღალ ღმერთს შესაწირს მიუბოძებდნენ, თავისი სეხნია შვილიშვილის მონათვლა მოისურვა. საკლავი ამოარჩია, რქაზე სანთელი მიაკრა, დასახარჯ ჭურ-ლაგვანს, წესისამებრ, ბზის უშველებელი წვერწამახული ჯვარი დაუსო თავთან, მწარე კვახისგან ორშიმო გამოაჯამა და პირველი ლოცვაც წაიჩურჩულა მთვარის ამოსვლამდე:

„შეინირე ყველაფერი ალალად ზეციერო, ღმერთო მაღალო, ძეო და სულო, მკვდარს სულისად, ცოცხალს ხორცისად მიუზღე და მოგვეცი ძალი და უნარი, ვემსახუროთ სიკეთეს და სამშობლოს ჩვენსას! ამინ, ამინ, ამინ!“

ამ ლოცვიდან, ტრადიციისამებრ, ერთ კვირაში შეიძლებოდა ნათლობა და ჩატარდა კიდეც. კვირას, უფლისთვის მიძღვნილ დღეს დაინიშნა. ორასკაციანი სუფრის გაწყობა ბრძანა ყარამ.

სტუმრების დამპატიჟებლად სათანადო ხალხი შეირჩა. სამეზობლოს მოწვევა ყარამ ბიძაშვილ გერა ურდიას სთხოვა, ოხვამე კარიდან ეშმაკების ღელემდე ყველა დამიპატიჟეო. ყველა როგორო? – გაკვირდა გერა. როგორ და როგორც გავალებ, ისეო. კიკი ჩაჩბასაც ვუთხრა თუო? კიკი რა, ჩვენი მეზობელი არ არისო, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ისე მიმართა ბიძაშვილს. კი, მაგრამ იმან ხომ... არავითარი მაგრამო, – არ დაასრულებინა სიტყვა ყარამ. – ყველა დაპატიჟე უკლებლივ, კიკი ჩაჩბას კი განსაკუთრებით სთხოვე მობრძანებაო. კი მარა, რაც იმ დათვის ანგალაში გაზრდილმა გაკადრა, მას მერეო!

კაცო, შენ არ გესმის ნათქვამი?! თუ არ შეგიძლია, მითხარი და სხვას ვთხოვ მაგ საქმის შესრულებასო.

კაი, ბატონო, წავედი, მარა მაინც ვერ გავიგე, კიკი მგლის მუცელში გასაძვრენს რატომ ეპატიჟებიო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფრა უშველებელი ჭყონის ჩრდილქვეშ გააწყვეს. დაგვინდობს მესეფი, ამინდი არ გაფუჭდებაო, დაასკვნა სოფლის მესიაკონმა, საუკუნეს მიღწეულმა ქოქო ზანიამ. როგორც ყოველთვის, ახლაც ენდნენ, დაუჯერეს და ყოველგვარი სეფისა და გადახურვების გარეშე ღია ცის ქვეშ გამართეს ტაბაკები.

უკლებლივ ყველა სტუმარი მოვიდა, საბერიოელი ბაჩა შონიას გარდა. ყარას სიყრმის მეგობარი იყო ბაჩა, ჯარში ერთად მსახურობდნენ. უდიდეს პატივს სცემდნენ ერთურთს. ბიცოლა გარდამეცვალა, ჯერ ორმოცი არაა გასული და ლხინის სუფრაზე ვერ დავჯდებიო. ეს სიტყვები თავის შვილიშვილს დააბარა ყარასთან და მეგობრის სეხნია შვილიშვილს მოვერცხლილი ხანჯალი გაუგზავნა საჩუქრად ნიშნად მათი ოჯახების მარადიული მეგობრობისა, ჭირსა თუ ლხინში ერთად დგომისა.

უფალმა უშველებელი მარაო დააქშიალაო. თითქოს, საამო ნიავ-მასქურმა დაქროლა მაღალმთიდან. სტუმარ-მასპინძლები რიგისამებრ მიუსხდნენ სუფრას, მათ შორის კიკი ჩაჩბაც.

სამჯერ აღავლინეს უფლის სადიდებელი, სამსამი ცეცხლჯაჭვა არაყი გადაჰკრეს და თამადის არჩევას დაელოდნენ. მასპინძელმა ჭიქა ღვინით შეავსო, სიხარულით სავსე თვალებით კიდევ ერთხელ გადახედა სუფრას და ბრძანა: „ბაბაჩიებო, ჩემო ძვირფასო ადამიანებო, პატივცემულო ქოქო, უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ჩემი და ჩემი ოჯახის დაფასებისთვის, იმისთვის, რომ გამონახეთ დრო და მობრძანდით. დრო, ჩემო ბაბაჩიებო, ყველაზე დიდი განძია ადამიანისთვის და, ჩვენთვის რომ არ დაინანეთ მისი დახარჯვა, უსაზღვროდ ბედნიერი ადამიანი ვარ, ესე იგი, მცემთ პატივს, მაფასებთ და გიყვარვართ. ღმერთმა გაგახაროთ და გაგაბედნიეროთ, სიკეთეში გადაგვეხადოს ეს პატივისცემა მე და ჩემს ოჯახს.

დღეს ბედნიერი ვარ იმითაც, რომ ჩემი მოსახელე შვილიშვილი მოინათლა და იცხო მირონი, განამდვილქრისტიანდა. დიდება უფალს. წესისამებრ, ამ ჩვენს ზეიმს შესაფერისი თამადა და წინამძღოლი სჭირდება. თითოეული თქვენგანი შეიძლებდა ამ საპატიო საქმის შესრულებას, მაგრამ იმისთვის, რომ ჩვენი სოფლის მითაჟამინდელი სტუმარმასპინძლობის მადლი შეიგრძნოთ, ყველა ის სიკეთე, რაც წებელდელებს ათადან და ბაბადან მოგვდგამს, დაგანახოთ, ამისთვის ვთხოვ ჩემს აფხაზ მეზობელს, ღირსეულ ადამიანს კიკი ჩაჩბას, დაგვდოს პატივი მე და ჩემს ოჯახს და გვითამადოს! – ამ სიტყვების შემდგომ მიუახლოვდა მოულოდნელობისგან გაფითრებულ კიკის, მიუჭახუნა ჭიქა და დასძინა: ღვინისა და პურის მადლი არ შეგეშლება, არც ტრადიცია და სათქმელ-სადღეგრძელებელი, ამ სუფრის უფალი ხარ და აბა, შენ იციო.

გაშრა და გაირინდა ცისქვეშეთი, მდუმარების ანგელოზმა ჩამოიარა. ყველაფერს მოელოდნენ ამის გარდა. კიკი გახევებული იდგა. ბურუსში გახვეულივით მზერას შორს ვერ სწევდა. ხმა ცრემლის გორგალმა ჩაუმწყვდია ხორხში.

სუფრის წევრები თამადობას ულოცავდნენ, გახევებული და გაძეგლებული შეჰყურებდა ერთ წერტილს ჩაჩბა. დაასრულეს მილოცვა სუფრის წევრებმა და კიკიმაც, როგორც იქნა, ამოიდგა ენა და ხმაკანკალით ბრძანა: ამ ჭიქით, ძვირფასო მეგობრებო, ამ ოჯახს დავლოცავ, ამ დიდებულ და ღვთისგან გამორჩეულ ოჯახს. ღმერთმა ბედნიერად და მშვიდობიანად ამყოფოს და თქვენც გაგიმარჯოთ იმისთვის, რომ ასე გულკეთილად გაიზიარეთ ამ დიდებული ხალხის ბედნიერება.

მეორე ჭიქა შეავსებინა წინ მჯდომს.

ამ მეორე ჭიქით უმცროს ყარა ურდიას გაუმარჯოს, ღმერთმა თავის ძალქვეშ ამყოფოს, გაახაროს, გააბედნიეროს და გაამრავლოს.

მესამე ჭიქაც შეავსებინა.

ამ მესამე ჭიქით, – ხმა უფრო აუკანკალდა, ცრემლბურთი უფრო გაეხირა ყელში, ძლივ-ძლივს ამოიბრუნა ენა, – ყარა ურდიას გაუმარჯოს, ბატონებო, დიდ ყარას, უფროს ყარას, ჩვენს ბაბაჩიას, ამ ღმერთივით ნათელ და კეთილგულა ადამიანს. – ყარა ურდია, – აქ პირდაპირ მიმართა მასპინძელს, – კაცი იყავი შენ ყოველთვის და კაცად დარჩები, გლახაკი, გულნამცეცა ვიყავი მე და ასეთად დავრჩი. ბოდიშს გიხდი ყველაფრისთვის, უღრმესი მადლობა, რომ მაპატიე და შემინდე ჩემი უგვანო საქციელი და ერთს გთხოვ – თუ ღმერთი გწამს, ნება დამრთო, წავიდე. ვიცი, არაა ესეც კარგი საქციელი, მარა გამისკდება გული, მოვკვდები აქვე და არ მინდა, ამ თქვენს ლხინსა და ბედნიერებას წუხილის ცრემლები ვაპკურო. გამიშვი, თორემ მართლა გამისკდება გულიო!

მდუმარების ანგელოზმა ჩამოიარა კვლავაც. კიკიმ უკანმოუხედავად დატოვა სუფრა. ყარა თავჩაღუნული იდგა, ცრემლის ბურთი მასაც გასჩროდა ყელში. ასეთ მდგომარეობაში იყო მთელი სუფრა.

ღმერთმა გადმოხედათ, ყარა გონს მოეგო. არ შეიძლებოდა ამ ზეიმის ჩაშლა, სხვა ვერ იტყოდა ვერაფერს და თავად დადგა თამადად. კიკის დაწყებულს გავაგრძელებო, დაიკავა მისი ადგილი, შეავსო მისივე ჭიქა და დაიწყო ნამდვილკოლხური ქეიფი, სიზმრისა და ცხადის ერთხმოვანებაზე აწყობით...

კიკი ჩაჩბას სადღეგრძელო ლიტრიანი ყანწით დაილია.

მთვარე იყო ჩუმი და მშვიდი, როგორც ტობავარჩხილი ადრიან შემოდგომით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



/განცდა მუსიკისგან/

ჩვევად დამჩემდა
ხეტიალი ყოველ ხუთშაბათს,
ვათვალიერებ ღამის ქუჩებს ავტობუსიდან.
ასველებს წვიმა მოყვითალო სახლის შუშაბანდს,
სადაც სარკმლიდან კვლავ იღვრება ბრამსის მუსიკა.

სადაც ჰაერსაც მუსიკად ქმნის
სუნი კერძების,
ამ რესტორნებთან ბევრ მათხოვარს კრუნჩხავს სიცივე.
ხურდებს აგროვებს ბოშა ქალი, ხოლო მკერდზე კი
ებღაუჭება უსუსური ჩვილი მისივე.

საროსკიპოა, საელჩო რომ იყო ლაოსის,
ასე იცვლება უცნაურად ქალაქის ხედი.
მომლაშო ღამე იწრიტება სასაფლაოზე,
თითქოს ისევ კმაყოფილი ახალი ცხედრით.

რა ვქნა, სიზმრებიც გაიყინენ
და რა ჩატეხავს...
ამ ლურჯ ყინულქვეშ დარჩა სულის კამკამა ფსკერი.
თქვენ კი ჰაერზე მიაბიჯებთ, ისე მჩატე ხართ,
ფეხქვეშ ფაფუკად გეფინებათ ღრუბელი სქელი..

სოსო მეშვილიანი

padre!

მეზობელ პასტორს

„fumar puede matar“

„მოწევა იწვევს სიკვდილს“-ო, პადრე!
ასე გამოდის, თავს იკლავთ თურმე,
თვითმკვლელობა ხომ ცოდვაა დიდი.
თქვენ როკენ-როლი გიყვარდათ ადრე,
ბანქოს თამაშით ართობდით სტუმრებს
და ზღვის ჰავასაც სათქვენოდ თვლიდით.

ახლა კი მთიან ქალაქში ცხოვრობთ
და ხმადაბალზე უსმენთ მონსერატ
კაბალიეს და... – ოპერა მხოლოდ –
სხვისი არაფრის არ გსურთ მოსმენა.

ვეება მთვარის კაშკაშა შუქი
ჩრდილს რომ დაგახრის გვერდზე მონასტრის...
ვერვინ გიბედავთ ლაპარაკს, თუკი
პარტიას უსმენთ დეზდემონასი.

გიყვართ ჭადრაკი, დროს კლავთ თამაშით,
ალბათ თქვენც გიკვირთ თქვენივე ხვედრი.
ვინ დაამსგავსა ასე ლამანჩელს
შუბმომართული ფიგურა მხედრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდიში! ვიცი, ზედმეტი გკადრეთ.
(თქვენ კი ეწევით, მკაცრი და მშვიდი)
„ fumar puede matar"-ო, პადრე!
თვითმკვლელობა კი ცოდვაა დიდი.

უბრალოდ ერთი მოწყენილი დღე

არც არაფერი,
მაწანწალა ქუჩის კატა ვარ,
ვითომ პოეტი, მოაზროვნე და პესიმისტი.
სულის კედლებში შემოჟონა, შემოატანა
ნისლიანმა და წვიმიანმა ღამის სინესტემ.

აწვიმს სრუტეებს, აწვიმს კუნძულს,
ხოლო ქალაქი –
პირში იგუბებს მლაშე წვიმებს მუნჯი იუდა,
რასაც ვუწოდე, სიყვარული რასაც დავარქვი,
დრომ უდიერად ამოშალა დღის მენიუდან.

ვწუხვარ იმაზე,
უდიერად რაც დრომ მომპარა,
ვწუხვარ, წუხილიც მეჩვენება ყალბი ტყუილი.
ვიცი, რომ ყელში ამოსული მარტოობაა
იმ ბნელ ქუჩიდან წამოსული ძაღლის ყმუილი.

შორს კი, ქალაქის საფლავებთან მოჩანს ბიუსტი,
ვერ ვაკონტროლებ, ზოგჯერ თავსაც ვერ ვიმორჩილებ,
ხსოვნის სიღრმიდან ამოსკდება კვლავ დებიუსი
და ერთ საფლავთან თმები ცვივათ შიშველ თოჯინებს.

კვლავ დებიუსი
მლაშე წვიმად გუბდება ჩემში,
სული კი, როგორც ოკეანის აკვარიუმი,
ზედმეტ წნევისგან კიდევ უფრო გაიბზარება.
მოჩანს ჯვრებშორის სასაფლაო საგვარეულო
და ქრება ეს დღეც, როგორც ერთი ავი ზმანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

/ზაფხულის ღამე მშობლიურ სახლთან/

ამ კარს მიღმაა ჩემი ძველი ოთახი, ლუქსი.
ამ აივნიდან ვარსკვლავებსაც ვეთამაშები
ახლა რომ ვხედავ, ფანჯრის ყვითელ გამონაშუქზე
ვაშლის ბნელ ტოტებს როგორ უჩანთ მწვანე ვაშლები.

ისევ მაღვივებს, ისევ მავსებს მიწა ალერსით
(როგორც ყოველთვის, წისქვილებთან ძაღლი აყეფდა)...
ასე მგონია, რომ მესმოდა, ისე არ მესმის
თუ რას ჩურჩულებს კომშის ხეზე ქარი ბარტყებთან.

შევეშვი ქალაქს, ამ სიზმრებში ჩაყოლილ კოშმარს.
აი, სიცოცხლე რასაც ქვია, ახლა იწყება!
აქ არც ელექტროენერგიის სიუხვე მკუმშავს,
შორიდან სოფლის არსებობას თუ შემახსენებს
ამ ბნელ კაკლებში გაფანტული ყვითელ წინწკლებად.

და ახლა ჩემს წინ გასუსული სოფელი რომ თვლემს,
სიმშვიდის ფშვინვა სიზმრის სარკმელს მიორთქლავს თითქოს.
მძინარე ჩიტის სუნთქვა არხევს ალუბლის ფოთლებს
და იკრავს ფიქრებს წებოვანი ჰაერის სიტკბო.

/ტურისტი/

რვეულებს ზურგჩანთის ჯიბეში ვათავსებ.
(შოსესთან ციმციმებს მანქანა /„შერიფის“/)
თუ მწვანე პალმები უხდება ზამთარსაც,
თოვა და ზღვისღელვა ვერ არის ფერიფერს...
ჯანდაბა! თითქოსდა რაღაცამ დამთარსა,
ვცდილობ და ზეპირად ვერ ვთარგმნი ფელიპეს.

ვერაფერს ვუხერხებ, არადა, კი მინდა
(ბევრი რამ, ჩემთვისაც არ არის სულერთი).
ნაცნობი განცდები, შეზრდილი ტკივილთან,
.../„sobre los despojos de la muerte//“.

იაფი სასტუმრო, მეშველა, გადავრჩი!
საოცარ შვებას მგვრის გამხმარი პურიც კი,
პატარა, ზღვის სუნით გაჟღენთილ ქალაქში
ქარბუქში მოვყევი უიღბლო ტურისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვობის მოგონება, ანუ ელფების საღამო

რად არ მშვიდდებიან კაჭკაჭები?
კვლავ ბნელ ჩირგვებში რომ ფათურობენ.
ეს რა უცნაურად კაშკაშებენ
იმ ძველ წისქვილებთან ნათურები.

ფიქრი იზრდება და შენც იზრდები,
სხვაგზა მოჭრილი გაქვს, აქ დარჩები!
იქნებ მინდვრის პეპლებს ესიზმრებათ
ეს ღამის პეპლები – ალ-ქაჯები.

მთვარე ძველდება და იცვითება,
ვითომ და ამდენი ნათარეში.
იქნებ მართლა ზეცა ეწვეთებათ
ამ ლურჯ მდინარეებს სათავეში.

ისევ დავისერე მოგონებით,
ფიქრი დაემსგავსა სამართებელს,
ვხედავ, ყვითელწინწკლა სოკოები
ნეშომპალებიდან ანათებენ.

თითქოს სიზმრებიდან ვიჭვრიტები,
მთვარე მეჩვენება აქ სხვა ფორმის,
სადაც მელოდიებს ჭრიჭინების
ახლავს ულერადობა საქსაფონის.

რა ვქნა? კვლავ ხსოვნაში ვიძირები
ისე, რომ ვერ მივხვდი, რას ვეძებდი.
ციცინათელებად ციმციმებენ
ფიქრში სიყმაწვილის ნამცეცები.

●

დამზერს ეშმაკის ქანდაკება
ნისლიან მარსელს,
ფიქრის ჩარჩოში ვერ ეტევა,
ზღვაზე როცა თოვს.
თუმც ყრუ შრიალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფილტრული ბგერებით მავსებს,
მაინც მლაშეა ეს მუსიკა და უმოცარტო...
სუნთქვაშეკრული თვითმფრინავი
ჩამოსცდა ღრუბლებს,
ქალაქის თავზე მიიკარგა
ნისლში ციმციმით...
სევდა შებილწულ ფიქრებისგან მათავისუფლებს,
მაგრამ მაწვება შეღამება მთელი სიმძიმით.

●

ჩაგუბებია მზის ალერსი გულში ფორთოხალს,
მწვანე მარცვლებით დახუნძლულა ზეთისხილის ხე,
კვლავ დედის მუცლის სუნი აგდის, ისე თოთო ხარ,
ყველა ოცნება იჩუტება შენს ერთ ღიმილზე.

ნაღდად არ ვიცი,
ვერ მივმხვდარვარ, ზოგჯერ რა მომდის,
სიმშვიდე ორთქლავს ჩემი სიზმრის ფერად ვიტრინებს,
გადანაწილდა ნორჩ ფოთლებზე წვიმა გრამობით,
აკაციებმა მწვანე ცრემლით გამომიტირეს.

ეს სიცოცხლეა!
უშენოდ რომ არომატს კარგავს,
ტყეს ბინდად ადევს იდუმალი დუმილის სისქე.
ეალერსება მინდვრის ქარი ტანაყრილ ნარგავს
და დუღს მუსიკა ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნამდვილი მეკობრეები

ჰორიზონტზე გემი შევნიშნეთ. არც კი მახსოვს, პირველმა ვინ დაინახა. სხვებთან ერთად მეც მოაჯირზე გადაყუდებული გავცქეროდი გემს, რომელიც ძალიან პატარა ჩანდა.

– რა ფერის დროშაა? – ვკითხე ჭოგრიტიან მეზღვაურს და ჰორიზონტს უდარდელად გავხედე.

– ჯერ ვერ ვარჩევ, რაღაც ერთი ფერისაა.

– მალაიზიურს არ ჰგავს იმიტომ, რომ ზოლები არა აქვს. – ბუტბუტებდა თავისთვის მოაჯირზე გადაყუდებული მეზღვაური და თან ჭოგრიტს ატრიალებდა, – არც იაპონურს ჰგავს, თეთრი არ არის, წითელ მზესაც ვერ ვხედავ. აი! ახლა გავარჩევ, მოიცა, ფოკუსი გავასწორო, – თქვა მერე და უეცრად ომახიანად დასჭექა: – შავია!!

– ესენი მეკობრეები არიან! რა უნდა ვქნათ? – დაიყვირა ვიღაცამ. მეზღვაურს ძლივს გამოვგლიჯე ჭოგრიტი. მეკობრეების სამანძიანი გემი სწრაფად გვიახლოვდებოდა. ცოტა ხანში წარწერაც გავარჩიე: TORTUGA! ნაპირიდან შორს მყოფებს გაქცევა არც გვიცდია. მალე მეკობრეების გემი კატერს მოადგა, გემიდან ჯერ თოკები გადმოყარეს, შემდეგ თოფები მოგვიშვირეს და გემზე ასვლა გვიბრძანეს.

გემზე ავედით თუ არა, მეკობრეები საშინელი ღრიანცელით შემომეხვივნენ. ის ის იყო, მუშტებშეკრული შეტაკებისთვის მოვემზადე, რომ

– ევაასტ! – გაისმა გემბანის სიღრმეში ხრინწიანი ხმა. – ეს ხომ ჩემი მეგობარი, შავი ზღვის რისხვა იანოს რკინის მარჯვენაა! (ამ ჩემს სახელს მუდამ ამახინჯებდნენ უწიგნური მეკობრეები). გემბანზე ხის ფეხის ბაკუნით თვით ჯონ გოუ მოდიოდა. – აქეთ რა ქარმა გადმოგაგდო? – საშინლად ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა ჯონს. – შენს აფრებს რომ უბერავს, იმან არა, ჯონ! – მეც ჩავიხლიჩე ხმა! – ჰაჰაჰა, – ჩაიხითხითა ჯონმა. – ის დროა, რომში ჩავიხრჩოთ, მეგობარო, – გულში მაგრად ჩამიკრა ჯონმა და უცებ ჩემს ყურთან დაიღრიალა: – აბა ჩქარა, რომის კასრები მოაგორეთ, იდიოტებო! – მის ყვირილზე ყური კარგა ხანს მიწუოდა, მოაჯირზე მჯდომ თეთრ თუთიყუშს კი ბუმბული აექოჩრა. ჯონმა გემზე დარჩენა შემომთავაზა, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდი. ჩემი ხათრით კატერი და მისი მეზღვაურები გაანთავისუფლეს. მალე ისეთი ღრეობა გაიმართა, რომ გაკვირვებული ზვიგენები ზღვიდან თავებამოყოფილები თვალებგაფართოებულები შემოგვცქეროდნენ.

იმ ღამეს ისე დავთვერით, რომ მიყოლებით რამდენიმე გემი შემოგვეძარცვა, თუმცა ეს ყველაფერი ბუნდოვნად მახსოვს. ერთი ის დამამახსოვრდა – რომელიღაც გემის დაპყრობის შემდეგ ცალთვალა ბილმა საკუთარი თვალის ამონათხარი რომ მაჩვენა ხუთ მეკობრეულ დოლარად. – გაჩვენებ, გაჩვენებო – არ მომეშვა. – ხუთ მეკობრეულ დოლარს თუ გადამიხდი, კი-მეთქი და მეტი რა უნდა მექნა? გულისყურით დავათვალიერე ბილის თვალის ცარი-

ჯანო ქვანია

ელი ფოსო. როდესაც ღრიალით დაღლილებს გემის ჭრიჭინი უკვე იავნანად აღარ ჩაგვესმოდა, როცა ანძებზე ხტომები და მაჩეტეთი ტყვეების ხუმრობით დაჭრა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ყურში მოულოდნელი ჩაყვირებაც კი მოგვბეზრდა, ერთმანეთი რომ არ დაგვეხოცა, მკლავჭიდში შეჯიბრება გავმართეთ. ამ ამბის გაგონებაზე ყველაზე უფრო მუდამ გაბადრული სამხრეთაფრიკელი უნეკნო ჯორჯი უფრო გაიბადრა და მაგიდასთან... გაჯგიმული დადგა. ცოტა ხანში ხალხი პანტაპუნტით ცვიოდა ჯორჯის მაგიდიდან... შიგადაშიგ მეკობრეული გლანდებდაძაბული გინება და შეძახილები გაისმოდა. უცებ ჯორჯმა ჩემკენ გამოიხედა, გადაიხარხარა, საჩვენებელი თითი ჯერ ჩემკენ გამოიშვირა და შემდეგ ყელზე გამოისვა. გამოწვევა მივიღე და მაგიდას ვეფხვივით მივვარდი! უნეკნო ჯორჯს ხელი ხელში წავავლე, თან სახეში ჩავაყვირჩავაღრიალე. ჯორჯს იმხელა მუშტი ჰქონდა, ჩემი ხელი ჩაიმალა და იდაყვი ძლივს მივაწვდინე მაგიდის ზედაპირს. რამდენიმე მეკობრემ ერთდროულად ჩაიქირქილა, ვილაც დამცინავად ასრუტუნდა. ცხადი იყო, ჯორჯის უპირატესობაში ეჭვი არავის ეპარებოდა. რამდენიმე წამში შერკინებაც დაიწყო! ჯორჯმა ღრმად ჩაისუნთქა, დაიძაბა, ჰაერი პირიდან ხმაურიანად გამოუშვა და ხელზე მომაწვა, მაგრამ... თქვენც არ მომიკვდეთ. მე არხეინად ვიდექი და თან ბოთლში ჩარჩენილი რომის უკანასკნელი წვეთების დალევას ვცდილობდი – მეორე ხელით, რასაკვირველია. ის, ვინც ცოტა ხნის წინ ნიშნის მოგებით სრუტუნებდა, გატრუნულიყო. მეც რომის ბოთლი გვერდზე გადავდე და ჯორჯის ხელს მაგრად მივაწექი. ჯორჯმა ხმა უფრო დაიწვრილა და სახე დაძაბა. მაგრამ რას უშველის ეს საქმეს! ხელს საშინელი სიმძიმით მივაწექი. მალე ჯორჯს სახე მოელრიცა, საფეთქლები დაებერა და აჰა! მისი მარჯვენა ხის მაგიდას გაეკრა. მეკობრეებმა იხუვლეს და კიდევ ერთხელ შემოსძახეს თხუთმეტი მეკობრე და კუბო! ოჰოჰოჰო! ბოთლი რომი დალია! ამის შემდეგ კიდევ ერთი ორი მეკობრე შემერკინა, მაგრამ ისე სწრაფად გადავუწიე ხელი, რომ დანარჩენებს ჩემთან ძალის მოსინჯვის სურვილი აღარ გასჩენიათ. კაპიტანმა ამ ყველაფერზე ბევრი იცინა – რკინის მარჯვენა ტყუილად კი არ დაგარქვესო ჩაილაპარაკა და ყელსაბამი მაჩუქა წარწერით „ჰარიმაუ," რაც რომელიღაც ენაზე ვეფხვს ნიშნავს. მეც ამაყად დავატარებ ამ ყელსაბამს, თან მარჯვენა ხელის ტრიცეფსს ვაკუნტრუშებ ხოლმე სიხარულით, როცა ეს ამბავი მახსენდება.

ერთ ნისლიან დილას, როცა ჩვენი გემი შავი დროშის ფრიალით სწრაფად მიაპობდა ფირუზისფერი ზღვის ტალღებს, გემბანზე გამოვედი, ხის მოაჯირზე გადავეყუდე და ტალღებს დავუწყე თვალიერება. ვფიქრობდი, იქნებ გუშინდელივით ბედმა გამიღიმოს და მფრინავ თევზებს მოვკრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი-მეთქი. კურსი ჩრდილოეთით გვეჭირა, ჩვენი ვარაუდით, ამ ადგილებში სინგაპურულ სავაჭრო შხუნას უნდა გაევლო, რაც მშვენიერი საკბილო იყო მეკობრეებისთვის. წყნარი ამინდი იყო და, მფრინავი თევზების რა მოგახსენოთ, მაგრამ მოაჯირზე გადაყუდებული მშვენივრად ვერთობოდი. უცებ ჰაერში სტვენის მაგვარი ხმა მომწვდა... გახედვაც ვერ მოვასწარი ისე, გამაყრუებელი აფეთქების ხმა შემომესმა. მოაჯირზე რომ არ ვყოფილიყავი გადაყუდებული, ხელის მოჭიდებას ვერ მოვასწრებდი და ნამდვილად ზღვაში გადავვარდებოდი. სანამ გონს მოვედი, გემზე ჩოჩქოლი ატყდა. მე ქვევით ჩავირბინე და ახლაღა შევნიშე ჩვენს გემთან მოახლოებული ორანძიანი სწრაფმავალი გემი, რომელზეც ასევე შავი, მაგრამ რატომღაც ყვავილებიანი დროშა ფრიალებდა. ნისლში გემი ისე წამოგვეპარა, რომ მისი მოახლოება არავის შეუნიშნავს.

– დო! დო! – გაჰყვიროდნენ მეკობრეები.

– ვინაა დო? – ვკითხე სწორედ იმ მეკობრეს რომელსაც შეყვარებულის ლავიწის ძვლები ეკიდა კისერზე. – დო აი ესაა, – ხელი გემისკენ გაიშვირა მეკობრემ.

– კი მაგრამ, ვინაა ეს დო? – დავეკითხე ისევ.

– ვინაა და მეკობრე ქალია და ყუმბარების სროლით იცის გახუმრება. – ხრინწიანი ხმით მიპასუხა მეკობრემ.

მალე გემები ერთმანეთს მიუახლოვდნენ, მეკობრეებმა მოაჯირებს შორის ფიცრები დააწყვეს. დო გადმოსასვლელად მოემზადა.

– ერთი ეს ყუმბარა მომეცი, – ვთხოვე იქვე მდგომ ახმახ მეკობრეს, მანაც არ დააყოვნა და კმაყოფილი სახით მრგვალი შავი ფერის ყუმბარა მომაწოდა. მე ფიტილს წავუკიდე, დაველოდე, სანამ ცეცხლი ყუმბარის ყელს მიუახლოვდებოდა, და დოს სწორედ მაშინ ვესროლე, როცა ჩვენს გემზე გადმოსვლას აპირებდა.

ყუმბარა გამაყრუებელი გრიალით გასკდა, დო ფიცრიდან გადმოვარდა და დახვეული თოკის გორგალში თავდაყირა გადაეშვა.

– კეთილი იყოს შენი მობრძანება, დო! მითხრეს, ყუმბარით გახუმრება უყვარსო! – ძალით დახრინწული ხმით შევძახე მე და მეკობრულად გადავიხარხარე.

დო რის ვაი-ვაგლახით ამოძვრა თოკის გორგალიდან და ზუსტად ოთხი წუთი გულიანად იცინოდა. მერე მუჯლუგუნი მითავაზა და მითხრა: – რაც რუსების გემი გადავწვი და მის კაპიტანს დენთით დატენილი სიგარა მოვაწევინე, მაგის მერე ასე გულიანად არ მიცინიაო.

ბევრი რომი დავლიეთ იმ ღამეს, ბევრი ვიგინეთ, მერე ის სინგაპურული შხუნაც მივაძარცვეთ და, ტრადიციულად, ნადავლი ერთ-ერთ კუნძულზე ღრმად ჩავმარხეთ.

ვინ, ვინ და დო ნამდვილი მეკობრეა, გამომშვიდობების წინ მითხრა: – თუ ვინმეს აფეთქება დაგჭირდეს, მითხარი და სიამოვნებით ავაფეთქებ, ისეთი კარგი ბიჭი ხარ შენო. – და წავიდა, თან მომაძახა, კოპენჰაგენში გემები დამრჩა გასაძარცვი და შიგადაშიგ ბომბებს ამანათებით გამოგიგზავნი, რომ არ დამივიწყოო.

გასულ ხუთშაბათს შემისრულა პირობა.

გემზე ისე კარგად ვგრძნობდი თავს, წამოსვლა არ მინდოდა. არც არავინ მაჩქარებდა და მეც გემთან ერთად სამხრეთ ჩინეთის ზღვაში დავხეტიალობდი. ერთხელ რატომღაც ჩვეულებრივზე ადრე გავიღვიძე. ხის კიბე სწრაფად ავირბინე და გემბანზე გავედი. წყნარი, უღრუბლო დილა თენდებოდა. ჩვენი გემი მშვიდად ტივტივებდა ზღვის ზედაპირზე და წინა ღამით გამომთვრალი მეკობრეების ხვრინვა სხვადასხვა ტონალობაში გაისმოდა. სადღაც რომის ცარიელი ბოთლი დაგორავდა და გემის კედელს ასკდებოდა. მე კიჩოსთან მივედი და ქვევით ჩავიხედე, ბუნდოვნად მოჩანდა ზღვის ზედაპირი. უცებ მომეჩვენა, თითქოს ზღვაში ვიღაცამ ჩაყვინთა. კისერი წავიგრძელე, თავი უფრო ქვევით დავხარე და ზღვას მივაშტერდი.

– გული ხომ არ გერევა?– უკნიდან ახლად გაღვიძებული მეკობრის ხრინწიანი ხმა შემომესმა.

– მგონი, იქ ვიღაც არის! – ვუპასუხე და მოვბრუნდი, ჩემს უკან სამკუთხა ქუდჩამოფხატული მეკობრე, უგლანდებო როჯერსი იდგა. როჯერსი. კოჩოზე გადაეყუდა და ქვევით ჩაიხედა.

– გული ხომ არ ერევა? – ახლა ცალთვალა ბილი მოვიდა.

– არა, გული არ გვერევა. – მგონი, იქ მართლა ვიღაც ფართხალებს! – დაიხრიალა როჯერსმა

– ადამიანია ზღვაში! – ისე დასჭექა ცალთვალა, მაგრამ ორგლანდა ბილიმ, რომ უგლანდებო როჯერსი კინაღამ ზღვაში გადავარდა. რამდენიმე წამში გემის უკანა ნაწილი მეკობრეებით გაივსო.

– ვინ გადააგდეთ? ვინ გადააგდეთ? – კითხულობდნენ ახლად გაღვიძებულები, სამკუთხა ქუდებს ხელით იჭერდნენ და ქვევით იყურებოდნენ. მერე ვიღაცა მიხვდა და კიჩოდან თოკი გადააგდო, მე თოკს შევახტი და დაბლა ჩავსრიალდი. ქვევით ვიღაც პირქვე ჩამხობილი უცნობი ვიპოვე – სახეს გრძელი თმა უფარავდა და მორზე გაკრული წყლის ზედაპირზე უგონოდ ტივტივებდა. გემიდან ჩამოშვებული თოკი ჩამოვქაჩე, უცნობს ტანზე შემოვახვიე და მაგრად გავნასკვე, თოკს რომ ვაბამდი, ხელი დიდ ძუძუებზე მომიხვდა, ქალია ან დიდძუძუებიანი კაცი! წმინდა მეკობრულად გავიფიქრე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის თოკები გადავჭერი, რომლითაც უცნობი მორზე იყო მიბმული. მერე ზღვიდან ამოვძვერი, უცნობს ხელები ჩავჭიდე და მეკობრეებმა ორივე გემზე ამოგვათრიეს.

უცნობი ქალი აღმოჩნდა. საწყალს ზღვაში ხანგრძლივი ყოფნისგან კაბა ნაფლეთებად ქცეოდა. მივვარდი და გულზე ყური დავადე.

– სუნთქავს! – დავიძახე ცოტა ხანში და, თავი წამოვწიე თუ არა, უცნობმა ისეთი ალიყური მაჭამა, რომ გვერდზე გადავვარდი და უნეკნო ჯორჯის მოთხვრილ ჩექმებს შევასკდი.

ატყდა ხორხოცი და ერთი ამბავი! წამოვდექი და ტანსაცმლიდან წყალი ჩამოვიწურე. ხმაურზე წამომჯდარი უცნობი შეშინებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. მივედი და ხელი გავუწოდე, დაფეთებული უკან-უკან გაფოფხდა და გემის კედელთან მიიყუჟა. მეკობრეების წესის მიხედვით, რასაც პოულობ, შენია, ამიტომ ყველამ იცოდა, რომ ქალს არავის დავუთმობდი – ერთი ორმა რამდენიმე მონეტა, რაღაც ძველმანები და ზურგის ერთი კვირა უპირობო მოფხანაც კი შემომთავაზა, მაგრამ ყველა უარით გავისტუმრე და მეკობრეებიც მალე დაიშალნენ. ზოგი კაიუტაში შევიდა, ზოგიც აფრებისა და ქარისგან აძენძილი თოკების გასწორებას შეუდგა. მე ქალს ჩამოვუჯექი და წყლიანი რომის ბოთლი გავუწოდე. გაუბედავად გამომართვა, მოიყუდა და კაი ხანი სვამდა; მერე ამოისუნთქა, გმადლობო წაილულღლუღა და მისავათებულმა თავი ხელებში ჩარგო.

– წავიდეთ, ტანსაცმელს მოგცემ, – ვუთხარი ძალით ჩახლეჩილი ხმით და კიბისკენ წავედი. ქალმა ტანი ძლივს აათრია და ბორძიკ-ბორძიკით გამომყვა. საწყალს მოშიშვლებულ მკლავებზე თოკის გადანაჭერები წითლად დამჩნეოდა და სიარულიც უჭირდა. კაიუტაში ქალს მშრალი ტანსაცმელი და გრძელი კაშნე მივეცი. მართალია, შარვალი ცოტა დიდი იყო, მაგრამ, დამიჯერეთ, მეკობრეებით სავსე გემზე, ჯობს, ქალებს დიდი ზომის შარვლები ეცვათ. სანამ იცვამდა, მე დერეფანში ვიდექი. ცოტა ხანში კარი ჭრიალით გაიღო. კაიუტაში შევედი. ჩემს საწოლზე ჩამომჯდარი ქალი ილუმინატორში იყურებოდა. მოპირდაპირე მხარეს ჩამოვჯექი.

– ვინა ხარ? – ვკითხე, როცა მივხვდი, რომ ქალი ხმის ამოღებას არ აპირებდა.

– ზღვაში გადამაგდეს! – სასოწარკვეთილი ხმით დაიწყო ქალმა, – გადამაგდებდნენ, აბა რა, ისეთი რამე ჩავიდინე. – თქვა და თვალი ამარიდა.

– მაინც რა ჩაიდინე? – ვკითხე გაკვირვებულმა.

– გემი ქალაქ ჰოკაიტოს პორტიდან დღის პირველ საათზე გავიდა და კუნძული ჰაინანი დატოვა, – დაიწყო ქალმა ისე, რომ ილუმინატორისთვის თვალი არ მოუშორებია.

– კუნძულ ჯინტოტოსკენ მივცურავდით. ძმვენიერი ამინდი იყო და თავიდან ყველაფერი კარგად იყო. ერთხელაც გემბანზე შეკრებილი მგზავრები საუბრით თავს ვიქცევდით, კაპიტნის მეორე თანაშემწე ჯონათანიც იქვე იყო. ვიღაცამ ხუმრობით თქვა ქალები მგონი ხმამაღლა არ აბოყინებენო, რასაც თავშეკავებული სიცილი და დამცინავი კომენტარები მოჰყვა. ჯონათანმა უპასუხა: – რას ამბობ, რომელიღაც კუნძულზე ვარ ნამყოფი, სადაც ქალები ბავშვის დასაძინებლად ხელოვნურ ბლოყინს იყენებენო. ერთმა ქალმა იკითხა: – ხელოვნური ბლოყინი რაღა არისო? ჯონათანმა იმწამსვე ბოცმანს დაუძახა, რომელმაც სამ წუთში ოცდახუთჯერ დააბლოყინა და წარმატებით დაარწმუნა ქალბატონი ხელოვნური ბლოყინის არსებობაში. მერე ეს რამდენიმე ქალმაც სცადა... ზოგს გამოუვიდა, ზოგი უაზროდ ხაოდა, ზოგიც იპრანჭებოდა არ გამომდისო. ჩემი რიგიც მოვიდა, მეც ჰაერი ხარბად ჩავისუნთქე და პირველი ცდა, ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც წარმატებული იყო, მაგრამ ბოცმანმა გულიანად ამიხსნა თუ რა უნდა გამეკეთებინა. მეც მოვინდომე და მეორე ჯერზე უეცრად ყელში საოცარი ძალა ვიგრძენი, თითქოს გლანდების ადგილას ორი ტიბეტური ბურთულა მქონდა... მერე რაღაც ვიბრაცია იყო და რამდენიმე წუთში ჩვენს წინ აღმართული მთავარი ანძა გამაყრუებელი ლაწანით უკან გადაწვა, აფრები დაფხრიწა და თოკები დაწყვიტა. ანძის სიმძიმემ კიჩო გაანგრია და გემის ცხვირმა ოდნავ ზევით აიწია... გემბანზე წყალმა იხუვლა. ხალხი პანიკამ მოიცვა. კაციშვილი ვერ ხვდებოდა თუ რა მოხდა. გემი არ ჩაძირულა, მაგრამ საშინელ დღეში იყო – პატარა ღელვაც შეიძლება ჩვენთვის საბედისწერო გამხდარიყო. ნახევრად წყლით გავსებულ გემზე კაპიტანი სიტუაციას ვერ აკონტროლებდა. სამაშველო ნავები უკვე გავსებულიყო, დარჩენილებიდან ზოგი ნავებზე აფოფხებას ლამობდა, ზოგი კი გემზე გამაგრებას არჩევდა. კაპიტნის მეორე თანაშემწე ჯონათანი, რომელიც ღვთისნიერი და წყნარი კაცი მეგონა, შეშლილი სახით დარბოდა, შემდეგ ხელი ჩემკენ გამოიშვირა და რაღაც დაიღრიალა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ მოულოდნელობისა და შიშისგან დაბნეულს არაფერი მესმოდა და ტუჩებმოკუმული გემის ხის მოაჯირს მთელი ძალით ვიყავი ჩაფრენილი, უცებ ჯონათანი და ექვსი მეზღვაური მეცნენ – მაგრად გამკოჭეს, შემდეგ ხის მორზე მიმაბეს და, ზღვაში სამაშველო რგოლს რომ ისვრიან, ზუსტად ისე გადამაგდეს. წყალში გონება დავკარგე, როცა აზრზე მოვედი, თავი ჩემს მკერდზე გედო და... – დარცხვენილმა უცნობმა თვალები ძირს დახარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ეგ არაფერია, მთავარია, აქ მაინც არ დააბლოყინო. – ვუპასუხე მე. – იმიტომ რომ ჩვენს გემსაც აქვს მთვარი ანძა, რომელიც ძალიან მძიმეა.

– სად ვართ? – უცებ იკითხა ქალმა.

– გემში! – ვუპასუხე დაუფიქრებლად. ქალი უცებ მოეშვა, ზურგით კედელს მიეყრდნო, რაღაცა ჩაილაპარაკა და თვალები მილულა. ეტყობოდა, რომ წყალში ხანგრძლივად ყოფნისგან გათანგულიყო. მე კაიუტიდან გამოვედი და კიბისკენ წავედი. ვიფიქრე – კაპიტანს ვნახავ და ქალის ნაამბობს მოვუყვებიმეთქი. გემის ამ ნაწილში დერეფანი შედარებით ვიწროა და, სანამ კიბეს მივადგებოდი, გოდორა ედის შევეფეთე. შოტლანდიელი ედი შუახნის დაბალი, მსუქანი მეკობრეა. ოხვრა-ოხვრით ყვება ხოლმე ხმელეთზე დატოვებული მისი საყვარლების არმიის ამბებს და არასოდეს ავიწყდება, ყოველი ამბის დასრულების შემდეგ საკუთარ გარეგნობაზე იხუმროს. მე კედელს ავეკარი და ედის გზა დავუთმე. ედიმ მუცელი შეწია და ამისთვის რატომღაც ჰაერი კი არ გამოუშვა ფილტვებიდან, არამედ პირიქით – შეისუნთქა. მერე მივხვდი, ასეთ დროს რატომღაც მე ასე უკუღმა ვიქცევი ხოლმე და ერთმანეთს გვერდი არა და მუცლები ავუარეთ. ედიმ რომ ჩამიარა, თვალები გადმოკარკლა, ძალით ამოაბლოყინა და გამიღიმა. მე რატომღაც შევკრთი და ედის თვალი გავაყოლე. ედიმ საკუჭნაოსკენ გადაუხვია – აშკარად რომზე მიდიოდა. კიბე ავირბინე და გემბანზე გავედი. კაპიტანი გემის ცხვირთან იდგა და რაღაც რუკებს ჩაჰკირკიტებდა მისი მარჯვენა ხელი, ახმახი დევიდიც მის უკან იდგა და ისიც რუკებს ათვალიერებდა.

– ჯონ! – გავშალე ხელები და ჯონისკენ წავედი.

– იანოს? – მომიბრუნდა ჯონი და პირიდან ჩიბუხი გამოიღო.

– ამ ქალის გემზე ყოფნა საშიშია, – ხმა ძალით ჩავიხლიჩე და ცალი ფეხი დენთის კასრზე შემოვდგი.

– ქალი გემზე! ქალი გემზე... – თვალები მოჭუტა ჯონმა და პირიდან თამბაქოს ბოლი გვერდულად დევიდის სახეში მიუშვა. – უბედურების მომტანიაო ამბობენ, მაგრამ ჩვენ გემზე ქალები ბევრჯერ გვყოლია და არასოდეს გვინანია. ასე არ არის, დევიდ?

–აი! აი! კაპიტანო! ზუსტად ეგრეა! დევიდმა ბოხი ხმით ისე დასჭექა, რომ დენთის კასრიდან ფეხი ჩამომივარდა.

– რაო, იანოს! უარი გითხრა და უკან, ზღვაში გადაგდება მაგიტომ მოგინდა? – ჩაიხითხითა კაპიტანმა, – ისე, შენი ხათრით, მაგასაც გადავაგდებ და დევიდსაც ზედ მივაყოლებ, თუ გინდა, ჰეჰეჰე... – დაიხრიალა ჯონმა და ხის ფეხი დენთის კასრს მიუკაკუნა, – ასე არ არის, დევიდ?

– ასეა, კაპიტანო, თუ გინდათ, ახლავე მე თვითონ გადავხტები! – კისრის კუნთები დაეჭიმა დევიდს.

– იყავი, სადაც დგახარ! – შეუღრინა ჯონმა. დევიდი იმ წამს მოეშვა. უცებ ჯონი ჩემკენ გადმოიწია, თვალები მოჭუტა და ყურში ჩამჩურჩულა: – რომელი ქალი დათანხმდება მეკობრეს ნებით, იანოს. თმაში უნდა სტაცო ხელი და მკერდზე მიიზიდო. თმაში ხელის წავლება იმიტომ არის კარგი, რომ გემივით მართვა შეგიძლია: თმას სამხრეთ-დასავლეთით გაწევ და ტუჩები ჩრდილო-აღმოსავლეთით გაიწევა, ჩრდილო-დასავლეთით თუ გაწევ, ტუჩები სამხრეთ-აღმოსავლეთით გაიწევა. ჰ ჰ ჰ! – ჩაიქირქილა ჯონმა და ირგვლივ თამბაქოს სურნელი დადგა, რომელიც ქარმა მალევე გაფანტა. – ქალი ნამდვილი გემია, იანოს, – ჰაეროვანი იალქნებით, ახლართული თოკებით, საჭით, რომელიც ძნელი დასამორჩილებელია, და ღუზით... ტლანქი, მძიმე ღუზა, გემის ერთადერთი ნაწილი, რომელიც მის გასაჩერებლად გამოიყენება მხოლოდ! თუმცა ღუზა რა შუაშია, დევიდ? – მიუბრუნდა ჯონი დევიდს. – დევიდმა ბრაზით გაიღიმა. – ჯონ! ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ შენ თუ გაიგე სადღაც ჰაინანსა და ჯინტოტოს შორის გემის ჩაძირვის ამბავი? – ვკითხე ჯონს.

– აბა მოყევი, რა იცი! – ჯონმა თვალი თვალში გამიყარა და ჩიბუხი ისევ პირში ჩაიდო.

– ეს ქალი სწორედ მაგ გემიდანაა და გემის დაღუპვა მისი ბრალია.

– თვითონ მოგიყვა, არა? – გაეღიმა ჯონს.

– კი, თვითონ მოყვა. – ვუთხარი მე.

– და რა ქნა, დენთით ააფეთქა გემი თუ ფსკერზე ხვრელი გამოჩორკნა? – წვერი მოიქექა კაპიტანმა. მივხვდი, რომ ჯონს ზუსტად ისე ეკიდა საკუთარ ხის ფეხზე ჩაძირული გემისა და ამ ქალის ამბავი, როგორც აქ ერთ-ერთ მეკობრეს ყელზე მისი შეყვარებულის ლავიწის ძვლები.

– ქვევით, კაიუტაში დავტოვე და სძინავს, – სიტყვა ბანზე ავუგდე ჯონს და რომის დალევა შევთავაზე.

– რომი! – იყვირა ჯონმა. – წავიდეთ დავლიოთ, იანოს! დევიდ! – იქვე მდგომ დევიდს სახეში შეაყვირა ჯონმა, – კურსი კუნძულ სეიმუნისკენ – სრული სვლით!

– არის, კაპიტანო! – ისე დაიღრიალა დევიდმა, რომ ჯონს სამკუთხა ქუდი კინაღამ უკან გადაუვარდა. ცოტა ხანში ჯონის კაიუტაში რამდენიმე მეკობრესთან ერთად რომის სმა და ბანქოს თამაში დავიწყეთ დევიდის მოტვლეპილ თავზე წკიპურტების რტყმევაზე. რომს პირდაპირ ბოთლიდან ვსვამდით. მთელი დღე ისე გავიდა, კაიუტიდან არ გამოვსულვართ. შიგადაშიგ დევიდის თავის ტკაცატკუცი გაისმოდა. ცოტა ხანში ჩაძირული გემის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბავი გადამავიწყდა. შეღამებისას ყველანი კარგად შეზარხოშებულები ვიყავით. ფანტასტიკური ამინდი იყო. მზე უკვე ჩასულიყო და თავზე მუქი წითელი ფერის საოცრად ლამაზი ცა დაგვნათოდა. გემი კუნძულ სეიმუნის მიმართულებით მისრიალებდა. საჭესთან მოხუცი და გამოცდილი მეკობრე – ბუზღუნა აჰმედი იდგა. ის, შტურვალს ჩაფრენილი, რომელიღაც აზიურ მელოდიას უნიჭოდ ღიღინებდა და საჭის მოტრიალებისას შიგადაშიგ შეჰყვირებდა ხოლმე.

მეკობრეებმა ფარნები აანთეს, რომის კასრები გემბანზე გამოაგორეს და დაიწყო მორიგი ღრეობა. კაპიტანი რომის ბოთლით ხელში შემაღლებულ ადგილზე ავიდა, მის დანახვაზე მეკობრეებმა ღრიანცელი და ხმაური ატეხეს.

– გოუ! გოუ! გოუ! გოუ! – გუგუნებდა გემი. ყველაზე მაღალ ანძაზე შავი დროშა თავის ქალისა და გადაჯვარედინებული ძვლების გამოსახულებით ამაყად ფრიალებდა. თოკებზე ჩამოკონწიალებული ფარნები ყვითლად ანათებდნენ და ყველაფერს ოქროსფერი ედო. ირგვლივ რომის სუნი ტრიალებდა, ქარი აფრიალებდა ანძებიდან ჩამოშვებულ მსხვილ თოკებს. აფრებისგან მოშორებით კედლებზე ჩირაღდნები დაენთოთ. მუქ წითელი ცის ფონზე გემი ისეთი ლამაზი იყო, რომ თავი სიზმარში გეგონებოდა. ჯონმა რომისბოთლიანი ხელი მაღლა ასწია. ამ ჟესტზე ყველა გაჩუმდა გოდორა ედის გარდა, რომელიც ისე გამომთვრალიყო, წარმოდგენა არ ჰქონდა თუ რატომ ყვიროდა. მაგრამ იქვე მდგომი უგლანდებო როჯერსი არ დაიბნა და ედის დაღებულ პირში შემწვარი თეთრი ზვიგენის ხორცის დიდი ნაჭერი ჩასჩარა.

– ძმებო! დაიღრიალა ჯონმა, და ჩახლეჩილი ხმით დაიწყო:

– აი უკვე რამდენი კვირაა, ზღვაზე დავეხეტებით! ვინ მოთვლის, რამდენი გემი ვძარცვეთ, სისხლიც დავღვარეთ, შტორმებსაც გავუძელით. ბევრი გასაჭირი ვნახეთ, მაგრამ ჩვენი გემი კიდევ დიდხანს იტივტივებს ამ ზღვაზე და, თქვე თავზეხელაღებულო ძაღლის შვილებო, კიდევ ბევრჯერ გამოთვრებით რომით. – ოჰოჰოოოო!!! –კმაყოფილებისგან აღმუვლდნენ მეკობრეები, მაგრამ ჯონის ნიშანზე ყველამ ისევ გაკმინდა ხმა. – კიდევ ბევრი გემი გაიძარცვება, – განაგრძო კაპიტანმა, – კიდევ ბევრი საგანძური გვაქვს გადმოსაზიდი! ახლა ჩვენ კუნძულ სეიმუნისკენ მივდივართ, ორი დღის სავალზე. ამ მხარეს, ვიცი რომ, არც ერთი გემი არ შემოდის ჩვენი შიშით, ამიტომ ეს ორი დღე მშვიდად ვიქნებით. იქ მარაგი ავიღოთ და შემდეგ კუნძულს დასავლეთიდან შემოვუაროთ, ახალი გემები უნდა ვძარცვოთ. მანამდე კი! – ჯონი უცებ გაჩუმდა, თვალები მოჭუტა, თავი ოდნავ დაბლა დახარა და სუნთქვაშეკრული მეკობრეები ჩამოათვალიერა, – მანამდე კი იმხიარულეთ და გასკდით რომის სმით, ღორებო! – დაიღრიალა ჯონმა და რომით სავსე ბოთლი მოიყუდა. ამ სიტყვების გაგონებაზე გემზე გამაყრუებელი ღრიანცელი ატყდა – ზოგი მღეროდა, ზოგი ყვიროდა, ზოგი ყმუოდა! მე ახლოს მდგომ რომის კასრთან მივედი. მეკობრეები რომს არ იშურებდნენ და მეც ბოთლი იმწამსვე გამივსეს. ნელ-ნელა ყველაფერი ოქროსფერ ბინდში ჩაიძირა... ცოტა ხანი გემბანზე ვიბოდიალე; მეკობრეები პატარ-პატარა ჯგუფებად დაიყვნენ და თავს ათასი სისულელით იქცევდნენ. უცებ ჩვენი „სტუმარი“ გამახსენდა და კაიუტისკენ გავეშურე. კარი ღია დამხვდა, კაიუტა კი ცარიელი. ქალი, ალბათ, ხმაურმა გამოაღვიძა და ზევით ავიდა, – გავიფიქრე და გემბანისკენ გავეშურე. კიბეზე რომ ავდიოდი, ისევ რაღაც სრუტუნის ხმა შემომესმა. გავჩერდი და საფეხურებს შორის სიბნელეს დავაკვირდი – იქ აშკარად ვიღაც იყო. დავბრუნდი და კიბეს შემოვუარე. შეშინებული ქალი კიბის ქვეშ შეყუჟულიყო და უმწეოდ სრუტუნებდა.

– ნუ გეშინია! მე ვარ, – ვუთხარი და ხელი გავუწოდე. ქალმა ხელი ჩამჭიდა და კიბის ქვეშიდან გამოძვრა.

– რატომ არ უნდა მეშინოდეს, სახელიც კი არ ვიცი შენი, – ამოისლუკუნა ქალმა.

ჩაფართხუნებულ ტანსაცმელში სასაცილო და უფრო საყვარელი იყო. – აქ იანოს მეძახიან და შენც ასე დამიძახე, – ვუთხარი. – შენ რა გქვია? – თბილი, პატარა ხელი ჰქონდა.

– ჰანაზიერა. – მიპასუხა ქალმა და ხელი გამიშვა.

– ზევით ავიდეთ, სუფთა ჰაერს ჩაყლაპავ. მეკობრის სიტყვას გაძლევ, თითს ვერავინ დაგაკარებს. – ვუთხარი მე. ქალმა უცნაურად შემომხედა და სახეზე კულული ჩამოუვარდა. ლამაზი აზიური სახე ჰქონდა. მე წინ გავუძეხი და მალე გემბანზე ავედით. მეკობრეები მხიარულებას განაგრძობდნენ. ერთ-ერთ კასრთან მივედი და ქალისთვის ტოლჩით რომი ავიღე. თავჩაღუნული ჰანაზიერა ლანდივით დამყვებოდა, თუმცა ტყუილად შიშობდა, რადგან ირგვლივ ისეთი ღრიანცელი იდგა, ვერც მას და ვერც მე ვერავინ გვამჩნევდა.

– ეს დალიე, – მივაწოდე ქალს რომით სავსე ტოლჩა და გემის კიჩოსკენ წავედით. ჰანაზიერამ ცოტა რომი მოსვა და დაიმანჭა, თან ისე შემომხედა, ნამდვილად გაიფიქრა ამ საზიზღრობას როგორ სვამთო. როგორ ვსვამდი? რასაკვირველია, ძალით, მე ხომ რომის საძაგელ გემოს ვერ ვიტან, მაგრამ, მეკობრე თუ გინდა იყო, რომი უნდა გიყვარდეს! მეც რომს ისე ვწრუპავდი, ბოლოს, მგონი, მართლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიჯერე, რომ მომწონდა. კიჩოსთან მშრალი ადგილი მოვძებნეთ და იქ მოვკალათდით. ჰანაზიერას ვუთხარი სეიმუნისკენ მივცურავთ-მეთქი და კარგ ხასიათზე დადგა. იქ თუ დამტოვებთ, ჰაინანში დავბრუნდებიო მითხრა. – რამდენი დღე გვიწევს ცურვა? – მკითხა ბოლოს.

– როგორც კაპიტანმა თქვა, ორი მთვარის ამოსვლაღა გვაშორებს სეიმუნს, – ვუთხარი და რომის ბოთლი მოვიყუდე!

უცებ ბრაგვანის ხმა გაისმა – ჩემს გვერდით კარგად შეზარხოშებული ედი ეგდო!

– იანოს! – დაიღრიალა ედიმ და მხარზე ხელი მეკობრულად დამკრა, შემდეგ კოტიტა თითი ჰანაზიერასკენ გაიშვირა: – უცებ ნუ ეტყვი იმას, რაც გულში გაქვს. – დაასლოკინა ედიმ, თან მეორე ხელით რომიანი ტუჩები მოიწმინდა. ჰანაზიერა ოდნავ შეშინებული და დაბნეული შეჰყურებდა ედის, მერე მე შემომხედა. ვანიშნე, ყურადღებას ნუ მიაქცევ-მეთქი.

– ჯერ უთხარი, რომ ძალიან კარგად აცვია! – დაიხრიალა ედიმ და თავი ჩამოუვარდა, თუმცა მალევე ისევ აწია და ჰანაზიერას ტანსაცმელს შეხედა. – არა, ეგრე ნუ ეტყვი. – დაასკვნა ბოლოს და მე მომიბრუნდა, – ჯერ უთხარი, რომ ლამაზი თმა აქვს, ლამაზი წარბები აქვს და ისეთი ხმა, რომ სულ გინდა, უსმინო. – ჰანაზიერამ წარბები შეკრა.

– ედი, ედი! – შევუყვირე მე. – ჯობს შენზე მოგვიყვე რამეს, – თან ჰანაზიერას უხერხულად გავუღიმე.

– ჩემზე? ჰუ ჰუ ჰუ! გოდორა ედის ამბებს მოვყვე? ედინბურგში ჩემი ჰელენა რომ ჩამოვიდა... გინდა, იანოს, მოგიყვე? – ახითხითდა ედი.

– მოყევი.

– ჰელენა ვენაში გავიცანი. პირველად რომ დავინახე, – დაიწყო ედიმ, – ვიფიქრე, ღმერთო! ნამდვილად ანგელოზები ციდან დედამიწაზე გადმოსახლებულან-მეთქი. მივედი და სწორედ ეს ვკითხე ჰელენას: მარტო თქვენ გადმოსახლდით ციდან თუ ჩემი მფარველი ანგელოზიც სადღაც აქ დაიარებამეთქი. მოკლედ, ჩემო იანოს, სამი თვე მის სახლში ვიცხოვრე. ცეცხლოვანი ღამეები მქონდა, – უცებ აყვირდა ედი, – საოცარი გამთენიები, დაუვიწყარი დღეები... ზღაპრული საღამოები... კვირები, თვეები.

– ეი, ეი... – მუჯლუგუნი ვუთავაზე ჩაძინებულ ედის. – ედინბურგში რა მოხდა, ის მოგვიყევი (მეკობრეებში მუჯლუგუნი დიდი პატივისცემის ნიშანია)!

– ჰო... ჰო... – გამოფხიზლდა ედი. – ედინბურგის პორტში ავსტრიული სამგზავრო გემის შემოსვლას ასობით ადამიანი ელოდებოდა. გემი დათქმულ დროს შემოვიდა პორტში და ღუზა ჩაუშვა. ჰელენა გემიდან რომ გადმოვიდა, იქ მყოფებს საკუთარი სტუმრები დაავიწყდათ. მოდიოდა ამაყი! ... ნაბიჯით, ლამაზი, გაშლილი თმა ჩანჩქერივით ეღვრებოდა, მისი ყოველი ნაბიჯი რაღაცით რომელიღაც აკორდს ჰგავდა. თავშეკავებული ღიმილი ალუბლის ყვავილობისას ვარდისფერი ყვავილების კორიანტელში მოხვედრას თუ შეედრებოდა. მთვარის შუქივით ნაზი მზერით ირგვლივ ყველა მოაჯადოვა. მთელი ეს სტუმრების დამხვედრი საზოგადოება ჰელენას მიშტერებოდა, ჩემო იანოს! – ამოიხვნეშა ედიმ და განაგრძო: – უცებ ჰელენამ შეჰკივლა და გამოიქცა. ხალხი მომაკვდინებელი ინტერესით, სუნთქვაშეკრული შეჰყურებდა. კისრებიც კი წაიგრძელა ზოგიერთმა, კარგად რომ დაენახათ ის ერთადერთი ბედნიერი, ვისკენაც ჰელენა ქურციკივით გარბოდა და მთელი ამ ხალხის მზერა გოდორა, მსუქან, პატარა ედიზე თავშეკავებული გმინვით შეჩერდა... მათ ხელში მე შევრჩი, იანოს! მე! – ჩაიხითხითა ედიმ და საჩვენებელი თითი მკერდზე მიიკაკუნა. – ჰელენა ხელფეხგაშლილი ჩამეხუტა და ისე ჩამკოცნა, რომ ირგვლივ მდგომი ხალხი თავშეუკავებელი გმინვით სასწრაფოდ გემისკენ შებრუნდა. – ჩაიხითხითა ისევ ედიმ და რამდენიმე წამში ისეთი ხვრინვა ამოუშვა, რომ, ბუზღუნა აჰმედის მაგარი ხელი რომ არა, გემი კურსს სამი გრადუსით მაინც აცდებოდა.

ზღვისა და რომის სურნელში გახვეულები სეიმუნისკენ მივსრიალებდით. გემი დინჯად მიირწეოდა. გარემო მოყვითალო ბინდში იყო გახვეული. ამ საოცარ სანახაობას თან ერთვოდა მეკობრეების ღრიანცელი, ხვრინვა და უნიჭო წამღერებები. ჰანაზიერას შევხედე. ქალმა თვალი ამარიდა. მისი სილუეტი ოქროსფერში იყო გაბლანდული. ლამაზი შუბლი, კოხტა ცხვირი და ულამაზესი ტუჩები ისეთ მშვენიერ პროფილს ქმნიდა, რომ გავიფიქრე: ღმერთო! ნუთუ ალები ზღვის ფსკერიდან გემზე გადმოსახლდნენ-მეთქი. ჰანაზიერამ, ეტყობა, ჩემი დაჟინებული მზერა იგრძნო – გრძელი წამწამები დახარა, სწორი შავი თმა გვერდზე ჩამოეშალა და კაშკაშა მთვარესავით თეთრი კისერი გამოუჩნდა. უცებ პატარა ხელი ხელზე ნაზად წამავლო, თავი მუხლებში ჩარგო და გვერდზე მომეკრა. გულთან ახლოს რაღაცამ დამკრა – ეს გოდორა ედი იყო: – მძინარე ჩემკენ გადმოხრილიყო და მკერდზე თავით დამემხო. ედი ისევ კედელთან მივაყუდე და ჰანაზიერას მოკუნტულ მხრებზე ხელი გაუბედავად მოვხვიე. ჰანაზიერა უფრო მოიკუნტა. – მეშინია, – ჩაიჩურჩულა მან.

– ნუ გეშინია, მე შენს გვერდით ვიქნები. – მეც ჩურჩულით ვთქვი და, სანამ ლოყას ლოყაზე მივადებდი, მარცხენა ხელით ედი კედელზე კიდევ ერთხელ საიმედოდ გავასწორე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– შენ ვერ მიშველი. – უფრო დაუწია ხმას ჰანაზიერამ.

– ვეფხვივით დაგიცავ. – ვცადე ჩახლეჩილი ხმით წაჩურჩულება.

– არა, იანოს, არა... ეს რომი მაინც რამ დამალევინა. – ჰანაზიერას ხმაში სრული სასოწარკვეთილება ვიგრძენი და თავში ცუდმა აზრმა გამიელვა, ისეთმა ცუდმა, რომ მთელი ჩემი რომანტიკული განწყობა გემს მიღმა ზღვაში გადასროლილი რომის ბოთლივით გაქრა. – უკვე ნახევარი საათია, ბოყინს ვითმენ, იანოს, – ცრემლი მოერია ჰანაზიერას.

– არა! – ვიყვირე მე. – წამოდი, კიჩოსკენ გავიქცეთ! – დავიყვირე და ფეხზე წამოვხტი. ჰანაზიერაც წამოდგა პირზე ხელაფარებული და თავი ისე გააკანკალა, მივხვდი, აშკარად ჩანდა, მალე მოთმინება დაელეოდა, ახლა ყოველი წამი ძვირფასი იყო! ჰანაზიერას ხელი ჩავავლე და კიჩოსკენ გავიქეცი. ბუზღუნა აჰმედს რომ ჩავუქროლეთ, საჭეს ხელი არ გაუშვა-მეთქი! ისეთი სახით დავუყვირე, აჰმედი მიხვდა, რაღაც უბედურება რომ უნდა მომხდარიყო, და საჭეს უფრო მაგრად ჩააფრინდა, თან წინ თვალების ცეცება დაიწყო, თუმცა მთვარით განათებულ ზღის ზედაპირზე საეჭვო არაფერი ჩანდა. ჩვენ ზუსტად იქ მივირბინეთ, საიდანაც ქალი ზღვიდან გემზე ამოვათრიეთ. ჰანაზიერას ეტყობოდა, რომ თავს ვეღარ იკავებდა. თუმცა მე არ დავიბენი, მის ზურგს უკან დავდექი, ხელები იღლიებში ამოვდე, ლოყებში ჩავაფრინდი და თავი კიჩოს მიღმა ცისკენ მივუმართე. არასოდეს არავინ დამიჯერებს იმ ბლოყინის ხმის სიძლიერეს, რანაირადაც უნდა აღვწერო. ხმა ისეთი ძლიერი იყო, რომ გემი შექანდა, თუმცა აჰმედმა აქაც იმარჯვა და მალევე ძველ კურსს დაუბრუნა. მე და ჰანაზიერა დარტყმის ძალამ უკან, გემის სიღრმეში გადაგვისროლა. გემი მსუბუქად შეხტა, ზღვას დაენარცხა და ცურვა განაგრძო. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

ძლიერ ხმაზე და გემის არაბუნებრივ და უცნაურ შეხტომაზე მეკობრეებმა სმა შეწყვიტეს და ყველამ გემის უკანა მხარეს მოიყარა თავი. გაკვირვებულები გვიყურებდნენ, მთელი გემი სიჩუმემ და ძრწოლამ მოიცვა. ჰანაზიერას გული წასვლოდა და მისკენ მოსასულიერებლად დავიხარე. უცებ გემის სიღრმიდან ხის ფეხის მონოტონური კაკუნი გაისმა. ჯონ გოუ გაკვირვებული სახით ჩემკენ მოიწევდა, მეკობრეები გზას უთმობდნენ.

– რა ჯანდაბა ხდება აქ? – დაიღრიალა ჯონ გოუმ. მე ფეხზე წამოვდექი და გულწასული ჰანაზიერა ხელში ავიყვანე.

ბუმ! ბუმ! ბუმ!.. უცებ გემზე უცნაური ხმები გაისმა. ყველამ რატომღაც ცისკენ აიხედა. ჩემს ფეხებთან რაღაც დავარდა, დავაკვირდი – ეს ჩვეულებრივი ფილიპინური იხვი იყო! მალე გემზე იხვები პანტაპუნტით ცვიოდნენ. პირველად ვიდექით ფილიპინური იხვების წვიმაში. ის ღამე სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს გონებაში: ვიდექი ხელზე გადასვენებული ჰანაზიერათი, ჩემს წინ კაპიტანი ჯონ გოუ გაშეშებულიყო, რომლის უკან საიდანღაც იქ გაჩენილი დევიდი მის თავზე ჩამოცვენილი იხვებს იგერიებდა და მეკობრეები, რომლებიც ამ ყველაფერს გაკვირვებულები მისჩერებოდნენ. ეტყობა, ჰანაზიერას დაბლოყინებისას ცაში ფილიპინური იხვების გადამფრენი გუნდი ზუსტად იმ ადგილას მოექცა, საითაც ჰანაზიერა გავახედე და, დამანგრეველი ბლოყინისგან გემი ჩაძირვას კი გადავარჩინე, მაგრამ ამას ზუსტად ორმოცდათოთხმეტი ფილიპინური იხვი შეეწირა – მეორე დღეს ედიმ დათვალა, როცა ერთ ადგილას დახვავებული იხვების დამუშავება და შებოლვა დაიწყო. ფილიპინური იხვისგან მეკობრეები მშვენიერ კერძებს ამზადებენ. მართალია, ეს ზღვის იხვი თევზით იკვებება, ამიტომ მის ხორცსაც თევზის გემო დაჰკრავს, მაგრამ დამიჯერეთ, კვირების განმავლობაში მხოლოდ თევზით გაჯერებულ მენიუში ამ ცვლილების შეტანით ბედნიერები ვიყავით.

ყველაზე გახარებული მაინც კაპიტანი ჯონ გოუ ჩანდა, რომელმაც ქალის მონაყოლი ყურადღებით მოისმინა. მეც სამჯერ ზედიზედ მუჯლუგუნებით მადლობა გადამიხადა. ასე მითხრა ამ ქალის წყალობით ჩვენ დიდ საქმეებს დავატრიალებთ და უბრალო სავაჭრო გემებს კი არა, თვით მეფისა თუ იმპერატორის გემებსაც კი გავძარცვავთო! ჰანაზიერას მიმართ ყველა პატივისცემით განიმსჭვალა. საწყალმა ამ ამბის შემდეგ შვებით ამოისუნთქა და ადრინდელივით აღარ ეშინოდა, თუმცა გვერდიდან მაინც არ მშორდებოდა. როცა გემბანზე გამოვალ და ვხედავ, გემი ცხვირით როგორ მიაპობს ზღვას, ხშირად ვფიქრობ ხოლმე: – რა ჯობს მეკობრეებთან ცხოვრებას – ზღვა, გემი, ჰანაზიერა და ყოველდღე ახალ-ახალი ფათერაკები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

სცენა „ფაუსტიდან"

სამუშაო ოთახი

ფაუსტი, მეფისტოფელი.

ფაუსტი

შემოდი, ვინ ხარ! – გამაბეზრეს...

მეფისტოფელი

მე ვარ.

ფაუსტი

შემოდი!

მეფისტოფელი

წესია, უნდა სამჯერ წართქვა.

ფაუსტი

შემოდი, კარგი!

მეფისტოფელი

ველარ გავჩერდი, ვნახავ-მეთქი, წუხს უჩემობით!
ვინძლო, შევჯერდეთ და კიდევაც ავიკრათ ბარგი.
ვატყობ, სულ უკეთ შევეწყობით, რაც ხანი გავა,
უნდა ჩმახები გამოგბერტყო, გავსხა ნაღველი.

დასაწყისი იხ. „ცისკარი" №10, 2010

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ სეფეწულად მოკაზმული მაგიტომ ვდგავარ,
ჰა, შემომხედე! თქვი, როგორი ვარ სანახველი!
ან რა წითელი მოსასხამი, დიბა რჩეული,
ან რა ქათიბი, ოქრომკედით ამოხვეული!
ქუდი, რა ქუდი, შემკობილი, მამლის ფრთიანი!
ბალთა-ყაწიმზე გრძელი დაშნა ზარნიშიანი!
რაღას უზიხარ, ადექ, მომბაძე,
შენც გამოეწყვე ჩემს კვალობაზე,
გავბოლთ-გავმეცნოთ სხვა სამეცარი,
ვნახოთ, ცხოვრება რა რამეც არი!

ფაუსტი

ეგ შენი დიბა-ატლასები, ფიქრობ, უშველის,
აღარ მემძიმოს კაცის ყოფა წელგაუშლელი?
მე ბებერი ვარ საიმისოდ, ავყვე თამაშებს,
მაგრამ არც ისე, სურვილები აღარ გამაჩნდეს.
„დათმე, ითმინე!“ ჩაგვძახიან, მაგრამ რითიმე
წაგვადგა ვინმეს ეგ უცვლელი „დათმე-ითმინე?!“
ეს ხმაგაბმული, ხმაგაბზარული,
გულისთვის ურგი, სმენისთვის მქისე
ათასწლოვანი ყალბი ჟღარუნი,
ყურს რომ გვიხედნის ისევ და ისევ!
დილას ვიღვიძებ სასოწარკვეთით,
ყელს მობჯენილი სიმწრის ცრემლებით,
ეს დღეც ჩაივლის ჩემი არც ერთი,
არც ერთი ნების არამხდენელი!
სურვილშიგნითვე კირკიტებს ეჭვი,
იმედის ბოლო ნატამალს მაცლის,
უსახურ ლანდებს ამოშლის ღმეჭით,
იშრომე, ბრიყვო, გასწიე ღვაწლი!
ღამე დავწვები, სიზმრები მზარავს,
და ისევ დილის მოველი მოსვლას,
შეშინებული ვზი ძილის კარად,
არ ვიცი, საით გავასწრო კოშმარს.
ჩემშია ღმერთი, აქ სუფევს, შიგნით,
ჩემს ყველა ძალას ემეუფება,
მაგრამ ჩემს გარეთ უქმია იგი,
გარეთ არ აღწევს მისი სუფევა.
სხვა გზა, სხვა ღონე ვერ მიპოვნია,
ვეძახი სიკვდილს! მსურს აღსასრული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფისტოფელი

მაგრამ სიკვდილი, არა მგონია,
სტუმარი გახლდეს ეგზომ სასური.

ფაუსტი

მშურს, ვისი შუბლიც გამარჯვების ბრძოლამ ფიცხელმა
სამარის კარზე სისხლიანით შეამკო დაფნით
ან სატრფოს მკერდზე ვინც იპოვა თავდავიწყება,
სიკვდილთან ერთად ნეტარება იგემა მძაფრი.
რისთვის დამინდო დიდმა სულმა მის წინ გართხმული,
რა სასოებით მოვკვდებოდი, შვებით ართქმულით!

მეფისტოფელი

მაგრამ ვიღაცამ – როგორ იყო? – ველარ იკისრა,
იმ სითხის შესმა შუაღამით, იმ ჟანგისფრისა.

ფაუსტი

ჩანს, ეგ ხელობაც გემარჯვება, თვალთვალი სხვისი!

მეფისტოფელი

არა ვარ თუმცა ყოვლისმცოდნე, ბევრი რამ ვიცი.

ფაუსტი

რეკდნენ ზარები, გალობდა გუნდი,
გულზე მომეთბო და გადამძალა,
ბავშვობის ხმათა სიტკბოთი ვცთუნდი,
გამოუცლელი დამრჩა სამსალა.
კრულ იყოს ყველა მაცთური ხიბლი,
ყალბი ხილვებით გვეხშობა ხედვა,
თვალს გვაფარია გრძნეული ლიბრი
და ვაებათა ქვაბულში ვსხედვართ!
კრულ იყოს გონის თავდაჯერება,
ცთომათა კემსით ამობლანდული,
და შეგრძნებებზე რიოშ ფერებად
ფუჭ მოვლენათა ვლენა ლანდური!
კრულ იყოს ტკბობა სახელ-დიდებით,
ცრუ უკვდავების ზმანებით წბილით,
თუ მონაგარით, გულს მიმჭიდებით,
ყმით და მამულით, ცოლით და შვილით!
კრულ იყოს ვერცხლი, მამონი ხარბი,
კაცის გულ-გვამში გამჯდარი წყევად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვჭამს, სულერთია, სახვეჭად გავრბით,
თუ ბალიშებზე განცხრომით ვწევართ!
კრულ იყოს ყველა შვება და ლხენა,
ისიც, ის წვენიც, ნაჟური ვაზის!
ვწყევლი სიყვარულს, იმედს და რწმენას
და რასაც თმენის ბეჭედი აზის!

სულების გუნდი, უჩინრად

ეს რა ქნა, რა გვწია
მსახვრალი ხელით!
პარტახად აქცია
ქვეყანა მთელი!
ნახევარლმერთია,
დალეწა ერთიან,
მოთხარა, აღუფხვრა ძირი!
რა საქმეს შევებით,
გაგვაქვს ნანგრევები,
გარდასულ მშვენებას ვტირით!
ძეო კაცისაო, ჰყავ,
აღშენდეს, აღმშვენდეს კვლავ!
გულშიგნით ააგე
ლამაზი ათასწილ,
გასწი და გააგენ,
სხვა სივრცეს გადასწვდი!
ახალი განგების
განაღე ტაძარი,
მაღალი ჰანგები
გულდაგულ დაძარი!

მეფისტოფელი

ჩემი ბარტყებია,
უკან დამყვებიან.
ღლაპთა კვალობაზე
ბრძნული გალობა თქვეს.
გირჩევენ: დატოვე
ეს ბნელი დილეგი,
დათმე სიმარტოვე,
სიკვდილის ჩრდილები.
ვეღარ დახსნიხარ წუხილთან ლაციცს,
გფლეთს, როგორც ძერა, გაალმასებით!
ჯობს, კაცთა შორის ცხოვრობდეს კაცი,
ბრბოში ჩამდგარიც იგრძნობ სავსებით.
ბრბო სიტყვად ითქვა, ვინ გკადრებს მაგას,
შენთვის სარბიელს გადავშლით სხვაგვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვთქვა, დიდთაგანი ვარ-მეთქი, არ ვარ,
მაგრამ, რაცა ვარ, გზად გავიგები,
არ გაგაყოლებ არაფერს ჯავრად,
ოღონდ გარიგდეს გასარიგები.
ქვეყანას ერთად მივივლ-მოვივლით,
თვით გიმეგზურო, მაქვს განზრახული,
გსურს, გამოგყვები გვერდზე ტოლივით,
გსურს, შევიქმნები ყმა და მსახური.

ფაუსტი

სამაგიეროდ რას მოითხოვ, რა მავალია?

მეფისტოფელი

დრო ჯერ ბევრია, ჯერ იქამდე გრძლად სავალია.

ფაუსტი

არა, ეშმაკი რა თავკერძა რამ არის, ვიცით!
ღვთის გულისათვის შემოუდგეს საქმეს ჯერიანს,
მადლის სათესად ამოგიტყვრეს უეცრად მიწით!
ზუსტი მითხარი, საზღაურად რა მაწერია,
ვინც ასეთ მსახურს მიენდობა, თავის მტერია.

მეფისტოფელი

შენს ყველა სურვილს შევასრულებ აქ, ამა ქვეყნად,
რასაც მიბრძანებ, არ დავზოგავ თავსა და ძალას,
მაგრამ იქ, სადაც ბოლო ჯერზე მოგვიწევს შეყრა,
უნდა იმავე სამსახურით მომაგო ღალა.

ფაუსტი

იქ რა მოხდება, ჩემი ჯავრიც ეგა ყოფილა!
ჯერ ეს ქვეყანა, რაც არ ებრძვი, არ დამხობილა,
დაემხობა და ნურც მდებია ახალში წილი!
ამ მიწაზეა, რაც მილხინს და მევალალება,
ეს მზე დანათის ჩემს ამიერ ტანჯვა-წვალებას
და არად მიჩანს არაფერი მათუკან ქმნილი.
იქაურ ამბებს, აკი ხედავ, არც გეკითხები,
სძულთ, უყვართ რამე, განერჩევათ ზენა და ქვენა,
ერთხელ თუ მაინც მომიბრუნდა მაგაზე ენა?
რა არის ჩემთვის იქაობა? ფუჭი სიტყვები!

მეფისტოფელი

მაშ, დაბრკოლებაც არ გვქონია, შევკრათ კავშირი!
უზღვავ-უწყველი სიმდიდრეა შენ წინ გაშლილი.

ცისკარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახავ, თვითონვე დარწმუნდები, რა ხელუხვი ვარ,
ისეთს გაგიჩენ, ძეხორციელს რომ არ უხილავს.

ფაუსტი

რისი მოცემა შეგიძლია ეშმაკს საცოდავს?
მაგ შენი ადლით ვერ გასწვდები კაცის კაცობას,
სულის სიმაღლეს, დაუცხრომელ მისეულ სწრაფვას!
მაინც რითი გსურს მიმიბირო, რას დადებ, რა ფასს?
რა გაგაჩნია მისანდობი და სანდომელი?
საზრდო, რომელიც არ ანაყრებს? ოქრო, რომელიც
ვერცხლისწყალივით თითებშუა ბზრიალით მიდენს?
სახელ-დიდება, ის, რომელიც მიწა-მტვერია?
ქალი, რომელიც თავს კეკლუცად ჩემს მკერდზე მიდებს,
თვალი კი, თურმე ნუ იტყვი და, სხვაზე სჭერია?
თამაში, სადაც მოსაგები არაფერია?
სხვა? კიდევ? კიდევ? ზედ ყუნწზევე მიმპალი ხილი?
თუ ვარჯის ახლად ამწვანება ყოველი დილით?

მეფისტოფელი

ეს განძი თავზე საყარია, არ მეზოგება,
მაგრამ ეგენი, მაგნაირი წაგებ-მოგება,
ჩვენ ვერ მოგვხიბლავს, იმთავითვე ეს იყო ცხადი,
ჩვენ დრო გვიჩვენებს, რითი გავწევთ უკეთეს ნადიმს.

ფაუსტი

არა, დღეს ითქვას, აქვე და აწვე,
თუ მცონარების ბუმბულში ჩავწვე,
ანდა გავბრუვდე სიამით მწველით,
ან კიდევ ნახო, დავყევ შენს ლიქნას
და თავი მომწონს, განწირულ ვიქმნა,
იმსაუკუნო დამეცეს ბნელი!
ნაძლევი!

მეფისტოფელი

მზად ვარ!

გერმანულიდან თარგმნა
დავით წერედიანმა

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰანს ჯრისტიან მრანერი

შაბათ საღამოს

მარტინი ფარდულის ირგვლივ წრიალებს.

ტელეფონის ჯიხურში, სადაც ორი ტელეფონი დგას, ეს–ესაა ქალი შევიდა; ახალგაზრდა ქალი, ბეწვის მანტო რომ ეცვა. დაელოდება, სანამ ჯიხური განთავისუფლდება. მარტო უნდა, იქ რომ დარჩეს. თანაც, ხომ უნდა მოიფიქროს, ეს ყველაფერი როგორ უთხრას.

– იდიოტო, – ლანძღავს გუნებაში თავის თავს და მაინც ფეხს ითრევს. ამ ჩამრგვალებულ ფარდულს კი ახალი ამბების ხმაურიანი სათაურები გამოუფენია: „აბისინიაში სისხლისმღვრელი ომია," „არჩევნები," „მოძრაობა იმარჯვებს". ფარდულთან კაცი დგას. ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაუწყვია და სიღრმეში იჭვრიტება, სადაც დახლს მიღმა, გაზეთების უკან, საიდუმლო ბროშურები აწყვია: „თეთრი მონა ქალებით ვაჭრობა". ყდაზე ქალის მოხდენილი მუხლია გამოსახული.

ესე იგი, ჩამრგვალებული ფარდულიც სექსუალური ცხოვრებით ცხოვრობს; შელახული, დაუკმაყოფილებელი სექსუალური ცხოვრებით და ეს კაციც სწორედ ამ ბროშურებს უჭვრიტინებს. თანაც სულ ფეხს ინაცვლებს. ცხვირში რაღაცას ისე ბურდღუნებს, აშკარად გულგრილობას თამაშობს. კარგად ჩაცმული, ფერხორციანი მამაკაცია. ალბათ, მრავალი წელია დაცოლშვილებულია და სამ–ოთხ ბავშვს მკაცრადაც ზრდის. მაგრამ დროდადრო ფარდულის წინ დგას და აი, ასე ბურდღუნებს ან თამბაქოს ჯიხურთან მიდის და დალუქული კონვერტით რამდენიმე ღია ბარათს ყიდულობს. შემდეგ თავის კაბინეტში იკეტება და გაოფლიანებული ეწამება ან, იქნებ სულაც მუხლებზე ეცემა და ლოცულობს, თუმცა ღმერთის სულაც არა სწამს. ეს მისი საიდუმლოა და სიკვდილს არჩევს ამის გამხელას, მაგრამ შემთხვევით გამვლელს ეს მისმა გამომეტყველებამ, მისმა ბურდღუნმა აცნობა.

თუმცა შემთხვევითი გამვლელი ვერაფერს უშველის. პირიქით, გვერდს უქცევს და ქედმაღლურად დასცქერის. იგი ჰანაზე ფიქრობს, ქალის მომრგვალებულ მუხლისთავებზე, მას რომ ეკუთვნის. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გადაწყვიტოს....

ჰო, უნდა გადაწყვიტოს, ჰანას უნდა უთხრას. მარტინი ტელეფონის კარს ჯიქურ აღებს. როგორც ჩანს, ორივე ავტომატი არასოდეს განთავისუფლდება. შეშფოთებულ მოძრაობას და კუთხეში მოქცეული პატარა მხეცის დაფეთებულ მზერას აწყდება – ჯიხურში ისევ ახალგაზრდა ქალი დგას, მანტოში გამოხვეულა და მგონი, ამას ამბობს: „არ შეიძლება! მოიცადე, სანამ თავად დაგირეკავდე!" ყრუ, უიმედო ხმით ლაპარაკობს და ყურმილსაც თეთრ ხელს ისე აფარებს, თითქოს ერთიბეწო სან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელს ქარისგან იცავდეს. ალბათ, საყვარელს ურეკავსო, ფიქრობს მარტინი და მეორე ტელეფონთან ჩერდება. ერთად დაინახეს და ვიღაც ისეთს მიუტანეს ენა, ეს რომ არ უნდა სცოდნოდა. ქალს კი ქმარი ჰყავს და შვილი; იქნებ ორი შვილიც; ერთი ხომ ნაღდად ეყოლება. ახლა შეშინებულია. თავის საიდუმლოს ძალიან მალავს, ყურმილს ხელს აფარებს და, არავინ მომისმინოსო, არაფრისმთქმელი ფრაზებით ლაპარაკობს. მაგრამ ეს წაშლილი სახე, ისიც, ყურმილი როგორ უჭირავს და რა თვალებით შემომხედა, როცა შევედი... თუმცა, ვინ იცის, იქნებ ქმარი ვერც ვერაფერს ამჩნევს...

ყურმილში რაღაცამ გაიჩხაკუნა და ავდრიანი ოქტომბრის საღამო ჰანას ხმამ სინათლის სხივივით გაკვეთა:

– გისმენთ! შენა ხარ, მარტინ? რაო, რა გითხრეს?

ჰანას ხმა! მარტინი ასე ელოდა, მაგრამ რაღაც ნიაღვარი თითქოს მაინც მოაწყდა.

– მარტინ, როგორ ჩაიარა?

ერთი წამით სული მოიბრუნა.

– მშვენივრად, ჯანდაბას! ბრწყინვალედ ჩაიარა. ამას არც კი ველოდი, ჰანა!

– მარტინ, ნუთუ?

– ჰო, მიიღეს!

– მარტინ, მომილოცავს! მოდი სახლში, ჩქარა მოდი!

როგორც იქნა! ჰანა ხომ ამ სიტყვებს მთელი ხუთი წელი ელოდა. ხმაც როგორ აუთრთოლდა. სწორედ ეს სიტყვები აკლდა, რომ ბედნიერებით ისე გაფურჩქნილიყო, როგორც ალერსიანი ქარისა და მზის სხივების ქვეშ ალვა შრიალებს.

– მარტინ, იჩქარე! ახლა სადა ხარ? ტრამვაიში ჩაჯექი. უნდა აღვნიშნოთ. იყიდე... აჰ, სულ დამავიწყდა, ბინის უკვე გადაიხადე, არა?

– ჰო!

– სამწუხაროა, თორემ, იცი, რას ვიყიდდით...

– ავანსი მომცეს! ორასი კრონი მომცეს!

– მარტინ, შე გასიებულო ბრიყვო, ეს ხომ შეუძლებელია! ჩქარა, ჩქარა,

მოდი! იყიდე ერთი ბოთლი... არა, თვითონ ჩავალ. რომელი საათია? ოჰ, დღეს ხომ შაბათია...

მარტინს ყურში ჩიტების ჟღურტული ესმის. ეს ჰანას ხმაა, ოღონდ დიდი მიძინებისგან გამოფხიზლებილი ხმა, ფრთები ისევ რომ გაუშლია. მარტინი ლაღად იცინის და უსმენს, ქალი როგორ ჟღურტულებს, ერთი თემიდან მეორეზე როგორ ხტება. ასეთი სიცილით მის ყველა გამოგონებას, ყველა სიტყვას მხოლოდ ხუთი წლის წინათ ხვდებოდა. ჰანა და მაღაზია? რა სასაცილოა!

– არა, გოგონა, შინ დარჩი! საჭმელს თავად მივხედავ. რესტორანში ვახშამს შევუკვეთავ!

ჰანა შეშინებული ჩუმდება, რადგან მარტინის წარმოსახვა ისე წინ გაიჭრა, პატარა ჭიანჭველასავით, თავად უკან ჩამორჩა.

– მარტინ, ზედმეტი არ მოგივიდეს...

– ნახვამდის, – აწყვეტინებს მარტინი. უკვე ველარ ჩერდება. ყურმილი დაკიდულია. აბა, ქუდი! პორტფელი! ფარდულის გამყიდველი ქალი, ვისგანაც ჟეტონი იყიდა, შუშაზე უკაკუნებს, რადგან ერთი კრონი მისცა, ხურდა კი არ აუღია. მერე რა! ერთი კრონა რაღას უწყვიტავს! ღია კარი ქარს ეგებება და მარტინი ოქტომბრის ავდარში იკარგება.

მეორე ტელეფონთან ქალის ხმა შეიცვალა, თითქოს უფრო ღრმა და ხავერდოვანი გახდა: „ვინ იცის... თუ მართლა ბედნიერი იქნები...“

ფარდულის გამყიდველი ქალი მარტინის დატოვებულ კრონს ათვალიერებს და უცებ ახსენდება, რომ დღეს შაბათის საღამოა, მას კი დივანის ბალიშისთვის შალი აკლია. ყავისფერი ბალიში უნდოდა, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ წითელი უკეთესიც იყოს... პირველი ფანარი ინთება. სწორედ მარტინის თავს ზემოთ თვალისმომჭრელად ელვარებს. შემდეგ ქარი ააქანავებს და თითქოს ცეცხლი გადაედოო, მთელი ქალაქი აჩახჩახდება. ასეთი ვეებერთელა, კაშკაშა ალი მარტინს არასოდეს უნახავს. გახარებული, თავის თავში დარწმუნებული მიაბიჯებს და სულით ჰანას ხმას ეზიდება. აი, ისეთ ხმას, ხუთი წლის წინათ რომ ჰქონდა. ეს ხმა წითელი და მწვანე ათინათების ტაქტში ჟღურტულებს და მარტინს ერთი წუთითაც არ შორდება. აი, ცოტა თითქოს მიინავლა, ნათურა ჩაქრა, მაგრამ უცებ მეორე აჩახჩახდა. ჰანა ყველგანაა: გამვლელთა თვალებში, ველოსიპედების ანთებულ ნათურებში, მაღაზიების იმ ვიტრინებში, მას რომ ეგებება. ერთი მაღაზიისკენ თბილ ხელთათმანში გამოწყობილი ჰანას ხელი იხმობს. მარტინი ცდილობს, ზომა გაიხსენოს. გამყიდველი ქალი ხელს უწვდის. მარტინი თავის ხელს აზომებს და ეჩვენება, რომ ჰანას ხელი, პატარა და სათუთი ხელი უჭირავს. სხვა ქალის ხმით, დახლს იქით, სწორედ ჰანა იცინის. შემდეგ ვეებერთელა, კრიალა ვიტრინის წინ შეჩერდება. ასობით წყვილი ფეხსაცმელი გამოუდგამთ, რომელსაც ვიტრინის შუშები ისე ირეკლავს, ათასი წყვილი გეგონება. ათას წყვილ ფეხსაცმელში გამოწყობილი ჰანას ფეხები! მარტინს თავი საშობაო ზღაპარში ჰგონია, თვალები გაურბის. მისი პორტფელი ნაყიდებითაა სავსე. ჯიბეებიც გადავსებული აქვს, იღლიებშიც პაკეტები ამოუჩრია, მაგრამ ეს ხომ წვეთია ზღვაში, კიდევ რამდენი რამის ყიდვა უნდა.

აი, ყვავილების მაღაზია. მარტინს გაახსენდა, როგორ აჩუქა ერთხელ ჰანას სურნელოვანი ცირცველას ყვავილები და უცებ ჰანას ამ ყვავილივით

ათრთოლებული და ნათელი სიცილი გაიგონა.

– ახლა ამის სეზონი არ არის, – ისეთი ღიმილით ეუბნება დახლს მიღმა მდგარი გამყიდველი, თითქოს მარტინი გულუბრყვილო ჩვილი იყოს. მარტინს კი ცირცველა აღარც ახსოვს, თავი ტყეში ჰგონია, წინ კი გოგონა მიდის, წელზე ლაქის სარტყელი რომ შემოუსალტავს. ასეთი კაშკაშა ქამარი ჯერ არასოდეს უნახავს, ოქტომბრის აალებულ ფოთლებზე უფრო წითელია! გოგონა მარტინის მზერას ამჩნევს და თეძოებს შეარხევს. ალბათ, ასეთი წითელი ქამარი ტყუილად არ უყიდია. უნდა, რომ მისი წვრილი წელით და ძლიერი ფეხებით ყველა დატკბეს. და მარტინს ამის გამო გოგონა უყვარს. სურს, იმ ზღაპრულ ტყეში გადაკოცნოს, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალია, ისევე, როგორც ჰანა. მაგრამ ახლა ცირცველის სეზონი არ არის, ახლა შემოდგომის ქრიზანთემების დროა. გოგონა ვეებერთელა თაიგულს აჩვენებს.

– ნახეთ, რა დიდებია და მშვენიერები. გაშლილიც რა კარგადაა...

– მომეცით, – გააწყვეტინებს მარტინი. – აი ეს, მეორეც, აი ისინიც.

– ეს შეკვეთილია, – ამბობს წითელქამრიანი გამყიდველი და მარტინს მოაშორებს ძვირფასი ყვავილებით სავსე იმ კალათას, ორი დღეა ვერაფრით რომ ვერ გაუყიდია. ასე რად იქცევა? იქნებ გრძნობს, რომ აღტაცებული მარტინი დიდი და მოუხეშავი დათვის ბელია, რომელიც კარგად უნდა დაიჭირო; ან იქნებ სულ სხვა კაცზე ფიქრობს და ის ახსენდება, გუშინ ჩხუბის დროს რა უთხრა. მაგრამ დღეს დაურეკავს და ცხელ გულზე მომივიდაო, ეტყვის. საბოლოოდ ამას სწორედ მაშინ გადაწყვეტს, როცა მარტინი წასვლას დააპირებს. კაცი კი დგას, მკერდზე სამი თაიგული მიუკრავს და ვერაფრით ვერ გაუგია, გოგონა ასე გულიანად რად იცინის.

– სად მიგაქვთ ასეთ ამინდში? სახლამდე ვერ მიიტანთ.

ყვავილებს ხელიდან ართმევს და შიკრიკს აწვდის, მარტინი კი ბარათზე რამდენიმე სიტყვას წერს. რამდენიმე, ჩვეულებრივ სიტყვას, მაგრამ თეთრ ბარათზე ეს ძალიან მოულოდნელად მოჩანს. კონვერტს კი მხოლოდ ჰანას, მხოლოდ სახელს დააწერს. შემდეგ ქუჩაში მიაბიჯებს და ამ სახელს ისევ და ისევ იმეორებს, თითქოს ძალიან სასაცილოც იყოს და უცნაურიც: ჰანა, ჰანა...

აი უკვე სხვა მაღაზიაში შედის და თეთრ ხალათში გამოწყობილ გამყიდველს უხსნის:

– არა, ეს არა. ცისფერი საყურე მინდა. აი ის, თვრამეტი კრონი და სამოცდათხუთმეტი ერე რომ ღირს.

ეს საყურე ერთხელ ჰანამ აჩვენა და სევდიანად უთხრა: „როცა გავმდიდრდებით...“ ნეტავ, რად უნდა? შეცბუნებული მარტინი იქაურობას თვალს მოავლებს. ირგვლივ ყველაფერს ცივი ბრწყინვალება დაჰკრავს. უჯრებში და კოლოფებში, თეთრ ბალიშებზე უსიცოცხლო, თითქოს გაყინული ყვავილები აწყვია. ნამდვილი შუშის სასაფლაოა და ეს მედიდური ქალბატონი ბამბაჩაფენილ კოლოფში საყურეს ისე აწყობს, თითქოს კუბოში აწვენდეს. და მაინც, მარტინმა გაბედა და იკითხა ეს მაჯის საათი რა ღირს ოქროს სამაჯური რომ აქვსო.

– 585 კრონი, – მოჭრის მედიდური ქალბატონი და ხმაში სწორედ ისეთი სიცივე ჩაუდგება, როგორიც ვიტრინებიდან იფრქვევა.

ქალი მარტინის ხელებს შესცქერის; უშველებელ ხელებს, ხელთათმანებს რომ არ დაუფარავს. მარტინიც ხელებს უნებლიეთ მალავს და ისე გაიძურწება საათს ნისიად ხომ ვერ მომყიდითო, აღარ ეკითხება. შუშის კუბოში ჩაწყობილი ასობით ბრჭყვიალა ქვა ავი და მსუსხავი მზერით ზურგს უბურღავს. ნეტავ, რად უნდა ეს საყურე? ნამდვილი პატარა სულელია!

გარეთ ავდარი ბობოქრობს. რელსებზე ტრამვაი მიიკლაკნება. საფეხურზე გოგონა დგას, ჩამოხტომას აპირებს და ქვედაბოლო მრგვალ მუხლისთავებთან უფრიალებს.

– მოდი, არტურ! – ყვირის გოგონა. ისე ხტება, რომ ტრამვაის გაჩერებას არ ელოდება და მარტინს ახსენდება, რომ დღეს შაბათის საღამოა.

არტურიც ჩამოხტება, გოგონას წამოეწევა, მკლავს გაუყრის და ერთად გაქანდებიან; იმიტომ, რომ დღეს შაბათია და კინოში უნდათ შესვლა, სადაც სუნთქვაშეკრულები მთელ საღამოს ეკრანის წინ გაატარებენ. მოგვიანებით საბნის ქვეშ შეძვრებიან და სისხლი აუდუღდებათ. კაცი თავისი სუნთქვით გოგონას თმას აუწეწავს და გაიცინებს; გოგონა ყურზე უჩქმეტს, ბრიყვული საალერსო სახელებით მოიხსენიებს და შაბათი საღამოც მოვარდნილ ნიაღვარში ჩაიკარგება. მარტინი შეჩერდება და წყვილს თვალს გააყოლებს. „მოდი, არტურ!“ ყვირის გოგონა.

აი ამას კარლი ქვია. მაღალია და გაბრაზებული. დიდი ნაბიჯებით მიქრის, გვერდით კი მისი პატარა, ქერათმიანი ქალბატონი მიკუსკუსებს, თვალებში შესცქერის და აწყნარებს.

– მისმინე, კარლ. ეს ხომ ცხელ გულზე გითხრა.

– არა უშავს. ვალში არც მე დავრჩი. სხვა მოძებნეთ-მეთქი, პირში მივახალე.

– კარლ, ნუთუ მართლა გაბედე?

ქალმა მშვენივრად იცის, რომ მსგავსს არაფერს იტყოდა, მაგრამ დღეს შაბათის საღამოა და, თუკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუჯერებს, კაცს გულზე მოეშვება. საყასბო კი კაფელის ფილების თეთრი და ხორცის ნაჭრების წითელი ფერებით ციმციმებს. პატარა მოხუცი ქალი რიგში დგას და ხელში საკრედიტო ბარათი უჭირავს. თავს აშკარად ცუდად გრძნობს და იმ წყალში გადავარდნილს ჰგავს, ფსკერზე დაშვებას ცოტაღა რომ უკლია. ისეთი ერთი ციცქნაა და მთლად ჭაღარა. წამიერად ძალა ეცლება, თვალებს ხუჭავს და სახე ისე უხევდება, თითქოს უძირო უფსკრულში ჩაძირულიყოს. ხავსის როლს წყალწაღებულისთვის საკრედიტო ბარათი ასრულებს: „თუ შეიძლება, ძეხვის რულეტი, ღვიძლის პაშტეტი, იტალიური სალათა...“ დღეს შაბათია, ბიჭები სახლში არიან. მოხუცი წინასწარ ხედავს, სუფრის ირგვლივ როგორ აწრიალდებიან და ხელებს მოისრესენ: „აუჰ, დედილო! აი მესმის ვახშამი!“

მაღაზიაში ქალები შემოდიან, ქალები გადიან. ვიღაც მოკრძალებული ხმით თხუთმეტ ერედ რაღაც წვრილმანს თხოულობს, გვერდით კი ამპარტავანი დედაკაცი თავს ბეწვის უშველებელი საყელოთი იწონებს და თავის კეთილდღეობას ხაზს უსვამს. პუტკუნა გოგონას უამრავი რამ უყიდია. სადარბაზოში ისე ხალისიანად შეირბენს, თითქოს ბუდისკენ გაფრენილი ჩიტი იყოს. მალე ფანჯრის კვადრატში მისი ხელი გამოჩნდება და ქარისგან დასაცავად ფარდას ჩამოაფარებს. შემოდგომის ქარი სახურავებზე დაქრის, ყოველი ფარდის მიღმა კი ცალკეული ცხოვრება, საზრუნავი, პატარა გამარჯვება და მარცხი ცოცხლდება: „მისმინე, კარლ, ეს ხომ ცხელ გულზე გითხრა...“

სულ ზემოთ, მეხუთე სართულზე, ფანჯარა გაჩახჩახებულია. დიასახლისმა ფარდის ჩამოსაფარებლად ვერ მოიცალა! ლივრეაში გამოწყობილ ორ მამაკაცს, „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებიდან გადმოსულ თევზებს რომ ჰგვანან, სამზარეულოში ვერცხლის სინი შეაქვთ. კარზე კი ამ დროს შიკრიკი რეკავს და ვეებერთელა თაიგული მოაქვს. კიდევ რა აღარ იყიდა: ღვინო, კანფეტები, სიგარეტები, ხელთათმანები, ფეხსაცმელები – მოკლედ, ყველაფერი, რაც კი ორი ათეული ბანკნოტით შეიძლება მოიპოვო. თუმცა, ცოტა ფული მგონი კიდევ დარჩა. მარტინს არ ახსოვს და არც უნდა გაიხსენოს. ხვალ კვირაა, არავინ შეაწუხებთ და ერთი დღით მაინც შეიძლება, სამყარო გარდაქმნას. კიბეზე არბის, სამ საფეხურს ერთად ახტება. ნაყიდები გრიალებს, აქეთ-იქით ეხეთქება. ორ მუცელგაბერილ ბოთლში სითხე თქაფუნობს და ჰანას თვალები, ჰანას ტუჩები, ჰანას ხელები ენატრება...

აი, უკვე შემოსასვლელში დგას და ქალს მკერდში იკრავს. „ჰანა!“ როგორ ოცნებობდა ამ წუთებზე და მაინც... ოცნება მერამდენედ ფერმკრთალდება ცოცხალი ჰანას წინაშე. აი, სიტყვა გაუწყდა და სულ სხვა თემაზე გადახტა. აი, დასერიოზულდა, თუმცა ეს სხვების სერიოზულობას სულ არ ჰგავს. აი, მის ბავშვურ ბაგეს ცრემლით სავსე ღიმილი მოეფინა; ხელებიც რბილი და სათუთი აქვს. მთლად შეუცნობელია, შუქ-ჩრდილების რაღაც ნაზავი, ყოველთვის სხვადასხვაგვარად რომ წარმოიდგენ, და კაცი იცინის; თუმცა რატომ, თავადაც არ იცის. ჰანა! წითელი და მწვანე ნაპერწკლების ციმციმია, ათასი პატარა ფანარის ალი, ქარში რომ ირხევა და ქრება. ჰანა ხომ სხვების თვალებშიც შეიძლება დაინახო და ქუჩის ცვალებად შუქ-ჩრდილებშიც – აი, როგორი მოუხელთებელია ჰანა. და ღამის კოშმარებით დაღლილ მარტინსაც შეუძლია, დილით ჰანას მხარს ისე მიეკრას, როგორც ჩაძირული გემიდან გადარჩენილი მეზღვაური ეხუტება ამწვანებულ მიწას. აი, რა ერთგული და მარადიულია ჰანა. მარტინი თვალებში ჩასცქერის. აქამდე ეგონა, მისი თვალები ზღვის უკიდეგანო სივრცეებში გამკრთალ აფრასავით ლურჯი და შორეული იყო, არადა, შავი და პატარა აღმოჩნდა. ისევ მოულოდნელობას გადააწყდა. ბოლოს და ბოლოს კულულს გადაუწევს და პატარა ხალს მოძებნის, ზედ ყურის თავზე რომ წამოსკუპულა. ეს მრგვალი ხალი ყოველთვის აქ იმალება და, ჰანა ისეთივე მოხუცი და ჭაღარაც რომ გახდეს, როგორც მაღაზიაში ნანახი ქალი იყო, კულულის გადაწევა საკმარისი იქნება, რომ დარწმუნდე – შენს წინ ნამდვილად ჰანა დგას! და, სანამ მარტინი ცდილობს, წარმოიდგინოს, ჰანა მოხუცი და ჭაღარა როგორი იქნება, ქალი მუშტებს დაუშენს და შესძახებს:

– მარტინ, გამიშვი! სოუსი!.. კაკაბი!.. ყვავილებიც!..

– აი, ნახე, აქაც რაღაცები აწყვია!

მარტინი ნაყიდებს პირდაპირ იატაკზე დაახვავებს, რომ უკეთ ნახოს და, თუმცა ჰანა კარგა ხანია მიხვდა, იქ რა აწყვია და მარტინს რამდენი ფული დარჩა, სკამზე მაინც ძალაგამოცლილი ეშვება.

– ღმერთო ჩემო, მარტინ!

მარტინი ეშმაკობს და უვნებელი ხარჯებით იწყებს:

– სიგარეტები. ასი ცალია და ძალიან ძვირფასი! კანფეტები.

ჰანა შეკრთება და თავს ისე მოაჩვენებს, თითქოს პირზე ნერწყვი მოადგა. მაგრამ, როგორც კი ხელთათმანი და წითელქუსლებიანი ფეხსაცმელი გამოჩნდება, ქალის ხმაში აღფრთოვანება გაქრება და შიში დაისადგურებს:

– მარტინ, რამ გადაგრია!

მარტინი კი როლშია შეჭრილი და განაწყენებული ეკითხება:

– რა, არ მოგწონს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მარტინ, შე გასიებულო ბრიყვო. რამდენი ხანია, ამაზე ვოცნებობდი. თანაც ზუსტად ჩემი ზომაა. მაგრამ მაინც გიჟი ხარ, ნამდვილი გიჟი!

საყურის დანახვისას კი ქალს ენა ჩაუვარდება და, თითქოს ბურანში იყოს, თავს უსუსურად გადააქნევს.

– კი, მაგრამ საიდან... სწორედ ის არის... როგორ მიხვდი?

რა თქმა უნდა, მშვენივრად ახსოვს, რომ თვითონ აჩვენა. მარტინმაც იცის, რომ ქალს ეს ახსოვს, მაგრამ, თუკი წყვილი საყურით სასწაულის მოხდენა შეიძლება... ოთახში დადის, ყვავილებს ათვალიერებს და ვერ ცნობს. მხოლოდ ჰანას ხელებს, ჰანას თითებს ხედავს. ყველაფერი რა სწრაფად მიალაგა. ერთი ტოტი აქეთ, ერთი ტოტი იქით და აი, ვეებერთელა თაიგული მთელ ოთახს ფოთლებისა და ტოტების მსუბუქი ქსელივით მოეფინა. აი, როგორი ხელები აქვს ჰანას! თაროზე კი რძის ქილაში ჩაწყობილი სამი ქრიზანთემა დგას და კაცმაც მაშინვე წარმოიდგინა, სამზარეულოს ტაბურეტზე ფეხის წვერებზე შემდგარმა ჰანამ ეს ქილა სულ ზედა თაროდან როგორ ჩამოათრია. არა უშავს, ორშაბათს გავა და მწვანე დოქს იყიდის.

უკვე მესამე შემთხვევაა, როცა მარტინი ორშაბათს რაღაცის ყიდვას აპირებს. ქალი თვალს სწრაფად შეავლებს. ჰო, მართლა, ხომ უნდა აუხსნას...

– შენ ხომ არ იცი. მომისმინე...

– მარტინ, მაცადე! სოუსი!

ჰანას წითელი ქუსლები სამზარეულოში გაქრება და დიდი ფუსფუსიც დაიწყება.

– მარტინ, წითელი ღვინო შეათბე! ხელსაწმენდები კარადაშია. კოქსიც გამოიტანე, მარტინ!

ფუსფუსი! შაბათის საღამოს იმედით სავსე ფუსფუსი! ჰანას წითელი ქუსლები ოთახსა და სამზარეულოს შორის დაქრის. მარტინს საკუჭნაოდან მთელი ყუთი კოქსი გამოაქვს. მართალია, საკუჭნაოში კოქსი თითქმის აღარ დარჩა, მაგრამ...

– ორშაბათს იმდენ კოქსს ვიყიდით, მთელი ზამთარი რომ გვეყოს, გესმის, ჰანა? ოცდაათ ტომარას ვიყიდით და საკუჭნაოს ჭერამდე ავავსებთ.

– კარგი, ოღონდ ახლა დაუჩქარე, თევზი ცივდება! დაუჩქარე, მარტინ!

ჰანამ „სოტერნი" უკვე ჩამოასხა, მაგრამ ბოთლს ისევ იღებს და მარტინის ჭიქას ბოლომდე გაავსებს. ორაგული ხორციანი და ნაზია. ღვინოც მსუსხავი და სასიამოვნო. მარტინი ჭიქას დაცლის, მეორესაც მიაყოლებს და ისევ ცდილობს, აუხსნას:

– შენ ხომ არ იცი, ჰანა, მომისმინე...

მაგრამ ყავისთვის წყლის ადუღების დრო დამდგარა, კაკაბიც შესათბობია. ჰანას ხელი კი ჭიქას ისევ და ისევ წითელი ღვინით უვსებს. რა თხელი ხელი აქვს, მოქნილი და რბილი მოძრაობები, მშვენივრად იცის, რას აკეთებს. რვა საათია, ცხრა საათია. შაბათის საღამო უხმაუროდ, დიდი ნახტომებით მიქრის. ჰანას ხელები კი ვერცხლის სახურავებს შორის დაფრიალებენ და ახსნაც აღარაფერს სჭირდება. ადრე თუ გვიან მარტინი გზას გაიკვლევდა, ეს ხომ დღესავით ნათელია. და როდესაც დღეს დილით თეატრიდან წერილი მოვიდა: „თქვენი პიესის შესახებ უნდა მოგელაპარაკოთ," მაშინვე მიხვდა, რომ დანებდნენ და იძულებული გახდებოდნენ, თავის წრეში მიეღოთ. მარტინი დაცინვით აღწერს, როგორ იჯდა პატარა დირექტორი უშველებელ კაბინეტში. საწერ მაგიდას ყუმბარის მსგავსი ფეხები ქონდა, სკამი მაღალზურგიან სამეფო ტახტს ჰგავდა, კედელზე კი შუშისთვალებიანი ლომის ტყავი და ნაპოლეონის ნიღაბი ეკიდა. დირექტორს ხელები პიჯაკის ბორტებისთვის ჩაეჭიდა და ოთახში ბოლთას ცემდა. მოკლედ, მკერდზე ვარსკვლავიღა აკლდა!

მარტინი დირექტორის სიარულს ბაძავს. ოჰ, ეს მარტინი! ადამიანებს ისე ხედავს, თითქოს გამჭვირვალეები იყვნენ და ასე გაშიშვლებულებს სინით მიართმევს თავის სასურველს. სასურველი კი სკამის ზურგზე გადაწოლილა, გულიანად იცინის და ყველაფრით ანიშნებს მოხიბლული და დამორჩილებული ვარო. მარტინი მხრებში იშლება. ბოლო წლების განმავლობაში ცოტა დამძიმდა და მოეშვა, მაგრამ ახლა ეს სადღაც გაქრა! ისეთი მოქნილი და ძლიერი დგას, თითქოს ნახტომისთვის გამზადებული ავაზა იყოს.

– იდიოტი ვარ! ორასზე რად დავეთანხმე, სამჯერ მეტი უნდა მომეთხოვა! მაგრამ ორშაბათს...

– მარტინ, დალიე, ბოთლი ბოლომდე უნდა დავცალოთ.

ჰანას ერთ საკითხზე დიდხანს შეჩერება არ შეუძლია. მისი მოქნილი ხელები სულ მოძრაობს.

– ყავის დროც მოვიდა, ოღონდ ჯერ ჭურჭელი ავალაგოთ და შუქიც ჩავაქროთ.

ჭაღს აქრობს, კუთხეში პატარა ოქროსფერ ლამპას ანთებს და სავარძლებს იქით მისწევს. დეკორაცია იცვლება: ჰანა და მარტინი დიდი ტურისტული გემით საქორწინო მოგზაურობაში მიდიან. უკვე ისადილეს. ახლა თავიანთ კაიუტაში სხედან და უსმენენ, ზემოთ შტორმი როგორ გრიალებს. ჰანას მოქნილი ხელები ყავას ასხამს, თითები კოვზს ათამაშებს, ყავის ჭიქაზე შუქ-ჩრდილები ციალებს. ჰო, რა თქმა უნდა, ძვირფას გემზე არიან. ასეთი თეთრი ხელები და ვარდისფერი ფრჩხილები ხომ ჰანას არასოდეს ჰქონია. კაიუტაში ღრმა სიჩუმე დგას. ჰანას სახეს ლამპის ოქროსფერი შუქი და სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეტის კვამლის ღრუბელი ფარავს, მაგრამ მისი ბავშვური ლოყების სიწითლე ამ ღრუბლის მიღმაც კი მოჩანს. თითქმის არ შეცვლია! მარტინს თვალებზე ცრემლი ადგება: თითქმის არ შეცვლია! დიდი ხელები უკანკალებს, იმდენი რამის თქმა უნდა...

– ჰანა, ცირცველას ყიდვა მინდოდა, მაგრამ მაგისი სეზონი არ არისო, მითხრეს.

ჰანა იცინის. თავი გადაუკიდია და იცინის იმიტომ, რომ ახლა სეზონი არ არის, მარტინს კი ცირცველას ყიდვა უნდოდა. ოღონდ ძველებურად როდი იცინის, რაღაც ახლებურად ჟღერს. ქალი წითელქუსლიან ფეხსაცმელს აქანავებს და თავის ფეხებს დასცქერის, გოგონას ფეხებს რომ ჰგავს. თითქმის არ შეცვლილა! ოჰ, რამდენი რამის თქმა უნდა! მარტინი ქალის სახეს ხელებში მოიქცევს.

– შენ ხომ არ იცი, ჰანა, მომისმინე ბოლოს და ბოლოს. იქნებ მოგვიანებით...

მაგრამ ჰანას ხელები იშორებენ, სადღაც ღილაკს აჭერენ და კაიუტა მუსიკით ივსება.

– მარტინ, წამო, ვიცეკვოთ!

– მართლა, ჰანა, რატომ აღარ ვცეკვავთ? რამდენი მოძრაობა ვიცოდი, ახლა კი ყველაფერი გადამავიწყდა. რისი ბრალია?

ჰანა ისევ გულიანად იცინის, რადგან მარტინი საშინლად ცეკვავს. რა თქმა უნდა, ადამიანებს ისე ხედავს, თითქოს გამჭვირვალეები იყვნენ და ცნობილი მწერალიც გახდება, მაგრამ ცეკვა სულ არ ეხერხება, ამის ნიჭი ნაღდად არა აქვს. მაგრამ მე ხომ სწორედ ამის გამო მიყვარხარ, ჩემო სულელო, ჩასუქებულო, მოუხეშავო ბიჭუნავ!

შემდეგ ერთ სავარძელში ჩასხდებიან და ისევ მარტინის პიესაზე მსჯელობენ. ოჰ, ეს პიესა! მარტინი ველარ ჩერდება, ისევ და ისევ ამ თემას უბრუნდება.

– იცი, ჰანა, შეიძლება სულაც...

– გაჩუმდი. რა მნიშვნელობა აქვს „სულაც“ რა მოხდება. ჯობს, მე მაცადო. მოკლედ, პრემიერაზე მივალთ. წარმოიდგინე, მარტინ, სწორედ ის კაბა მაცვია, მაშინ რომ გაჩვენე. მაგრამ არა, სწორედ ის კაბა კი არა, ისეთივე ფერის კაბა, ოღონდ ეს უკვე ჩემი საზრუნავია. შენ ახალ სმოკინგში გამოეწყობი. იმ დროისთვის ფულიც გაგვიჩნდება და ცოტა გახდები კიდეც, ტენისზე ვივლით. რა თქმა უნდა, დარბაზში უკანასკნელ წუთებში შევალთ. დარბაზი გადაჭედილი იქნება და ყველა ერთხმად აჩურჩულდება: „ჩუ! აი, მოვიდა!“

– კი მაგრამ, როგორ მიცნობენ?

– როგორ გიცნობენ? დაგავიწყდა, რომ ამ ბოლო დროს გაზეთები მხოლოდ შენზე წერენ და შენს ფოტოებს ბეჭდავენ? ეს ხომ რიგითი პიესა არ არის, ეს შენი პიესაა. აბა, შეხედე, მარტინ. აი, პირველ რიგში დავსხედით, შუქი მიილია, ფარდის წინ შავ ფრაკში გამოწყობილი დირიჟორი გამოჩნდა და ჯოხი ასწია. ჩვენს ზურგს უკან კი თავების ზღვა მოჩანს, ნემსი არსად ჩავარდება. აი, დაიწყო კიდეც! მარტინ, რა ბრწყინვალე წარმატებაა! როგორ გრიალებს დარბაზი, სცენაზე გიხმობენ. ბოლოს და ბოლოს ფარდაც აიწევა და შენც გამოხვალ. ოჰ, ღმერთო, აქ ალბათ სულს გავაპნევ. ოღონდ, მარტინ, ამის შემდეგ შინ ნამდვილად არ დავბრუნდებით. თავად წარმოიდგინე – ყვავილები, დეპეშები, ტელეფონის დაუსრულებელი ზარები! არა, ჯობს, სადმე გავემგზავროთ. სულ ერთია, სად, ოღონდ არავინ გვიცნობდეს. თუნდაც ზღვისკენ წავიდეთ. წარმოგიდგენია ზამთარში ზღვა? თბილად ჩავიცმევთ და მთელი ღამე სანაპიროზე ვისეირნებთ. გაზეთებს კი ნამდვილად არ წავიკითხავთ. ყოველგვარ სისულელეს ბეჭდავენ. შენზე ხეირიანს ვერაფერს დაწერენ. აი, მე რომ შემეძლოს...

ყვავილები, დეპეშები, წარმატება – მარტინს ეღიმება. ჰო, იმ ჭკვიანი კაცის ღიმილით ეღიმება, ყველაფერს ისე რომ ხედავს, თითქოს გამჭვირვალე იყოს. ზღვის სანაპირო, სასტუმრო – ეს ხომ ჰანას ზაფხულის ოცნებებია, ახლა ისევ რომ გაცოცხლდა. მოგზაურობაზე ოცნებობდა და მაისიდან ოქტომბრამდე გეგმებს აწყობდა. ახლა კი გარეთ შემოდგომის ავდარი ბობოქრობს, ქარი ხეებიდან წითელ ფოთლებს ყრის და ზაფხულის ოცნებები ზამთრის ოცნებად გადაიქცა: „თბილად ჩავიცვამთ და მთელი ღამე სანაპიროზე ვისეირნებთ. შემდეგ კი, სასტუმროში...“ ყალბი იდილიაა და უხამსი ფუფუნება. მაგრამ ჰანას ისეთი მთრთოლარე ხმა აქვს, ასე ნაცნობი და თან ყოველთვის ახალი, რომ მარტინი იღიმება და სანაპიროზე მაინც მიყვება. სანაპიროზე, სადაც თეთრქაფიანი პატარა, მრგვალი ტალღები ფრთხილად მორბიან, შემდეგ უკან იხევენ და ისევ წინ მოისწრაფვიან. მარტინს აღარ ესმის, ჰანა რას ეჩურჩულება, ან კი რა მნიშვნელობა აქვს. ისე წამოხტება, სკამს შეეჯახება, იტკენს, მკლავებში ნაზ და მძიმე ტვირთს მოიქცევს და კისერზე ჰანას ხელებს იმ სალტესავით იგრძნობს, ბოლოს და ბოლოს რომ შეიკრა...

ფანჯარაში შუქი ქრება. სახურავებზე ქარი ღმუის. „რა საშინელი ქარია!“ – ჩურჩულებს ჰანა და მარტინს მკერდზე ეკვრის. ახლა ალბათ ყველგან ასე ჩურჩულებენ და ერთმანეთს ეკვრიან. ფანჯრებში შუქი ერთმანეთის მიყოლებით ქრება. სახურავზე ქარი დაქრის. რომელიღაცა ფანჯრის მიღმა გაოფლიანებული, ფერხორციანი მამაკაცი წევს, რაღაცის თქმას ცდილობს და საკუთარ ხმას თავადაც ვერ ცნობს: „ანა, სულ გატყუებდი. ერთგული ქმარი არასოდეს ვყოფილვარ, გღალატო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბდი...“ მაგრამ ანა ორმოცდაათი წლისაა და მძიმე, ჩამოკიდული მკერდი აქვს. რაღა დროს ეს ძველი ისტორიებია, ნეტავ რას ყბედობს? „ეტყობა, ცუდი სიზმარი ნახე. გვერდი იცვალე და გაგივლის“. კაციც გადაბრუნდება, ზურგს შეაქცევს და აღარ ეუბნება, რომ უჯრაში ღია ბარათები და ილუსტრირებული ჟურნალები აქვს ჩაკეტილი. იქნებ ქალი მართალია და ეს ყველაფერი მხოლოდ სიზმარში ნახა...

„ესე იგი, მომატყუე, კარლ? შენ კი არ უთხარი სხვა მოძებნე–თქო, იმან გითხრა?“ – „ჰო!“ – „ახლა რაღა ვქნათ, კარლ?“ – „არ ვიცი, სხვა ადგილს მოვძებნი“. – „ზამთარი მოდის, კარლ, მშენებლობებს შეაჩერებენ...“ – „ვიცი, ეშმაკმა დალახვროს!“ – „დედაშენს და მამაშენს ჯერ ნურაფერს ეტყვი. ხვალ კვირაა და მერე გამოჩნდება...“

„დედილო, რატომ ადექი? რას ეძებ სამზარეულოში? ავად ხომ არ ხარ?“ – „არა, არა, მხოლოდ ჭიქა ავიღე. ამ სალათმა ძალიან მომაწყურა“. – „დედა, ნუ იტყუები!“ – „რას ამბობ! წადი, დაიძინე“.

შუქი ისევ ინთება და ისევ ქრება. წყვდიადისა და სიჩუმის საფარველქვეშ გაუცხოებული ხმები და პატარ-პატარა ტყუილები ფუსფუსებენ. მარტინი წამოიწევა, ჰანასკენ დაიხრება. მისი სუნთქვა აღარ ესმის.

– ჰანა!

– ჰო, მარტინ!

– რატომ არ გძინავს?

– შენ რატომ არ გძინავს, მარტინ?

– ჰანა, მოგატყუე. პიესა უკან დამიბრუნეს.

– ვიცი, მარტინ.

– ჰანა! – მარტინის საწოლი ამოძრავდება, სიბნელეს თეთრი ნახტომი გაკვეთავს. – კი მაგრამ, ჰანა...

– მაშინვე მივხვდი, როგორც კი დარეკე, მარტინ. იმით მივხვდი თუ როგორ მელაპარაკე, შემდეგ როგორ შემოხვედი. შენმა ხელებმაც მითხრა ეს და იმანაც, ამ თემასთან დაბრუნებას სულ როგორ ცდილობდი. მარტინ, მარტინ, მე ხომ ვერასოდეს მომატყუებ.

მარტინი დუმს. ჭკვიანი მარტინი, ყველაფერს ისე რომ ხედავს, თითქოს გამჭვირვალე იყოს, ახლა დუმს და არ იცის, ქალს რა უპასუხოს.

– რაღად გამოგიძახეს, თუკი მიღებას არ აპირებდნენ?

– კომედიის დაწერა შემომთავაზეს. რაიმე, ქალაქის ცხოვრებიდან. ხალისიანი დიალოგი გაქვსო, ასე მითხრა! – მარტინი ისეთი ტონით ლაპარაკობს, ჰანას გაცინებაც შეუძლია, მაგრამ ქალი არ იცინის.

– ორასი კრონი... ეს ალბათ ბინის ფულია, არა?

– ჰო.

– რაიმე გადარჩა?

– ცოტა.

– ყველაფერს ეშველება. ხვალ კვირაა და არაფერი მოხდება. მერე კი გამოჩნდება. ახლა დაიძინე. გულს ნუღარ იხეთქავ.

– კარგი, ჰანა, მაგრამ თავიდანვე რად არ მითხარი?

– არ ვიცი. ვიფიქრე, იმდენი უსიამოვნება შეხვდა, იქნებ სულზე მოეშვას, თუკი დავუჯერებ–მეთქი. შენ ხომ თავადაც დაიჯერე, მარტინ. ბოლოს შენც კი გჯეროდა!

– ჰანა! – ამ ქალის მხრებს შეიძლება ისე მიეკრა, როგორც ჩაძირული გემიდან გადარჩენილი მეზღვაური ეხუტება ამწვანებულ მიწას. მარტინი მისკენ იხრება. ისევ იმედებითაა სავსე და ხმაში რიხიც კი შეეპარება. — ჰანა, ორშაბათს ისევ მივაკითხავ! ფინალს გადავაკეთებ, უკვე მოვიფიქრე...

– არა, მარტინ! ნუ გადააკეთებ, ისედაც კარგია. არ უნდა დაუთმო, გესმის? არ უნდა დათმო! მე ხომ მჯერა შენი. მჯერა, რომ ბედი გაგიღიმებს. ოღონდ ეს ჩქარა არ მოხდება და ძვირადაც დაგვიჯდება...

როგორი ხმა აქვს! მარტინი თავზარდაცემული ჩუმდება. ჰანას ბავშვური, მრგვალი სახე და ასეთი ხმა?! და უცებ ხვდება, რომ ჰანას სახე მრგვალი და ბავშვური აღარ არის, თვალები არც ლურჯია და არც შავი, ნაცრისფერი აქვს, ქვემოთ კი უპეები შეშუპებია; ფერმკრთალი კანიც ნაოჭებს დაუღარავს: ტელეფონის ზარები, კიბეზე შიკრიკის ფეხის ხმა – ადამიანი კი დგას და ხელში სუფთა ფურცელი უჭირავს...

მალე არ მოხდება და ძვირადაც დაგვიჯდება...

ფანჯრის მიღმა, ზედა სართულებზე სიჩუმე გამეფებულა. ისეთი სიჩუმე, რომ ორის სუნთქვაც კი აღარ ისმის.

თარგმნა

მანანა მიქელაძემ

კარლოს კასტანედას

ინტერვიუ ჟურნალისთვის

„Psychology Today“

მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული სამხრეთამერიკელი მწერალი და სწავლული, კალიფორნიის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის დოქტორი კარლოს კასტანედა (1926–1998) თავის სასწაულმოქმედ მაგიურ ტალანტს უნდა უმადლოდეს სამხრეთამერიკელ ჯადოქარს, მხცოვან ინდიელს დონ ხუან მატუსს.

კასტანედას ინტერვიუ ჟურნალ "Psychology Today"-ს („ფსიქოლოგია დღეს“) კორესპონდენტ სემ კინთან გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ქართველ მკითხველს კასტანედას პიროვნებისა და მსოფლმხედველობის შესახებ.

სემ კინი: კვალდაკვალ რომ მივდევდი დონ ხუანს თქვენს სამ წიგნში, ხანდახან მეეჭვებოდა, რომ ის კარლოს კასტანედას ქმნილებაა. მეტისმეტად კარგია საიმისოდ, რომ სინამდვილეში არსებობდეს – ბებერი ბრძენი ინდიელი, თავისი ცოდნით რომ აღემატება თითქმის ნებისმიერ ჩვენგანს.

კარლოს კასტანედა: სავსებით წარმოუდგენელია, რომ მე შემეძლო გამომეგონებინა დონ ხუანისნაირი პიროვნება. – სრულიადაც არ არის ის პიროვნება, რომლის გამოგონების ნებასაც დამრთავდა ჩემი ევროპული ინტელექტუალური ტრადიცია. სიმართლე გაცილებით უფრო უცნაურია. მე არაფერი არ შემიქმნია. მე მხოლოდ რეპორტიორი ვარ. იმ ცხოვრებისეული ცვლილებებისთვისაც კი არ ვყოფილვარ მზად, რამაც განაპირობა ჩემი კონტაქტი დონ ხუანთან.

კინი: სად და როგორ შეხვდით დონ ხუანს და მისი შეგირდი გახდით?

კასტანედა: მე ვამთავრებდი სწავლას ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტში და დიპლომის მისაღებად ვემზადებოდი ანთროპოლოგიის განხრით. მასწავლებლობას ვაპირებდი და ვფიქრობდი, რომ დასაწყისისთვის კარგი იქნებოდა, პატარა შრომა გამომექვეყნებინა სამკურნალო მცენარეების შესახებ. ყველაზე ნაკლებ მაინტერესებდა ისეთ ენიგმურ პიროვნებასთან შეხვედრა, როგორიც იყო დონ ხუანი. ჩემი სკოლის ამხანაგთან ერთად ვიდექი ავტობუსის გაჩერებასთან არიზონაში. მან დამანახა ინდიელი და მითხრა, პეიოტისა და სამკურნალო მცენარეების მცოდნეაო. მედიდურად გავიფხორე, დონ ხუანს წარვუდექი და ვუთხარი: როგორც მსმენია, თქვენ ბევრი რამ იცით პეიოტზე. მე პეიოტის ერთ-ერთი ექსპერტი ვარ (წაკითხული მქონდა უესტონ ლა ბარას „პეიოტის კულტი“), სადილად გეპატიჟებით და თქვენთვის, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა ჩემთან გესაუბრათ-მეთქი. მერედა, რა? ერთი შემომხედა და ჩემი ყოყოჩობა თოვლივით გადნა. მე, ჩვეულებრივ, ძალზე აგრესიული და ყბედი ვიყავი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის, რომ უცებ გამაკმედინა ხმა, სრულიად უჩვეულო რამ იყო ჩემთვის. ამის შემდეგ მასთან სიარული დავიწყე და დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მითხრა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, ჩემთვის გადმოეცა მაგიის ცოდნა, თავისი მასწავლებლისგან რომ მიეღო.

კინი: მაშასადამე, დონ ხუანი უნიკალური მოვლენა არ უნდა იყოს. არსებობს კია მაგთა თანაძმობა, საიდუმლო ცოდნას რომ ინაწილებენ?

კასტანედა: რა თქმა უნდა. მე ვიცნობ სამ მაგს და შვიდ მოწაფეს, თუმცა ძალიან ბევრნიც არიან. თუ წაგიკითხავთ ესპანელების მიერ მექსიკის დაპყრობის ისტორია, გეცოდინებათ, რომ ინკვიზიტორები ცდილობდნენ, მოესპოთ მაგია, რადგანაც ის ეშმაკის საქმედ მიაჩნდათ. მისი არსებობა მრავალ ასეულ წელს ითვლის. ტექნიკათა უმრავლესობა, დონ ხუანმა რომ მასწავლა, ძალზე ძველია.

კინი: ზოგიერთი რამ, რასაც მაგები იყენებდნენ, ფართოდ იყო გავრცელებული სხვა ოკულტურ წრეებშიც. მათი წევრები ხშირად მიმართავენ სიზმრებს დაკარგული ნივთების საძებნად და სიზმრებშივე უსხეულოდ მოგზაურობენ. მაგრამ, როცა თქვენ ყვებით, როგორ გააქრეს დონ ხუანმა და მისმა მეგობარმა დღისით-მზისით თქვენი მანქანა, ისღა დამრჩენია, კეფა მოვიფხანო. ვიცი, რომ ჰიპნოტიზიორს შეუძლია ილუზორულად მოგაჩვენოს ან გააქროს ესა თუ ის ნივთი. ხომ არ გეჩვენებათ, რომ დაჰიპნოზებული იყავით?

კასტანედა: შესაძლოა, ყოფილიყო რაღაც ამგვარი. მაგრამ, დონ ხუანისა არ იყოს, ჩვენ უნდა დავიწყოთ იმით, რომ სამყარო გაცილებით უფრო ვრცელია, ვიდრე ჩვენს წარმოდგენაში არსებობს, ჩვენი ნორმალური მოლოდინი რეალობასთან მიმართებით საზოგადოებრივი კონსენსუსის ძალით იქმნება. ჩვენ გვასწავლიან, როგორ უნდა ვხედავდეთ და აღვიქვამდეთ სამყაროს. სოციალიზაციის ტრიუკი კი იმაში მდგომარეობს, რომ დაგვარწმუნოს, თითქოს აღწერილო-ბანი, რომლებსაც ჩვენ ვეთანხმებით, განსაზღვრავენ რეალური სამყაროს ფარგლებს. რასაც ჩვენ რეალობას ვეძახით, მხოლოდ ერთი ხერხია სამყაროს ხედვისა, ხერხი, რომელსაც აკანონებს საზოგადოებრივი თანხმობა.

კინი: ესე იგი, მაგი ჰიპნოტიზიორივით ქმნის ალტერნატიულ სამყაროს, სხვანაირ მოლოდინს ქმნის და სტიმულთა მანიპულირებით წარმართავს აღქმას, რათა საზოგადოებრივ კონსენსუსს მიაღწიოს?

კასტანედა: სრული სიმართლეა. მე მაგიის გაგებამდე მივედი ტალკოტ პარსონსის იდეების ტერმინთა მიხედვით გლოსების შესახებ. ასე მაგალითად, ეს ოთახი გლოსაა. ჩვენ შევაერთეთ იზოლირებულ აღქმათა კრებული – იატაკი, ჭერი, ფანჯარა, ლამპები, ნოხები და ა.შ., რათა ერთი მთლიანობა შეგვექმნა. მაგრამ ამისთვის უნდა გვესწავლა, როგორ შეგვეკრა ერთ მთელად სამყარო. ბავშვი სამყაროს იკვლევს რამდენიმე წანამძღვრის წყალობით, და იკვლევს მანამ, სანამ მას არ ასწავლიან, ისე ხედავდეს საგნებს, რაც შეესაბამება აღწერილობებს, რომლებსაც ყველა ეთანხმება. სამყარო შეთანხმებაა. გლოსების სისტემა რაღაცით ემგვანება სიარულს. ჩვენ უნდა ვისწავლოთ სიარული, მაგრამ, როცა ვისწავლით, სიარულის მხოლოდ ერთი ხერხიღა გვრჩება. ჩვენ უნდა ვისწავლოთ მზერა და ლაპარაკი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ვისწავლით, ჩვენ ვემორჩილებით ენის სინტაქსს და აღქმის მანერას, რომელიც მოქცეულია მასში.

კინი: ესე იგი, მაგია, როგორც ხელოვნება, გლოსირების ახალ სისტემას გვასწავლის. როცა, მაგალითად, ვან-გოგმა კავშირი გაწყვიტა მხატვრულ ტრადიციასთან და დახატა „ვარსკვლავიანი ღამე," მან ფაქტიურად თქვა: აი, საგანთა ხედვის ახალი ხერხი. ვარსკვლავები ცოცხალნი არიან, ისინი თავიანთ ენერგეტიკულ ველში ბრუნავენ.

კასტანედა: ნაწილობრივ. მაგრამ არსებობს სხვაობაც. მხატვარი, ჩვეულებრივ, მხოლოდ გადააადგილებს ძველ გლოსებს, რომლებიც შეესაბამებიან მის წევრობას. წევრობა იმაში მდგომარეობს, რომ სპეციალისტი იყო კულტურის სფეროში მოქცეულ აზრის ნიუანსთა რკალში. ასე მაგალითად, ჩემი პირველი წევრობა, ისევე, როგორც დასავლელ განათლებულ ადამიანთა უმრავლესობისა, ევროპული ინტელექტუალური სამყაროს წევრობა იყო. ვერსად წაუხვალ ერთ წევრობას ისე, რომ მეორეში არ შერგო თავი. შეიძლება გადააადგილო მხოლოდ გლოსები.

კინი: რას აკეთებდა დონ ხუანი, – თქვენს ხელახალ სოციალიზირებას თუ დესოციალიზირებას ახდენდა? მნიშვნელობათა ახალ სისტემას გასწავლიდათ თუ მხოლოდ ძველისგან თავის დახსნაში გშველოდათ, რათა ისე გეცქირათ სამყაროსთვის, როგორც განცვიფრებულ ბავშვს?

კასტანედა: დონ ხუანი და მე ერთმანეთს ვეთანხმებით ამ მხრივ. მე ვფიქრობ, რომ ის ახალ გლოსებს მაძლევდა. მაგიაში გაწაფვით ახალ გლოსათა კრებული, ახალი ენა მომცა და სამყაროს ახლებურ ხედვას მაზიარა. ერთხელ დონ ხუანს პატარა ნაწყვეტი წავუკითხე ლუდვიგ ვიტგენშტაინის თხზულებებიდან, მან კი გაიცინა და მითხრა: „შენმა მეგობარმა ვიტგენშტაინმა ძალიან მაგრად მოიჭირა ყულფი ყელზე, ასე რომ, განძრევის თავიც აღარა აქვს".

კინი: ვიტგენშტაინი იყო ერთი იმ მცირერიცხოვან ფილოსოფოსთაგანი, რომელნიც, ალბათ, გაუგებდნენ დონ ხუანს. მისი აზრი იმის შესახებ, რომ არსებობს ენობრივ თამაშთა მრავალი სახე, – თვითეული თავისი საკუთარი სინტაქსითა და წესებით, საშუალებას მისცემდა მას, ენისა და მნიშვნელობების ალტერნატიულ სისტემად აღექვა მაგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასტანედა: მაგრამ დონ ხუანი ფიქრობს, რომ ის, რაც მას ხილვად მიაჩნია, – ესაა სამყაროს აღქმა ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშე. ეს წმინდა აღთქმაა, ამისკენ მიგვიძღვის მაგია. იმისთვის, რომ მოტეხოთ თავდაჯერება, თითქოს სამყარო ისეთია, როგორსაც ყოველთვის გასწავლიდნენ, თქვენ უნდა შეისწავლოთ სამყაროს აღწერილობა – მაგია, შემდეგ კი ორივე – ძველი და ახალი აღწერილობა შეურწყათ ერთმანეთს. მაშინ მიხვდებით, რომ არც ერთი არ არის საბოლოო. ამ მომენტში თქვენ ორ აღწერილობას შორის მისრიალებთ; სამყაროს აჩერებთ და ნამდვილი სასწაულის მოწმე ხდებით – სამყაროს ხედვისა ინტერპრეტაციის გარეშე.

კინი: თქვენ გგონიათ, რომ შეიძლება ინტერპრეტაციის ზღვარს გავცდეთ ნარკოტიკების საშუალებით?

კასტანედა: არა, მე ასე არ ვფიქრობ. აქ მე ვემიჯნები იმნაირ ადამიანებს, როგორიცაა ტიმოთი ლირი. მე მგონია, ის იმპროვიზირებას ახდენდა თავისი ევროპული წევრობის პოზიციიდან და მხოლოდ სხვანაირად განალაგებდა ძველ გლოსებს. მე არასოდეს არ მიმიღია ნარკოტიკები, მაგრამ დონ ხუანის მოძღვრებიდან გამოვიტანე ის, რომ ფსიქოტროპებს ჩვეულებრივ იყენებენ ინტერპრეტაციათა ნაკადის შესაჩერებლად, გლოსებს შიგნით წინააღმდეგობათა გასაძლიერებლად და ერთმნიშვნელოვნების შესარყევად. მაგრამ ნარკოტიკები თავისთავად არ დაგრთავენ სამყაროს შეჩერების ნებას, რის მისაღწევადაც აუცილებელია სამყაროს ალტერნატიული აღწერილობა. აი, რატომ უნდა ესწავლებინა დონ ხუანს მაგია ჩემთვის.

კინი: არსებობს ჩვეულებრივი რეალობა, რომელიც ჩვენ, დასავლელ ადამიანებს, ერთადერთ სამყაროდ გვესახება, და არსებობს მაგიის სამყაროც. რაში მდგომარეობს სხვაობა მათ შორის?

კასტანედა: ევროპულ წევრობაში სამყარო ძირითადად აგებულია იმისგან, რასაც თვალები აუწყებენ გონებას. მაგიაში მთელი სხეული პრეცეპტორის როლს ასრულებს. როგორც ევროპელები, ჩვენ, ვხედავთ სამყაროს ჩვენს ირგვლივ და საკუთარ თავს ვესაუბრებით მასზე, ჩვენ აქა ვართ, სამყარო კი იქ. ჩვენი თვალები ასაზრდოებენ ჩვენსავ გონებას, და ჩვენ არა გვაქვს საგანთა პირდაპირი მნიშვნელობა. მაგიის თანახმად კი ეს ტვირთი ჩვენი თვალებისთვის აუცილებელი არ არის. ჩვენ შევიცნობთ მთელი სხეულით.

კინი: დასავლელი ადამიანი იწყებს იმის აღიარებით, რომ სუბიექტი და ობიექტი ერთმანეთისგან გაყოფილნი არიან. ჩვენ განმხოლოებულნი ვართ სამყაროსგან და მის მისაღწევად უნდა გადავლახოთ ერთგვარი ღრიჭო. ხუანისა და მაგიური ტრადიციისთვის სხეული უკვე სამყაროშია. – ჩვენ და სამყარო ერთი ვართ და ერთმანეთისგან განუყოფელნი.

კასტანედა: დიახ, ეს ასეა. მაგიას განსხეულების სხვა ფორმა აქვს. მაგიის პრობლემაა, სათანადოდ განაწყოს და მოაწესრიგოს თავისი სხეული, რათა კარგ რეცეპტორად აქციოს იგი. ევროპელები თავიანთ სხეულებს ისე ექცევიან, როგორც ობიექტებს. ჩვენ მათ ალკოჰოლით ვჭყიპავთ, ცუდი საჭმლითა და მშფოთვარებით ვავსებთ. როცა რაღაც ისე არ არის, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიკრობები გარედან შეიჭრნენ სხეულში; შემდეგ კი განსაკურნებლად წამლებს ვიღებთ. სნეულება ჩვენი ნაწილი როდია. დონ ხუანი დარწმუნებულია ამაში. მისთვის სნეულება დისჰარმონიაა ადამიანსა და მის სამყაროს შორის. სხეული ცნობიერებაა და მას უზადოდ უნდა მოვეპყროთ.

კინი: ეს ჰგავს ნორმან ო. ბრაუნის აზრს იმის შესახებ, რომ ბავშვები, შიზოფრენიით სნეულნი და დიონისური ცნობიერების შეშლილობით მბორგავნი თავიანთი სხეულის გაგრძელებად მიიჩნევენ საგნებსა და ადამიანებს. დონ ხუანი რაღაც ამდაგვარს გვთავაზობს, როცა ამტკიცებს, რომ მცოდნე ადამიანის „მზის წნული" სამყაროსთან სინათლის ძაფებითაა შეერთებული..

კასტანედა: ჩემი საუბარი კოიოტთან მშვენიერი ილუსტრაციაა განსხეულების სხვადასხვა თეორიისა. როცა ის მომიახლოვდა, მე ვთქვი: „გამარჯობა, პატარა კოიოტო, როგორა ხარ?" მან კი მომიგო: „დიდებულად. შენ?" რა თქმა უნდა, მე სმენით არ აღმიქვამს ეს სიტყვები, მაგრამ ჩემი სხეული მიხვდა, რომ კოიოტი რაღაცას ამბობს, და მე დიალოგში ჩავრთე ეს სიტყვები. მე ისე ღრმად ვარ დაკავშირებული დიალოგთან, რომ ჩემმა სხეულმა ავტომატურად აქცია სიტყვად იმის შეგრძნება, რომ ცხოველი მელაპარაკებოდა. უცნობს ჩვენ ყოველთვის აღვიქვამთ ცნობილი სიტყვით.

კინი: როცა ამ მაგიურ მდგომარეობაში ხართ, სადაც კოიოტები ლაპარაკობენ, ყველაფერი იცვლება და სინათლეს ასხივებს; ასე გგონია, რომ მთელი სამყარო ცოცხალია და ადამიანები უჩვეულოდ ვრცელ სინამდვილეში ერთვებიან, სადაც ისინი ცხოველებსა და მცენარეებთან საუბრობენ. თუ უკუვაგდებთ ქედმაღლურ ვარაუდს იმის შესახებ, რომ ჩვენ სიცოცხლის ერთადერთი, ცნობიერი და ურთიერთობის უნარის მქონე ფორმა ვართ, შეიძლებოდა აღმოგვეჩინა, რომ ჩვენ გველაპარაკებიან სრულიად სხვადასხვა არსებები.

ჯონ ლილი დელფინებთან ლაპარაკობდა. იქნებ თავი არც გვეგრძნო ასე ეულად, თუკი შევძლებდით გვერწმუნა, რომ ჩვენ სიცოცხლის ერთადერთი გონივრული ფორმა როდი ვართ.

კასტანედა: ჩვენ შეგვეძლო ნებისმიერ ცხოველთან გველაპარაკა. დონ ხუანს და სხვა მაგებს სულაც არ გაჰკვირვებიათ ჩემი საუბარი კოიოტთან. ეს მათთვის სავსებით ჩვეულებრივი ამბავი იყო. მხოლოდ მითხრეს, რომ მე მმართებდა უფრო სანდო და საიმედო ცხოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი დამემეგობრებინა. კოიოტები მასხარები არიან. მათ არ უნდა ენდო.

კინი: რომელ ცხოველს მიიჩნევდით სანდო მეგობრად?

კასტანედა: გველები ყველაზე უკეთესი მეგობრები არიან.

კინი: ერთხელ მეც მქონდა საუბარი გველთან. ღამით მესიზმრა გველი ჩვენი სახლის სხვენზე; სახლისა, სადაც ბავშვობისას ვცხოვრობდი. ჯოხს ვტაცე ხელი და მოკვლა დავუპირე. დილით მეგობარ გოგონას ვუამბე ჩემი სიზმარი. მან კი შემახსენა: არ შეიძლება გველის მოკვლა, თანაც სხვენზე და ისიც სიზმარშიო. შემდეგ მირჩია: ერთხელ კიდევ თუ ნახე სიზმრად, საჭმელი მიეცი ან რაღაცით მაინც ასიამოვნეო. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ჩემი მოტოროლერით მივქროდი გზაზე, სადაც იშვიათად თუ ნახავდით გამვლელ-გამომვლელს; ის კი სწორედ აქ მიცდიდა, – მზეზე გაწოლილი ოთხფუტიანი გველი. ჩემი მიახლოებისას არც განძრეულა. მას შემდეგ, რაც ერთხანს მივჩერებოდით ერთმანეთს, გადავწყვიტე, ერთგვარი ჟესტით მენიშნებინა, ვნანობ, რომ შენს ძმას სიზმარში ჯოხი დავარტყი-მეთქი. დავიხარე და მის კუდს შევეხე. ის შეიგრაგნა და მაგრძნობინა, რომ სულმა წამძლია და წინდაუხედავად ავჩქარდი. განზე გავდექი და ყურება დავუწყე. ხუთი წუთის შემდეგ ბუჩქებში გაუჩინარდა.

კასტანედა: დაჭერაც არ გიცდიათ?

კინი: არა.

კასტანედა: ძალიან კარგი მეგობარი ყოფილა. ადამიანს შეუძლია ისწავლოს გველების მოხმობა. ისინი გრძნობენ ყველაფერს – თქვენს მოქმედებას, თქვენს გრძნობებს. მაგრამ ძალიან კარგ ფორმაში კი უნდა იყოთ: მშვიდი, მედგარი, კეთილმოსურნე, ყოველგვარი ეჭვისა თუ გადაუდებელი საქმის გარეშე.

კინი: ჩემმა გველმა შემაგნებინა, რომ ყოველთვის პარანოიდული გრძნობები მქონდა ბუნების მიმართ. მე მეგონა, რომ ცხოველები და გველები საშიშნი არიან. ჩვენი შეხვედრის შემდეგ მე უკვე აღარ შემიძლია გველის მოკვლა და ისიც უკეთ გავიგე, რომ ჩვენს შორის ერთგვარი ურთიერთკავშირი არსებობს.

ჩვენს ეკოსისტემას დიახაც შეუძლია შეიცავდეს კონტაქტებს სიცოცხლის სხვადასხვა ფორმათა შორის.

კასტანედა: ამის თაობაზე დონ ხუანს ძალზე საინტერესო თეორია აქვს. მცენარეები, ისევე, როგორც ცხოველები, გამუდმებულ ზემოქმედებას ახდენენ ჩვენზე. ის ამბობს, რომ, თუ ბოდიშს არ მოუხდით მცენარეებს, რომლებსაც კრეფთ და აგროვებთ, შეიძლება ავადმყოფობამ დაგრიოთ ხელი ან კატასტროფაში მოხვდეთ.

კინი: ამერიკელი ინდიელებიც ამ თვალსაზრისით უყურებენ ცხოველებს, რომლებსაც კლავენ; თუ მადლობას არ ეტყვით ცხოველს იმის გამო, რომ თქვენს სიცოცხლეს სწირავს თავისას, მისი სული უსიამოვნებას შეგამთხვევთ.

კასტანედა: ჩვენ ერთობა გვაკავშირებს მთელ სიცოცხლესთან. რაღაც იცვლება ყოველთვის, როცა ზიანს ვაყენებთ მცენარეულსა თუ ცხოველურ სიცოცხლეს. ჩვენ მათ ვართმევთ სიცოცხლეს, რათა ვიცოცხლოთ. მაგრამ მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ, როცა დრო მოაწევს, უსინანულოდ გავცეთ ჩვენი სიცოცხლეც. ჩვენ ისე ვიბღინძებით, რომ გვავიწყდება: სამყარო უზარმაზარი საიდუმლოა, რომელიც უამრავ რამეს გვასწავლის, თუ კეთილ-ვინებებთ და ყურს მივუგდებთ.

კინი: იქნებ ფსიქოტროპული ნივთიერებანი მომენტალურად აუქმებენ იზოლირებულ „მე"-ს და საშუალებას გვაძლევენ, მივაღწიოთ მისტიკურ შერწყმას ბუნებასთან. კულტურათა უმრავლესობა, რომელთაც შეინარჩუნეს ერთობა ადამიანსა და ბუნებას შორის, ასევე ცერემონიულად იყენებდა ნარკოტიკულ საშუალებებს. თქვენ თუ იყენებდით პეიოტს, როცა კოიოტთან ლაპარაკობდით?

კასტანედა: არა, საერთოდ, არაფერს.

კინი: ეს ცდა უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე თქვენი ამნაირივე ცდები, როცა დონ ხუანი ფსიქოტროპულ მცენარეებს გაძლევდათ?

კასტანედა: გაცილებით უფრო ინტენსიური. როცა ფსიქოტროპულ მცენარეებს ვიღებდი, ვიცოდი, რომ რაღაც მივიღე, და შემეძლო ეჭვისთვის დამექვემდებარებინა ჩემი ცდის რეალურობა. მაგრამ მას შემდეგ, რაც კოიოტი მელაპარაკა, არავითარი დაცვა აღარ დამრჩა. მე მართლაც შევაჩერე სამყარო და მოკლე ხნით გლოსების ჩემი ევროპული სისტემის ფარგლებს მიღმა დავრჩი.

კინი: მიგაჩნიათ, რომ დონ ხუანი ცნობიერების ამ მდგომარეობაში ატარებს თავისი დროის მეტ ნაწილს?

კასტანედა: დიახ, ის მაგიურ დროში ცხოვრობს და არასოდეს არ გადმოდის ჩვეულებრივ დროში. მე კი ჩვეულებრივ დროში ვცხოვრობ და მაგიურ დროში ჩავყვინთავ ხოლმე.

კინი: ვინც ასე შორდება კონსენსუსის გათელილ გზებს, უთუოდ ძალზე ეული და მარტოსული უნდა იყოს.

კასტანედა: რა თქმა უნდა. დონ ხუანი თავზარდამცემ სამყაროში ცხოვრობს. მან შორს მოიტოვა რუტინაში ჩაფლულ ადამიანთა სამყარო, ძალიან შორს. ერთხელ, დონ ხუანთან და მის მეგობარ დონ ხენაროსთან ყოფნისას, მე ვიხილე სიმარტოვე, ერთად რომ ინაწილებენ, და მათი სევდა იმის გამო, რომ ყველა მახე და ჩვეულებრივი საზოგადოების ურთიერთმიმართების ყველა წერტილი უკან დარჩა. მე მგონია, დონ ხუანი ხელოვნებად აქცევს თავის სიმარტოვეს. ის იოკებს და აკონტროლებს ძალას, სასწაულს და მარტოობას, რათა ხელოვნებად გარდაქმნას ისინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ხელოვნება მისივე ცხოვრების მეტაფიზიკური გზაა. აი, რატომ აქვს მის მოძღვრებას დრამატული გემო და ერთობა. ის ცნობიერად ქმნის თავის ცხოვრებას და სწავლების მისეულ მანერას.

კინი: მაგალითად, როცა დონ ხუანმა სანადიროდ წაგიყვანათ მთაში, მან ცნობიერად ააგო თავისი ალეგორია?

კასტანედა: დიახ. მას გასართობად ან ხორცის საშოვნად როდი სჭირდება ნადირობა. იმ ათი წლის განმავლობაში, რაც მას ვიცნობ, დონ ხუანმა, თუ არა ვცდები, მხოლოდ ოთხი ცხოველი მოკლა და ისიც მაშინ, როცა დაინახა, რომ მათი სიკვდილი საჩუქარი იქნებოდა მისთვის, ზუსტად ისევე, როგორც მისი სიკვდილი საჩუქარი იქნება ვიღაცისთვის. ერთხელ ჩემს მიერ დაგებულ მახეში ბაჭია გაება და დონ ხუანმა მითხრა, რომ მე უნდა მომეკლა იგი, რადგანაც მისი დრო გავიდაო. სასოწარკვეთილს იმნაირი შეგრძნება მქონდა, თითქოს ბაჭია მე ვიყავი. მინდოდა, გამეშვა, მაგრამ მახე ვერ გავხსენი, მაშინ მახეს ფეხი ვკარი და ბაჭიას შემთხვევით გადავუმტვრიე კისერი. დონ ხუანი ცდილობდა, აეხსნა ჩემთვის, რომ პასუხისმგებლობა მე მეკისრება, რაკიღა ამ მშვენიერ სამყაროში ვიმყოფები. დაიხარა და ყურში ჩამჩურჩულა: „აკი გეუბნებოდი, ამ ბაჭიას დრო აღარ დარჩა ამ მშვენიერ უდაბნოში სახეტიალოდ-მეთქი". მან ყველაფერი შეგნებულად ააწყო, როგორც მეტაფორა, რათა მეომრის გზა ესწავლებინა ჩემთვის. მეომარი – ესაა კაცი, პიროვნულ ძალაზე რომ ნადირობს და კიდევაც აგროვებს მას. ამისთვის მან უნდა განავითაროს მოთმინება და ნება, რათა გააზრებულად იმოძრაოს ამ სამყაროში. დონ ხუანმა რეალური ნადირობის სიტუაცია გამოიყენა, იმიტომ, რომ ჩემს სხეულს მართავდა.

კინი: თქვენი უკანასკნელი წიგნით – „მოგზაურობა იკსტლანში" თვითონვე ანგრევთ თქვენი პირველი წიგნებით გამოწვეულ შთაბეჭდილებას, თითქოს ფსიქოტროპულ მცენარეთა გამოყენება – ესაა მთავარი მეთოდი, რის მომარჯვებასაც აპირებდა დონ ხუანი, რათა მაგია ესწავლებინა თქვენთვის. როგორ გესმით ახლა ფსიქოტროპულ მცენარეთა ადგილი მის მოძღვრებაში?

კასტანედა: დონ ხუანი ფსიქოტროპულ მცენარეებს იყენებდა მხოლოდ ჩემი შეგირდობის შუა ხანებში, რადგანაც მე ბრიყვი და თავხედი ყველაფერს ვართულებდი; ისე ვებღაუჭებოდი სამყაროს ჩემეულ აღწერას, როგორც ერთადერთ სიმართლეს. ფსიქოტროპებმა გაარღვიეს გლოსების ჩემეული სისტემა და არად აქციეს ჩემი დოგმატური თავდაჯერება. მაგრამ ეს ძალიან ძვირად დამიჯდა. როცა ჩემი სამყაროს შემკვრელი წებო დადნა, ჩემი სხეულიც დადუნდა და თვეები დამჭირდა მის აღსადგენად. მე ვშფოთავდი და ვმოქმედებდი ძალიან დაბალ დონეზე.

კინი: დონ ხუანი რეგულარულად სარგებლობდა ფსიქოტროპული მცენარეებით სამყაროს შესაჩერებლად?

კასტანედა: არა. ახლა მას შეუძლია, თავისი ნებით შეაჩეროს იგი. მან თქვა, რომ გამიძნელდებოდა ხედვა ფსიქოტროპულ მცენარეთა დაუხმარებლად. თუმცა, მეომარივით რომ მემოქმედა და ჩემს თავზე ამეღო პასუხისმგებლობა, ისინი აღარ დამჭირდებოდა, რადგანაც მხოლოდ დააძაბუნებდნენ ჩემს სხეულს.

კინი: ამან შეიძლება შოკივით იმოქმედოს თქვენს მიმდევარზე. აკი ფსიქოტროპული რევოლუციის ერთ-ერთი ბელადი ბრძანდებით.

კასტანედა: მე მართლაც მყვანან მიმდევრები, რომლებსაც ფრიად უცნაური წარმოდგენა აქვთ ჩემზე. ერთხელ ლექციაზე მივეშურებოდი კალიფორნიაში, ლონგ ბიჩში რომ ვკითხულობ ხოლმე. ერთმა ნაცნობმა ჭაბუკმა ჩემზე ანიშნა გოგონას და თქვა: „აი, ესაა კასტანედა". მაგრამ მან არ დაუჯერა, რადგანაც ეგონა, რომ მეტისმეტად მისტიკური უნდა ვყოფილიყავი. ერთმა მეგობარმა კი შეაგროვა მოარული ამბები ჩემზე: მე თურმე მისტიკური ფეხები მაქვს.

კინი: მისტიკური ფეხები?

კასტანედა: დიახ; თურმე იესოსავით ფეხშიშველი დავდივარ, მაგრამ კოჟრები კი არ მიჩნდება. იმასაც ამბობენ, თითქოს უმეტესწილად ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში ვარ და, ასე განსაჯეთ, თურმე თავიც კი მომიკლავს რამდენიმე სხვადასხვა ადგილას.

ჩემი კლასი კოლეჯში უკვე საკმაოდ მომზადებული იყო, როცა ფენომენოლოგიაზე, წევრობაზე, აღქმის კვლევასა და სოციალიზაციაზე ავლაპარაკდი. მსმენელებს სურდათ, მებრძანებინა მათთვის, მოშვებულიყვნენ და მიეფურთხებინათ ყველაფრისთვის. მაგრამ ჩემთვის არსებითია გაგება.

კინი: ჭორები ინფორმაციულ ვაკუუმში იფურჩქნებიან. ჩვენ რაღაც ვიცით დონ ხუანზე, მაგრამ ძალზე ცოტა – კასტანედაზე.

კასტანედა: ეს მეომრის ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. სამყაროთა შორის გასასხლტომად შეუმჩნეველი უნდა დარჩე. რაც უფრო უკეთ ცნობილი და იდენტიფიცირებული ხართ, მით უფრო შეზღუდულია თქვენი თავისუფლება. როცა ხალხს აქვს გარკვეული იდეები თუ ვინ ხართ და როგორ იქცევით, განძრევაც არ შეგიძლიათ. პირველი, რაც დონ ხუანმა მასწავლა, ის იყო, რომ წამეშალა პირადი ისტორია. თუ თქვენს გარშემო თანდათანობით იქმნით ღრუბელს, თქვენ უკვე აღარ გიღებენ რაღაც თავისთავად არსებულად და უფრო დიდი სივრცე გრჩებათ ცვლილებებისთვის. ამიტომაცაა, რომ ლექციების კითხვისას თავს ვარიდებ მაგნიტოფონურ ჩანაწერებს და ფოტოგრაფიებს.

კინი: იქნებ შევძლოთ და ისტორიების შეუქმნელად ვილაპარაკოთ პიროვნულზე. ახლა თქვენ მინიმუმამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგყავთ თქვენს შეგირდობასთან დაკავშირებული ფსიქოტროპული ცდის მნიშვნელობა და, ეტყობა, თავიდან იცილებთ ფოკუსებს, რომლებიც აღწერეთ, როგორც ძალის პროფესიული ილეთები. დონ ხუანის მოძღვრების რა ელემენტებია თქვენთვის მნიშვნელოვანი ან როგორ შეგცვალეს მათ?

კასტანედა: ჩემთვის იდეა, ვიყო მეომარი და ცოდნის კაცი სამყაროს შეჩერებისა და ხედვის საბოლოო იმედით, ყველაზე მისაღები აღმოჩნდა. მან მომანიჭა სიმშვიდისა და საკუთარი უნარის რწმენა – მეკონტროლებინა ჩემი ცხოვრება. იმხანად, როცა დონ ხუანს შევხვდი, ძალზე უმნიშვნელო პიროვნული ძალა მქონდა. ჩემი ცხოვრება უკიდურესად უწესრიგო იყო. მე გავიარე ძალიან გრძელი გზა ბრაზილიის იმ ადგილიდან, სადაც დავიბადე. გარეგნულად აგრესიული და ძალიან ჭინჭყლი ვიყავი, შინაგანად კი მხდალი და ჯაბანი. ყოველთვის მობოდიშების საბაბს ვეძებდი. ერთხელ დონ ხუანმა მითხრა, პროფესიონალი ბავშვი ხარო, იმის გამო, რომ საკუთარი თავისადმი სიბრალულით სავსე ვიყავი. თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ფოთოლი ქარში. ინტელექტუალთა უმრავლესობასავით კედელს ვიყავი მიკრული. ვერ ვხედავდი ცხოვრების ვერანაირ წესს, მე რომ მომწონებოდა. ყველაფერი, რისი კეთებაც შემეძლო, ის იყო, რომ საღად მივსადაგებოდი სევდით სავსე ცხოვრებას, ან დროის სატარებლად უფრო რთული საშუალებები გამომეძებნა, ფსიქოტროპების, ბალახისა თუ სექსუალურ თავგადასავალთა სახით. ყოველივე ამას ამძაფრებდა ჩემი მიდრეკილება ინტროსპექციისადმი. გამუდმებით ვიხედებოდი შიგნით და ჩემს თავს ველაპარაკებოდი. შინაგანი დიალოგი იშვიათად თუ წყდებოდა. დონ ხუანმა გარეთ მიაქცია ჩემი მზერა და მასწავლა, როგორ დამენახა სამყაროს დიდებულება და როგორ დამეგროვებინა ჩემი ძალა.

არა მგონია, არსებობდეს სისხლსავსე ცხოვრებისკენ მიმავალი რაიმე სხვა გზა.

კინი: როგორც ჩანს, ძველ ფილოსოფოსთა ტრიუკით გამოგიჭირათ – ყოველთვის თვალწინ გდგომოდათ სიკვდილი. გაოგნებული დავრჩი, იმდენად კლასიკური იყო დონ ხუანის მიდგომა. ყურში ჩამესმა პლატონის იდეის ექო: ფილოსოფოსი სიკვდილის არსს უნდა სწავლობდეს მანამ, სანამ მიაკვლევდეს გარკვეულ მიდგომას რეალური სამყაროს მიმართ; და ჩავწვდი ადამიანის მარტინ ჰაიდეგერისეულ განსაზღვრებას, როგორც სასიკვდილოდ მიდრეკილ ყოფას.

კასტანედა: დიახ; მაგრამ დონ ხუანის მიდგომას უცნაური საქცევი აქვს, რადგანაც, მაგიური ტრადიციიდან გამომდინარე, სიკვდილი ფიზიკური პრეზენციაა, რომელიც შეიძლება შეიგრძნო და დაინახო. მაგიის ერთ-ერთი გლოსა ასეთია: სიკვდილი თქვენს მხარმარცხნივ დგას. ის მიუკერძოებელი მსაჯულია, რომელიც სიმართლეს გეტყვით და ზუსტ რჩევას მოგცემთ. ეგეც არ იყოს, ის არ ჩქარობს. – ხვალ, ზეგ ან ორმოცდაათი წლის შემდეგ მიგირთმევთ. მისთვის არ არსებობს სხვაობა. იმ წამს, როდესაც გაიხსენებთ, რომ, ბოლოს და ბოლოს, უნდა მოკვდეთ, თქვენს ნამდვილ განზომილებებამდე მცირდებით.

ვგონებ, საკმაოდ თვალსაჩინო ვერ გავხადე ეს იდეა. გლოსა – „სიკვდილი თქვენს მარცხნივაა," – მაგიის გონებრივი დებულება როდია. როდესაც თქვენი სხეული სათანადოდ აწყობილია სამყაროს მიმართ და თვალს მარცხნისკენ მიმართავთ, შეიძლება უჩვეულო მოვლენის მოწმე გახდეთ, – სიკვდილის უჩვეულო პრეზენციისა.

კინი: ექსისტენციალურ ტრადიციაში პასუხისმგებლობის განხილვა, ჩვეულებრივ, სიკვდილის განხილვას მოსდევს.

კასტანედა: მაშინ დონ ხუანი კარგი ექსისტენციალისტი ყოფილა. როცა არ არსებობს არავითარი საშუალება იმის ცოდნისა, დამრჩა თუ არა თუნდაც წამის სიცოცხლე, ისე უნდა ვიცხოვრო, თითქოს ეს იყოს ჩემი უკანასკნელი წამი. ამიტომ ყველაფერი მოუწყვლელად უნდა გაკეთდეს. დაუსრულებლად არაფერი არ უნდა დატოვო. ეს იდეა ჩემთვის განმათავისუფლებელი აღმოჩნდა. მე უკვე აღარა მაქვს არავითარი გამოუსკვნელი ბოლო. ასე რომ, აღარაფერი აღარ მიმელის. ახლა მე თქვენთან ვლაპარაკობ და შეიძლება ვეღარასოდეს ვეღარ დავბრუნდე ლოს-ანჯელესში. მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება, რადგან წინასწარ ვიზრუნე იმაზე, რომ ყველაფერი მომეგვარებინა.

კინი: სიკვდილისა და გამბედაობის ეს სამყარო ძალზე შორსაა ფსიქოტროპული უტოპიისგან, რომელშიც უსასრულო დროის ხილვა სპობს არჩევა-ნისთვის ნიშნეულ ტრაგიზმს.

კასტანედა: როცა სიკვდილი მხარმარცხნივ გიდგათ, გადაწყვეტილებათა სერიით უნდა შექმნათ თქვენი სამყარო. აღარ არსებობენ დიდი და მცირე გადაწყვეტილებანი, არამედ მხოლოდ ისეთნი, ახლავე რომ უნდა მიიღოთ.

კინი: დონ ხუანმა გასწავლათ, გამბედავი ყოფილიყავით?

კასტანედა: თავისი ქცევით ის მიმართავდა ჩემს სხეულს. იმთავითვე ჩვევად მქონდა, ყველაფერი დაუმთავრებლად დამეტოვებინა და არასოდეს არაფერი გადამეწყვიტა. გადაწყვეტილების მიღება უხამსობად მიმაჩნდა. ის, რომ მგრძნობიარე ადამიანს ამის კეთება უხდება, უსამართლობად მეჩვენებოდა. ერთხელ დონ ხუანმა მკითხა: „როგორ გგონია, მე და შენ თანასწორნი ვართ?" მე უნივერსიტეტის სტუდენტი და ინტელექტუალი ვიყავი, ის კი – ბებერი ინდიელი. მაგრამ მოწყალება მოვიღე და ვთქვი: „რა თქმა უნდა, თანასწორნი". მან კი მითხრა: „არა მგონია; მე მონადირე ვარ და მეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარი, შენ კი – პარაზიტი. მე მზადა ვარ, ნებისმიერ მომენტში შევაჯამო ჩემი ცხოვრება. სად შენი უბადრუკი, ყოყმანისა და მწუხარების სამყარო და სად – ჩემი?..“ რა მექნა? ძალზე შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი; წასვლა დავაპირე, მაგრამ ძალზე შორს შევსულიყავით ველურ მხარეში. მომენტს ვუცდიდი, როცა შინ დაბრუნებას დააპირებდა, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ დავრწმუნდი, რომ, თუ საჭიროდ მიიჩნევდა, დონ ხუანი სამუდამოდ აქ დარჩებოდა. რატომაც არა? ეს იმ კაცის ნებაა, ვისაც არავითარი გადაუდებელი საქმე არა აქვს. ბოლოს და ბოლოს, მივხვდი, რომ ეს კაცი არაფრით არ ჰგავდა მამაჩემს, რომელსაც შეეძლო, ოცი საახალწლო გადაწყვეტილება მიეღო და ოცივეზე უარი ეთქვა. დონ ხუანის გადაწყვეტილება იმდენადვე უცვლელი იყო, რამდენადაც მოეპრიანებოდა. მისი შეცვლა სხვა გადაწყვეტილების მიღებას თუ შეეძლო. მივუახლოვდი და ხელით შევეხე. წამოდგა და შინ გავწიეთ. ამ შემთხვევის ზემოქმედება გამაოგნებელი იყო. მან დამარწმუნა, რომ მეომრის გზა ცხოვრების სისხლსავსე და მძლავრი წესია.

კინი: არსებითი იმდენად გადაწყვეტილების შინაარსი კი არ არის, რამდენადაც ის, რომ შეუპოვარი იყო.

კასტანედა: დონ ხუანი სწორედ ამას უწოდებს ჟესტს. ჟესტი ცნობიერი აქტია, რომელსაც თავს იჩენს ძალისთვის, მიღებული გადაწყვეტილებისგან რომ იღებს დასაბამს. ასე მაგალითად, თუ მეომარი ნახავს გახევებულსა და გათოშილ გველს, მან შეიძლება ისე გადაიტანოს იგი თბილ ადგილას, რომ მან არ უკბინოს. მეომარი უბრალოდ აკეთებს ჟესტს, მაგრამ უზადოდ კი აკეთებს მას.

კინი: როგორც ჩანს, არსებობს ბევრი პარალელი ექსისტენციალურ ფილოსოფიასა და დონ ხუანის მოძღვრებას შორის. იმის მიხედვით, რაც ახლა თქვით ჟესტის თაობაზე, ივარაუდება, რომ დონ ხუანს ნიცშესა თუ სარტრივით სწამს, რომ უმალ ნება, ვიდრე გონება გვევლინება ადამიანის ფუნდამენტურ ნიჭად.

კასტანედა: მე ვფიქრობ, რომ ეს სწორია. მოდით, ჩემს თავზე ვიტყვი: რასაც მე ვაპირებ, – და, შესაძლოა, გამომივიდეს კიდეც, – ესაა კონტროლი წავართვა გონებას. ჩემი გონება ფლობდა ძალაუფლებას მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში, და ის მზად იყო, უმალ მოვეკალი, ვიდრე შეასუსტებდა კონტროლს. ჩემი შეგირდობის ერთ მომენტში ღრმა დეპრესიაში ჩავვარდი. შემაძრწუნებელი შიშით შეპყრობილს ჭმუნვა და თავის მოკვლაზე ფიქრი მომეძალა. დონ ხუანმა გამაფრთხილა: ეს ერთ-ერთი ტრიუკია გონებისა, რომელსაც სურს კონტროლი შეინარჩუნოსო. მისი აზრით, ჩემი გონება აიძულებდა ჩემს სხეულს, ერწმუნა, რომ სიცოცხლეს აზრი არა აქვს. და, როცა ჩემმა გონებამ წამოიწყო ეს უკანასკნელი ბრძოლა, მაგრამ დამარცხდა, თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა, როგორც სხეულის ინსტრუმენტმა.

კინი: „გულს თავისი გონება აქვს, რასაც თვითონ ვერც ხვდება,“ და იგივე ითქმის მთელ სხეულზედაც.

კასტანედა: მართლაც. სხეულს თავისი საკუთარი ნება აქვს ან, უფრო ზუსტად, ნება – ესაა სხეულის ხმა. აი, რატომ ახვევდა დონ ხუანი თავის საკუთარ მოძღვრებას დრამატულ გარსში. ჩვენს ინტელექტს შეეძლო განზე მიეგდო მისი მაგიური სამყარო, როგორც უაზრობა. მაგრამ ჩემი სხეული იზიდავდა მის სამყაროს და მისი ცხოვრების წესსაც; და, როცა სხეულმა იმძლავრა, თავისთავად დამყარდა ახალი და უფრო ჯანსაღი მმართველობა.

კინი: სიზმრებთან მუშაობის დონ ხუანისეულმა ტექნიკამ ჩემი ყურადღებაც მიიპყრო, რადგანაც ის გულისხმობს სიზმარეულ ჩვენებებზე კონტროლის შესაძლებლობას ნებელობის მხრივ, თითქოს შინაგან კოსმოსში მუდმივმოქმედი მყარი ობსერვატორიის დაფუძნებას აპირებსო. მიამბეთ, როგორ ასწავლის დონ ხუანი სიზმრების ნახვის ხელოვნებას.

კასტანედა: სიზმრების ნახვის ტრიუკი იმაში მდგომარეობს, რომ საკმაო ხანს ინარჩუნებდე სიზმარეულ ჩვენებებს, რათა შეგეძლოს ყურადღებით დაუკვირდე მათ. ამნაირი კონტროლის დასაწესებლად აუცილებელია, წინასწარ ამოირჩიო ერთი რომელიმე საგანი და ისწავლო მისი ნახვა სიზმრებში. დონ ხუანმა მირჩია, ამოსავალ წერტილად მესარგებლა ჩემი ხელებით, რათა მათგან გადავსულიყავი მათსავ სიზმარეულ ხატებებზე და პირუკუ. რამდენიმე თვის შემდეგ შევძელი მომეძებნა ჩემი ხელები და შემეჩერებინა სიზმარი. ისე აღტაცებული ვიყავი ამ ტექნიკით, რომ ერთი სული მქონდა, როდის მომერეოდა ძილი.

კინი: სიზმარეულ ხატებათა შეჩერება რაღაცით ხომ არ ჰგავს სამყაროს შეჩერებას ცხადში?

კასტანედა: ძალიან ჰგავს. თუმცა არის სხვაობაც. როცა შესაძლებლობა გეძლევათ, ნების ძალისხმევით მიაკვლიოთ თქვენს ხელებს, ხვდებით, რომ ეს მხოლოდ ტექნიკაა, ის, რომ თქვენ ეძებთ, – ესაა კონტროლი. ცოდნის კაცს მართებს, დააგროვოს თავისი ძალა. მაგრამ ეს არ კმარა სამყაროს შესაჩერებლად. საჭიროა გარკვეული განდგომილებაც. უნდა ჩაახშოთ ყბედობა, თქვენი გონების შიგნით რომ მიდის, და დანებდეთ გარე სამყაროს.

კინი: მაინც რომელს იყენებთ დღემდე იმ ტექნიკათაგან, დონ ხუანმა რომ გასწავლათ სამყაროს შესაჩერებლად?

კასტანედა: მთავარი, რასაც ამჟამად ვიხსენებ, ესაა ჩემი ჩვეულებების მსხვრევა. მე ყოველთვის ადვილად ვექვემდებარებოდი რუტინას. ვჭამდი და მეძინა განაწესის მიხედვით. 1965 წლიდან დავიწყე ჩვეულებების შეცვლა. ამჟამად, როგორც იქნა, თავი დავაღწიე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქცევის იმდენ ჩვეულ წესს, რომ შემიძლია წინასწარ გამოვიცნო და განცვიფრებული ვიყო ჩემი თავით.

კინი: თქვენი შრომა მე მაგონებს ერთ ძენ-ბუდისტურ არაკს ორი მოწესის შესახებ, სასწაულებრივ ძალაზე რომ ედავებოდნენ ერთმანეთს. ერთი ამტკიცებდა, ჩემი სექტის ფუძემდებელს შეუძლია მდინარის ერთ ნაპირზე იდგეს და ბუდას სახელი დაწეროს ფიცრის ნატეხზე, მის თანაშემწეს რომ უჭირავს მეორე ნაპირზეო. მეორე მოწესემ მიუგო, ეგ რა სასწაულიაო; „ჩემი სასწაული კი ისაა, რომ როცა მშია, ვჭამ, და როცა მწყურია, ვსვამო“.

კასტანედა: სწორედ სამყაროში ჩართულობის ეს ელემენტი დამეხმარა იმაში, რომ დონ ხუანის მიერ ნაჩვენებ გზას გავყოლოდი. არ არსებობს სამყაროსგან განდგომის არავითარი საჭიროება. ყველაფერი, რისი შეცნობაც გვსურს, ჩვენს წინაშეა, თუკი ყურადღებას მიაქცევთ. თუ შეცვლილი რეალობის მდგომარეობაში შედიხართ, როგორც ეს ხდება ფსიქოტროპულ მცენარეთა მიღებისას, მხოლოდ იმიტომ, რომ იქიდან გამოიტანოთ ყოველივე აუცილებელი ჩვეულებრივი რეალობის მაგიური ბუნების გასაცნობიერებლად. ჩემთვის არსებობის წესი სამყაროში ცნობიერი ყოფნაა. ეს სამყარო სანადირო სივრცეა მეომრისთვის.

კინი: სამყარო, რომელსაც თქვენ დონ ხუანთან ერთად ხატავთ, სავსეა გრძნეული კოიოტებით, მოჯადოებული ყორნებით და მშვენიერი ჯადოქრებით. ადვილი დასანახია, რა სწრაფად შეუძლია გაგიტაცოთ. მაგრამ რა ვუყოთ თანამედროვე ქალაქის მცხოვრებთა სამყაროს? სადაა მასში მაგიურობა? ყველანი რომ მთებში ვცხოვრობდეთ, იქნებ სასწაული კიდევაც შეგვენარჩუნებინა ცოცხლად. მაგრამ განა ეს შესაძლებელია მოგუგუნე შოსეს მახლობლად?

კასტანედა: ერთხელ დონ ხუანს იგივე კითხვა დავუსვი. იუმას კაფეში ვისხედით და მე ვიფიქრე, იქნებ კიდევაც მესწავლა სამყაროს შეჩერება და მისი ჭვრეტა, რომ შემძლებოდა, ავსულიყავი და მასთან ერთად მეცხოვრა ველურ მხარეებში. მან ფანჯრიდან გახედა გზად მიმავალ მანქანებს და თქვა: „აი, სწორედ აქ, – გარეთაა შენი სამყარო. შენ არ შეგიძლია მისი უარყოფა. შენ მისი მონადირე ხარ“. ახლა მე ლოს-ანჯელესში ვცხოვრობ და ვფიქრობ, შემიძლია ჩემს მოთხოვნებს შევუსაბამო ეს სამყარო. ეს გამოწვევაა – არარუტინულად ცხოვრობდე რუტინულ სამყაროში. მაგრამ ეს შესაძლებელია.

კინი: ხმაურის დონე და ადამიანთა მასების განუწყვეტელი წნევა, როგორც ჩანს, კლავენ სიჩუმეს და სიმარტოვეს, რაც აუცილებელია სამყაროს შესაჩერებლად.

კასტანედა: სრულიადაც არა. სინამდვილეში ხმაური შეიძლება გამოყენებულ იქნეს. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ შოსეს გუგუნი, რათა ისწავლოთ გარემოს სმენა. როცა ჩვენ ვაჩერებთ სამყაროს, ეს ის სამყაროა, რომელსაც ჩვენ, ჩვეულებრივ, ვეხიდებით ჩვენი შინაგანი დიალოგით. როცა თქვენ შეგიძლიათ შეწყვიტოთ თქვენი შინაგანი ყბედობა, მხარს უკვე აღარ უჭერთ თქვენს ძველ სამყაროს. აღწერილობა ინგრევა. სწორედ აქ იწყება პიროვნების შეცვლა. როცა ბგერებზე ახდენთ კონცენტრირებას, ხვდებით, რომ ტვინს უჭირს ყველა მათგანის კლასიფიცირება, და მოკლე ხანში წყვეტთ მცდელობას. ეს ვიზუალურ აღქმას როდი ჰგავს, კატეგორიათა ფორმირებას და ფიქრს რომ გავალებთ. ესაა იშვიათი დასვენება – შეგეძლოთ გამოთიშოთ ყბედობა, კატეგორიზირება და დასკვნის გამოტანა.

კინი: შინაგანი სამყარო იცვლება, მაგრამ რას იტყვით გარეგანზე? ჩვენ შეგვიძლია ინდივიდუალური ცნობიერების რევოლუციონარიზაცია ისე, რომ არც კი შევეხოთ სოციალურ სტრუქტურებს, რომლებიც განაპირობებენ ჩვენს გაუცხოებას. თუ დაფიქრებიხართ სოციალურ ან პოლიტიკურ რეფორმებს?

კასტანედა: მე ლათინურამერიკელი ვარ, სადაც ინტელექტუალები გამუდმებით მსჯელობდნენ პოლიტიკურსა თუ სოციალურ რეფორმებზე და სადაც ურიცხვი ბომბი ჩამოვარდნილა. მაგრამ რევოლუციებს ბევრი რამ არ შეუცვლიათ. სულ პატარა გადაწყვეტილება სჭირდება შენობის აფეთქებას, მაგრამ იმისთვის, რომ სიგარეტზე უარი თქვათ, ჩააცხროთ მშფოთვარება ან თავი ანებოთ შინაგან ყბედობას, თქვენი თავის გადაკეთება მოგიწევთ. აი, სად იწყება ნამდვილი რეფორმა.

არცთუ დიდი ხნის წინათ მე და დონ ხუანი ტოკსონში ვიყავით, სადაც „დედამიწის კვირეული“ იმართებოდა. ვიღაცა ევოლუციაზე და ვიეტნამის ომის საშინელებებზე კითხულობდა ლექციას; თან გამუდმებით ეწეოდა. დონ ხუანმა თქვა: „ვერ წარმომიდგენია, რომ მას აინტერესებდეს სხვების სხეული, მაშინ, როდესაც თავისიც არაფრად უჩანს“. უწინარეს ყოვლისა, ჩვენ თვითონ საკუთარ თავზე უნდა ვზრუნავდეთ. მე შემიძლია, მიყვარდეს ჩემი მოყვასი მხოლოდ მაშინ, როცა სასიცოცხლო ძალით ვარ სავსე და დეპრესია უცხოა ჩემთვის. ამ მდგომარეობის შესანარჩუნებლად უნდა ვზრუნავდეთ ჩვენს სხეულზე და ვცდილობდეთ, ყოველთვის კარგ ფორმაში ვიყოთ. ნებისმიერი რევოლუცია სხეულის შიგნით უნდა დაიწყოს. მე შემიძლია, შევცვალო ჩემი კულტურა, მაგრამ მხოლოდ სხეულის შიგნიდან, რომელიც მოუწყვლელად უნდა იყოს აწყობილი ამ საოცარი სამყაროს მიმართ. ჩემი ნამდვილი მიღწევა – ესაა ხელოვნება, ვიყო მეომარი, რომელიც, დონ ხუანის სიტყვით, ერთადერთი საშუალებაა იმისა, რომ ადამიანური ცხოვრების საშინელება მისივე სასწაულით გაწონასწორდეს.

თარგმნა
ბაჩანა ბრეგვაძემ

მიხეილ ანთაძე

ორი ინსტინქტი და სამი ფლეიბოი

ჩვენი საუკეთესო სათნოებანი ამოზრდილია
უბოროტეს მიდრეკილებათა ნიადაგზე
ზიგმუნდ ფროიდი

სამი გავშვოგა

პატარა ზიგმუნდს შინაურულად შლომეს ეძახდნენ. იგი 1856 წლის 6 მაისს ავსტრიის ქალაქ ფრაიბურგში, ქსოვილებით მოვაჭრე ებრაელის იაკობ ფროიდის ოჯახში დაიბადა. ზიგმუნდი სამი წლისა იყო, როდესაც ფროიდები ვენაში გადავიდნენ საცხოვრებლად.

ებრაელები ბიბლიის მიხედვით ღვთის რჩეული ერია. ეს რომ ასეა, ერთი ცნობილი ანეკდოტიც მოწმობს. სათაურიანი ანეკდოტია: „დიად ებრაელთა აზრები". ყველაფერი ღმრთისგანაა, ბრძანა მოსემ. ყველაფერი გულიდანაა, ბრძანა ქრისტემ. ყველაფერი კუჭიდანაა, ბრძანა მარქსმა. ყველაფერი სექსისგანაა, ბრძანა ფროიდმა. ყველაფერი ფარდობითია, ბრძანა აინშტაინმა.

მოკლედ, ვინც არ იცოდა, გაიგო – ქვეცნობიერების აღმომჩენი ზიგმუნდ ფროიდი ებრაელი იყო და პატარაობისას ტიპურ ებრაულ სახელს – შლომეს ეძახდნენ. შალომ... შალომ... შალომ ალეხემ...

ებრაელთა მონოთეისტური, ანუ ერთღმერთიანი რჯულიდან აღმოცენდა ორი თანამედროვე მსოფლიო რელიგია – ქრისტიანობა და ისლამი. ქრისტიანობა მერე ორ დიდ ნაწილად გაიყო – მართლმადიდებლობად და კათოლიციზმად. მერე კათოლიციზმიც კიდევ დაიყო რაღაც-რაღაცებად. მის წიაღში აღმოცენდა იეზუიტიზმი, ერთ-ერთი უმკაცრესი მიმართულება, რომელიც დაკავშირებულია ინკვიზიციასთან, უდანაშაულო ხალხის ტანჯვა-წამებასთან, ცოცხლად კოცონზე დაწვასთან და ათას უბედურებასთან. ეს იეზუიტიზმი (იეზუიტური ორდენი) კათოლიკების წმინდანმა იგნაციუს ლოიოლამ დააარსა XVI საუკუნის პირველ ნახევარში. ეს ისე – ცნობისთვის.

ფროიდის გაჩენიდან 43 წლის შემდეგ, 1899 წლის 13 აგვისტოს, ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში, მებაყლის ოჯახში დაიბადა ალფრედ ჯოზეფ ჰიჩკოკი. მისი მშობლები ჭეშმარიტი კათოლიკეები იყვნენ და ამიტომ ალფრედმა წმინდა იგნაციუსის იეზუიტურ კოლეჯში მიიღო განათლება.

ერთხელ ბავშვობაში რაღაც უმნიშვნელო „ცუდი საქციელისთვის" მამამისმა ადგილობრივი პოლიციის განყოფილებაში მიიყვანა და „ჩააწყო," რომ ბიჭი რამდენიმე საათით კამერაში ჩაესვათ. სასტიკი სტრესის შედეგად ჰიჩკოკს მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ეშინოდა პოლიციელებისა, – არასდროს არ დამჯდარა საჭესთან, რადგან მძღოლებს პოლიციელები აჩერებენ ხოლმე. მის ბევრ ფილმში ასახულია უსამართლო ბრალდებისა და დასჯის *ქვეცნობიერი* შიში.

კიდევ 34 წლის შემდეგ, კვირადღეს, 1933 წლის 26 მარტს, ცნობილი იტალიელი მხატვრის, იტალიკო ბრასის – ბაბუამისის – ოჯახში დაიბადა ჯიოვანი ბრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი. იტალიკომ შვილიშვილს მეტსახელად ტინტორეტო შეარქვა (ტინტორეტო XVI საუკუნის უდიდესი ვენეციელი მხატვრის ჯაკოპო რობუჩტის ფსევდონიმი გახლავთ. გახსოვთ, აგულის გაბრაზებული პიპინია ფანჯრიდან თავის ნივთებს რომ უყრის და უყვირის: მიქელანჯელო! ტინტორეტო! პაგანინი!). როცა პატარა ჯიოვანი გაიზარდა, დიდი ბიჭი და ცნობილი რეჟისორი გახდა, მან თავის კინემატოგრაფიულ ფსევდონიმად ბაბუამისის მიერ საშაყიროდ შერქმეული სახელი გამოიყენა – ტინტო ბრასი.

კაცმა რომ თქვას, მსოფლიომ ბევრი არაფერი იცოდა ბაბუა იტალიკო ბრასის (1870-1943) შესახებ, სანამ მას სწორედ ამ შვილიშვილმა – ტინტო ბრასმა არ გაუთქვა სახელი. თუმცა თავის სამშობლოში ამ მშვენიერ მხატვარს პოპულარობა არ აკლია. იტალიაში იტალიკო ბრასის რამდენიმე ქუჩაა. მისი ფერწერული ტილოებიც თითქოს გვეცნობა. ასე არ არის? რა სჯობს, როცა ასეთი ბაბუის ოჯახში იბადები – ხელოვნება, თავისუფლება და იუმორი გზრდის. გაილაღებ, რა თქმა უნდა. აბა, ფართლეულის ვენ(ეცი)ელი ვაჭარი ან კიდევ უარესი – სადისტი ფანატიკოსი „ჩამშვები" იეზუიტი მამა რომ გყავს, ისაა საქმე? მოდი, ამ ეტაპზე დავაფიქსიროთ, რომ ჩვენი სამი გმირი ქრონოლოგიურად ბაბუა-მამა-შვილის თაობებს წარმოადგენს: ფროიდი 56-წლიანია, ჰიჩკოკი – 99-იანი, ხოლო ბრასი 33-იანი. ესეც ისე, ცნობისთვის და ახლა მათი ბავშვობიდან მათსავე ახალგაზრდობაში გადავინაცვლოთ.

სამი ახალგაზრდა

სკოლის დამთავრების შემდეგ ზიგმუნდ ფროიდი ვენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1881 წელს დაამთავრა ეს უნივერსიტეტი, დიპლომი აიღო და ექიმის სტატუსის მიღებისთანავე ახალგაზრდა ზიგმუნდმა, როგორც ნევროპათოლოგმა, კერძო პრაქტიკა წამოიწყო.

ერთი წუთით ისევ იმ ანეკდოტს მივუბრუნდები და სერიოზულად გეტყვით, რომ აქ დასახელებულ დიად ებრაელთა შორის მხოლოდ მოსე (იუდაიზმის) და იესო (ქრისტიანობის) როდი არიან რელიგიების შემოქმედნი. არსებითად, კარლ მარქსმა დააფუძნა უსაზიზღრესი რელიგია – კომუნიზმი, ხოლო აინშტაინმა სათავე დაუდო თანამედროვეობის ახალ პარადიგმას: რელიგიურ ფიზიკას, ანუ მეცნიერულ მეტაფიზიკას. არც ჩვენი გმირი – შლომე ფროიდია გამონაკლისი, მან შექმნა ფსიქოანალიზი – ჩვენს დროში უპოპულარულესი „სექსის რელიგია".

მაგრამ ოცდახუთი წლის პერსპექტიული ექიმის ბიოგრაფიაში ჯერ არსაიდან გამოსჭვივის ახალი რელიგიის შემქმნელი. ერთი შეხედვით ისეთი პირი უჩანდა, რომ ეგეთი ნევროპათოლოგები „პაჩკა" ათ შაურად იყო იმდროინდელ ავსტრიაშიც და, საერთოდ, საცა გინდა და როცა გინდა.

არ ჩქარობდა ზიგმუნდ-შლომე.

ახლა ვნახოთ, ალფრედ-ჯოზეფი რასა შვრებოდა ამავე ასაკში?

ჰიჩკოკი კოლეჯის შემდგომ საინჟინრო-საშტურმანო სკოლაში შევიდა, სადაც მექანიკას, აკუსტიკას და ნავიგაციას სწავლობდა. იმ დროს ომი იყო (I მსოფლიო) და საწყალი ბიჭი სწავლასთან ერთად 1915 წლიდან სატელეგრაფო კომპანიაშიც მუშაობდა, პარალელურად ლონდონის უნივერსიტეტში ფერწერას ეუფლებოდა. მალე სატელეგრაფო კომპანიაში მხატვრად აიყვანეს. დაახლოებით ამ პერიოდიდან დაინტერესდა კინემატოგრაფით. 1920 წელს ტიტრების დიზაინერად მოეწყო ერთ-ერთი ჰოლივუდური კომპანიის (მომავალი „Paramount"-ის) ლონდონურ ფილიალში. 1923 წელს იმის შესაძლებლობაც კი მიეცა, რომ თავი რეჟისურაში გამოეცადა, მაგრამ სტუდია დაიხურა და ფილმი „ნომერი 13" (Number 13/Mrs. Peabody) დაუმთავრებელი დარჩა.

ამრიგად, ოცდახუთი წლის ჰიჩკოკი იყო ახალგაზრდა, რომელსაც კინორეჟისორობა სურდა, მაგრამ ჯერ არაფერი გამოსდიოდა.

ჯიოვანი-ტინტომ, რომელმაც ხელოვანის ნიჭი და სტატუსი ბაბუისგან იმემკვიდრა, თავიდანვე კინო აირჩია. უკეთესი საწყისი პირობები ჰქონდა და მოღვაწეობის დასაწყისში მაგრა გაუმართლა – ასისტენტად მუშაობდა ფედერიკო ფელინისა და რობერტო როსელინისთან.

ასე იწყებოდა კიდევ ერთი რეჟისორობის მსურველი ოცდახუთი წლის ბიჭის თავგადასავალი.

ასაკოგრივი პარალელები

ამ გენიოსებს კი არ ვედრები, მაგრამ, როცა პირველად გავიგე, რომ ფროიდი 1856 წელსაა დაბადებული, ამან იდუმალი ფიქრი აღმიძრა, რადგან თვითონაც 56-იანი ვარ. გასაკვირი არ არის, რაღაც პარალელები რომ გაავლო: რას აკეთებდა, ჩემი ტოლი როცა იყო, რას მიაღწია? ალბათ, ხშირად გაგიგონიათ გავრცელებული ხუმრობა, ოცდარვა და მეტი წლისებს რომ ეუბნებიან, შენს ასაკში ბარათაშვილი (ან ლერმონტოვი) მკვდარი იყო უკვეო. ჰოდა, ესე იგი, ოცდახუთი წლისა რომ იყო, შლომესთანა ნევროპათოლოგები „პაჩკა" ათ შაურად იყო იმდროინდელ ავსტრიაშიც და, საერთოდ, საცა გინდა და როცა გინდა. 1981 წელს ჩემისთანა ფილოლოგებიც „პაჩკა" ნახევარკონად ეყარა საქართველოში და, ასევე, საცა გინდა.

რაც შეეხება ჰიჩკოკსა და ბრასს, იმავე ასაკში მეც ზუსტად კინორეჟისორად გახდომის მსურველ ახალგაზრდად ვირიცხებოდი. აი აქამდე ვემთხვევი ჩემი გმირების ბიოგრაფიას. 31 წლისა კინორეჟისორი გავხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი და დამთხვევები ამოიწურა, თუ არ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ ახალგაზრდისა და დამწყების სტატუსი მეც და მაგათაც მაგრა გაგვეწელა (ამით განვსხვავდებით მე, ფროიდი, ჰიჩკოკი და ბრასი ბარათაშვილისგან). მერე, ბოლობოლო, გენიოსებთან დიდება მოვიდა. მე ისევ ყველაფერი წინ მაქვს, თუმცა ეს წერილი ჩემზე კი არა, მაგათზეა.

როგორ გაეწელათ ბიჭებს ახალგაზრდობა

მაშ ასე, 1885 წელს ზიგმუნდ ფროიდი ნევროპათოლოგიის პრივატ-დოცენტი ხდება. ამავე პერიოდიდან ქვეყნდება მისი პირველი პუბლიკაციები ნეიროანატომიის სფეროში.

პარალელურად იწყებს მუშაობას როგორც ფსიქოპათოლოგი, იკვლევს ისტერიას და ჰიპნოტიზმს. ასე გადის მთელი ათი წელიწადი.

სიახლის ნიშნებმა თავი მხოლოდღა „პადსოროკ“ იჩინა – 1895 წელს ფროიდმა აღმოაჩინა თავისუფალი ასოციაციის მეთოდი. მისი არსი ასეთია: მოხსენით კონტროლი გონებაზე და ილაპარაკეთ ყველაფერი, რაც ენაზე მოგადგეთ. ამ მეთოდის ხანგრძლივი გამოყენება იწვევს დავიწყებული ამბების გახსენებას და მათ ხელახლა განცდას. ასე ჩადიხართ საკუთარ *ქვეცნობიერში* და აწესრიგებთ იქ დაგროვილ კონფლიქტებს. სწორედ ამ პროცესს უწოდა ფროიდმა *ფსიქოანალიზი.* ეს ტერმინები მან პირველად 1896 წელს გამოიყენა.

თავისი ცხოვრების ანალოგიურ ეტაპზე ალფრედ ჰიჩკოკი პროდიუსერ მაიკ ბელკონთან, ინგლისური კინემატოგრაფის ერთ-ერთ ფუძემდებელთან გადავიდა სამუშაოდ. ბევრი იშრომა და იწვალა – ჯერ სცენარისტი იყო, მერე მხატვარი და რეჟისორის ასისტენტი, ბოლოს თავისი სადებიუტო ნამუშევარიც გადაიღო – ინგლისურ-გერმანული ერთობლივი წარმოების „სიამის ბაღი“ (The Pleasure Garden, 1925). წინასწარ სასტუდიო ჩვენებაზე ბელკონმა აღნიშნა ბრწყინვალე ტექნიკური თვისებების გამო ფილმი ამერიკულს უფრო ჰგავს, ვიდრე ევროპულსო. უეჭველია, ავტორს ასეც ჰქონდა ჩაფიქრებული. ფილმის ამგვარი მაღალი შეფასების მიუხედავად, ჰიჩკოკს კიდევ რამდენიმე ფილმი დასჭირდა, სანამ ინგლისური კინოს წამყვან ოსტატად აღიარებდნენ. მისი პირველი ნამდვილად სახელგანთქმული სურათი „39 საფეხური“ (The 39 Steps) 1935 წელს შეიქმნა.

„ტოუე პადსოროკ“.

ტინტომ პირველი ფილმი 30 წლისამ – 1963 წელს გადაიღო. მერე მეორე, მესამე, მაგრამ „ვინც არ მუშაობს, ის დაკარგულია“ (Chi Lavora e perduto. 1963), „აქოშინებული“ (Nerosubianco. 1967) და „კივილი“ (L'Urlo. 1969), წარუმატებელი აღმოჩნდა.

დამწყებმა რეჟისორმა და სცენარისტმა შემოქმედების ადრეულ პერიოდში ძალები სხვადასხვა ჟანრში მოსინჯა – კომედია, კინონოველები, ინტელექტუალური ფილმები. მერე ამას მოყვა სხვა უღიმღამო ცდები – ვესტერნი „იანკი“ (1966), ფსიქოლოგიური დრამები „გავარდნილი“ (1970) და „შვებულება“ (1971)...

ამასობაში ტინტო ბრასსაც მოუკაკუნა ორმოცმა.

წარმატების საიდუმლო - გახდით ფლეიბოი

ფლეიბოი №1

XX საუკუნის პირველი ნამდვილი ფლეიბოი ზიგმუნდ ფროიდია. თანაც XIX საუკუნეში ფლეიბოის ნატამალიც კი არსად იყო, პირიქით, კდემამოსილი „ვიქტორიანიზმი“ მეფობდა. ვიქტორია ბრიტანეთის დედოფალი იყო. ესე იგი, რა გამომივიდა – „დედოფლიზმი“ მეფობდა? თუმცა რა? რუსთაველმა ხომ თქვა, ლეკვი ლომისა სწორია მით უმეტეს, ლომი ინგლისის სიმბოლოა. სად წავედი?!



ჰო, მოკლედ, XIX საუკუნე უსასტიკესი წესიერების ეპოქა იყო, ასე რომ ფლეიბოის უფრო ადრინდელ ეპოქებში რამე სხვა ერქმეოდა და ფლეიბოი თანამედროვე გაგებით ფროიდის მერე გაჩნდა, ჰიუ ჰეფნერსა და ლარი ფლინტამდე დიდი ხნით ადრე. დარწმუნებული ვარ, ფლეიბოი ფროიდმა წარმოქმნა. პირველიც თვითონ იყო.

აი როგორ: 1900 წელს ფროიდმა გამოაქვეყნა „სიზმრების ახსნა“, ხოლო 1905 წელს „სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან“. ამ ნაშრომთა დასკვნები ადამიანის ბუნების სექსუალურობის შესახებ „ლიბიდოს თეორიის“ სახელით არის ცნობილი. ეს თეორია გახდა იმის მიზეზი, რომ ფროიდი კოლეგებმაც უარყვეს და ფართო საზოგადოებამაც.

მტკიცება, რომ *ნევროტიკული ავადმყოფობები სექსუალურ ნიადაგზე* აღმოცენდება, იმდროინდელმა ვიქტორიანული სულისკვეთებით აღსავსე მეცნიერებმა უხამსობად აღიქვეს.

ვიქტორიანიზმით გაჟღენთილ საზოგადოებაში ჯენტლმენი ვერ იტყოდა, სკამის ფეხი გატეხილიაო, რამეთუ სიტყვა „ფეხი“ უზრდელობად აღიქმებოდა. ცოლქმარს შორისაც კი მიუღებელი იყო ინტიმურ თემებზე საუბარი, არათუ სახალხოდ. წყვილი ისე დაბერდებოდა, ისე გააჩენდა და დაზრდიდა შვიდ შვილს, ერთმანეთი შიშველი არ ეყოლებოდათ ნანახი (სიშიშვლე მხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლოდ ღამე შეიძლებოდა, სრულ სიბნელეში)... თვით დედოფალმა ალექსანდრინა ვიქტორია ჰანოვერმა 82 წელი იცოცხლა (1819-1901), აქედან 64 წელი (!) იმეფა, (1837-დან), კიდევ აქედან 20 წელი ქმრიანი იყო (პრინცი ალბერტ საქსენ-კობურგი 1861 წელს გარდაიცვალა), ჰყავდა 9 შვილი და უამრავი შვილიშვილი... იგი წესიერებისა და პატიოსნების ეტალონი იყო და ეპოქაც შესაბამისი შექმნა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

საწყალი ფროიდი. ნაცნობი თუ უცნობი გარყვნილ ებრაელს ეძახის. არადა, ახალგაზრდა აღარ არის. როგორი გასაძლებია ასეთი ამბავი 45-50 წლის ასაკში. აღიარება და გამარჯვება იგვიანებს. არის ლანძღვა და ზიზღი. გამარჯვებამდე ჯერ ძალიან შორი გზაა.

ჩემს ახალგაზრდობაში – გასული საუკუნის 70-იანი წლების თბილისში ფროიდი, დუბლიონკა და კოტიკა ყუბანეიშვილი ერთნაირად იყო მოდაში. ფროიდი უფრო, მე მგონი. „რა იყო, შეჩემა, ლიბიდო ხომ არ გექავება,", „ეგ პონტი რაღაც ქვეცნობიერად მიტეხავს," „კომპლექსები" და ასეთები ყოველ წუთს ისმოდა აქ, ევროპის პერიფერიაში, და სხვაგან რაღა იქნებოდა. მაგრამ მანამდე დიდი დრო უნდა გასულიყო, მანამდე 60-იანის სექსუალური რევოლუცია უნდა მომხდარიყო ევროპულ კულტურაში, მანამდე ზემოთ ხსენებულ ჰიუ ჰეპნერს ჟურნალი „ფლეიბოი" უნდა დაეარსებინა 50-იანებში, მანამდე კიდევ – 20-30-40-იანებში – ამერიკელებს სკანდალური ანონიმური გამოკითხვები უნდა ჩაეტარებინათ...

მაგრამ ჯერ XX საუკუნის გარიჟრაჟი იყო, კდემამოსილი და პატიოსანი მეცნიერები ერთხმად ლანძღავდნენ ზიგმუნდ ფროიდს – კაცობრიობის №1 ფლეიბოის.

ფლეიბოი №2

ლანძღვა ცხოვრებაში არც ალფრედ ჰიჩკოკს დაჰკლებია.

ერთი ანგლოსაქსი კრიტიკოსი, ჩარლზ ჰაიმსი, ჟურნალ „ფილმ ქოუტერლში" წერდა, რომ ჰიჩკოკი იყო და დარჩა „მასხარად და დახვეწილ, ცბიერ ცინიკოსად". იგი ლაპარაკობს მის პათოლოგიურ ნარცისიზმზე და სიცივეზე, მისი დაცინვის დაუნდობლობაზე, რომელიც არასდროს არ არის კეთილი დაცინვა... ბატონი ჰაიმსი მიიჩნევს, რომ „ჰიჩკოკი სამყაროს მიმართ ღრმა სიძულვილითაა გამსჭვალული" და რომ მისი ოსტატობა „ყველაზე სრულად მაშინ ვლინდება, როდესაც იგი რაიმე მომაკვდინებელ დაკვირვებას აწარმოებს..."

მოყოლებული ფილმიდან „კაცი, რომელმაც ძალიან ბევრი იცოდა" (The Man Who Knew Too Much, 1934), ჰიჩკოკს აღარასოდეს უღალატია ტრილერის ჟანრისთვის. ის შეგნებულად ცდილობდა მაყურებლის გართობას, მაგრამ არა პასიურად, არამედ ემოციების მართვის საშუალებით. იგი ფილმის თითოეული სცენის დაწვრილებითი გათვლით მაქსიმალურ ეფექტს ახდენდა.

ფილმი „39 საფეხური" (The 39 Steps. 1935) დღემდე რჩება კომედიური ტრილერის ეტალონად. მართალია, წარმატაც სიუჟეტს ჰიჩკოკმა დაუნანებლად შესწირა დამაჯერებლობა, ლოგიკა და თხრობის თანმიმდევრობა, მაგრამ ამით ფილმმა მხოლოდ მოიგო.

არ ვიცი, რამდენად სწორია, კინორეჟისორს, რომელიც ყველაზე უკეთ გვაცინებს ან გვაშინებს, ამ მოტივით, ფლეიბოი უწოდო. ქვემოთ შევეცდები, დაგარწმუნოთ, რომ ეს დიახაც სწორია.

ფლეიბოი №3

სამაგიეროდ, ტინტო ბრასზე ბაზარი არაა – სუფთა ფლეიბოია.

პირველი წარმატება ეროტიკისა და პოლიტიკური სატირის მახვილგონივრულ ნაზავს – ფილმ „კიტის სალონს" (Salon Kitty. 1975) ხვდა წილად. სწორედ ამ წარმატებამ გააბედვინა პენტჰაუზის მეპატრონე ბობ გაკაინს ტინტო ბრასისთვის ძვირადღირებული ფილმის – ჰორ ვიდალის „კალიგულას" ეკრანიზების საშუალება მიეცა. მართალია, ფილმის გადაღებისას ტინტოს გაკაინთან კონფლიქტი მოუვიდა და ფილმი, ფაქტობრივად, მის გარეშე დასრულდა, მაგრამ „კალიგულა" (Caligula. 1977) მაინც დღემდე ბრასის ყველაზე სახელგანთქმულ ფილმად მიიჩნევა. იგი აღიარებულია ერთადერთ ექსპერიმენტად მსოფლიო კინემატოგრაფში: ფილმი ძალაუფლების შესახებ ეროტიკული კინოს საშუალებებითაა შექმნილი. ნაწარმოების დაძაბულ ემოციურ ინტრიგას წარმოგვიდგენენ ბრწყინვალე მსახიობები პიტერ ო'ტული და მალკოლმ მაკდოუელი.

მას შემდეგ, რაც „კალიგულა" უხვშემოსავლიან საერთაშორისო ჰიტად იქცა, ტინტოს საშუალება მიეცა, გადაეღო ტრილერი „ჯაშუშების ბარი ბუდაპეშტი" (Snack Bar Budapest. 1981) და ამგვარად დროებით ჰიჩკოკის სამყაროში აღმოჩნდა. თუმცა მხოლოდ ამ ერთხელ და მალე ტინტო ბრასი კვლავ, ამჯერად სამუდამოდ, დამკვიდრდა ეროტიკული ფანტაზიის ჟანრში.

ტინტო ბრასი თავისი ეპოქის უპირველესი ფლეიბოი გახდა და დიდება-პოპულარობამაც არ დააყოვნა. ეგ კი არა, ვითარცა იგი ვთქუთ, მივიწყებული ბაბუა იტალიკოც შეახსენა ევროპას.

როგორც ჭეშმარიტი ფლეიბოი, ტინტო აუცილებლად გამოჩნდება ხოლმე თავის ძალიან ეროტიკულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილმებში, სულ ერთი წამით, მაგრამ უეჭველად გამოყოფს თავს ეკრანიდან, ჩაიღიმებს ირონიულად, გამოგვხედავს იდუმალი მზერით...

ზუსტად იგივე ჩვევა აქვს ჰიჩკოკსაც – არ არსებობს, რომ ის თავის ფილმში არ გამოჩნდეს.

ფროიდი ფილმებს არ იღებდა, მაგრამ, მის მეცნიერულ წიგნებს რომ კითხულობ, ასე გგონია, ფურცლიდან იცქირება და ირონიულ-ეროტიკულად გიღიმის.

რას ნიშნავს ფროიდი

ზიგმუნდ ფროიდი – ფსიქოანალიზის შემქმნელი. ტერმინ „ქვეცნობიერების" შემომტანი.

დაამუშავა პიროვნების სამწევრიანი მოდელი: მე *(Ego), igi (Id) superme (Super-Ego).*

ქვეცნობიერად – რა პოპულარული გამოთქმაა ჩვენში.

ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზი არის თეორია ქვეცნობიერის შესახებ. ძალზე ზოგადად თუ განვმარტავთ, ეს თეორია ნიშნავს შემდეგს: ჩვენი (ადამიანების) ყოველი საქციელი ორი პრინციპით განისაზღვრება – სიამოვნების პრინციპით და რეალურობის პრინციპით.

სიამოვნების პრინციპს ეგოცენტრულობა ახასიათებს, ინდივიდუალიზმი, ანტისაზოგადოებრიობა; რეალურობის პრინციპით კი გამოიხატება კონტაქტი გარემომცველ სინამდვილესთან და დამორჩილება მის მოთხოვნებთან. სიამოვნების სურვილსა და რეალობის მოთხოვნას შორის წარმოიქმნება შინაგანი კონფლიქტი, რის შედეგადაც მრავალი სურვილი განუხორციელებელი რჩება. ასეთი აუსრულებადი სურვილები ხშირად ცნობიერებიდან განიდევნება და ქვეცნობიერის წიაღში იბუდებს, ისინი იქიდან ახდენენ გავლენას ადამიანის ხასიათზე, მის საქციელზე. მიდის ბრძოლა ცნობიერსა და ქვეცნობიერს შორის, ქვეცნობიერი ვლინდება სიზმრებში, ოცნებებში, წარმოსახვებში... ფანტაზიებში... აგრეთვე შემოქმედებაში: ლიტერატურაში, მუსიკაში, მხატვრობაში, თეატრში, კინოში... სხვათა შორის, კინოს ხშირად XX საუკუნის კოლექტიურ სიზმრებს ეძახიან...

სიზმრების ახსნა ფროიდის ერთ-ერთი შესანიშნავი აღმოჩენაა, რამეთუ მან დაამტკიცა, რომ სიზმარი უაზრობა კი არ არის, არამედ სახეცვლილი, აუსრულებელი და ცნობიერებიდან ქვეცნობიერში განდევნილი სურვილის შენიღბული ასრულებაა. ასეთი განდევნილი სურვილების უმეტესობა, ფროიდის აზრით, სქესობრივი ხასიათისაა, თუმცაღა მისთვის ტერმინი სქესი (ლიბიდო, ეროსი) მეტად ფართო მნიშვნელობისაა და შეიცავს არა მხოლოდ სქესობრივ ემოციებს, არამედ საერთოდ, ყველანაირ სიამოვნებას. ფსიქოანალიზის ამოცანაა, შეაღწიოს მისწრაფებათა დაფარულ შინაარსში, აღმოაჩინოს პიროვნებისთვის გაუცნობიერებელი, არაცნობიერში მყოფი სურვილები და დაეხმაროს მათგან გათავისუფლებაში. ფროიდის მოძღვრებამ იმის შესახებ, რომ ფსიქიკური ცხოვრების ყველა ფასეულობა ქვეცნობიერი სქესობრივი ინსტინქტებიდან გამომდინარეობს, აღაფრთოვანა მისი მიმდევარი ახალგაზრდა მეცნიერები. სამაგიეროდ, მორალისტებში აღშფოთების ოკეანე ააგორა. სექსუალობის წინა პლანზე გამოტანა უხამსობად მიიჩნიეს და ფროიდიზმი ზიზღის ღირს ესთეთიკურ სიმახინჯედ და მორალისთვის საშიშ რამედ შერაცხეს.

მაგრამ ფროიდმა 1908 წელს უკვე მთელს მსოფლიოში გაიჩინა მიმდევრები და ამან საშუალება მისცა, ფსიქოანალიტიკოსების პირველი საერთაშორისო კონგრესი მოეწყო. 1911 წელს დაარსდა ნიუ-იორკის ფსიქოანალიტიკური საზოგადოება. ამ სწრაფმა მოძრაობამ მეცნიერულზე მეტად რელიგიური ხასიათი შეიძინა. ფროიდის გავლენა თანამედროვე კულტურაზე უზარმაზარია. მართალია, ამჟამად ევროპაში ფსიქოანალიზის გავლენა ძლიერ შემცირდა, მაგრამ ბრიტანეთსა და აშშ-ში მას მაინც წამყვანი პოზიციები უჭირავს.

აღიარება მოვიდა

ფროიდთან ნამდვილი მსოფლიო აღიარება 65 წლის ასაკში, 1921 წელს მოვიდა – ლონდონის უნივერსიტეტმა ჩაატარა ლექციების ციკლი ყველა დროის ხუთი უდიდესი მეცნიერის მოღვაწეობის შესახებ. ესენი იყვნენ ფიზიკოსი აინშტაინი, კაბალისტი ბენ-ბაიმონდი, ფილოსოფოსი სპინოზა, მისტიკოსი ფილო... ამ სიაში ფროიდი მეხუთე იყო. იგი ნობელის პრემიაზეც წარადგინეს ფსიქიატრიის ნომინაციაში, მაგრამ პრემია მისმა კოლეგამ, ვაგნერ-იარეჰუმ მიიღო დამბლის მკურნალობისთვის. ფროიდმა განაცხადა, ლონდონის უნივერსიტეტმა დიდი პატივი დამდო, როცა აინშტაინის გვერდით დამაყენა, ხოლო ნობელის პრემია მკიდიაო. 20-იანი წლებიდან მან დაიწყო თავისი ფუნდამენტური თეორიული სერიის „სიამოვნების პრინციპის მეორე მხარის" და სხვა ბროშურების გამოცემა, რასაც საბოლოოდ თავი მოუყარა 1933 წელს გამოცემულ წიგნში „ფსიქოანალიზის შესავლის ლექციების გაგრძელება". ამ დროს იგი 77 წლისა იყო.

პარალელურად, 20-იან წლებში ამერიკელების: ჰევლოკ ელისის, მარგარეტ სენჯერის, კეტრინ დეივისის, თეოდორ ვან დე ველდეს მიერ – ავტომობილების მოზღვავებისა და ჯაზის მელოდიების ფონზე – ჩატარებულმა მეცნიერულმა გამოკვლევებმა ფარდა ჩამოხსნა „ნივიჟუს," რომელსაც ვიქტორიანული ეპოქა ადამიანთა სიცოცხლის ერთ-ერთ უბუნებრივეს მხარეს – სექსუალობას უკეთებდა. ვიქტორიანიზმის იდეურ წინაპრებად ზოგადად ქრისტიანული მორალი უნდა მივიჩნიოთ, განსაკუთრებით მისი უკიდურესი გამოვლინებანი – პურიტანული ეთიკა პროტესტანტიზმში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იეზუიტიზმი კათოლიციზმში. თვით ვიქტორიანიზმი, XIX საუკუნის სულისკვეთების შესაბამისად, ნაკლებად რელიგიური მოვლენა იყო. იგი აღსავსე გახლდათ საჩვენებელი (პაკაზუხა) სიმორცხვითა და თავშეკავებით. ქალის სისუფთავე და უცოდველობა ცაში იყო აყვანილი. ამას ანეკდოტურობამდე მისული მეორე მხარე ჰქონდა – ვიქტორიანელთა მგრძნობიარობა სექსის მიმართ იმდენად გამახვილდა, რომ ყოვლად უცოდველი ქცევებიც კი იკრძალებოდა, თუკი ისინი ოდნავ მაინც აღძრავდნენ მაცდუნებელ ასოციაციებს. სუფრაზე მანდილოსნისთვის ქათმის ბარკალი რომ შეგეთავაზებინათ, დიდ უზრდელობას ჩაიდენდით. ტანსაცმელმა დაფარა სხეული კისრიდან ქუსლამდე. ქალის კოჭის დანახვა პორნოგრაფია გახდა. როიალის ფეხებს კრინოლინებს აცვამდნენ. წიგნის თაროზე კაცის და ქალის დაწერილ წიგნებს ერთმანეთს არ მიადებდნენ, თუ ეს ავტორები ცოლ-ქმარნი არ იყვნენ.

სუფთა მარაზმია რა.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ მარაზმში ჩაისახა სექსოლოგიური „ანდერგრაუნდი", რომელმაც XX საუკუნეში სწორედ ფროიდის და მისი თანამოაზრეების წყალობით ამოხეთქა.

ჩვენი თხრობა ამ თემაზე სრულყოფილი არ იქნება, თუ ბარემ ისიც არ გიამბეთ, როგორ სამუდამოდ დაასამარა ვიქტორიანიზმი ამერიკელმა ზოოლოგიის პროფესორმა ალფრედ კინზიმ (1894-1956). ინდიანის უნივერსიტეტის პროფესორი 1938 წლის ზაფხულში ქორწინების შესახებ ლექციის წასაკითხად ადგილობრივ კოლეჯში მიიწვიეს. ლექციისთვის მზადების პროცესში კინზიმ აღმოაჩინა, რომ ადამიანის სექსუალური ქცევების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის არავითარი მასალა არ არსებობდა. ამ გარემოებით შეფიქრიანებულმა, ისარგებლა რა პედაგოგის სტატუსით, სტუდენტებს ანონიმური ანკეტები დაურიგა და საოცარ გულახდილობას მიაღწია. შემდგომ მან ეს მეთოდი განავრცო – ათიათასობით ადამიანი გამოკითხა და 1948 წელს უორდელ პომეროემთან და კლაიდ მარტინთან თანაავტორობით გამოაქვეყნა მონუმენტური ნაშრომი „მამაკაცთა სექსუალური ქცევები", ხოლო 1953 წელს პოლ ჯებჰარდთან თანაავტორობით – ამ წიგნის მეორე ნაწილი „ქალთა სექსუალური ქცევები". ორტომეული 27 წლის განმავლობაში ბესტსელერთა სიას არ გამოჰკლებია. პირველი გამოცემა 100 000 ცალი გაიყიდა.

ბომბივით იფეთქა.

რამ?

ისეთმა არაფერმა, უბრალოდ იმან, რასაც ქალები და კაცები ათაბაბადან აკეთებდნენ. მართალია, კინზი და მისი კოლეგები მხოლოდ აღწერდნენ ადამიანთა სექსუალურ ქცევებს ყოველგვარი სამედიცინო ან ზნეობრივი შეფასების გარეშე, მაგრამ მაინც კრიტიკისა და ლანძღვა-გინების კორიანტელი დაატყდათ თავს მორალისტების მხრიდან. „მართალია, კინზიმ სექსოლოგიისთვის იგივე გააკეთა, რაც კოლუმბმა გეოგრაფიისთვის"-ო, აღიარებდნენ მიმომხილველები, მაგრამ მაინც წერდნენ, რომ „ეს არის თავდასხმა ოჯახზე, როგორც საზოგადოების პირველად უჯრედზე, მორალური პრინციპების უარყოფა და თავაშვებულობის ქადაგება" (ჟურნალი „ლაიფი". 1948), „ასეთი გამოკვლევები საერთოდ უნდა აიკრძალოს" („ნიუ-იორკ ტაიმსი". 1948), „მიგვაჩნია, რომ ეს წიგნი ჩვენი მკითხველის მნიშვნელოვანი ნაწილის ზიზღს დაიმსახურებს" („ტაიმი", 1953). ეკლესიის მსახურები და პედაგოგები კინზის ოჯახური სიწმინდის ამორალურ მტერს ეძახდნენ და ლამის კომუნისტობას სწამებდნენ. აზრზე არ იყვნენ კომუნიზმისა და იმიტომ.

არაფერი არ გამოუვიდათ მაგეებს. „შუბი ხალთაში არ იმალება" და ამიტომაც კინზის ფლინტი მოჰყვა, მერე მერილინ მონრო, მერე ემანუელა, ჩიჩოლინა, ტინტო...

ასე აღმოჩნდა ფროიდი სუპერპოპულარული ტიპი.

თუმცა საწყალი ალფრედ კინზი, გამწარებული, გათელილი და გულგატეხილი 1956 წელს გარდაიცვალა, ფროიდის დაბადებიდან მეასე წლისთავზე.

მაგ წელს მეც გავჩნდი, მეც გავერიე მარაქაში.

მე რა შუაში ვარ?!

სჯობს, ისევ ძირითად ამბავს დავუბრუნდეთ. სად გავჩერდით?

ჰო, მოკლედ, 1933 წელს, როდესაც ზიგმუნდ ფროიდმა თავისი უპოპულარულესი წიგნი „ფსიქოანალიზის შესავლის ლექციების გაგრძელება" გამოსცა, მისმა მსოფლიო აღიარებამ, და ეს უკვე ვთქვით, ზენიტს მიაღწია.

სიკვდილი მოვიდა

ჰიტლერი მოვიდა

1933 წელს ნაცისტებმა გერმანიის რაიხსტაგის არჩევნები მოიგეს. 1938 წელს, ავსტრიის ოკუპაციის შემდეგ, 82 წლის განთქმულმა მეცნიერმა ვენა არ დატოვა, მიუხედავად იმისა, რომ შეახსენეს, ებრაელები არ გვევასებაო. ფროიდს ოსვენციმი დაემუქრა. კიდევ კარგი, ბენიტო მუსოლინიმ ჰიტლერს პირადად დაურეკა და სთხოვა, გაუშვიო. ჰენრიხ ჰიმლერის წინადადებით ფროიდი გამოისყიდეს – მაესტრო შლომეს ყოფილმა პაციენტმა და მოწაფემ, ნაპოლეონის შვილიშვილმა მარია ბონაპარტემ ნაცისტებს ორი სასახლე გადასცა და მოძღვარი პარიზში გადაიყვანა.

ფროიდი პარიზის ოკუპაციას აღარ დაელოდა – 1939 წლის 23 სექტემბერს გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზი ნაცისტები არა და – სიგარა იყო. მთელი ცხოვრება გაუთავებლად ეწეოდა. სასის კიბო დაემართა. 30-მდე ოპერაცია გაუკეთეს. მაინც ეწეოდა. კიბოთი მოკვდა 83 წლის ასაკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათა შორის, ჰიჩკოკიც სიგარას ეწეოდა, მაგრამ ამისგან არ მომკვდარა.

ტინტო ბრასიც სიგარას ეწევა. ჯვარი სწერია.

მე არ ვეწევი, ათასში ერთხელ თუ გავაბოლებ.

გენიოსებს კი არ ვედრები.

რა არის ჰიჩკოკი

ჰიჩკოკს საშინელებათა ფილმების აპოლოგეტად თვლიან, თუმცა მის შემოქმედებაში ამ ჟანრის მხოლოდ ერთი ნამდვილი ნიმუში გვხვდება – „ფსიქოზი" (Psycho. 1960), რომელიც მცირე ბიუჯეტითა და სატელევიზიო ტექნიკის გამოყენებით გადაიღო, რადგან მსხვილმა სტუდიებმა უარი თქვეს „ყოვლად უსულგულო" სცენარზე. ალბათ, ძალიან ინანეს იმ სტუდიებმა, რადგან ამ ფილმმა ჰიჩკოკი მილიონერად აქცია და ამიერიდან თავის ფილმებს მუდამ თვითონ აფინანსებდა.

საშინელებათა ჟანრს მხოლოდ პირობითად თუ მიეკუთვნება დაფნა დე მორიეს მოთხრობის მიხედვით გადაღებული „ჩიტები" (The Birds. 1963), რომელიც 70-იანი წლების უპოპულარულესი თემის – ადამიანისა და ბუნების მტრული, აუხსნელი ძალების შეჯახების წინასწარმეტყველება გამოდგა.

როგორ ჩაუტარეს ფრანსუა ტრიუფომ და კლოდ შაბროლმა ალფრედ ჰიჩკოკს ნამდვილი მამაკაცური ფროიდისტული ფსიქოანალიზი

ყველაფერი დაიწყო წყალში ჩავარდნით.

1955 წლის ზამთარში ალფრედ ჰიჩკოკი საფრანგეთში, ქალაქ ჟუენვილში, სენტ-მორისის სტუდიაში ჩავიდა სამუშაოდ – თავისი ფილმის („ქურდის დაჭერა") პოსტსინქრონიზაციის ეტაპი უნდა შეესრულებინა. ამ ფილმის ნატურა ლაჟვარდოვან სანაპიროზე იყო გადაღებული. ახალგაზრდა კინომცოდნეებმა – ფრანსუა ტრიუფომ და კლოდ შაბროლმა გადაწყვიტეს, შემთხვევა ხელიდან არ გაეშვათ და ინტერვიუ აეღოთ ჟურნალ „კაიეიდიუსინემასთვის". ბიჭები საფუძვლიანი, ხანგრძლივი და აზრიანი ინტერვიუს დათრევას გეგმავდნენ და ამიტომ მაგნიტოფონი ითხოვეს.

დარბაზში, სადაც ჰიჩკოკი მუშაობდა, ძალიან ბნელოდა. ეკრანზე განუწყვეტლივ მეორდებოდა გამოსახულების რგოლი: ქერი გრანტი და ბრიჯიტ ობერი ნავით მოცურავდნენ. ტრიუფო და შაბროლი ამ უკუნეთში წარუდგნენ ჰიჩკოკს და უთხრეს, რაც უნდოდათ. ჰიჩკოკმა – სტუდიის ბარში დამელოდეთ, ეზოს გადაღმა, ნახევარ საათში მოვიცლი თქვენთვისო. გამოვიდნენ დარბაზიდან, შუქმა დააბრმავათ, თან, როგორც ნამდვილ კინომანებს შეეფერებათ, ლაპარაკობენ ახლახანს თვალმოკრული კადრების შესახებ და მიდიან ბარისკენ, სულ თხუთმეტიოდე მეტრში როა. თურმე აუზის პირას მიდიან, ასფალტი და ყინული ერთნაირად რუხია. უცებ ფეხქვეშ საყრდენი გამოეცალათ – ყინული ჩატყდა და ორივენი კისრებამდე ყინულოვან წყალში აღმოჩნდნენ. ტრიუფო ეკითხება შაბროლს: ბიჭო, მაგნიტოფონი?! შაბროლი წყლიდან მარცხენა ხელს სწევს. მაგნიტოფონს წყალი წურწურით გასდის. დაერხა, მოკვდა მაგნიტოფონი. ის კი არა, რო სხვისია, მაგას მოევლება, მაგრამ ჰიჩკოკი, მე ამის დედა ვატირე! ის სულ აღარ ადარდებთ ბიჭებს, რომ ყელამდე ყინულოვან წყალში დგანან.

სიტუაცია ჰიჩკოკურად გაჭედილია: ბიჭები წყლიდან ვერ ამოდიან. ვინმეს დახმარებაა აუცილებელი. გამოჩნდა კოსტიუმერი ქალი და გაუწოდა ხელი. ამოვიდნენ. ქალმა წაიყვანა გარდერობში, ტანსაცმელს გაგიშრობთ და მანამდე რამეს ჩაგაცმევთო. თქვე საწყლებო, ეუბნება გზად, რა იყო, ეჩხუბეთ ვინმეს? – არა, მადამ, ჩვენ ჟურნალისტები ვართ! – მართლა? მე „მასოვკის" მსახიობები მეგონეთ. მაშინ დიდი ბოდიში, ბიჭებო, ვერც გაგაშრობთ, ვერც ჩაგაცმევთ. ჟურნალისტები მე არ მეხება.

მოკლედ, რამდენიმე წუთის შემდეგ გაწუწული და გალურჯებული ბიჭები ჰიჩკოკს ეახლნენ. მან ერთი შეხედა და – საღამოს ოტელ „პლაზ-ატენში" მოდითო.

ერთი წლის შემდეგ, როდესაც ჰიჩკოკი პარიზში დაბრუნდა, პირველივე პრესკონფერენციაზე შენიშნა ადგილობრივ ჟურნალისტებში ტრიუფო და შაბროლი, გაიღიმა და თქვა: ბატონებო, უკვე ერთი წელია, რამდენიც ვისკის ჭიქაში ჩაყრილ ყინულს დავინახავ, თქვენ მახსენდებითო.

ჰიჩკოკი ხშირად ყვებოდა ამ ამბავს, თან თავისებურად აფორმებდა, შემოვიდნენ ტიპები დარბაზშიო და ვუთხარი ბარში გნახავთ თხუთმეტ წუთშიო და არ მომადგნენ ერთი მღვდლის და მეორე პოლიციელის კოსტიუმშიო.

ფრანსუა ტრიუფო წერს: „ამ თავგადასავლიდან ათი წლის შემდეგ საკუთარმა რეჟისორულმა გამოცდილებამ დამანახა თუ რაოდენ დიდი წვლილი შეიტანა ჰიჩკოკმა ჩვენს ხელობაში და ისე მომინდა მასთან საფუძვლიანი საუბარი, მისი გამოკითხვა, როგორც ოიდიპოსს მოუნდა დელფოს ორაკულისთვის შეკითხვების დასმა". ტრიუფო ასეც მოიქცა, დაიყოლია ჰიჩკოკი, პასუხი გაეცა 500 შეკითხვაზე – ასე შეიქმნა წიგნი „კინემატოგრაფი ჰიჩკოკის მიხედვით".

ამ პასაჟში ტრიუფოს მიერ ოიდიპოსის ხსენება ფროიდთან გვაბრუნებს.

ფსიქოანალიზის წიაღში ფროიდმა არაერთი ახალი კონცეფცია ჩამოაყალიბა, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული **ოიდიპოსის კომპლექსია**. მასში პოსტულირებულია ჩვილობის ასაკში ბიჭების აუცილებელი ლტოლვა დედის მიმართ, რაც საფუძვლად ედება მამისადმი რთული და საწინააღმდეგო გრძნობების – სიყვარულის და სიძულვილის, შიშისა და კონკურენციის ნაზავს, ანუ კომპლექსს.

მაშ ასე: მთავარი კითხვა, რომელიც ტრიუფო-ოიდიპოსს სურდა დაესვა – როგორ გადავიტანოთ საკუთარი „მე" ეკრანზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გრანდიოზული ინტერვიუს მიცემა ჰიჩკოკმა საკუთარ დაბადების დღეს, 13 აგვისტოს დაიწყო. ყოველ დილით გაუვლიდა ფრანგებს სასტუმრო „ბევერლი ჰილზში" და თავის კაბინეტში – სტუდია „უნივერსალში" მიჰყავდა. ინტერვიუერებს ტანსაცმელში პატარა მიკროფონები ჰქონდათ ჩამალული, მეზობელ ოთახში კი ხმის ოპერატორი იჯდა და ყველაფერს ფირზე იწერდა. სეანსი 9-დან 6-მდე გრძელდებოდა. საჭმელიც იქ შემოჰქონდათ და საუბარის სადილობის დროსაც არ წყვეტდნენ.

ეს იყო, ალბათ, ისტორიაში ყველაზე ცნობილი ფსიქოანალიტიკური სეანსი.

თავიდან ჰიჩკოკი ჩვეულ ფორმაში იყო – ხუმრობდა და მხიარულ ამბებს ჰყვებოდა, მაგრამ უკვე მესამე დღეს გაიხსნა. ტრიუფო მიხვდა, რომ პუბლიკისთვის განკუთვნილი თვითდაჯერების და ცინიზმის მიღმა ჰიჩკოკში იმალებოდა მგრძნობიარე, ნაზი ბუნების ადამიანი, რომელსაც თავად ჰქონდა განცდილი ყოველივე, რაც ეკრანზე გადაჰქონდა.

ეს ადამიანი, ვინც ყველაზე უკეთ გადაიტანა შიშის გრძნობა ეკრანზე, თვითონ იყო მშიშარა. ამიტომაც გამოსდიოდა ეს საქმე ასე კარგად. ის მუდამ ცდილობდა, დაეცვა თავისი თავი და თავისი ფილმები მსახიობების, პროდიუსერების, ტექნიკური პერსონალის და, საერთოდ, ადამიანების სისულელისა და უპასუხისმგებლობისგან.

იგი თავს იცავდა პუბლიკუმისგან და ამიტომ ცდილობდა საზოგადოების შეშინებას, ამიტომ აშინებდა ადამიანებს. ჰიჩკოკი შიშს გვგვრის და ამით საშუალებას გვაძლევს, ხელახლა განვიცადოთ ის გრძნობა, ბავშვობაში რომ განგვიცდია: როცა ვიმალებოდით ჩუმი სახლის ბნელ ავეჯში; ღამე, დახუჭობანას თამაშისას, ვინმე რომ წამოგეპარება და, ვუჰო, შეგაშინებს; როცა სკამზე დადებული სათამაშო ბნელში რაღაც საშინელებად მოგეჩვენება და შიშით სული შეგიგუბდება.

ეს ყოველივე სასპენსის მდგომარეობაში გვაგდებს, გვძაბავს. ამ ყველაფერს მავანი დაბალი დონის სანახაობად მიიჩნევს, თუმცა, მე თუ მკითხავთ, სანახაობა თუ გინდა, ეს არის. სანახაობა ამას ჰქვია, სხვას არაფერს.

ჰიჩკოკი თვითონ გვიტარებს ფსიქოანალიზს – ბავშვობისეულ შიშებს გვახსენებს.

იგი, უბრალოდ, ბავშვობასთან გვაბრუნებს. მეტი რაღა გინდა.

ტრიუფო წერს: „დაძაბულობის შექმნის ხელოვნება იმავდროულად მაყურებლის ფილმში „ჩაბმის" ხელოვნებაც არის. სანახაობრიობის თვალსაზრისით ფილმის შექმნა არ შეიძლება იყოს ორთა თამაში – რეჟისორსა და მის ფილმს შორის. ფილმი სამთა თამაშია – რეჟისორი, ფილმი და მაყურებელი, ამიტომ დაძაბულობა, ფსიქოლოგიური შეფერხება, მოკლედ, სასპენსი, როგორც თეთრი კენჭები ცეროდენას ზღაპარში ანდა წითელქუდას ტყეში გასეირნება, კინოში იმ პოეტურ ხერხად გვევლინება, რომელიც გვაღელვებს და აიძულებს ჩვენს გულებს, გამალებით იფეთქოს".

წითელქუდას ტყეში გასეირნება შეგვახსენებს ჩვენში საკმაოდ გავრცელებულ თამაშს, რომელსაც „ფროიდის ტესტს" ეძახიან. წამყვანი ამბობს სიტყვას, ხოლო მოთამაშეები აფიქსირებენ ამ სიტყვასთან თავის დამოკიდებულებას.

– ტყე.

– ტყე მაგრა მევასება, მაგარი საინტერესოა...

– აუ, მე ტყეში მეშინია.

– ტყე ლამაზია...

– ზღვა.

– ზღვაში თევზივით ვგრძნობ თავს.

– მე ცურვა არ ვიცი.

– ცხენი.

– თუ შევჯექი, ველარ ჩამომიყვან.

– მე ერთხელ გადმოვვარდი და იმის მერე ველარ ვეკარები, მეშინია...

და ასე შემდეგ.

ბოლოს წამყვანი ხსნის ტექსტს: ფროიდის მიხედვით, ამბობს ის, ტყე ცხოვრებას ნიშნავს, ზღვა – სიყვარულს, ცხენი – სექსს და სხვა.

ჰოდა, ჰიჩკოკის ფილმი ის ტყეა, რომელშიც შემკრთალ-დაძაბულები შევდივართ და ვერ კი ვჩერდებით, რადგან გვაინტერესებს.

ალფრედ ჰიჩკოკი ერთადერთი რეჟისორია, რომელიც უშუალოდ, ამხსნელი დიალოგის გარეშე გადმოსცემს ისეთ გრძნობებს, როგორიც არის ეჭვი, ვნება, შური და ასეთები. ყოველივე ამას პარადოქსთან მივყავართ: ალფრედ ჰიჩკოკი არის კინემატოგრაფისტი, ვისი სისადავე და სიცხადე ყველა კატეგორიის მაყურებლისთვის ხელმისაწვდომია და ამავე დროს იგი ახერხებს ადამიანურ ურთიერთობათა ურთულესი ნიუანსების დახატვას.

ცინიზმი, რომელიც სავსებით რეალურად ვლინდება ძლიერ ადამიანებში, ჰიჩკოკისნაირი სათუთი სულის ადამიანებისთვის მხოლოდ ნიღაბია. მის მიღმა ღრმა სანტიმენტალობა ან უსაშველო პესიმიზმი იმალება ხოლმე.

მისი კინო ყოველთვის არ აღაგფრთოვანებთ, მაგრამ მუდამ გაგამდიდრებთ, თუნდაც იმ საშინელი სიცხადით, რომლითაც იგი გვიჩვენებს შეურაცხყოფას, ჩვენ – ადამიანები რომ ვაყენებთ სილამაზესა და სისუფთავეს.

ტრიუფო ჰიჩკოკს ადარებს სამ მწერალს, რომლებსაც სიცოცხლეში მოსვენება არ ღირსებიათ: კაფკას, დოსტოევსკის და პოს – სიკვდილის სამ უდიდეს სპეციალისტს ლიტერატურაში. ამ ყაიდის მხატვრებს არ შეუძლიათ, სიცოცხლე შეგვიმსუბუქონ, რადგან თვითონაც უჭირთ სიცოცხლე, მაგრამ მათი მისიაა, საკუთარი ტანჯვა გაგვიზიარონ და თუნდაც ამგვარად, ეგებ თავიანთი ნების საწინააღმდეგოდაც, დაგვეხმარონ, უკეთ შევიცნოთ თავი, რაც, პრინციპში, ნებისმიერი ხელოვნების ძირითადი დანიშნულებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის ტინტო ბრასი

მას შემდეგ, რაც ეროტიკას ჩაეხუტა და ყველა ჩამოსხმის ცენზორს დაუპირისპირდა, ტინტო ბრასი ამტკიცებს, რომ სექსი ადამიანთა ცხოვრების ნორმალური შემადგენელი ნაწილია, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში უხვად ვხვდებით.

არადა, ამას რა მტკიცება უნდა.

ფილმ „გასაღებიდან" (La Chiave, 1983) მოყოლებული, ბრასი საკუთარ შემოქმედებას მთლიანად კინოვუაიერიზმს უძღვნის. ხორციელი სიყვარულის შესახებ სადა ისტორიებს მაყურებელი გვერდიდან უცქერის, თითქოს საყვარლების ამბებსა და განცდებს უთვალთვალებდეს: „მირანდა" (Miranda. 1985), „კაპრიჩიო" (Capriccio. 1987), „პაპრიკა" (Paprika. 1990) და სხვა მრავალი. ტინტო ბრასის მანიფესტად იქცა ფილმი „მოთვალთვალე" (L'uomon Che Guarda. 1993). ბრასის ფილმებს ხან 40-იანი წლების ცივი ესთეტიკა ახლავს, ხანაც 80-იანი წლების ახალგაზრდული ბარების მხიარული ბოლი; უეცრად გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი" გამოკრთება ანდა ალბერტო მორავიას რომანის ნეორეალისტური მოტივი. მისი ყველა ფილმი ხორციელი სიყვარულისა და ადამიანის სხეულის მშვენიერებისადმი მიძღვნილი ჰიმნია.

საბრალო ტინტო არც ჟურნალისტებს უყვართ და არც კრიტიკოსებს, მათ ბრასის მაყურებლებად მხოლოდ სახლსა და ქალს მონატრებული მეზღვაურები ანდა თინეიჯერი ეროტომანები მიაჩნიათ. არადა, მისი ესოდენ განქიქებული შემოქმედება სხვა არაფერია, თუ არ ჰიმნი ქალის ხორციელი მშვენიერებისადმი. ქალი სექსია – ასეთია ტინტოს დევიზი და ამ დევიზის დამამკვიდრებელი მისი ფილმები გამომსახველობითი ესთეტიზმით და მხატვრულობით გამოირჩევა.

„კიტის სალონში" რეჟისორმა ფაშიზმის სექსოპათოლოგიურობის, ხოლო „კალიგულაში" დიქტატურის მექანიზმის ახსნა სცადა; ფილმში „მოტორ!" (Action! 1979) გვიჩვენა, რომ ცხოვრება ისეთივე ილუზიაა, როგორც კინოა. ამის შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნე, „გასაღებიდან" მოყოლებული, ბრასი მხოლოდ სასიყვარულო ისტორიებს მიეჯაჭვა, მისი მთავარი გმირი მხოლოდ ქალი გახდა, კაცზე უფრო ჭკვიანი, უფრო დიდსულოვანი არსება. ტინტოს ქალები სიამოვნებისთვის ცხოვრობენ, თუმცა ვინ არ ცხოვრობს ასე? მაყურებლის თვალწინ იშლება საოცარი ფემინისტური სამყარო, სადაც ქალები თვითონ წყვეტენ თუ როგორ უნდა იცხოვრონ. სექსი მათი ცხოვრების ნორმაა. სულერთია, ვისთან; მთავარია, როგორ.

თუმცა მაესტრო ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების თემას დიდ ყურადღებას უთმობს, იგი ამას გემოვნებიანად და ოსტატურად ახერხებს. ყველა რეჟისორს როდი შეუძლია პორნოს ზღვარზე ისე ბალანსირება, რომ გულახდილ უხამსობაში არ ჩაეფლოს; ყველას როდი ძალუძს სიცოცხლის ამგვარი მაძღარი ზეიმის ჩვენება. ტინტო ბრასი თითქოს აპულეუსის ეპოქიდან გადმოსულიყოს ჩვენს დროში. მისი ზოგიერთი ეპიზოდი რამდენჯერმე უნდა ნახო: რა ხალისით ცეკვავს მირანდა ფიცარნაგზე, როგორ ხუმრობს ავადმყოფი დიდფალოსიანი მამა-პროფესორი ფილმიდან „მოთვალთვალე" ან „მოტორის" ფინალური ცეკვა გავიხსენოთ, გინდაც მაკკოლმ მაკდოუელის კალიგულას ეული როკვა... ამეების შემხედვარე, შეიძლება, ფროიდს მართლა ყველაფერში დაეთანხმო, განსაკუთრებით იმაში, რომ ყველაფრის თავი და თავი ეროტიკული ინსტინქტია. იქნებ ჯობს, ლაპარაკს თავი დავანებოთ და სიყვარულის სამყაროში ჩავეფლათ, იქნებ ასე უფრო ალერსიანები და შემწყნარებლები გავხდეთ, ერთმანეთს ცოდვები უფრო იოლად შევუნდოთ.

ეპილოგი

ძირითადი თემა – ორი ინსტინქტი

„ფსიქოანალიზის შესავლის ლექციების გაგრძელებაში" ფროიდმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება ძირითადი ინსტინქტების შესახებ.

ეს ინსტინქტებია ეროსი და თანატოსი.

რაიმე შინაარსის ცნობიერებიდან ქვეცნობიერში განდევნის მიზეზი, როგორც წესი, ან ნამდვილი, ან წარმოსახვითი ფსიქიკური ტრავმებია. ამ პროცესებს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ინსტინქტი წარმართავს – სიცოცხლისკენ მისწრაფება (ეროსი) და სიკვდილისკენ მისწრაფება (თანატოსი). ფროიდის ამ სადავო, მაგრამ უდავოდ საყურადღებო თეორიამ პრაქტიკული კლინიკური სარგებლობის გარდა უამრავი მეცნიერული ინტერპრეტაცია წარმოშვა. ამასთან, ფროიდმა თავისი თეორია გამოიყენა კულტურული ცხოვრების, ხელოვნების ისტორიის, აგრეთვე სოციალური ინსტიტუტების, არმიის, ომის, ჯარის, ეკლესიის და მრავალი სხვა რამეების განსამარტავად.

დასკვნა

ჰიჩკოკის დაკომპლექსებულობასა და ბრასის თავაშვებულობაში ზუსტად იკითხება ფროიდის ორი ძირითადი ინსტინქტის – თანატოსისა და ეროსის ურთიერთდაპირისპირებულობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიანა ანფიმიადი

ლელა სამნიაშვილის „ფრაქტალები“

ლელა სამნიაშვილის ახალ წიგნს „ფრაქტალები“ ჰქვია. ეს არის შესანიშნავი ლექსების კრებული. კარგად ვიცნობ ამ ავტორის შემოქმედებას, წინა კრებულშიც მინახავს, ლიტერატურულ ჟურნალებსა და ვირტუალურ სივრცეშიც, მაგრამ ასე, ერთი წიგნის სივრცეში მომწყვდეული ეს მხატვრულ-გეომეტრიული სტრუქტურა-ფიგურები, ვფიქრობ, სხვა შთაბეჭდილებას დამიტოვებს. ის ფაქტი, რომ წიგნში ბოლო სამი წლის (2007 – 2010) ლექსებია გაერთიანებული, გარკვეულ დახმარებას გამიწევს წიგნის მთლიანობის აღქმაში, ვინაიდან, გარკვეული დროითი ჩარჩოს მოხაზვა პოეტის შემოქმედებაში ერთ, მთლიან პერიოდს გამომაყოფინებს და ასეთ კონკრეტულ დროით განზომილებაში უფრო ადვილია ტექსტების ერთიან სივრცეში წარმოდგენა.

სანამ კითხვას დავიწყებ, ერთი ჩვევითი რიტუალი მაქვს, რომელსაც ვერ ვთმობ – ეს არის – წიგნის ფურცვლა-ფურცვლით დათვალიერება, ანუ ლექსები – როგორც გრაფიკულ-ვიზუალური მოცემულობა. ამ დროს ვხვდები, რატომ დაარქვა ავტორმა წიგნს სწორედ ეს სათაური. საქმე ის არის, რომ ლელას ლექსების ვიზუალური სტრუქტურები, ფრაზებისა და სტროფების ფურცელზე განლაგების დინამიკა, პუნქტუაცია, ცარიელი სივრცეები სტროფებსა და ფრაზებს შორის ქმნის ისეთ წარმოდგენას, თითქოს ნაბეჭდი ასოები ყინვას ჭირხლით მიუხატავს ფანჯრის მინებზე ან თითქოს მიკროსკოპის ქვეშ უყურებდე რომელიმე მცენარის ფოთოლს – ხო, ზუსტად ასე, განა მხატვრულად თქმას ვცდილობ, რეალობაა, რომ ეს ლექსები, გარეგნულადაც ფრაქტალებია, რომელთა ცალკეული ნაწილები დაუსრულებლად იმეორებენ ერთმანეთს და ერთ დიდ მთლიანობას ქმნიან.

თვალსაჩინოებისთვის ერთ-ერთი ასეთი სტროფი პირველივე გვერდზე:

იყო ადამი. იყო ევა. და იყო გველი.
შენ კი – ოთხივე მხარეს –
თუნდაც, ეშმაკთან გევლო.

გაფრენა – ლილიტი

ან

ნეტავ მას, ვისაც შეუძლია
სილამაზის ზედაპირზე ამობრუნება –
მთელი ძალით, მთელი სურვილით.

რქა

ზოგადად, ყოველთვის, როცა ლელა სამნიაშვილის პოეზიასთან შეხება მქონია, მასზე მიფიქრია ან გარკვეულწილად მისი შეფასება მიცდია, გამუდმებით მქონდა ამ ლექსების ზუსტ მეცნიერებებთან ასოციაციური დამოკიდებულების შეგრძნება, განსაკუთრებით ქიმიასა და გეომეტრიასთან, როცა ზუსტად იცი, რომელი ნივთიერებების სინთეზი რა შედეგს გამოიღებს; როცა სიტყვები ქიმიური ელემენტებია, ცოტაც და აფეთქების ხმა დაგარწმუნებს ცდის შედეგიანობაში; როცა არსებობს წრფე, რომელიც შეიძლება ათასგვარ ფიგურად აქციო, ათასგვარ ფრაქტალად. ამ წიგნმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა ჩემი შეგრძნებების რეალურობაში.

ლელა სამნიაშვილის პოეტური ენა ისეა აწყობილი, როდესაც ყველა ენობრივი ნიუანსი, ყველა ენობრივი დონის ერთეული – უმცირესიდან დაწყებული უდიდესით დამთავრებული – ერთ მიზანს ემსახურება – შექმნას კონკრეტული, თავისებური ენობრივი სამყარო. ეს ენა, თავისი არსით, უფრო აგლუტინაციურია, ვიდრე ფლექსიური და მისი ერთ-ერთი მთავარი მახასი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათებელია გამოხატვათა სიზუსტე: აქ ყოველი აღსანიშნისთვის აბსოლუტურად ზუსტად, ორაზროვნების გარეშე მორგებული აღმნიშვნელი უნდა არსებობდეს:

ხომ კარგადაა ყველაფერი? ხომ ვუტრიალებთ
წრეს – შეგუებულს – არც ვამრუდებთ,
არც ვხსნით რკალებად
და იდეების ფლაკონებიც, ფუტლიარებიც –
აწყვია და არ განიცდიან, თუ ეკარებათ
მტვერი. მტვერი ხომ ვარსკვლავებს ჭამს, თუკი მოუნდა
– ირმის ნახტომის ჩლიქის მტვერი – ცერზე აგვედოს –
დიდი ამბავი – ის ყოველთვის იყო მოდური
აქსესუარი – მატერიის ტკბილი საბედო.

Carpe Diem

მწვანე ფოთოლზე შეყუჟულ კალიებს
წითელი ფოთოლი ნავაფარე.
ბედნიერების პატარა კარიესი
იზრდება. მეტი – არაფერი

ოქტავა

ამ სიზუსტის გამოსახატავად ყველა ენობრივი საშუალება გამოიყენება. განსაკუთრებით მულტიფუნქციურია ზმნა, რომელიც ხშირად ქვემდებარე-დამატების გარეშეც კარგად ამბობს სათქმელს; აგრეთვე, აბზაცის საინტერესო სტრუქტურები და პუნქტუაციის ნიშნები – განსაკუთრებით ტირე, რომელიც ხშირად ცვლის სხვა მეტყველების ნაწილებს და ამით უფრო შეკუმშულს ხდის ენობრივ ქსოვილს. რაც შეიძლება ნაკლები მხატვრული სამკაულის გარეშე მოცემული პოეტური ფრაზები, ქვეტექსტთა სიმრავლე და განსაკუთრებული სისადავით დალაგებული და მოწესრიგებული ტექსტი – სწორედ ეს ქმნის ამ ლექსების ინდივიდუალურ სახეს. ამას ემატება მრავალფეროვანი რიტმული წყობა, ზოგჯერ მკვეთრად გამოხატული მელოდიურობა, ზოგჯერ შინაგანი, დატეხილი რიტმი. ეს ისეთი მუსიკაა, ზოგჯერ რომ ფუგად შეიძლება ჟღერდეს, ზოგჯერ ჯაზურ კომპოზიციად. აი ასე:

თვალებზე დასმული
მინის საჭრეთლებით
ღამის ქალაქები ელავენ,

ჩვენ ორმა მთვარეს რომ
მხრები მივაჭედოთ,
ამასაც შეამჩნევს ვერავინ.

ჩვენს შორის იმდენი
გზა და ჰაერია –
სხეულის უსაფრთხო კედლებად,

მიმართულება რომ
სულაც აგვერიოს,
ფილტვები არ ჩაგვეკეტება

მთვარეული

რამდენიმე სიტყვა რითმაზეც უნდა ვთქვა. რასაკვირველია, აქ ლაპარაკი არ არის ტრადიციულ კონვენციაზე და საქმე გვაქვს ვერლიბრის ძალიან საინტერესო სახესთან, მაგრამ ზოგჯერ, თავისთავად, თითქოს შემთხვევით და ბუნებრივად თავს იჩენს ევფონიური და რითმული წყვილები, თითქოს ქართული ენის ფონეტიკა და პროსოდიაა ასეთი თავისთავად კეთილხმოვანი:

მავთულხლართები ვინც მოქსოვა, მათი თითებიც
შეინდე – ყველა უხეში ცერი.
მათ – კონვერტებზე – მისამართები –
ხშირად ღელვითაც მიუწერიათ.
ხან აბრეშუმის და ხავერდის ხაოც აღწევდა
მათი კანიდან – სისხლის არხებით –
გულის ბორცვისკენ.
დღეებს ღეჭავდნენ
ბრმა სიხარულით, როგორც ბოცვრები."

per aspera ad astra *

ყოველივე ეს საინტერესო დასაკვირვებელი მასალაა ფონოსემანტიკით გატაცებული ადამიანისთვის.

რაც შეეხება წიგნში გაერთიანებული ლექსების ძირითად თემატურ ხაზს და პოეტურ განწყობილებას, აქ ინტელექტუალი ავტორის ძლიერი, მყარი და უაღრესად დაბალანსებული ხმა ისმის, თითქოს ემოცია და გრძნობები განვრთნილი შინაური ცხოველივით ავტორის ბრძანებებს ემორჩილება, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება – ზოგჯერ ძალიან მტკივნეულად გასხლტება ხოლმე ფრაზის პოეტური პროტესტი:

არ არის ეს სული გასაწვრთნელი
თუ გიყვარს, ასეთი შეიყვარე.

დასაწყისში დროითი ჩარჩო ვახსენე, მიუხედავად იმისა, რომ სამი წელი არც ისე ბევრია შემოქმედებითი პროცესისთვის, ამ პერიოდის განმავლობაში დაწერილ ტექსტებში ავტორის თანდათანობითი ცვლილება მაინც თვალსაჩინოა. ვხედავთ, როგორ კონკრეტდება მსოფლშეგრძნება და როგორ იცვლება სამყაროს ღერძი – ზოგადიდან, კოსმოსიდან პოეტის სუბიექტისკენ და შემდეგ – ახალი საოცრება-ფრაქტალის, – შვილისკენ. წიგნს ლელა სამნიაშვილი შვილს, მართას უძღვნის.

მოკლედ, ყველანაირ ფრაქტალ-ავტორს ნახავთ ამ წიგნში, პოეტ-ფრაქტალს, ადამიან-ფრაქტალს, ფილოსოფოს-ფრაქტალს, მცენარე-ფრაქტალს, ვარსკვლავ-ფრაქტალს, ქალ-ფრაქტალს, დედა-ფრაქტალს, თუმცა, მთავარი გამოცანის პასუხი ალბათ მაინც ეს არის:

და როგორც საკუთარ თავებს ატარებენ
და უსასრულოდ იმეორებენ –
ეგოცენტრები – ვინმე ფრაქტალები –
ათასობით და მილიონობით –
ისე – პოეტები.

იმისთვის, რომ გამადიდებელი შუშით დაინახოთ ყველაზე მცირე და ყველაზე დიდთან მის სრულ იდენტობას მიხვდეთ, აუცილებლად უნდა წაიკითხოთ პოეტ ლელა სამნიაშვილის ლექსების ახალი წიგნი „ფრაქტალები".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკა კუფუნია– ცხადაძე

„სამაია სამთაგანა“

პოეზიას ყველა თაობა თავისებურად აღიქვამს, აფასებს და ითავისებს. სხვადასხვა დროს თავისი კუმირები ჰყავს, ის შემოქმედნი, რომლებიც ძირეულად ამოწურავენ ხოლმე თანამედროვეთა განცდებს და მკითხველს თავს სამუდამოდ ამახსოვრებენ.

ქართულმა პოეზიამ მრავალი თაობის სატკივარი და სიხარული აირეკლა, ყველას შეუძლია, გემოვნების მიხედვით შეარჩიოს და აირჩიოს თავისი საყვარელი პოეტი, საკუთარი გულის მესაიდუმლე და სულისკვეთების გამომხატველი.

უახლესი ქართული პოეზიის სამი შესანიშნავი ქალბატონის, პოეზიაზე მინდა, გესაუბროთ პოეზიაზე მინდა, გესაუბროთ – ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ საერთოც ბევრი აქვთ. მედეა კახიძეს, დალილა ბედიანინიძესა და ნინო დარბაისელს ნებისმიერი წიგნიერი ქართველი იცნობს. ისინი სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები არიან, განსხვავებული ხელწერითა და სტილით, სამივეს ღირსება და ინდივიდუალობა მათ ნიჭიერებასა და პოეტურ სიწრფელეშია.

ტრადიციული სტილითა და წერის მანერით გამოირჩევა მედეა კახიძე, რომელიც პატრიოტული სულისკვეთებით წარმოაჩენს საკუთარ „მეს“ და... რომელიც ბოლო ხანებში თითქოს თვალს მიეფარა. მისთვის მთავარი სიმართლის ის მუხტია, რომელიც კარგად გვიჩვენებს თანამედროვე შემოქმედი ქალის სიმარტოვეს და პრობლემებს. მძაფრი განცდა ღალატისა და ერთგულების, უაღრესად ნაზი შეგრძნებები და იმავდროულად უკიდურესად მამაცური პათოსი მის პიროვნებას სრულიად განსაკუთრებულ მოვლენად წარმოგვიდგენს. იგი ერთგულია ერთხელ ჩასახული გრძნობის, ადრევე შეთვისებული იდეალების, ნაგრძნობ-განცდილი ცხოვრებისა. ზოგჯერ ზედმეტად მგრძნობიარე და სათუთია, მაგრამ ყველა სტრიქონში მისი ამაყი სული და ძლიერი ნება მოჩანს. მედეა კახიძის მუზა განსხვავებულად უშეღავათოა და მკაცრიც საკუთარი თავის მიმართ:

...არ გაქვს უფლება –
გულქვაობით უბე აივსო...
სინდისი უნდა გამძლე იყოს,
როგორც სატივე,
იყო კაცი და
არ გეხუროს ქუდი ნამუსის –
ქართული მიწა
არ გაპატიებს.
საითაც უნდა დავიფანტოთ,
როგორც ფოთლები,
მაინც ქართული მთების ნისლით
დავიორთქლებით!

ამ ლექსს „არ ვაპატიებ“ ჰქვია, მასში სრულყოფილად ვლინდება პიროვნების ცხოვრებისეული ქცევის მოდელი. ასევე ნათლად ჩანს თავდაჯერება, სიკეთე და ზნეობრიობა. ჩვენს პოეზიაში „არ ვაპატიებ“ დარჩება, როგორც სიწრფელისა და სინამდვილის თავისებური ნოსტალგია, რომელსაც ძველებური ელფერი დაჰკრავს და პათოსის ლოზუნგურობას სიწრფელე ანელებს.

მედეა კახიძე მძაფრად განიცდის დროის ცვალებადობას. იგი მკვეთრად ემიჯნება ზამთრისგან მოდენილ სუსხს და სულში მხოლოდ მარადიულ გაზაფხულს ატარებს. „შუა ზამთარი“ აკრთობს და აშინებს მთელ ბუნებას, მისი მეტაფორული გააზრება სულიერი სიცარიელის ეკვივალენტურია. „ჭირბორბალა“ და „წლების მეწყერი“ თავის დაღს ასვამს პოეტის არსებას, მაგრამ იგი ყოველთვის პოულობს საყრდენს, ყოველთვის ერთგულია საკუთარი თავის და მრწამსის:

ვარ ჩემი სინდისის მბრძანებელი,
ვერავინ მასწავლოს მორჩილება!

ან:

მინდა ვიყო გმირი თინა წავკისელი,
შორი გზიდან მიყიოდეს მოყმე,
ვიყო მისთვის თავანკარა გაზაფხული,
ჩემი მიწის სიცოცხლისთვის მოვკვდე.

როდესაც მედეა კახიძის პოეზიას ვეცნობით, მის უანგარობას და გულწრფელობას უმალ შევამჩნევთ. მას სჯერა და სწამს ტრადიციული ფასეულობების უპირატესობის, სწორედ ამას უმღერის და იცავს თავგანწირვით, მთელი არსებით. შედარებები და სურვილებიც ჰარმონიული და შესაფერისია მისეულ ტექსტებში:

მე კი მწადია, შენი ნათელი
ქედზე დავიდგა, როგორც უღელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვწევდე
შენი სიცოცხლის ჭაპანს,
როგორც ნიკორა ქედმოუხრელი!

ამგვარ სტრიქონებში სულაც არ ჩანს ნაზი და ქალური არსება, პირიქით, აშკარად გმირულ-ჰეროიკული პათოსი ჭარბობს... მედეა კახიძეს ძნელად თუ გავაიგივებთ ჩვეულებრივ ქალთან, – მისი პოეზიის თემატიკა და იდეალები არ გვაძლევს ამის საშუალებას. ხომ შესაძლოა, – სიყვარულს ოდნავ მაინც „მოელბოს“ ის და მიენიჭებინოს საკუთარ თავზე ფიქრის უნარი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც „დაუნდობელი“ ამორძალია იგი:

ნუ მოხვალ ჩემთან
გაუბედავად,
ნუ მეტყვი სიტყვას
გულის კანკალით,
მოდი და როგორც
ტყვია ბერდანკის,
ეგ სიყვარული
გულში დამკარი!

მედეა კახიძეს მყარად აქვს ჩამოყალიბებული მამაკაცის იდეალი, მისთვის მამრი „მგოსანიც“ უნდა იყოს და „მეციხოვნეც“. შიგადაშიგ მასში შეიძლება გაცრუებული სიყვარულის მსხვერპლიც დავლანდოთ, როცა აიეტის ასულთან საერთოს პოულობს და თავისი დასჯის მიზეზებსაც გვიხსნის:

...დაგთმე ნებისით,
დამთმე ნებისით,
მე დავისაჯე,
როგორც მედეა,
სიყვარულის და
სათნოებისთვის.

სასოწარკვეთისა და უიმედობის ჟამი ხშირად აქვს, მაგრამ ესეც ღირსების გრძნობითა და აწონილ-დაწონილი განცდით არის მოწოდებული:

და გრძნობ,
ვიღაცა ჩაგსაფრებია,
როგორც მორევში
კალმახს ფაცერი.

ზოგადადამიანური შიში და სიკვდილის განცდაც მამაკაცურ საბურველშია გახვეული:

არავის ძალუძს შეებას
სულში გაჩენილ ბზარს,
ვშველდებით ღმერთთან, დევებთან,
სიკვდილთან ვერ ვდებთ ზავს.

მედეა კახიძე სულიერ ტკივილებს და მასთან გამკლავებას ღმერთთან და დევებთან ჭიდილს ადარებს. მითური ამირანის ძალისხმევა მოჩანს მისეულ სტრიქონებში, სადაც ადამიანური ძალმოსილების დასაზღვრულობის გამო ღრმა ტკივილია გამხელილი. ტრადიციულია სევდა უღირსთა წამოყელყელავების გამო, ღირსეულთა ვერდაფასების და მოკვეთის გამო:

...დავმდაბლდით ესოდენ,
ერისკაცს, ბერიკაცს ილიას ვესროლეთ.

მედეა კახიძის პოეზია პირდაპირია და ქვეტექსტებისგან თავისუფალი. იგი პირდაპირი, ხალასი და ზნეობრივი იდეალების მქონე ადამიანია და მუზაც ასეთივე ჰყავს. ამორძალური და მეომრული, რომელიც კონსტანტინე კაპანელს ჭარბად ჰქონდა მონიშნული ჩვენს მწერლობაში, ზედგამოჭრილი მომენტია მედეა კახიძის პოეზიისთვის.

შეიძლება ისიც ითქვას, რომ დღეს ასე არ წერენ, არც ეწერებათ და არის რაღაც ატავისტური და არქაული მედეა კახიძის პოეზიაში. იგი დღევანდელობის მოთხოვნებში ვერ ჩჯდება, მაგრამ ესეც მის ღირსებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

განსხვავებული სტილის, ბედისწერის და სათქმელის პოეტია დალილა ბედიანიძე, რომლის პოეზიის თემა ის განცდები და იმედებია, ათას სასოწარკვეთილებას და განსაცდელს რომ უძლებს. დალილა ბედიანიძეს, უპირველესად, საკუთარი პიროვნების შეცნობა აქვს დასახული მთავარ ამოცანად, მისთვის სიყვარული და ქალის ხვედრი უმთავრესი თემაა.

დალილა ბედიანიძე თავისებური „ლბილი სევდის“ მატარებელია, მას ყოველთვის ადარდებს ირგვლივმყოფთა ხვედრი, მათი განცდები და ტკივილები. ძალიან საინტერესოა დედის უმწეობის ამგვარად წარმოჩენა:

...ყოვლისშემძლეა დედობრივი სიყვარული,
მაგრამ ისიც უძლურია დაუნდობელ დროსთან
და უმწეოა დედა, რომელიც შვილის პირველ ჭაღარას
ხედავს
და დაინახავს, რომ მისი შვილი ბავშვი უკვე აღარ არის.
ღმერთო, როგორი სანახავია უმწეო დედა!

როდესაც დალილა ბედიანიძის პოეზიას ვეცნობით, მთლიანად ვითავისებთ იმ განწყობას, რომელსაც პოეტი გვიქმნის. „ლექსები ლიზიზე“ დალილა ბედიანიძის საუკეთესო ტექსტებს შეიცავს. პოეტი გვიჩვენებს „თინეიჯერის“ ცხოვრებისეულ გზას XXI საუკუნეში. ახალგაზრდა ქალბატონს ავტორი თავიდან ქუჩაში გვახვედრებს და წამში გვიჩენს სინორჩისა და გაზაფხულის შეგრძნებას. უახლესი დროის ქალწულის „ქება ქებათა“ გაცდენილია მიწიერ-ხელშესახების არეს და აშკარად ბიბლიური მოტივების ილუზიას გვიქმნის. დალილა ბედიანიძის „ლიზი“ მშვენიერი და სასურველია, მაგრამ იგი არა მარტო ირგვლივმყოფთა თვალსა და გულს ახარებს, არამედ წარსული ჟამის ულამაზეს ქალწულთა სახებასაც შეიცავს – რეალურისა და მიღმურის ზღვარზე იმყოფება.

„ლიზი ზღვაზე“ წარმართული სუნთქვითაც გვხიბლავს, მისგან ბოტიჩელის „ვენერას დაბადების“ ასოციაციაც მძლავრ იმპულსებად გადმოგვეცემა:

შენ ზღვის ქაფიდან დაიბადე მეორედ, ლიზი!
ზღვა და მზეა შენი დედა და შენი მამა.
ზღვის სანაპირო შუადღისას სავსე იყო –
ხალხი მზეს ეფიცხებოდა, ზღვას ეთამაშებოდა,
იდგა ერთი ჟივილ-ხივილი...
აქაფებული ზღვა ნაპირს ეხლებოდა
და მოულოდნელად კენჭებსა და ნიჟარებთან ერთად
შენ გამოგრიყა ლიზი შიშველი...

დალილა ბედიანიძემ შექმნა ისეთი ქალის ხატი, რომელიც ყოველდღიურად შეიძლება შეგხვდეს ქუჩაში, მაგრამ მისი არამიწიერი ხატება მხოლოდ პოეტისთვის იყოს შესამჩნევი, ნიშნეული და აღსაქმელი. ლიზის სახეში, მის ქცევაში, მის ანტურაჟში პოეტმა საკუთარი სიყმაწვილეც უკვდავყო და შეანივთა. ადამიანური სახე, სულიერი კონტურები, უძველეს პოეტთა ხოტბა-ვედრებანი ერთად შეიკრა და გაერთიანდა „ლიზის“ განცდად. დალილა ბედიანიძემ სრულიად ახალ გამომსახველობით ემოციურ სიმაღლეებს მიაღწია ამ ციკლში – „ლექსები ლიზიზე“.

დალილა ბედიანიძე მოკრძალებული და სევდიანიც, აღტაცებული და მოკრძალებულიც, სრულყოფილად გადმოგვცემს შემოქმედებით იმპულსებს და ზემოქმედებს ჩვენზე.

ქალური და დედობრივი სითბოთია აღბეჭდილი ნინო დარბაისელის პოეზია, რომელსაც განსაკუთრებული პიროვნული აურა ახლავს თავისი უშუალობით, უჩვეულო რაკურსით და გულწრფელობით. ნინო დარბაისელს არ ეშინია, მზერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუსწოროს საკუთარ მეს და დაუნდობლად მოექცეს მას. ამ კუთხით იგი ყველაზე თამამ და უშუალო პოეტად შეიძლება მივიჩნიოთ. მას შეუძლია, მოულოდნელი კუთხით გადმოგვიშალოს დედაშვილობის სათუთი გრძნობა და ამისთვის სწორედ იმგვარი შედარება მოიშველიოს, რომელიც სხვათა შემოქმედებაში არასოდეს „გაჭაჭანდება“:

როცა ქალაქი დაქუფრული
გამახსენდება და გულს დაუვლის
სისველე ხელზე დამდნარი თოვლის,
წადილი ქროლვის და გუდაურის.
„არ იქნებაო ჯერ მთაზე თოვლი“
– ეს ხალხი მართლა რას არ მოჭორავს.
მე მყარად ვდგავარ, ვით დედა-ძროხა,
შენ მუხლი გითრთის, როგორც ბოჩოლას...

„თხილამურებში“ იმისთვის, რომ ძვირფასი არსება ახალდაბადებული და მუხლათრთოლებული უმწეო ნაშიერისთვის შეედარებინა, ნინო დარბაისელმა უყოყმანოდ „გაწირა“ თავისი ელეგანტური ხატი. ამ ერთ დეტალშიც კი კარგად ჩანს მისი პიროვნული გამბედაობა და სითამამე, – ასე არასდროს არც ერთი ჩვენი პოეტი ქალი არ მოიქცევა.

დედობა პოეტისთვის უძვირფასესი სტატუსია, რასაც არაერთგზის გამოკვეთს თავის ტექსტებში:

თუ შეგიძლია, ნურასოდეს მისაყვედურებ.
დედის წესია,
ვიდრე სასმელს გამოგიწვდის,
ჯერ თვითონ სინჯავს.
არა, პატარავ,
ეს საშენო წყალი არ არის!

ნინო დარბაისელის შემოქმედებაში მთავარი პიროვნებაა, რომელიც საკუთარ თავს თავადვე მართავს, ზრდის და უკვირდება. დაკვირვების ჟამს პოეტი დაუნდობელია წარსულისადმი და ძველ შეცდომათა აღნუსხვას მისხალ-მისხალ ცდილობს, რაც მის პიროვნულ სიძლიერეს მიგვანიშნებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა „სუფრის ფოჩები“, სადაც „მობინდულ სიმარტოვეში“ მყოფი პატარა არსება პირველად იგრძნობს იმედგაცრუებას და უღირსისადმი ნდობის შედეგებს... გოგონას განცდები და აქედან გამოწვეული ქმედებები უფრო დიდი მნიშვნელობის მქონენი გამხდარან დროის გადასახედიდან:

მაშინ ვიგრძენი,
რომ შეცდომის დედა არის
ძველი შეცდომა,
ხოლო შვილები
უმრავლდებიან
და შენ არ იცი,
სად გაექცე,
თავს რით უშველო...

ნინო დარბაისელის „ფეხმძიმე გრაცია“ აღსავსეა თანადგომის, თანალმობის და სანტიმენტების ხშირი მოძალებით, პოეტს ამ დროს არ გამორჩება უმცირესი დეტალები, წამიერად გაელვებული განწყობები, თვით იდუმალი გრძნობებიც კი, რაც სურვილებს უმძაფრებს ადამიანს:

...და მკერდქვეშ უტოკავს მწიფე საიდუმლო
და მკერდისთავები ეწვის.
უკან მოიტოვა პირველი ეჭვები,
წინ კი – წინ ხიდია ბეწვის.
ყელი აქვს შიშველი და ყელზე – გიშერი.
ავთვალო, ავსულო, ნუ მიეკარები!
ღმერთო, შენ უშველე!
ღმერთო, შენ უშველე!
ღმერთო, დაიფარე ფეხმძიმე ქალები!

ნამდვილი და სრულფასოვანი ქალისთვის ყოველთვის არის გაზაფხულის განწყობა და სიყვარულის დაწყების დრო. ნებისმიერ უამინდობაში შეიძლება საგაზაფხულო განწყობილებამ დაისადგუროს, თუკი „სიზმარს მოერევა ფიქრი მონარჯულები“. ნინო დარბაისელის პოეზიაში სიყვარული დასამარებული, „ჩარეცხილი“ და ჩავლილი არასოდეს არ არის, მისი „შიში და ნეტარება“ შეიძლება ნებისმიერ საგანში ან ნებისმიერ დროს აღმოცენდეს და კვლავ ხელშესახები გახდეს. სიყვარულს ბუნებრივად ახლავს თანამდევი, თავჩენილი შიში და სინაზე, წარმავლობის სევდა და მოპოვების იმედიც, ხსოვნაც მარადიულად ინახავს განცდილს და სამუდამო კვალს ტოვებს. „ეროტიკული დილისპირულის“ დამამთავრებელი აკორდები ასეთ განწყობას გვიჩვენებს:

...რამ დააწყვილა ასე შიში და ნეტარება,
ან გული ჩვენი სულ აკრძალულს რად ეტანება,
ან ასე მკაცრი რატომ არის ღვთის ნება ნეტა,
შენ მოგროვება გიწერია და მე – ტარება?
ვერც საკუთარ თავს, ვერც ერთმანეთს ვერ გავექცევით.
დავრჩეთ, ძვირფასო, სამუდამოდ თავფეხშექცევით!

სიყვარულის მაგიას შეუძლია ზღაპრული პასაჟები წამოსწიოს წინ, შეყვარებულის ნუგეში და უნუგეშობა შელოცვად აქციოს და თანამედროვე პოეტს წარმოათქმევინოს:

ღამე – დადუმებული,
გული – დაღამებული.
ვერ დადგება წაუსვლელად
ჩემი შეყვარებული.
რა მიშველის?
თეთრი დანა.
თეთრი დანა, შავი ტარი,
თეთრი ხელი, შავი მური,
ხელისგულზე – ჯვარი,
ჯვარი – გზაჯვარედიანი...

ნინო დარბაისელის პოეტური მე მყარად ეფუძნება წინაპართა მემკვიდრეობას, იგი ზომიერად ითვისებს წარსულის გამოცდილებას და მასზე საკუთარ ხმას აგებს. მისი პოეზიის სიმბოლო ცაში აჭრილი წეროა, რომელსაც ბედისწერა ახალ-ახალ განსაცდელს უმზადებს. აღსანიშნავია ნინო დარბაისელისთვის ნიშნეული სტილური თავისთავადობა, როცა იგი სათქმელს ნიღბავს და ბოლომდე არ იხსნება, რითაც მკითხველს შეუძლია თავადვე განჭვრიტოს და განსაჯოს, წარმოიდგინოს და წარმოსახოს პოეტურ სახეთა ნაირი კონტურები.

საქართველოში და, ალბათ, სხვაგანაც, შემოქმედი მარადიული სულიერი ცვლილებებისა და გაცდებისთვის არის განწირული. იგი გამუდმებით ყურადღების ცენტრშია და მისგან სულ ახალი და ახალი სიმაღლეების დაპყრობას მოითხოვენ. საზოგადოება, ერთი შეხედვით, გულგრილია, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერს ხედავს და იმახსოვრებს. ჩვენი პოეტი ქალების შემოქმედებაც ყურადღების არეალშია მოქცეული, მათ ჰყავთ თავიანთი ერთგული მკითხველი და შემფასებელი. შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ განსხვავებული ტალანტი, წერის მანერა და სტილი კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მათ პოეტურ სამყაროს.

თეიმურაზ პეტრიაშვილი

განჯის კარის მიდამოს ადგილმდებარეობისთვის

თბილისის ისტორიისა თუ არქიტექტურის მკვლევრებში ეჭვს არ იწვევს ძველი ქალაქის ერთ-ერთი კარის – განჯის კარის მდებარეობა. ეს საკითხი სადავოც არასდროს გამხდარა, რადგან ყველა კარტოგრაფიულ და ისტორიულ წყაროში მისი მდებარეობა ერთნაირად არის წარმოდგენილი, სახელწოდება კი განჯის გზის მიმართულებას უკავშირდება. ეს კარი ქალაქის სამხრეთ ზღუდეში იყო დატანებული, აქედან იწყებოდა თბილისიდან როგორც სამხრეთისკენ, ისე აღმოსავლეთისკენ მიმავალი გზები. მას სხვადასხვა დროს განძის კარს, ციხის კარს და კარის კარსაც უწოდებდნენ (კარის კარი ყარსის კარს ნიშნავდა, რადგან „კარი“ ყარსის ძველი სახელწოდებაა). აქვე იკრიფებოდა საბაჟო გადასახადიც.

არაბი ისტორიკოსი ტაბარი ჯერ კიდევ IX საუკუნეში ახსენებს „კარის კარს“, როგორც თბილისის ერთ-ერთ კარს.

„განჯის კარის“ სახელი ისტორიულ წყაროებში ჩანს ჯალალ ედ-დინის მიერ თბილისთან დაწყებული ალყის აღწერისას.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი თეიმურაზ ბერიძე აღნიშნავს: „სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მომავალი ქარავანი ქალაქში „განჯის კარით“ შემოდიოდა. „განჯის კარი“ „აბანოს კარის“ მაღლა ქალაქის კედელში დატანებული იყო დაახლოებით იქ, სადაც დღეს ბოტანიკური ბაღის შესასვლელია. ქალაქის კარის აქ არსებობაზე მიგვანიშნებს ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან ამჟამად არსებული ხიდის ახლოს წავკისის წყალში მდებარე, ძველი ხიდის დუღაბით ნაგები ბურჯის ნაშთი... „განჯის კარის“ საშუალებით თბილისში შემოდიოდა სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან წამოსული ქარავნები... განჯის კარი სოლოლაკის ხევის დამცველ ფუნქციასაც ასრულებდა. განჯის კარი სოლოლაკის ხევში გაყვანილი გზით კოჯორ-ტაბახმელადან წამოსულ მგზავრებსაც იღებდა“.

ამ დასკვნებს მკვლევარი ძველი თბილისის სხვადასხვა გეგმებზე, რუკებზე და ჟამთააღმწერლის, ვახუშტი ბატონიშვილის, გიულდენშტედტის, პლატონ იოსელიანის მონაცემებზე დაყრდნობით აკეთებს.

„თბილისის ისტორიაში“ (ტ. I.) ვკითხულობთ: „XI-XII სს. თბილისს გალავანი ჰქონდა შემოვლებული და იგი გამაგრებული ქალაქი იყო. თბილისს ჰქონდა კარები, რომლებსაც იმისდამიხედვით, თუ რომელ მხარეში მდებარე გზაზე იყვნენ, სათანადო სახელები ერქვა... განძის კარის სახელწოდება განძისაკენ მიმავალ გზასთან იყო დაკავშირებული და მდებარეობდა იქ, სადაც ამჟამად ბოტანიკური ბაღის შესასვლელია... იგივე კარი – „განჯის კარი“ განჯისაკენ მიმავალ გზას კეტავდა, ეს კარი ადრიდანვე იქ იყო, სადაც დღეს ბოტანიკური ბაღის შესასვლელია“.

ლ. გვრიტიშვილი და შოთა მესხია წერენ: „უმთავრესი სავაჭრო გზა, რომელიც სამხრეთიდან მიემართებოდა და რომელსაც „განჯის გზას“ უწოდებდნენ, სეიდაბადს ზემოდან ირგვლივ შემოუვლიდა და ქალაქში სამხრეთის კედლიდან შემოდიოდა. საამისოდ ქალაქს აქ კარი ჰქონდა და იგი „განჯის კარად“ იწოდებოდა... ამავე სახელწოდებით იცნობდნენ ამ კარს ვახუშტი და სხვა იმდროინდელი წყაროებიც. „განჯის კარით“ ქალაქში შემოდიოდა აგრეთვე ტაბახმელადან და კრწანისიდან მომავალი გზებიც. ნარიყალადან ვიდრე შაჰის ტახტამდე, ქალაქის სამხრეთ კედელზე სხვა კარი არ ყოფილა... ცნობილია, რომ თბილისს საერთოდ ექვსი კარი ჰქონდა... მეოთხე კარი „განჯის კარის“ სახელწოდებით ქალაქის სამხრეთ კედელში იყო დატანებული“.

არქეოლოგი, აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძეც იმავეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნავს: „ვახუშტის გეგმაზე ქალაქს სამხრეთიდან მხოლოდ ერთი კარი აქვს, „განჯის კარი“, რომელიც დაახლოებით იქ უნდა იყოს, სადაც ახლა ბოტანიკური ბაღის შესასვლელია“.

განჯის კარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაბლა, აღმოსავლეთისაკენ მდებარე კედელში, აბანოების მოპირდაპირე მხარეს იყო აბანოს (მოედნის) კარიც, მაგრამ „აბანოს კარი“ მეორეხარისხოვნად ითვლებოდა. მისი მიმართულებით ხარფუხის მაღლობიდან დაბლა ეშვებოდა საქარავნე გზის მარჯვენა ტოტი. სეიდაბადის ბაღებიდან აქეთ მოდიოდა რამდენიმე ბილიკი. აბანოსკარით კალაში ძირითადად ფეხით მოსიარულეები შედიოდნენ.

თუმცა, როგორც ჩანს, აღა მაჰმად-ხანის რაზმები სწორედ აბანოსკარით შეიჭრნენ კალაში, რადგან განჯის კარი წავკისის წყლის კლდოვანი ხევის პირას იყო და უსაფრთხოების თვალსაზრისითაც უფრო იოლად დასაცავ ადგილს წარმოადგენდა, ამასთან, წავკისის წყლის კლდოვან ნაპირებზე არსებული ხიდის დაზიანება ქალაქში შესვლას დიდად გააძნელებდა.

მაღალი კლდოვანი ხევის პირას განჯის კარის მდებარეობაზე ისიც მიგვითითებს, რომ, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „შეიპყრა როსტომ მეფემან კათალიკოსი ევდიმოზ და პატიმარ-ჰყო ტფილისს ციხესა შინა. შემდგომად გარდმოაგდო განჯის-კარის კოშკიდამ“.

ასე რომ, განჯის კარის, იგივე განძის კარის, ციხის კარის, კარის კარის მდებარეობა ეჭვს არ იწვევს.

ამჟამად ამ კარის მდებარეობის სავარაუდო მიდამოს ნახვას თუ მოვინდომებთ, იოსებ გრიშაშვილის ქუჩიდან მირზა შაფის ქუჩას უნდა ავუყვეთ და წავკისის წყალზე გადებულ ხიდამდე მივიდეთ. ამ ადგილას, მდინარის მარცხენა ნაპირთან, მდებარეობდა „განჯის კარი“.

ბოლო დროს მასმედიის საშუალებებით ხშირად „განჯის კარის“ მდებარეობას სხვა ადგილას მიუთითებენ, კერძოდ კი, განჯის კარს 300 არაგველის ბაღის მიდამოში, 300 არაგველის ობელისკის მოპირდაპირე მხარეს არსებულ ძველი გალავნის ნანგრევების ნაშთს უწოდებენ. ამ ადგილს უდავოდ დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, აქ ფასდაუდებელი არქეოლოგიური მასალაა აღმოჩენილი. გამოვლინდა IX-XII სს. ხელოსანთა და ვაჭართა უბნის და იქ არსებული მძლავრი კერამიკული წარმოების ნარჩენები, ნუმიზმატური არქეოლოგიური მონაპოვარი, ნანახია ადამიანის ძვლების დიდი რაოდენობა, მიჩნეულია, რომ აქ თბილისის დამცველ მებრძოლთა საძმო სასაფლაო იყო. ეს ადგილი ბოლომდე არ არის შესწავლილი და მისმა კვლევამ მომავალში, შესაძლოა, დიდი და ახალი აღმოჩენების წინაშე დაგვაყენოს. მაგრამ რამდენად სწორია, როცა ამ ადგილს „განჯის კარს“ უწოდებენ?! მართალია, ჯერ ზეპირმეტყველებაში, მაგრამ, ვინმემ ძველი თბილისის ახალი გეგმა რომ შექმნას (თუნდაც ტურისტული), და ამ ადგილს „განჯის კარი“ უწოდოს, ეს გამოუსწორებელი შეცდომა იქნება.

ასევე ეჭვს იწვევს ზეპირმეტყველებისას გავრცელებული აქვე არსებული ხევის სახელწოდებაც – „ოხერხევი“ ან „ოხრახევი“.

ვნახოთ, რას წარმოადგენს ეს ადგილი და რის საფუძველზე იხსენიებენ მას „განჯისკარად“, ხოლო ხევს „ოხერხევად“ ან „ოხრახევად“.

თანამედროვე ლიტერატურულ თუ ისტორიულ მასალებში ყველგან ჩანს, რომ ეს კარი კი არა, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლის მიდამოა, „განჯის კარი“ კი მას პირობითად მაშინ უწოდეს, როცა არქეოლოგიური კვლევა დაიწყო, ე.ი. 1948 წელს.

ვახუშტის რუკაზე მკაფიოდ ჩანს ამ ადგილზე არსებული კედელი ხუთი ბურჯით. ის სეიდაბადის ბაღებშია მოქცეული. კარი კედელში არსადაა გამოსახული, ხოლო ქალაქისკენ მიმავალი გზა მას ზემოდან, ხარფუხიდან უვლის.

სწორად აღნიშნავს ცნობილი არქეოლოგი ოთარ ჯაფარიძე: „ეს კედელი განცალკევებით დგას და სეიდაბადის ბაღებს აკრავს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, იგი იწყება მტკვართან და, როგორც ჩანს, არ აღწევს თაბორის კალთებს. მას გარედან უვლის „განჯისკარიდან“ ირანისაკენ მიმავალი გზა. ამიტომაც საფიქრებელია, ხომ არ დაუკარგავს ამ პერიოდისათვის კედელს თავისი სამხედრო მნიშვნელობა, თუ ასე არ იყო, მაშინ გზას გარედან კი არ უნდა გაევლო, არამედ კედელში კარი უნდა ყოფილიყო დატანებული ქალაქში შესასვლელად, მითუმეტეს, რომ სეიდაბადი თაბორიდან სრულებით დაუცველი ჩანს... როგორც უკვე აღვნიშნეთ, XII-XIII სს. აქ კედელი უნდა მდგარიყო, რომელსაც კარიც უნდა ჰქონოდა... ვახუშტი ამ კარს არ ახსენებს... ეს კედელი უფრო ძველია, ვიდრე თბილისის გალავანი“.

როგორც ჩანს, ეს კედელი მართლაც ძალიან ძველია. აკადემიკოსი ლევან ჭილაშვილი მას IX საუკუნის კედლად მიიჩნევს, რადგან, მისი აზრით, ამ მიდამოში ქალაქის ზღუდე სწორედ IX საუკუნეში უნდა ყოფილიყო გადმოწეული, XIII საუკუნიდან კი ამ ადგილას დასახლება აღარ იყო.

„გორგასლის ქუჩის ის ნაწილი, რომელიც 300 არაგველის სახელობის ბაღსა და თათრის მოედანს შორისაა, XVIII ს-ში და არც მის უწინარეს არ არსებობდა. ეს ადგილები მთლიანად ბაღებს ეჭირათ და მათ შორის მხოლოდ ვიწრო ორღობეები და ბილიკები თუ იყო. ორთაჭალიდან ქალაქში შესვლა შეიძლებოდა მხოლოდ ამ ბაღების ზემოდან მოვლით, ხარფუხის ძირში გამავალი დაღმართისა და აბანოების პირას გამოვლით“.

ასე აღწერს ამ ადგილს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი მამისა ბერძნიშვილი. იმავეს იმეორებს იგი „თბილისის ისტორიაში“.

მამისა ბერძნიშვილი ასევე მოგვითხრობს: „ამ უბნის მკვიდრი იოსებ გრიშაშვილი, ძველ ხარფუხელთა მოგონებებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ, რაკი ვორონცოვის ქუჩის ადგილას ადრე „მაღნარი ყოფილა უტეხარი,“ ამიტომ „სათათრეთში, თუ სასომხეთში მიმავალნი ხარფუხის აღმართზე უნდა ასულიყვნენ და მერე დაადგებოდნენ ხოლმე სოღალუხის გზას“.

ცნობილი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შოთა მესხია წერს: „თუ X-XIII საუკუნეებში ქალაქის ვაჭრები და ხელოსნები სამხრეთ-აღმოსავლეთით, დღევანდელი სამასი არაგველის (ორთაჭალის) ბაღამდე ესახლნენ, XIII საუკუნიდან აქ ქალაქის მოსახლეობის კვალი უკვე აღარ ჩანს... არქეოლოგიური მასალები და XVII-XVIII საუკუნეების თბილისის გეგმები გვიჩვენებენ, რომ ძველი თბილისის ეს ტერიტორია XIII საუკუნის შუა წლებიდან არ იყო ვაჭრობა-ხელოსნობის უბანი. აქ მოსახლეობა გაწყდა და შემდეგ არც დასახლებულა. ეს ტერიტორია ამიერიდან ქალაქის ბაღებს დაეთმო... მოსახლეობა მხოლოდ მთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალთებზე ყოფილა შეფენილი“.

როგორც ირკვევა, ამ კედელს თავისი ფუნქცია თუ ისტორიული მნიშვნელობა კარგა ხანია, სულ ცოტა, XII-XIII საუკუნეებიდან აქვს დაკარგული. სად მდებარეობდა ამ ზღუდის კარი, ამის განსაზღვრა ვერ ხერხდება.

აქ კარი არ ჩანს არც 1800 წლის რუსულ გეგმაზე, რომელიც შოთა მესხიამ მოსკოვში მოიძია. იგი აღნიშნავდა: „როგორი სახე ჰქონდა ქალაქს ერეკლე მეორის მოღვაწეობის დროისათვის, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თბილისის 1800წ. რუსული გეგმის მიხედვით, რომელიც მოსკოვშია დაცული“. ამ გეგმაზეც ეს კედელი, როგორც დანგრეული სიმაგრის ნარჩენები, ისეა წარმოდგენილი, სეიდაბადის ბაღებშია მოქცეული და გზა მას ზემოდან უვლის.

შოთა მესხიას მიერ მოძიებულ გეგმაზე და სხვა კარტოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით თეიმურაზ ბერიძე თავის წიგნში ამ უბნის (სეიდაბადის) XVIII საუკუნის თავისეულ გეგმასაც გვთავაზობს. ამ გეგმაზე აღნიშნული კედლის გასწვრივ წარწერაა „დანგრეული სიმაგრე ხალათ ხანა“, ხოლო ტექსტში კი მიუთითებს, რომ 1800 წლის თბილისის გეგმის შემდგენელს ჩუიკოს ქალაქის აღნიშნულ კედელთან აქვს წარწერა: «Развалинное крепостное строение – Халат-хан называемое». თეიმურაზ ბერიძე ამ ტერმინს ასე თარგმნის – „ჭურჭლის სახლი“.

ადგილის სახელწოდებას, „ხალათ ხანას“, შოთა მესხია არსობრივად ამგვარად განმარტავს – „ტერმინი „ხალათ-ხანა“ XI-XIII საუკუნეში უხმარიათ, როგორც თიხის პირფართო ჭურჭლეულობის მკეთებელ ხელოსანთა სახელწოდება. ამგვარივე სახელწოდება შერჩა ამ უბანს მის შემდეგაც, რაც იგი უცხოელთა წყალობით მოისპო და მიწით და ბაღებით დაიფარა. თვით ტერმინის შინაარსი და ამ ადგილზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა სავსებით შეესიტყვება ერთმანეთს“. ასე რომ, „სამასი არაგველის სახელობის (ყოფილი ორთაჭალის) ბაღის გვერდით, სადაც დღესაც გადის ძველი ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი, ახალი ბაღის მშენებლობის დროს შუა საუკუნეების კერამიკის მრავალგვარი ნაშთი აღმოჩნდა“. ეს რაიონი, „როგორც ჩანს, ამ დროს თიხის ჭურჭლის მკეთებელ ხელოსნებით ყოფილა დასახლებული. აქ ჰქონიათ მათ თავიანთი სახელოსნოები – ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები“.

ამრიგად, ქალაქის კარი და სახელწოდება „განჯის კარი“ აქ აღწერილ მიდამოში არსად გვხვდება.

ამ ადგილის სახელწოდების გარკვევისთვის, კერძოდ, „განჯისკარის“ დარქმევის ისტორიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს 1948 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი წამყვანი წევრის, გიორგი ლომთათიძის ნაშრომში მის მიერვე შეტანილ შენიშვნას, სადაც ავტორი განმარტავს, რომ „ეს არის არქეოლოგიური ჯგუფის სამუშაო, არქეოლოგიური გათხრების ადგილის პირობითი სახელწოდება“. ის იხსენებს, რომ არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა სწორად არ მიიჩნიეს, ამ ადგილისთვის პროფესორ ნ. ბერძენიშვილის მიერ გვიანფეოდალური ხანის საბუთებიდან შერჩეული ტერმინი „ქუზეხანა“ ეწოდებინათ. მათ არც შოთა მესხიას მიერ მოძიებული, 1800 წლის რუსულ გეგმაზე არსებული სახელწოდება „ხალამხანა“ ჩათვალეს გამართლებულად, თუმცა, „ჩანს, ორივე შეეფერება ჩვენს მიერ გათხრილ საწარმოს...“ – აღნიშნავს გიორგი ლომთათიძე. მაგრამ ის სხვადასხვა მიზეზის გამო (იმის გამო, რომ ამ ადგილას უფრო მეტი უცხოენოვანი სახელწოდება არ გაჩენილიყო. თ. პ.) სწორად არ მიიჩნევს „ჩვენს ლიტერატურაში მათ დამკვიდრებას...“... ამიტომ ექსპედიციის წევრებმა ამჯობინეს, არქეოლოგიური გათხრის ადგილისთვის „განჯისკარი“ ეწოდებინათ, რადგან იგი განჯიდან შემომავალ გზასთან მდებარეობდა. თუმცა ეს საკითხი მაშინვე სადავო გამხდარა და ამ პირობითი ტერმინის დამკვიდრების ერთ-ერთი თანამონაწილე, ფრთხილი, დაკვირვებული მეცნიერი გიორგი ლომთათიძე, რომელიც ვერავითარ ძველ და ახალ, ისტორიულ თუ კარტოგრაფიულ საბუთს ვერ პოულობს, სადაც ეს ადგილი „განჯის კარად“ იქნება მიჩნეული, იქვე ეჭვს გამოთქვამს:

„იყო კი განჯისკარი ამ ადგილას? ჩვენთვის ხელმისაწვდომი კარტოგრაფიული დოკუმენტები – თბილისის გეგმები ვახუშტისა (1735წ. და უფრო გვიან), პიშჩევისა (1785წ.) და ერთიც უსახელო (1800წ.) – ყველა იქ მიგვითითებს განჯისკარს, სადაც დღევანდელი ბოტანიკური ბაღი ემეზობლება ყოფილ მაჰმადიანთა სასაფლაოს (ლეღვთახევის გაღმა რომ იყო) და სადაც ახლაც არის ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთი ჭიშკარი. იმ უბანში კი, სადაც ექსპედიცია თხრიდა, ყველა ამ გეგმაზე აღნიშნულია მთლიანი, გაბმული ბაღები რომლებზედაც არცერთი გზა არ გადის. ასევე გვეუბნება პ. იოსელიანი... საკითხი უკავშირდება ჩვენი ექსპედიციის სამუშაო ადგილის „განჯისკარად“ წოდების საკითხს, რაც კარგა ხანია, სადავოდაა ჩვენს წრეში გამხდარი. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ მართებული არ იქნებოდა ასეთი სახელწოდების საბოლოოდ დამკვიდრება... ჩვენი აზრით, არცერთი რამდენადმე მტკიცე საბუთი არ მოგვეპოვება იმისათვის, რომ უყოყმანოდ წარმოვიდგინოთ თუნდაც უფრო ადრინდელ ხანაში – საერთოდ კარი და, მით უმეტეს სწორედ განჯის კარი იქ, სადაც ჩვენი ექსპედიცია მუშაობდა.

ამიტომ სიფრთხილემ გვაიძულა მუშაობის პროცესშივე აგვეღო ხელი ამ სახელწოდებაზე და საბოლოოდ შევჩერებულიყავით უფრო ნეიტრალურზე – „თბილისის ექსპედიცია“ – თვით გათხრის ობიექტს, კი „300 არაგველის ბაღთან აღმოჩენილ კერამიკულ საწარმოს“ ვუწოდებთ“. ე.ი. როგორც ჩანს, არქეოლოგები მაშინვე შეეცადნენ, ეს ადგილი აღარ ხსენებულიყო „განჯისკარად“.

მართალია, ზოგიერთ ლიტერატურულ მასალაში ეს ადგილი მაინც დარჩა „განჯის კარის“ სახელწოდებით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველგან მითითებულია მისი პირობითობა. მაგალითად: „თბილისის ენციკლოპედიასა“ და „საქართველოს ენციკლოპედიაში“ ტ.I ორი სხვადასხვა ავტორის, აკადემიკოს ლევან ჭილაშვილის და ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორ მარინა მიწიშვილის სტატიებში სახელწოდება – „განჯისკარი“ ბრჭყალებშია მოცემული და აღნიშნულია, რომ ეს არის არქეოლოგიური ძეგლი ძველი თბილისის გალავანთან და არა ძველი თბილისის ერთ-ერთი კარი.

რაც შეეხება აქ არსებული ხევის „ოხერხევად“ მოხსენიებას, ექსპედიციის წევრი, ცნობილი არქეოლოგი ოთარ ჯაფარიძე თავის ნაშრომში „განჯისკარის 1948 წლის არქეოლოგიური გათხრის ანგარიში“ წერს: „სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ხევის სახელწოდების დადგენა. ადგილობრივმა მოსახლეობამ ამ ხევის სახელი არ იცის. მხოლოდ ერთმა გვითხრა, რომ ამ ბაღს „ოხერ ბაღს“ უწოდებდნენ, ხევს კი „ოხერხევს“.

037/23

ადრე ამ ბაღის მიდამო აქ არსებული ბაღების განუყოფელი ნაწილი იყო, ამიტომ საეჭვოა ამ ადგილისთვის ოხერბაღი დაერქმიათ, ხოლო, თუ ვინმემ შემდგომში უწოდა, ჩანს, რომ ეს ახალი ამბავია, კერძოდ მაშინდელი, როცა აქ თანამედროვე ტიპის ბაღი იქმნებოდა.

უნდა ითქვას, რომ აქ მდებარე ბაღებს „საზამთროს ბაღებსაც“ უწოდებდნენ.

თავის ანგარიშში „ოხერ ბაღს“ და „ოხერხევს“ გიორგი ლომთათიძეც ახსენებს, თუმცა იქვე აღნიშნავს: „ახსნით ვერ აგვიხსნია ჯერ „ბაღი“ და მერე „ოხერი“. ამ ტერმინს ის, სავარაუდოდ, „ნაოხარი ადგილის“ აღმნიშვნელად მიიჩნევს.

ერთი ადამიანის მოსაზრებაზე დაყრდნობით ტოპონიმის შერქმევა სწორი არ იქნება. გამოცდილი არქეოლოგები ამას არც ცდილობენ.

რაც მთავარია, იმ პერიოდში (1948 წელს) შოთა მესხიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ქალაქის 1800 წლის რუსული გეგმა მოძიებული, თორემ ოთარ ჯაფარიძე არ დაწერდა ვერ მოხერხდა ამ ხევის სახელწოდების დადგენაო, რადგან ამ გეგმაზე თვალნათლივ ჩანს ხევის სახელწოდება – „ჩანადერის ხევი“. თანაც შოთა მესხია ამავე არქეოლოგიური ექსპედიციის წევრი ბრძანდებოდა და ექსპედიციის წევრთათვის ეს ამბავი დაუდგენელი არ დარჩებოდა.

აღნიშნული ხევის სწორედ ამ სახელწოდებას იყენებს თეიმურაზ ბერიძე თავის წიგნში წარმოდგენილ სეიდაბადის XVIII საუკუნის რუკაზე და წერს:

„ამ უბანს ძველად „ხალან-ხალას“ უწოდებდნენ. მისგან მოშორებით სამხრეთით „ჩანადერის“ ხევია, რომლის დასავლეთით წყაროა, ამ ხევში დღესაც წყაროა და აქ მცხოვრები ხარფუხელები თავიანთ თავს „წყაროსუბნელებს“ უწოდებენ (და არა ოხერხევის უბნელებს. თ. პ.). „ჩანადერში“ ორი სიტყვაა მოცემული – იგი თურქული წარმოშობისაა და ნიშნავს წყლის ან წყლიან ხევს“. იქვე, სქოლიოში კი თეიმურაზ ბერიძე აღნიშნავს, რომ „შეიძლება ამ სიტყვაში ქართული საჩადინარეც დავინახოთ“.

ივ. შაიშმელაშვილი კრწანისის ხევის (მდ. ტაბახმელის) პარალელურად არსებულ ხევს, რომელიც შინდისის მიდამოებში იწყება და ორთაჭალაში მტკვრის ყოფილ მარჯვენა ტოტს უერთდებოდა, შინდისის ხევს ან ოხრახევს უწოდებს. გაუგებარია, საიდან აიღო მან ეს ტერმინი. თანაც ეს ის ხევი არ არის, რომელიც 300 არაგველის ბაღთანაა და, როგორც მისეულ რუკაზე ვხედავთ, თაბორის მთის სამხრეთით, „ჩანადერის ხევის“ პერპენდიკულარულად მდებარეობს.

არც ერთ ლექსიკონში, გარდა გრ. ზარდალიშვილის წიგნისა „თბილისი და მისი მიდამოების ტოპონიმია,“ არ ჩანს სახელწოდება „ოხერხევი“. გრ. ზარდალიშვილი კი მიიჩნევს, რომ ეს არის ოქროყანის მიდამოებში მდებარე ხევი. ამას ისიც ემთხვევა, რომ (თუ ტოპონიმების ჩვენამდე მოტანა მოსახლეობის ცოდნაზეა დამყარებული და ხშირ შემთხვევაში ასეცაა) ოქროყანისა და შინდისის, ასევე სოლოლაკის მოსახლეობის დიდი ნაწილი ოხრახევისა თუ ოხერხევის ადგილის გარკვევისას დაუფიქრებლად მიგითითებთ ოქროყანის მიდამოებში, წავკისის წყლის შუა წელში არსებულ ხევზე.

2003 წლის 13 ოქტომბერს თბილისის საოლქო სასამართლოს მიწერილობის თანახმად შედგენილ საექსპერტო კომისიის დასკვნაშიც (რომლის შემადგენლობაში ცნობილი ისტორიკოსები და არქეოლოგები შედიოდნენ, თავმჯდომარე კი ასევე ცნობილი არქეოლოგი ვახტანგ ჯაფარიძე იყო) დეტალურად არის განხილული ამ ადგილის ისტორიული მნიშვნელობა, მაგრამ „განჯის კარის,“ როგორც „კარის,“ არსებობა არსად მტკიცდება და ამას არც ცდილობენ ცნობილი მეცნიერები, რადგან, რომელია „განჯის კარი,“ მათ კარგად იციან.

საექსპერტო დასკვნაში მხოლოდ ერთგან არის ნახსენები „შემორჩენილი ქალაქის ზღუდის ნაშთი, ე.წ. „განჯისკარი“.

არ ფიგურირებს არც სახელწოდება „ოხერხევი“. „ოხერხევი“ მხოლოდ ივ. შაიშმელაშვილის ტექსტში ჩანს და ამაზე უკვე ვისაუბრეთ. ასევე, შაიშმელაშვილის ტექსტში მითითებული „განჯის კარი“ თბილისის კედელში არსებულ კარზე მიუთითებს.

ზემოთ ხსენებულ საექსპერტო დასკვნაში განხილულია კრწანისის ბრძოლის პერიპეტიებიც და ნაჩვენებია ჩვენ მიერ აღნიშნულ კედელთან საძმო საფლავის არსებობაც. შესაძლოა, ზოგი რამ საკამათო იყოს, მაგრამ აშკარაა, რომ კომისიის საბოლოო დასკვნა უდავოა.

ასე რომ, 300 არაგველის სახელობის ბაღში მითითებულ ადგილზე არსებულ ძველი გალავნის ნანგრევების მიდამოში კარი „განჯის კარის“ სახელწოდებით არასდროს ყოფილა. დღეისთვის ამ გალავნის ისტორიული სახელწოდება (ასევე კარის, თუ კი ის ამ ზღუდეში სადმე არსებობდა) უცნობია. არავითარი ისტორიული თუ არქეოლოგიური საბუთი არ არსებობს, რომელიც აქ კარის და მით უმეტეს „განჯის კარის“ არსებობაზე მიგვითითებს.

ამ ადგილს „განჯისკარი,“ როგორც არქეოლოგიური გათხრის ადგილის პირობითი სახელი, 1948 წელს ეწოდა, რადგან ის განჯიდან მომავალ გზასთან ახლოს იყო.

აქ არსებული ხევი კი „ჩანადერის ხევია“ და არა „ოხერხევი“ ან „ოხრახევი“.

„განჯის კარის,“ ძველი თბილისის ერთ-ერთი კარის, ადგილსამყოფელი, რომელიც ქალაქის ძველი გალავნის სამხრეთ ნაწილში იყო დატანებული, მკვლევრებში ეჭვს არასდროს იწვევდა – ის ქალაქის მნიშვნელოვანი ისტორიული ადგილია და ქალაქის სამხრეთის კედლის მიდამოში, ახლანდელი ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან არსებულ წავკისის წყალზე გადებული ხიდის სიახლოვეს მდებარეობდა.

აქ მთავრდებოდა განჯიდან (თუ სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე სხვა ქალაქებიდან) თბილისისკენ მომავალი საქარავნე გზა.

სხვა ადგილის „განჯის კარად“ მოხსენიება გამოუსწორებელი შეცდომაა.

თუმცა ეს ოდნავაც არ ამცირებს სამხრეთის ძველი ზღუდის ნანგრევებთან არსებულ 1948 წლის არქეოლოგიური გათხრის მიდამოს და არც ძველი კედლის ისტორიულ მნიშვნელობას. მართებულია კომპეტენტურ ექსპერტთა დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ „საკვლევი ობიექტი მიჩნეულ უნდა იქნეს არქეოლოგიურ ზონად და არსებობს სრული საფუძველი იმისა, რომ მიჩნეული იქნეს ნაკრძალად, ისტორიულ ძეგლად“.

მაგრამ აუცილებლად მიგვაჩნია, ამ მიდამოში აქ არსებული ძეგლების ისტორიულად შესატყვისი სახელწოდებები დამკვიდრდეს, რაც თავიდან აგვაშორებს გაუგებრობას დედაქალაქის ისტორიულ წარსულთან დაკავშირებით.

ცისკარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

LB
ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

PSP №1

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზია

ნინო ნადირაძე
ტარიელ ჭანტურია
გენო კალანდია
ემზარ კვიტაიშვილი
ანზორ აბულაშვილი
ნანა კელეხიძე
სოსო მეშველიანი

პროზა

გურამ დოჩანაშვილი
რუსა ამირეჯიბი
ბესო ხვედელიძე
ლაშა გვასალია
ჯანო ჟვანია

თარგმანები

იოჰან ვოლფგანგ გოეთე
თარგმნა **დავით წერედიანმა**

ჰანს კრისტიან ბრანერი
თარგმნა **მანანა მიქელაძემ**

ინტერვიუ

კარლოს კასტანედა
თარგმნა **ბაჩანა ბრეგვაძემ**

ესე

მიხეილ ანთაძე

წერილები

დიანა ანფიმიადი
ეკა ყუფუნია-ცხადაძე
თეიმურაზ პეტრიაშვილი

ISSN 0132-6023
9 770132 602007

ხელმომწერთა საყურადღებოდ!!!

ხელმოწერების გასაფორმებლად დაუკავშირდით ქვემოთ ჩამოთვლილ გამავრცელებლებს მითითებულ ტელეფონის ნომრებზე:

„პრესექსპრესი"-962 311; „მაცნე"-341 070; „საქპრესა"-518 518; 515 905

ინდივიდუალური ხელმოწერის გაფორმება ასევე შესაძლებელია უშუალოდ „ცისკრის„ რედაქციაში მისამართზე: თბილისი, ათონელის (ხიდის) ქ. 29/1
დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვირეკეთ რედაქციაში: 98-36-43; 899188093